

ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია

(გამოწვევები და პარადიგმული ცვლილებები)

ნიკოლოზ სილაგაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მონოგრაფია შექმნილია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში

შესავალი

წიგნში განხილულია გამოწვევები, რომლებსაც თანამედროვე ეტაპზე ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხების კვლევა უკავშირდება. ჩამოყალიბებულია მიდგომა (საკვლევი შეკითხვები, კვლევის ტრანსდისციპლინური მეთოდი, საკვანძო ცნებები), რომელიც ახლებურად წარმოაჩენს ეთნოსოციალური ისტორიის ადგილს საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

მონოგრაფია გამოკვეთს ახალ პერსპექტივას საქართველოს ეთნო-სოციალური ისტორიის შესასწავლად; ახლებური მეთოდოლოგიის საფუძველზე შესწავლილია ზედა პალეოლითიდან გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლფსამდე პერიოდი (უძველესი დროიდან ძვ.წ. XII საუკუნემდე). შემდგომ ისტორიულ ეპოქებს სერიის მომდევნო წიგნები მიეძღვნება.

ნაშრომი, რომელიც მრავალ ისტორიულ ეპოქას მოიცავს და სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის მონაცემებს ეფუძნება ცხადია არ არის დაზღვეული ხარვეზებისგან. მისი მიზანი უფრო საკითხის ახლებურად დასმაა ვიდრე ისტორიოგრაფიისთვის ტრადიციული პრობლემების გადაჭრა. აქედან გამომდინარე ავტორი მაღლობით მიიღებს და შემდგომი მუშაობის პროცესში გაითვალისწინებს ყველა შენიშვნასა და კომენტარს.



გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი SP-22-1064]

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia [Grant Number – SP-22-1064]



ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



გამომცემლობა
სამშობლო

წიგნი დაკაბადონდა და დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
თბილისი, რობაქიძის გამზ. 7/4.

ISBN - 978-9941-9884-3-1

სარჩევი

ნაწილი 1. ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხების ადგილი თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში ----- 3

თავი 1. სოციალური თეორია ----- 3

თავი 2. ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხების შესწავლასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური პრობლემები ----- 12

- ავთენტური კონტექსტი ----- 12

- ანაქრონიზმი ----- 16

თავი 3. კვლევის ტრანს (და არა - მულტი /ინტერ) დისციპლინური მეთოდი ----- 26

ნაწილი 2. საქართველოს ეთნო-სოციალური ისტორია ----- 46

თავი 1. „ერთგანზომილებიანი სოციალური რეალობა“ (ზედა პალეოლითი) ----- 46

- კლანი ----- 46

თავი 2. „ორგანზომილებიანი სოციალური რეალობა“ (მეზოლითი, ნეოლითი) ----- 57

- გვაროვნული თემი ----- 57

- „მრავალწახნაგოვანი რევოლუცია“ (“Broad Spectrum Revolution”) ----- 57

თავი 3. „სამგანზომილებიანი სოციალური რეალობა“ (ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა) --- 62

- კლასი ----- 62

- ადრებრინჯაოს ხანა ----- 66

- რომელ ენაზე საუბრობდნენ ბრინჯაოს ხანის კავკასიაში? ----- 67

ანოტაცია ----- 126

ბიბლიოგრაფია ----- 130

ნაწილი 1. ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხების ადგილი თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში

თავი 1. სოციალური თეორია

„დღეს მეცნიერებს სულ უფრო მეტად აინტერესებთ შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული მეორეხარისხოვანი დეტალები ... ვიღებთ ვითარებას, როცა მათ იციან ყველაფერი არაფერზე“ - ბერნარდ შოუ

„სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები მოგვაგონებენ მებაღეებს, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი ბაღი აინტერესებთ“ - მარკ ბლოკი

“წარმოდგინეთ რა მოხდება, თუკი ტექსტის ერთ ნაწილს დავეწერთ ინგლისურად, მეორეს - გერმანულად. ვინ გაიგებს ამ ტექსტს? მონოლინგუალური ინგლისელი და გერმანელი გაიგებს მხოლოდ ტექსტის ერთ ნაწილს ... ენების შერევა ძალიან ჰგავს სამეცნიერო დისციპლინების მკვეთრად გამოჯვანას“ - ივან რასელი

თითოეული ზემოთ მოყვანილი ციტატა კვლევის ე.წ. კარტეზიანულ ტრადიციას / ანუ კვლევის ობიექტის დანაწევრებულად შესწავლას აკრიტიკებს. ეს მიდგომა XVII საუკუნეში რენე დეკარტის ძალისხმევით ჩამოყალიბდა. დიდი ფრანგი მეცნიერის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ დღეს კვლევის ერთსა და იმავე ობიექტს ბევრი მეცნიერება დეტალების დონეზე შეისწავლის, თუმცა, ყველაფერს თავის ფასი აქვს. ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ასეთი რაოდენობის დისციპლინებად დაყოფამ მთელის აღქმა გაართულა და მეცნიერები იმ ოთხი ბრმის პოზიციაში ჩააყენა, რომლებიც სპილოს სხვადასხვა საცეცებით აღწერენ.

ამ პრობლემას დღეს ყველა გრძნობს და ამიტომ ყველა დისციპლინა მეტ-ნაკლებად გადმოდის საკუთარი „საზღვრებიდან“, ცდილობს საკუთარი „ტრადიციული“ არეალის გაფართოებას, ან სულ უფრო მეტ აქცენტს აკეთებს ინტერდისციპლინურ კვლევებზე.

დისციპლინათშორისი ინტეგრირების პრობლემებზე სხვადასხვა ტიპის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს გამოყოფენ¹. თუმცა, შემაფერხებელ ფაქტორებზე მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, თუ რას აზიანებს დისციპლინათშორისი იზოლაცია. დისციპლინათშორისი დანაწევრების მთავარი პრობლემა ათვლის წერტილის დაკარგვა,

¹ ლონდონის მიდელსექსის უნივერსიტეტის პროფესორი ი. რასელი გამოყოფს სამ ძირითად პრობლემას, რომელიც ინტერდისციპლინური კვლევების წარმოებისას იკვეთება: (1) ექსპერტიზასთან დაკავშირებული პრობლემები (ერთი ადამიანისთვის ძნელია ორი და მეტი სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში მუშაობა; ხშირად პროფესიულ დონეზე ერთი დისციპლინის დაუფლებასაც კი უზარმაზარი დრო სჭირდება); (2) ურთიერთგაგებასთან დაკავშირებული პრობლემები (სხვადასხვა დისციპლინის მეცნიერები მხოლოდ ნაწილობრივ იგებენ ერთმანეთის არგუმენტებს); (3) განცდა, რომ კვლევა ერთი დისციპლინისთვის სასარგებლოა, მეორესთვის კი არა (Russell Y. I., Three Problems of Interdisciplinarity, AVANT, Vol. XIII, No. 1 ISSN: 2082-6710 avant.edu.pl/en DOI: 10.26913/avant.202206)

რასაც თავისთავად მივყავართ კვლევის ობიექტის არასათანადოდ პოზიციონირებასთან. ყველა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებისთვის შესწავლის საგანია/ანუ ათვლის წერტილი არის „ადამიანი“ და „საზოგადოება“. სამეცნიერო კვლევებში მათზე მუდმივად აქცენტირება შეუძლებელია ცნებების - **დისკურსი, ნარატივი და საზოგადოების მოდელი** გარეშე.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ჰიპოთეტური მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ აუდიტორიაში მომხდარი კონფლიქტური სიტუაცია, ან უბრალოდ ლექცია. თუკი მ სიტუაციის შესახებ ყველა მონაწილეს დამოუკიდებლად დავაწერინებთ რა თქმა უნდა თითოეულს განსხვავებული აღწერილობა გამოუვა.

რით უნდა დაინტერესდეს ამ შემთხვევაში მეცნიერი? მაგალითად - რამდენად სწორია ამ ვითარებაში იმის თქვა რომ ერთი აღწერილობა უფრო სწორია ვიდრე მეორე. სინამდვილეში ყველა აღწერილობა სწორია, ვინაიდან ავტორები თავიანთი ინტერპრეტაციითაც წარმოადგენენ რეალობის ნაწილს. თუკი სოციალურ აქტორებს შორის დისკუსია დაიწყება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი თხრობაა უფრო სწორი რეალურად ეს იქნება "სიმართლის სხვადასხვა პროექტის" დაპირისპირება, სადაც უფრო გავლენიანი შეძლებს სხვების გადაბირებას - და არა ის, რომ ერთი ნარატივი წინდაწინვე უფრო მართალი იყო ვიდრე მეორე.

მეცნიერის ფუნქცია არის არა მტყუან-მართალის გარჩევა, ან „მესამე სიმართლის“ შექმნა, არამედ იმის ახსნა, თუ რამ განაპირობა განსხვავებული აღწერილობების (რომ არ ვთქვათ ინტერპრეტაციების) არსებობა?

- იდენტობის რა საშუალებები, ანუ რა ღირებულებები აქვთ ქეისის მონაწილეებს;
- რა არის მათთვის მთავარი და მეორეხარისხოვანი;
- როგორ არის კონსტრუირებული მათი მსჯელობა.

ყოველივე ამაზე საუბარი ცხადია მხოლოდ ნარატივების ანალიზით შეიძლება. ადამიანი, რომელიც საზოგადოების წევრია, სამყაროს/რეალობას აღწერს/ანუ სოციალურ რეალობას ქმნის **ნარატივების** საშუალებით; ეს ნარატივები კი ქმნის **დისკურსს**, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების პერსპექტივას / მისთვის აქტუალურ პრობლემებს წარმოაჩენს. სხვადასხვა ისტორიული პერიოდისთვის დამახასიათებელი დისკურსები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება, რაც დღის წესრიგში **საზოგადოების მოდელის** გამოკვეთის საჭიროებას აყენებს. ერთი მოდელის ნაწილად შეგვიძლია აღვიქვათ საზოგადოებები, რომლებსაც მეტ-ნაკლებად მსგავსი და ერთმანეთისთვის გასაგები დისკურსები ახასიათებთ. ასეთი კოლექტივები, როგორც წესი, ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ.

ნარატივის თეორია დღეს ცალკე სამეცნიერო დისციპლინად განიხილება, რომელიც აერთიანებს რიტორიკის, სოციოლინგვისტიკას, ფილოსოფიურ ეთიკას, კოგნიტურ ფლიქოლოგიას, გენდერს, ფოლკლორს. თუმცა, ის ბევრად მეტია ვიდრე ერთ-ერთი დისციპლინა ან თეორია. ნარატივი წარმოადგენს მთავარ ელემენტს იმის ასახსნელად, თუ როგორ ყალიბდება ადამიანების მხრიდან დროის, სივრცის, ცვლილების, პროცესის და სხვა ფუნდამენტური კატეგორიების აღქმა. მისი საშუალებით სამყაროს ეძლევა საზრისი;

ის არის ადამიანის გამოცდილების ახსნის ხერხი; კულტურებს შორის არსობრივი განსხვავების წარმოჩენის საშუალება.

ნარატივები ქმნიან დისკურსს. დისკურსი ნარატივის მონათესავე სიტყვაა, მაგრამ მასზე უფრო კომპლექსურ ცნებას წარმოაჩენს. ის შეიძლება განიმარტოს როგორც „ენობრივი კონტექსტის“ შესწავლა კონკრეტულ დროსა და სივრცეში - რა ითქმის, როგორ ითქმის და რა მნიშვნელობას იძენს განსხვავებულ კონტექსტში.

დისკურსების კლასიფიკაცია ქმნის საზოგადოების **მოდელის/ტიპის** გამოკვეთის შესაძლებლობას. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლებს არაერთხელ ჰქონია ისტორიულად ცნობილი საზოგადოებების კლასიფიცირების მცდელობა, თუმცა, კლასიფიცირება ხშირად ხდება ან ცალმხრივად (მაგალითად, შრომის იარაღებზე აპელირებით), ან მეორეხარისხოვან ფაქტორებზე (მაგალითად, კლასთა ბრძოლა) დაყრდნობით; უფრო ხშირად კი თანამედროვეობის ინტერესების გათვალისწინებით. „მოდელი“ ისტორიკოსებისთვის ნიშნავს საერთო ნიშან-თვისებათა გარკვეულ კომპლექტს დერივაციის გარკვეული ამპლიტუდით. ამგვარ საერთო ნიშან-თვისებებს კი ამ საზოგადოებებისთვის აქტუალური დისკურსები წარმოაჩენს.

ვფიქრობთ, რომ ამ სამ ცნებას „ნარატივი“, „დისკურსი“, „საზოგადოება“, „მოდელი“ სოციალური კვლევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. **ნარატივი და დისკურსი** ხაზს უსმევენ გარემოებას, რომ - სოციალური რეალობა შეიძლება აღიწეროს უპირველეს ყოვლისა უშუალო აქტორების ენით, თეორიებითა და კატეგორიებით. **საზოგადოების მოდელი** კი წარმოაჩენს ერთგვარ თეორიას განზოგადებისთვის. მათი ათვლის წერტილად აღება იძლევა იმის გარანტიას, რომ სამეცნიერო ნაშრომში არ დაიჩრდილება /იგნორირდება კვლევის მთავარი ობიექტი.

სხვადასხვა პერიოდის საზოგადოების მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდება. ეს განსხვავებები სკოლის მოსწავლეებისთვისაც კი თვალშისაცემია, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია სხვაობის გარეგანი გამოვლილებები განვასხვავოთ არსობრივი ნიუანსებისგან. არსობრივი განსხვავებების წარმოსაჩენად / ნარატივებისა და დისკურსების დასაჯგუფებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცნებებს - **„იდენტობა“ და სოციალური წესრიგი**². ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია.

იდენტობა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის პასუხი შეკითხვაზე „ვინ ვარ მე“ „სოციალური წესრიგი“ სამეცნიერო ლიტერატურაში განიმარტება როგორც არა მხოლოდ ფორმალური ინტიტუტები არამედ საზოგადოებრივი ნორმების ერთობლიობა², რომელიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე ვრცელდებოდა. რაც უფრო კომპლექსურია საზოგადოება მით უფრო მრავალფეროვანია იდენტობის მარკერები და მით უფრო მეტად რეგულირდება სოციალური რეალობა.

როგორც წესი ერთმანეთის მეზობლად არსებული საზოგადოებები ქმნიან ერთ მოდელს; სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში არსებული საზოგადოებები კი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება.

² Kottak C. P., Window on Humanity, A Concise introduction to Anthropology, Fifth Edition, MacGrawHill, New Yourk 2012. P. 298

სოციალური რეალობის აღწერა, მით უფრო საზოგადოების მოდელების გამოკვეთა არაფრით შეიძლება უშუალო აქტორებისთვის მშობლიური კონსტრუქტების გამოტოვებით, ან მათთვის მეორადი მნიშვნელობის მინიჭების ფონზე. არ აქვს აზრი წარსულში ეძებო ცნებები, რომლებიც არ არის აღბეჭდილი შესწავლის ობიექტად შერჩეული საზოგადოების წევრების ნარატივებში? მაგალითად, რა აზრი აქვს ისაუბრო პოლიტიკური ისტორიის მოვლენებზე უშუალო მონაწილეების ნარატივების შესწავლის გარეშე იმ ათვლის წერტილებით, რომელიც თანამედროვე უდიტორიას აინტერესებს? ან რა აზრი აქვს აღწერო სოციალურ-ეკონომიკური, თუ რელიგიურ-კულტურული მოვლენები ტერმინებით, რომლებს შორისაც კვლევის ობიექტად შერჩეულ საზოგადოების წევრები მკაფიო მიჯნებს არ ავლებენ? შეიძლება თუ არა სოციალური რეალობა ვუწოდოთ „რეალობას“ (რადაც ჰიპოთეტურ კონსტრუქტს), რომელსაც მის მთავარ აქტორებს ვერ აღვუწერთ და გავაგებინებთ.

- მარკ ბლოკი აღნიშნავდა თანამედროვე ისტორიკოსს სულ უნდა ჰქონდეს თვალწინ იდეა, რა სიტყვებით აუხსნის ეპოქის თანამედროვეს ამ პრობლემას. ამ ამოცანას ის მხედველობის არიდან არასოდეს უნდა კარგავდეს³.
- გორგია იყო სოფისტი ფილოსოფოსი. მას მიეწერება სიტყვები „არაფერი (მათ შორის სოციალური რეალობა) არ არსებობს. რაიმე რომ არსებობდეს ჩვენ მას ვერ აღვწერდით და რომც აღგვეწერა სხვას მაინც ვერ გვაგებინებდით“ თუკი სოციალური რეალობის შესწავლისას ვიგრძნობთ გოგრაგას სარკაზმის ძალას - ანუ აღმოვაჩენთ, რომ არ გვაქვს საკმარისი რესურსი/მასალა საიმისოდ, რათა ჩვენი დასკვნები სოციალური აქტორების ენით აღვწეროთ, ავხსნათ და შევაფასოთ, ასეთ კვლევას მწელია მეცნიერული ვუწოდოთ⁴.
- სოციალური აქტორებისა და სამეცნიერო კვლევის იზოლაციასთან დაკავშირებით მეორე კაზუსად გამოდგება იუვალ ნოახ ჰარარის ირონია მოყვარულებზე, პროფესიონალ მეცნიერებზე და შესწავლის ობიექტად შერჩეულ ეპოქაში მხოვრებლებ ადამიანებზე. ებრაელი ისტორიკოსი აცხადებს, რომ მოყვარულები ადვილად ხსნიან ისტორიას მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან აქტუალური კატეგორიებით; პროფესიონალი ისტორიკოსების ასეთ ახსნებს უფრო თავშეკავებით აკეთებენ იმიტომ, რომ მათ სხვა ალტერნატივების შესახებაც მოეხსენებათ; ეპოქის ყველაზე დიდი სპეციალისტები კი, ანუ განხილვის საგნად შერჩეული ეპოქის მცხოვრებლები კი საერთოდ ვერაფერს ხედავენ. ისინი ვერც კი ამოიცნობენ იმ საზრისებს, რომელაც მათ ეპოქას თანამედროვე მიმომხილველი ანიჭებს⁵.

³ ბლოკი მ., ისტორიის აპოლოგია, გამომცემლობა ზიბლიო, თბილისი 2007 გვ. 34

⁴ გათრი უ., ბერძენი ფილოსოფოსები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1983 გვ.105

⁵ ჰარარი ი. ნ., საპიენსი. კაცობრიობის მოკლე ისტორია, სულაკაურის გამომცემლობა თბილისი 2011. გვ. 189

სოციალური კვლევა უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს კონკრეტული კონტექსტ-მაგალითის განხილვა; მონაწილეების ნარატივებსა და დისკურსებს წარმოაჩენს და არა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სტილში კანონზომიერებების ძიება, ან ჟურნალისტური გამოძიების სტილში თანამედროვე პრობლემებისთვის „რეტროსპექტიული ექს“ შექმნა. კვლევა ჰოლისტურად უნდა ეხებოდეს შესწავლის ობიექტად შერჩეული საზოგადოების ყველა ასპექტს; უფრო სწორად მხედველობის არეალიდან არ კარგავდეს ამ ასპექტებს.

ცხადია არაფრით შეიძლება კონკრეტულ ძალიან პრობლემაზე ორიენტირებულ კვლევების დაკნინება (მაგალითად, გზები, მონეტები და ა.შ.), თუმცა, აუცილებელია, რომ ამ ტიპის ნაშრომებშიც მთელზე მსჯელობისას არ იყოს კავშირი გაწყვეტილი (ან პრაქტიკულად კი ფორმალობამდე დაყვანილი). წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ვითარებას, როცა ვიცით „ყველაფერი არაფერზე“.

ქეის სთადიზე ორიენტირები მიდგომა ცხადია არ აკნინებს არც „ზეეპოქური და ზეკულტურული ლექსიკონის“ შექმნასა და კროსკულტურულ, თუ კომპარატივისტულ კვლევებს, ასეთ დროს ყოველთვის თვალწინ უნდა გვქონდეს მეთოდოლოგიური პრიმატი, რომელსაც ენტონი გიდენსი „ორმაგ ჰერმენევტიკას“ უწოდებს. ინგლისელი მეცნიერი ჰერმენევტიკის პირველ პლასტად იმ ცნება-კატეგორიებს მიიჩნევს რომლითაც შესწავლის ობიექტად შერჩეულ საზოგადოებაში ოპერირებენ. მეორე პლასტს კი აიგივებს კატეგორიებთან/დარგობრივ ენასთან, რომელსაც მეცნიერები შედარებითი კონტექსტების გათვალისწინებით ქმნიან მთელი იმ პირობითობის გათვალისწინებით, რომელიც მის გამოყენებას ახლავს. ჰერმენევტიკის მეორე პლასტზე მუშაობისას არის შესაძლებელი სწორედ საზოგადოების მოდელზე მსჯელობა.

საზოგადოების მოდელის იდეის არსს კარგად გამოხატავს მარკ ბლოკის მიერ დამოწმებული არაბული ანდაზა. „ადამიანები თავიანთ დროს უფრო ემსგავსებიან ვიდრე თავიანთ მშრობლებს“⁶. საზოგადოებებზეც იგივე ითქმის. ისინი პარალელურ საზოგადოებებთან უფრო ნახულობენ საერთოს, ვიდრე მათ უშუალო წინაპარ საზოგადოებებთან.

განზოგადების კონცეპტუალური საფუძვლის გამოსაკვეთათ დაგვეხმარება ზიარქურჭელის პრინციპი“. ფიზიკოსები ასე აღნიშნავენ წყლის თვისებას თანაბარ სიბრტყეზე იდგეს ნებისმიერ ვითარებაში. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანთა საზოგადოება იშვიათად არსებობს სრულ იზოლაციაში - საზოგადოებები ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ეს დასკვნა რელევანტურია არა მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როცა ამა თუ იმ თანამედროვე საზოგადოებას პროფესიონალი მეცნიერი სწავლობს, არამედ იმ დროისთვისაც, როცა მეცნიერება თანამედროვე გაგებით არ არსებობდა და იდეების ცირკულაცია მოგზაურების, მიგრანტების, ვაჭრების და რესურსების დაუფლებაზე ორიენტირებული ექსპედიციების გზით ხდებოდა. ასეთ ვითარებაში მეზობლობა განაპირობებდა იმას, რომ იქმნებოდა „საზოგადოების მსგავსი“ მოდელი, რომელი საერთო იყო ერთსა და იმავე ეპოქაში მცხოვრები ყველა ხალხისთვის.

⁶ ბლოკი მ., ისტორიის აპოლოგია, გამომცემლობა ბიბლიო, თბილისი 2007 გვ. 7

მაგალითი 1. ამის კარგ მაგალითად, გამოდგება ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა. თეთრკანიანთა კოლონიზაციის დაწყებამდე პერიოდში მცხოვრებ ადამიანებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი ერთობა. მაგალითად, სიუს, ჰურონებსა და მოჰიკანებს არ ჰქონდათ იდენტობის საერთო, სხვებისგან განსხვავებული მარკერები (ამ შემთხვევაში ყურადღებას არ ვამახვილებთ იმაზე, თუ როგორ ახდენდა ეს ეთნოსები მანამდე თვითიდენტიფიცირებას სინამდეველში კუპერის გაგებით ჰურონები და მოჰიკანებიც არ არსებობდნენ მანამდე). ეს მარკერები მაშინ გაჩნდა, როდესაც თეთრკანიანები გამოჩნდნენ და ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის შევიწროვება დაიწყო. ტერმინმა „ინდიელები“, „წითელკანიანები“ მათ ყოფაშიც შეიძინა ონტოლოგიური რეალობა და მათი იდენტობის ნაწილიც გახდა (ჩვენი ინდიელები, ისინი თეთრები).

ეს ქეისი სხვა მხრივაც არის საინტერესო. თეთრების მიგრაცია ამერიკაში მარტო ტერმინ „ინდიელი“ წარმოშობასთან და ამით იდენტობის ახალი მარკერის გაჩენასთან და ამერიკის მოსახლეობის საზოგადოებად გარდაქმნასთან (პოლ ვოუს ფესტივალი) არ იყო ასოცირებული. მან პერიოდში სოციალური მთელი სტრუქტურა შეცვალა. მორგან ფრიდი ამტკიცებს, რომ „ტომი“ იყო ახალი ტიპის საზოგადოება, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა კოლონიზაციამდე პერიოდის მოსახლეობასთან. ის, როგორც ერთგვარი „კვაზი სახელმწიფო“ მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც ამერიკის მკვიდრმა მოსახლეობა თეთრების სოციალური მოდელი მიწაში შექმნა. ანუ ისიც მოდერნის პროდუქტია. ეს არის ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის მოდერნი, რომელიც ადგილობრივმა ელიტებმა ადგილობრივ ელემენტებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეს. მანამდე კი ინდიელებთან სულ სხვა ტიპის საზოგადოება იყო, რომლის განსხვავებულობის პოლიტიკაც და თვით თვითსახელებიც ფენიმერ კუპერის ნაშრომების პერსონაჟებისგან ძალიან განსხვავდებოდა. ანუ ინდიელების შემთხვევაში მარტო ახალი ტიპის ეთნონები (მიკრო ჰურონი და მაკრო ინდიელი) კი არ გაჩნდა, არამედ მთლიანად „საზოგადოების მოდელი“ (საზოგადოების ზომა, სტრუქტურა, კომპლექსურობა) შეიცვალა.

სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის მოდერნი, ისევე როგორც მთლიანად მათი რეალობა პრაქტიკულად განადგურდა. აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა რასობრივმა განსხვავებამ, დაავადებებმა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის პრაქტიკულად სრული განადგურება გამოიწვია.

მოკლედ გამოდის, რომ „კუპერის სამყარო“ იყო „მოსახლეობის უწყვეტობის პირობებში“ საზოგადოების ახალი მოდელის ჩამოყალიბება. XIX საუკუნეში ადგილობრივი მოსახლეობის მარგინალიზაცია და განადგურება ისე, რომ თანამედროვე ა.შ.შ - ს ისტორიაში მხოლოდ პირობითად (ზრდილობის/პოლიტიკორექტულობის გულისთვის) შეიძლება ჩავთვოთ კოლუმბამდელი წარსული. აქ გარეგანმა ინტერვენციამ მოსახლეობის (და არა მხოლოდ საზოგადოების) სტრუქტურა შეცვალა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების მოდელი ვფიქრობთ შესაძლოა ასეთ სტილში აღვწეროთ:

- ადამიანები / სოციალური აქტორები იბრძვიან ძალაუფლებისთვის / ანუ გავლენის მოპოვებისთვის / ანუ „სოციალური კაპიტალის“ შეძენისთვის, რომელიც მათ თვითრეალიზებაში / სოციალიზაციაში / თვითაქტუალიზებაში / კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ეხმარება;
- ეს ბრძოლა არ დაიყვანება „დარვინისეულ პრინციპებამდე“ ადამიანები ბრძოლისთვის შიშველ ძალასთან ერთად იყენებენ „საზოგადოებისთვის აქტუალურ“ დისკურსებს, რომელთა საშუალებით მონაწილეები ცდილობენ საზოგადო სიკეთედ წარმოაჩინონ საკუთარი „მიზნები“ და "ბრძოლის მოტივები"⁷. ეს დისკურსები ხშირად საზოგადოების ახალი საზღვრების ფორმირებასაც იწვევს. თუმცა მისთვის ამოსავალია კონკრეტული საზოგადოების "ჩვენ" დისკურსი. ის აკონსტრუირებს უპირველეს ყოვლისა ადგილობრივი საზოგადოებისთვის აქტუალურ ცნებებს და მთლიანად იმას, რასაც ჩვენ ცოდნას ვუწოდებთ (ყველა „ცოდნის შექნას“ ძალაუფლებისთვის ბრძოლის მომენტი ეძებნება საწყისად) ;
- ნარატივი არის ინსტრუმენტი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც დისკურსი რეალიზდება და ვითარდება. ერთი დისკურსის ფარგლებში შესაძლოა რამდენიმე ნარატივი თანაარსებობდეს და ერთმანეთს უწევდეს კონკურენციას. ნარატივი „სიმართლის პროექტია“, რომლის გამარჯვებისთვის აქტორები სხვა აქტორებს ებრძვიან / სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ერთმანეთთან თანამშრომლობენ;
- ნარატივი შესაძლოა იბადება როგორც „სიმართლის პროექტი“, მაგრამ ის გაცილებით მეტია ვიდრე სიმართლის პროექტი. რეალურად მის და მის

⁷ ტერმინების "ძალაუფლება" და "სოციალური კაპიტალი" გააზრებისთვის ამოსავლად შეიძლება ავიღოთ მიშელ ფუკოსა და პიერ ბურდიეს შემოქმედება. კერძოდ, ის გარემოება, რომ ფუკო "ძალაუფლებას" განმარტავს ხელისუფლებაზე უფრო ფართო ფენომენად აიგივებს რა მას ადამიანის შესაძლებლობასთან - ზეგავლენა მოახდინოს ამა თუ იმ პროცესის განვითარებაზე. ფრანგი მეცნიერი ერთმანეთისგან განასხვავებს ძალაუფლების ორ სახელობას/მის ორ ბუნებას "რეპრესიულს" და "მანორმალიზებელს" და აყალიბებს კონცეფციას, რომ "ძალაუფლებისთვის" ბრძოლა გულისხმობს ამ ორი რესურსის დაუფლებას. ქართულ ენის ეტიმოლოგიით რომ ვთქვათ "როგორც ძალის" ისე, მისი გამოყენების "უფლების" მოპოვებას. ამ გაგებით ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებსა და დიდ სახელმწიფოებს შორის, არამედ ინტერპერსონალურ დონეზეც საზოგადოების ყველა წევრს შორის. ანუ იქ, სადაც სიტყვა "ჩვენ" არსებობს, რომელიც მთავარი რესურსია ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის.

ფუკოს ტერმინი "ძალაუფლებისთვის ბრძოლა" შესაძლოა შეივსოს პიერ ბურდიეს ტერმინით "ჰაბიტუსი", რომელიც შესაძლოა უფრო მართებულ სახელდებას აკეთებს იმისას, რასაც ფუკო ძალაუფლებისთვის ბრძოლას უწოდებს. ბურდიეს მიხედვით ადამიანი ყოველდღიურად ესწრაფვის დააგოროვოს არა მარტო ქონება (ეკონომიკური კაპიტალი), არამედ სოციალური კაპიტალიც, რაც იგივეა მის ცოდნასთან, კავშირებთან. ეს კაპიტალი ქმნის მის "ჰაბიტუსს", რაც საშუალებას აძლევს იბრძოლოს გავლენისთვის მოპოვებისთვის და თვითრეალიზებისთვის.

საფუძველზე განვითარებული დისკურსის საფუძველზე იქმნა კონცეფციას/კონცეპტუალურ ჩარჩო სამყაროს აღსაწერად;

- სამეცნიერო კვლევის მიზანი უპირველეს ყოვლისა არის ამ კონცეპტუალური ჩარჩოს აღწერა და მისი ჩამოყალიბების მიზეზების ახსნა. მეორე რიგის ამოცანაა კროსკულტურული და შედარებითი კვლევები, რომლებიც კონკრეტული საზოგადოების ქეისს სთადებზე დაფუძნებით ქმნის "პერმენენტის მეორე პლასტს.

ზემოთ წარმოდგენილ აღწერილობას ცხადია ვერ ექნება პრეტენზია სოციოლოგიის ყველა თეორიის გაერთიანებაზე. ვფიქრობთ ის არის მარტივ დებულებათა ერთობა, მინიმალური კონცეპტუალური ჩარჩო, რომელის მსგავსზე, ან რომლის ალტერნატიულ ვერსიაზეც მეცნიერი მანამ უნდა ჩამოყალიბდეს ვიდრე სოციალურ კვლევას დაიწყებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იოლად მოხდება დეტალების ხარჯზე მთელის იგნორირება და მხედველობის არიდან ყველაზე მთავარის "სოციალური რეალობის" დაკარგვა.

ეს აღწერილობა არ დაიყვანება მხოლოდ საკვანძო ცნებების ("ძალაუფლება", "სოციალური კაპიტალი", "დისკურსი", "ნარატივი") გამოკვეთამდე. ის განსაზღვრავს კვლევის ფილოსოფიასაც. ჩვენთვის კვლევის ასეთ ფილოსოფიას წარმოადგენს ინტერპრეტივიზმი, რომელიც გულისხმობს იმის აღიარებას, რომ განსხვავებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან საზოგადოებრივ მეცნიერებებში რეალობა და ინტერპრეტაცია მკაფიოდ არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული და სოციალური რეალობის ფორმირებაში ინტერპრეტაციაც მონაწილეობს. განსხვავებით ვთქვათ პოზიტივისტური მიდგომისგან აქ მკვლევრის საქმეა არა "ჭეშმარიტების" ძიება და ამისთვის ნარატივის წყაროდ გამოყენება, არამედ თავად ამ ნარატივების აღწერა და მათი წარმოშობის მიზეზების, მათი სტრუქტურისა და თავისებურებების ახსნა.

ამ საკითხის გასაშლელად შეიძლება შემოვიტანოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან კიდევ ერთი ტერმინის - „სისტემის“ სესხება შეიძლება. სისტემა შეიძლება განიმარტოს, როგორც სხეულთა და მოვლენათა ურთიერთქმედების დასაზღვრული არეალი. ასეთი სისტემის ელემენტზე ზემოქმედება დანარჩენ ელემენტებზეც ახდენს გავლენას.

რა ქმნის სისტემას ისტორიაში? ერთი ადამიანიც ცხადია, გარკვეული თვალსაზრისით სისტემას წარმოადგენს, თუმცა, ჩვეულებრივ ამ სიტყვას უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარობენ. ძალიან ფართო გაგებით სისტემა შეიძლება გავაიგიოთ „საზოგადოებასთან“; უფრო კონკრეტულად კი სტრუქტურათა ლოგიკურ მთლიანობასთან, ან იმასთან, რასაც ჩვენ ზემოთ „საზოგადოების მოდელს“ ვუწოდებთ.

თავი 2. ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხების შესწავლასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური პრობლემები

დაისმის შეკითხვა - რატომ დავიწყეთ ნაშრომი, რომლის სათაურია „პარადიგმული ცვლილებები ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის კვლევებში“ სოციალური რეალობის ბუნებაზე საუბრით? საქმე ისაა, რომ ამ სწორედ ზემოჩამოთვლილი პრობლემატიკის ნაკლები/ფორმალური გათვალისწინება „ეთნოგენეზოლოგიის“ მთავარი პრობლემა; ეს არის პრობლემები დღის წესრიგში პარადიგმულ ცვლილებებს აყენებს. ეს ცვლილებები ქვემოთ სამ პარაგრაფად არის დაჯგუფებული - ა) დისციპლინათშორისი იზოლაცია; ბ) ავთენტური სოციალური რეალობის დაკარგვა გ) ანაქქონიზმი; მოკლედ ვთქვათ თითოეული მათგანის შესახებ.

ა) ავთენტური კონტექსტი - ეთნოგენეტიკური კვლევები, რომლებიც ათვლის წერტილად არ იღებენ ნარატივებსა და დისკურსებს; უფრო სწორად მათზე დაფუძნებით გვერდს უვლიან შესაბამის ეპოქაში არსებული იდენტობის საშუალებებისა და საზოგადოებრივი კონტროლის შესწავლას წყდებიან ავთენტურ სოციალურ რეალობას. ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია სხვა არაფერია, თუ არა პასუხი შეკითხვებზე:

- „ვინ ვართ ჩვენ“?
- რა "თვითსახელთან" იგივდება სიტყვა "ჩვენ"?
- რა მიმართება აქვს ამ სიტყვას (ანუ თვითსახელს) სხვა მსგავს ჯგუფებთან და იდენტობის სხვა საშუალებებთან? რომელ ჯგუფებზე; რა ტერიტორიაზე ვრცელდება ის?
- როდის და როგორ ჩამოყალიბდა (ამა თუ იმ ტერიტორიაზე გავრცელდა) მიკუთვნებულობის ეს განცდა?
- როგორ იცვლება თვითსახელი დროთა განმავლობაში; რა ტრანსფორმაციას განიცდის.

სიტყვა "ჩვენ" არის აუცილებელი/წამყვანი ელემენტი, რომელსაც ნებისმიერი ნარატივი მიემართება. ჩვენს გარშემო არსებული დისკურსები ხშირად მხოლოდ იმას ისახავენ მიზნად, რომ გამოკვეთონ „იდეალური საზოგადოების მოდელი“; დაგვანახონ „ჩვენი“ სხვებისგან განსხვავებულობა, ან - „ჩვენი“ სხვებთან მსგავსება. სხვაგვარად რომ ვთქვათ ისინი გადამწყვეტი იარაღია „განსხვავებულობის პოლიტიკის“ შესაქნელად. ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია კი ძირითადად არის კიდევ განსხვავებულობის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ისეთ ბინარულ ოპოზიციებს „ჩვენ“-„ისინი“, როგორებიცაა როგორებიცაა: კარგი VS ცუდი; ღირსეული VS უღერსი; სამართლიანი VS უსამართლო; მსგავსი VS განსხვავებული. „მსგავსება-განსხვავებულობის“ პოლიტიკაზე აქცენტი თანამედროვე ეტაპზე შეიძლება დავინახოთ პარადიგმული ცვლილებების მთავარ მოტივად. თანამედროვე კვლევებისთვის ამოსავალია ეთნოსის იდეის/ცნების დაკავშირება უპირველეს ყოვლისა „განსხვავებულობის“ პოლიტიკასთან. სტრატეგიასთან, რომლის საშუალებითაც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფი სხვებისგან განასხვავებს თავს.

ამ ფაქტორის არგათვალისწინება დიდ პრობლემას ქმნის. „განსხვავებულობის პოლიტიკა“ ეთნოსოციალური პროცესები ყოველთვის მიმდინარეობს ელიტების

კარნახით. აქ ტონის მიმცემია მათი გადაწყვეტილება რასთან მიმართებით გამოკვეთილი რისი განსხვავება. ამდენად, ყოველთვის, როცა ეთნო-სოციალურ პროცესებზე ვსაუბრობთ უნდა „ვხედავდეთ“ ელიტებს, რომლებიც „სოციალური კონსტრუქტორის“ როლში გვევლინებიან. ხან განსხვავებულობის პოლიტიკის ასეთი „პროექტები“ წარმატებულია, ხან „წარუმატებელი“ თუმცა, ანტირეაქციაც „ელიტების პოლიტიკის“ გაგრძელებაა.

მაგალითი 1. ზემოთქმულის კარგი მაგალითია იულიუს კეისარი, რომელმაც ძვ.წ. 57 წელს რაინის სანაპიროებს მიადგინა. უნდოდა რა რომ რაინი წყალგამყოფად დაენახა (ალბათ საზღვრის დაცვის მიზნით), მან რაინის მიღმა მოსახლეობას გერმანელები უწოდა. მანამდე რაინი არასოდეს წარმოადგენდა საზღვარს - დიდი მდინარეები დამაკავშირებლის როლს უფრო თამაშობდნენ ვიდრე გამყოფის, თუმცა, თანდათან ტერმინმა ონტოლოგიური რეალობა იპოვა და ძველი გერმანელები მართლაც იქნენ ძალად, რომელმაც ანტიკურ ისტორიაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. როდესაც ძვ.წ. I ახ.წ II-III საუკუნეების ეთნიკურ ისტორიაზე ვლაპარაკობთ არაფრით შეიძლება რომელი ელიტების/ანუ ჰეგემონების, როგორ მთავარი ფაქტორის ნაშრომიდან ამოგდება. პირიქით ეს ის ფაქტორია, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს. სხვა შემთხვევაში კი ყოველთვის უნდა ვეძებოთ ვინ არიან ის რომაელები / ანუ ელიტები / ჰეგემონები, რომლებიც „განსხვავებულობის პოლიტიკის“ წარმმართველის როლს თამაშობენ.

მაგალითი 2. ისტორიოგრაფიაში აქცენტების გადანაცვლების კარგი მაგალითია გოთების ქეისი. გოთებს ისტორიოგრაფია იცნობს ძალად, რომელმაც 378 წლის ადრიანოპოლის ბრძოლით და 410 წელს "მარადიული ქალაქის" დარბევით საბოლოოდ გატეხა დასავლეთ რომის იმპერიის ძლიერება. ისტორიოგრაფიაში გოთების ეთნოგენეზსა და ისტორიოგრაფიაზე საუბრისას დიდი ხნის განმავლობაში დომინირებდა პარადიგმა, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა იმ ვერსიისგან, რომელსაც V-VI საუკუნეების ისტორიკოსები იორდანე და პროკოფი კესარიელი გვთავაზობენ. ამ მიდგომის ძირითადი კონტურები იყო ასეთი:

- გოთების წინარესამშობლი იყო სკანდინავია, სადაც მათ ტაციტუსი და პლინიუს უფროსი ახ.წ. I-II საუკუნეებში იხსენიებს გოთონების სახელით;
- როდის ჩამოყალიბდა ეს "ტომი" მკაფიო არ არის, თუმცა, ის უნდა გამოყოფოდა ე.წ. აღმოსავლეთგერმანიკულ ერთობას, რომელსაც საკუთრივ გოთების გარდა მიეკუთვნებიან ვანდალები, ბურგუნდები, ლანგობარდები და სხვა ტომები;
- ახ.წ. I – II – III საუკუნეებში გოთები სახლდებიან ჯერ ბალტიისპირეთში, შემდეგ კი თანდათან მოიწევენ შავიზღვისპირეთისკენ, სადაც იორდანეს მიერ "აიუმად" წოდებული "ელდორადო" ეგულებოდათ;
- ახ. III საუკუნეში ადგილობრივ მოსახლეობასთან მათი შერევის შედეგად იქმნება უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც პრაქტიკლად მთელ აღმოსავლეთ ევროპას მოიცავდა. ისტორიკოსები მას მე ერმანარიხის სამეფოს უწოდებენ, არქეოლოგები კი სულ უფრო მეტად აიგივებენ ჩერნიაგოვის არქეოლოგიურ კულტურასთან;
- ახ.წ. III საუკუნეში გოთებმა რომის იმპერიას სერიოზული ზიანი მიაყენეს - პერმანენტულად ესხმოდნენ თავს (პიტიუნტსაც კი დაესხნენ). ამ ლაშქრობებს ერთ-

ერთი იმპერატორის დეციუსის სიცოცხლეც კი შეეწირა (251 წელს არბიტან ბრძოლაში);

- შესაძლოა ამ პერიოდში გოთები უკვე იყოფოდნენ ვესტგოთებად და ოსტგოთებად;
- ამ პერიოდშივე "გოთების მოსედ" წოდებულმა ულფილამ მათთან ქრისტიანობა იქადაგა არიანული ფორმით;
- IV საუკუნეში ჰერმანარიხის იმპერია დაინგრა აღმოსავლეთიდან მოსული ჰუნების შემოსევამ. მისი მიზეზით ვესტგოთები რომის იმპერიაში გადასახლდნენ, რაც 378 წელს ადრიანოპოლის ცნობილი ბრძოლის მიზეზი გახდა;
- V-VI საუკუნეებში გოთები ძირითადად რომის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, სადაც დაარსეს ვესტგოთების სამეფო (ესპანეთსა და სამხრეთ საფრანგეთში) და ოსტგოთების სამეფო იტალიაში; იგივე გააკეთეს გოთების მონათესავე სხვა აღმოსავლეთგერმანიკულმა ტომებმა - ვანდალებმა, ბურგუნდებმა, გეპიდებმა, მოგვიანებით კი ლანგობარდებმა);
- ამ პერიოდში რომაელებთან მათი ურთიერთობა იყო ცვალებადი. ადგილი ჰქონდა "გოთების მეგობარი" იმპერატორის თეოდოსიუსის პოლიტიკას და 451 წლის კატალაუნის ბრძოლასაც და გოთების დარბევებსა 410 წლის რომის დარბევასაც; ხდებოდა ასპარისა და სტილიქონის მსგავსი გოთური წარმოშობის მოხელეების დაწინაურებაც და მოულოდნელი დასჯაც;
- განსხვავებულ პოლიტიკას აწარმოებდნენ გოთები საკუთარ სამეფოებშიც - ერთმანეთს ცვლიდა თეოდორიხისა და ამალასუნდასა და ტოტილას ტიპის მმართველები. შესაბამისად ცვალებადი წარმატებით სარგებლობდა სენატორ კასიოდორეს მსგავსი ისტორიკოსების ხედვა, რომელიც გოთებისა და რომაელების სიმბიოზზე აკეთებდა გათვლას;
- ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ VI საუკუნეში იუსტინიანემ გაანადგურა როგორც ვესტგოთებისა და ოსტგოთების, ისე მათი მონათესავე ვანდალების სამეფო. ამის შემდეგ ისტორიაში გოთები აღარ იხსენიებიან თუ არ ჩავთვლით ყირიმელ გოთებს, რომლებიც აქ XX საუკუნემდეც კი ინარჩუნებდნენ.

ზემოაღწერილი პარადიგმის ფარგლებში განსხვავებული მოსაზრებებიც კი გამოითქმოდა მაგალითად იმასთან დაკავშირებით თუ სად იყო გოთების წინარესამშობლო, როდის მოხდა მათი მიგრაცია შავიზღვისპირეთში, რამდენად ერეოდნენ ისინი ადგილობრივ მოსახლეობას, რამდენად იყო გოთური ესა თუ ის არქეოლოგიური კულტურა; როდის და რა ტერიტორიაზე ვრცელდებოდნენ გოთები; იყო თუ არა ესა თუ ის ტომი გოთური და ა.შ. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე ამ ტიპის საკითხების კვლევა ვერ ჩაითვლება აქტუალურად.

რევოლუციური ცვლილებები გოთების ისტორიის კვლევაში უკავშირდება რაინჰარდ ვენსკუსისა და ჰერვიგ ვოლფრამის სახელს. მათ სახელს უკავშირდება ე.წ. "ვენური სკოლის" ფორმირება, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ გოთური სიძველეების/მათი ეთნოგენეზის კვლევაში არსებითი სიახლეები შეიტანა. გაჩნდა შეკითხვები - რამდენად სწორია გოთების გაბმულ ისტორიაზე ლაპარაკი, რამდენად აქვს ონტოლოგიური რეალობა არათუ აღმოსავლეთგერმანულ და დასავლეთ გერმანიკულ, არამედ ზოგადად

გოთებზე საუბარს - ხომ არ არის ეს უბრალოდ ეგზოთენონიმი, რომელიც უცხო ავტორისთვის საქმის (გადამთიელების აღწერის) გაადვილებისთვის არის შექმნილი; საერთოდაც რა როლი აქვს რომაელების კონსტრუქციებს გოთების რეალობის ფორმირებაზე (დღეს ეს ფაქტორი გადამწყვეტად მიიჩნევა); რა ფაქტორების საფუძველზე ხდებოდა ახალი ჯგუფების გამოკვეთა (მაგალითად, ტანსაცმელზე და იარაღზე იყო დიდი აქცენტი), რეალურად როდის შეიძლება ნამდვილად გოთების ეთნოგენეზზე მსჯელობა (მაგალითად ამიანე მარცელინე ამ ტერმინს პრაქტიკულად არ იცნობს. მისთვის არსებობს ტევრინგები, ასდინგები და სხვა დაჯგუფებები და არა იმ გაგებით გოთები, რომლებიც ისტორიის ყველა სახელმძღვანელოს ამშვენებენ) დღეს ამ თარიღს სულ უფრო და უფრო უახლოებენ გვიანანტიკურ ხანას, თუ არა VI საუკუნებს და სულ უფრო მეტად გამოყოფენ კასიოდორესა და აბლაბიუსის ტიპის ავტორების როლს, რომელთა შესახებაც ადრე მხოლოდ ბიოგრაფიით შემოიფარგლებოდნენ; გამოყოფენ ანუ იმას, თუ როგორია სხვადასხვა ინტელექტუალური და სამხედრო ელიტების როლი (გამოიკვეთება მათი (მაგალითად, ამალების გვარის) პოლიტიკის განსაკუთრებული როლი ეთნოგენეზის სხვადასხვა ეტაპზე. ყოველივე ამის ფონზე სულ უფრო ნაკლებად არის საუბარი გოთების გაბმულ ისტორიაზე, ანუ სრულად დეკონსტრუირებულია კასიოდორეს და იორდანეს ნარატივი. ეს ცხადია ეთნოოციკალურ ისტორიასაც და მისი კვლევის მეთოდებსაც რადიკალურად უცვლის ბუნებას.

რა თქმა უნდა, განსხვავებული აზრი არავის ექნება, თუკი ეთნოსს, იდენტობას („ჩვენ“) შორის კავშირს წარმოვაჩენთ. ვფიქრობთ არც ის გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას თუკი ვიტყვით, რომ ისტორიაში / საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაფერია იმაზე ხელშესახები ვიდრე სიტყვა „ჩვენ“. დასაბამიდან ადამიანები თავს მოიაზრებდნენ ამა თუ იმ გაერთიანებების/ჯგუფების წევრად; ფიქრობდნენ ამ ჯგუფის აწყოზე, წარსულსა და მომავალზე. ილია ჭავჭავაძის სიტყვები „რანი ვიყავით, რანი ვართ“ ყველა საზოგადოებისთვის არის აქტუალური. არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ ეთნიკურობა პირად იდენტობაზე მეტად/არანაკლებ არის ის ჩარჩო/ფანჯარა, რომლის საშუალებითაც ადამიანი მონაწილეობს/აღიქვამს და მონაწილეობს ისტორიაში. პოლიტიკოსებიც სწორედ ამ სიტყვაზე აფუძნებენ ყველა სამოქმედო პროგრამას. თუკი მოვლენების მონაწილეობა თვალთ დასახვა გვინდა (და არა მხოლოდ ჩვენთვის გასაგები კონსტრუქციებას) ათვლის წერტილად ცხადია „ჩვენ“ სიტყვა და მის უკან მდგარი ეთნოსები უნდა ავიღოთ. თუმცა, დაზუსტებას მოითხოვს **რამდენად სწორია სიტყვას „ჩვენ“ და სიტყვას „ეთნოსი“ და სიტყვის „საზოგადოებრივი ჯგუფი“ გვერდით ყოველთვის ტოლობის ნიშანი დავუსვათ? ანუ "ტრანსკულტურულ" და "ტრანსეპოქურ" ლექსიკონში ეთნოსი წარმოვაჩინოთ სიტყვად, რომელიც წარმოაჩენს პროდუქტს, რომლის ჩამოყალიბებაც „განსხვავებულობის პოლიტიკასა“ და დისკურსს „რანი ვიყავით“ რანი ვართ“ მოსდევს.** ანუ პრობლემურია ტერმინ ეთნოსის გამოყენება.

ბ) ანაქრონიზმი - ანაქრონიზმი არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც იწვევს ნარატივისა და დისკურსის ფენომენის იგნორირებას მოყვავვარ. ეთნიკურ ისტორიაზე საუბრისას ანაქრონიზმი შეიძლება იყოს თანამედროვე პერიოდისთვის აქტუალური ცნებების ექსტრაპოლაცია წარსულზე, თუმცა, ამ ტიპის შეცდომებს პირდაპირ მეცნიერები იშვიათად უშვებენ. სამეცნიერო ნაშრომებში გაცილებით ხშირია „საზოგადოების მოდელის“ იდეის იგნორირება; ანუ როდესაც სამეცნიერო ნაშრომი იწერება ისე, რომ მკაფიოდ არ არის ახსნილი იმ საზოგადოების არსობრივი მახასიათებლები სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებისგან.

ამ დაბნეულობაში მთავარი დამნაშავე არის ტერმინი ეთნოსი, რომელიც უკვე თავისი არსებობით არღვევს სივრცე-დროით ჩარჩოებს. თანამედროვე ეტაპზე ის არის „მსგავსება-განსხვავებულობის“ პოლიტიკაში მთავარი ქვეკუთხედი. კერძოდ, ის არის პროდუქტი, რომელიც მოსდევს დისკურსს „რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით“

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ეთნოსის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობის განმარტებას, რომლის წამრომადგენლებსაც აქვთ საერთო ენა, კულტურა, ტერიტორია, თვითსახელი და აკავშირებთ საერთო ისტორია. ეს დეფინიცია ერთი შეხედვით დამაჯერებლად მოჩანს, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ის არც ეთნოსის ტიპებთან/განსაკუთრებით ისტორიულად არსებულ ტიპებთან დაკავშირებულ დისკუსიას (ტომი, ხალხი, ერი; ან ეთნოსი - ეთნიე - ერი) გამორიცხავს (ანუ თითქოს „აღიარებს“ და გამოკვეთს სხვადასხვა პერიოდის ეთნოსოციალურ ორგანიზმებს შორის განსხვავებებს), თუმცა, ამ დეფინიციის პრობლემა არის ის, რომ ეთნოსი განიხილება გვარისგან, რელიგიური ჯგუფისგან, განსხვავებულ (უფრო ბიოლოგიური თუ არა, უფრო მყარი მაინც) ტიპის წარმონაქმნად. ეს კი წარმოაჩენს მოდერნის რეალობას და ნაკლებად ერგება ისტორიულ წარსულს. პრემოდერნულ პერიოდში იდენტობა სხვაგვარად, დღევანდელისგან ფრიად განსხვავებულად ფორმირდებოდა ფორმირდებოდა.

ამ განსხვავებების წარმოჩენაში დაგვეხმარება ზემოთ უკვე ნახსენები ტერმინები „იდენტობა“ და „სოციალური კონტროლი“, და ახალი ტერმინი განზომილება, რომელსაც ეპოქებს შორის განმასხვავებლად გამოვიყენებთ. ვინაიდან ისინი კარგად წარმოაჩენენ პრიორიტეტებს, რომლის რეგულირებასაც ესა თუ ის სოციუმი საჭიროდ მიიჩნევს და რომელიც ადამიანის იდენტობას განსაზღვრავს.

„სოციალური წესრიგისა“ და „იდენტობის კონცეფციას“ გავეცნოთ მოდერნის მაგალითზე; ანუ ჩვენთვის ყველაზე უფრო მეტად გასაგებ პერიოდში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით იაგო კაჭკაჭიშვილმა გახსნა დისკუსია; ანუ შემოიტანა ტრადიცია, რომელსაც რობერტ მერტონმა და ენტონი გიდენსმა დაუდეს სათავე. ეს ავტორები „მოდერნს“ განმარტავენ როგორც წესრიგის პერიოდს. ეს პერიოდი გულისხმობს - ინსტიტუციებისადმი ნდობას, ფუნქციურ ალტერნატივებს, რაც განპირობებულია სხვადასხვა ჯგუფების ერის ტიპის მეგა კოლექტივებში თანაარსებობის საჭიროებით.

ისტორიოგრაფიაში მოდერნის უფრო გაშარჯებულ და პოლიტიკურ პლატფორმასთან მიახლოებულ აღწერილობასაც შევხვდებით. მაგალითად მიშელ ფუკო ნაშრომში „საავადმყოფოსთან“ და „ციხესთან დაკავშირებით“ ექვქვემ აყენებს მოდერნის, როგორც

თავისუფლების ეპოქის ნარატივს. მისი აზრით განმანათლებლობა, რევოლუციები და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლა მეორე მხარეა იმისა, რომ სახელმწიფო / თავისი რეგულაციებით უხეშად იჭრება ცხოვრების ისეთ სფეროებში, რომელსაც მანამდე საერთოდ არ აკონტროლებდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე წესრიგი, რომელსაც რობერტ მერტონი და ენტონი გიდენსი აღწერენ ფუკოსთვის სხვა არაფერია თუ არა „სოციალური კონტროლის“ მიუღებელი, რეგულაციებით აღსავსე ფორმა.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით მოდერნი შეიძლება მოვაზროთ პერიოდად XVII საუკუნიდან XX საუკუნის მეორე ნახევრამდე. საფრანგეთის რევოლუციამდე პერიოდი ეს არის ადრეული მოდერნი, ხანგრძლივი მეცხრამეტე საუკუნე - კლასიკური, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი კი (მსოფლიო ომებამდე, 60-იანი წლების გამოსვლებამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე პერიოდი) - გვიანდელი მოდერნი.

თუმცა, რა ხდებოდა მანამდე (პრემოდერნულ) და მას შემდეგ (პოსტმოდერნულ) პერიოდში. დავიწყეთ უფრო ადრეულზე საუბრით. დავიწყეთ იმის აღნიშვნით, რომ სოციოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინის „პრემოდერნული“ კრიტიკით ვინაიდან ის ერთ სიბრტყეზე აყენებს და მოდერნის წინაშე აკნინებს ძალიან განსხვავებულ ისტორიულ რეალობებს. ამას აძლიერებს ისეთი ფართოსანი გამონათქვამებიც როგორებიცაა „XX საუკუნეს არ აქვს ისტორია“, „მსოფლიო ისტორიის სწავლა საჭიროა იმიტომ, რომ გაიგო საფრანგეთის ისტორია“ და ა.შ.

მოდერნისა და პრემოდერნის გამიჯვნისას ცხადია თვალშისაცემია ერთი შეხედვით მკვეთრი განსხვავებები როგორიცაა ტექნოლოგიების განვითარება, კომუნიკაციის სიხშირე, რომლითაც მოდერნი მართლაც ცალკე სიმრავლეს ქმნის, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი ეფექტია, ვფიქრობთ არაფრით შეიძლება ისეთი არსობრივი მახასიათებლების გამოძებნა, რომელიც პალეოლითი-მეზოლითის, ნეოლით-ენეოლითის, ბრინჯაოს ხანის, რკინის ხანის/ანტიკურ და შუა საუკუნეების (თუნდაც მისი კლასიკური და გვიანდელი პერიოდის) საზოგადოებას ერთ სიბრტყეზე დააყენებს.

მათ შორის არსობრივი განმასხვავებლების ძიება უნდა დავიწყეთ მოდერნის თეორიებში ერთი კორექტივის შეტანით. „წესრიგის“ პერიოდი მარტო მოდერნი არ არის, სოციალურ კონტროლს სხვა ეპოქებშიც ვხვდებით. განსხვავება ისაა, რომ მოდერნულ პერიოდში ეს კონტროლი ხორციელდება მთლიანი ერის/ნაციის მასშტაბით. ასეთი წესრიგი/კონტროლი ცხადია წინარე პერიოდში არ არსებობდა - სწორედ ეს აქცევს ნაციებს მოდერნისთვის უნიკალურ პროდუქტად / უჯრედად. ამ დებულების უარყოფა, ან თავშეკავებული აღიარება აყენებს პრიმორდიალისტებს არაკომფორტულ მდგომარეობაში კონსტრუქტივისტებთან დისკუსიისას.

მაგალითად, როცა პრემოდერნულ წარსულთან მიმართებით აქტიურად ვიყენებთ სიტყვას "ტომი" და "ხალხი" წარსულზე ავტომატურად გადაგვაქვს თანამედროვე პერსპექტივა - რომ ეთნიკური იდენტობა სხვა ტიპის იდენტობისგან (მაგალითად, პროფესიული, წოდებრივი, რელიგიური) განსხვავდება; თითქოს ამ პერიოდებშიც არსებობდა მკვეთრი ზღვარი ეთნოსსა და სხვა ტიპის გაერთიანებებს შორის. ასეთი მიდგომა კი ანაქრონიზმია. მოდერნულ პერიოდამდე ვერაფრით იარსებებდა ის, რასაც შეიძლება „აეროპორტების მოდელი“ ვუწოდოთ, სადაც „სადაური ხარ?“ შეკითხვა „ვინ

ხარ შეკითხვაზე?“ წინ დგას. სამაგიეროდ, წერილობითი წყაროების საშუალებით ცნობილ არც ერთ ისტორიულ ეპოქაში / ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ტექსტში არ ჩანს შემთხვევა, როცა ავტორი არ პოზიციონერებს რაღაც საზოგადოებრივ ჯგუფთან/ჯგუფებთან მიმართ მიმართებით; ან სულაც მონაწილეობდეს მათი ჩამოყალიბების/განვითარების დისკურსში (ისე რომ სულაც არ ავლებს ზღვარს ეთნიკურ, გვაროვნულ, პროფესიულ და ა.შ. მარკერებს შორის). ანუ როგორ ავხსნათ ვითარება, როცა ეთნოსოციალურ პროცესებში მონაწილეობა არ უდრის დღევანდელი გაგებით ეთნიკურობის დისკურსს.

ამ ფაქტორის სათანადოდ არგათვლისწინება ეთნოგენეზური კვლევების დიდი ნაკლია. ამის მკაფიოდ არ დაფიქსირებას მივყავართ სწორედ მთელ რიგ „ანაქრონიზმებამდე“, რაც ეთნოგენეზის, თუ ზოგადად ისტორიის საკითხების კვლევისას ხშირად დიდ უხერხულობას ქმნის და კვლევას თანამედროვე პოლიტიკური ელიტების „დაკვეთას“ უფრო ამსგავსებს. თანამედროვე ელიტებს თავიანთი დღის წესრიგი აქვთ და ისინი თანამედროვე ტიპის საზოგადოებას „ესაუბრებიან“. ისტორია კი ხშირად ამ საუბრის ენად გამოიყენება, რასაც ცხადია სამეცნიერო საზოგადოება ვერ მიესალმება. ისტორიის „დიალოგის“ ფორმად ქცევას ძალიან აადვილებს სწორედ ამ ორი ფაქტორის დაჩრდილვა - ა) ეპოქის თანამედროვე „კონსტრუქტორი“ ელიტები და მათი დღის წესრიგი; ბ) საზოგადოების ტიპი/მოდელი და მისი მასშტაბები. ალბათ დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას ეროვნული სუვერენიტეტისთვის ბროლა აქვს მთავარ პრობლემად, ჩვენს ემოციებს არ ააღელვებდა ასე ძალიან „თავისუფლებისთვის/ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის“ ეპოზოდებად მონათლილი ისტორიული მაგალითები, თუკი გავითვალისწინებდით, რომ სიტყვა „თავისუფლება“ ქართლის ცხოვრებაში არც კი იგულებლა; ანუ ეპოქის თანამედროვეთათვის სულაც არ წარმოადგენდა ფასაულობას ჩვენი ეპოქისგან გასხვავებით, როცა ის ეროვნული დისკურსის მთავარ სიტყვად გვევლინება. სწორედ ეს ქმნის სწორედ ანაქრონიზმის შეგრძნებას, ანუ განცდას, რომ მათ შორის ეთნიკური ისტორიის ამსახველი ისტორიული ნაშრომები ჯეროვნად არ ითვალისწინებს კონტექსტს - ანუ ეპოქის თანამედროვეთა პრიორიტეტებს.

მაგალითი 3. წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების ისტორიისთვის კლასიკური ქეისი გალებისა და ფრანკების შესახებ. ფრანკებს და გალებს ჩვეულებრივ საფრანგეთის ისტორიის სათავეებთან აყენებენ და მისი ეთნიკური ისტორიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად საკითხს ასეც კი აყენებენ Clovis ou Vercingetoeix. ანუ ვისთან გაიგივდეს ფრანგული ისტორიის საწყისები. ფრანკთა სამეფოს დამაარსებელ ხლოდივიტთან, თუ კეისრის წინააღმდეგ კელტების მოძრაობის წინამძღოლ ვერციგეტორიუსთან. ეს შეკითხვა თავისთავად გამოკვეთს პარადიგმას, რომ დღევანდელი ფრანგი ერის ისტორია იწყება სულ ცოტა ადრეული შუა საუკუნეებიდან და უწყვეტ ხაზს ქმნის დღემდე. ამ პარადიგმის ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს ფრანსუა მაბლი, რომელმაც საფრანგეთის გაბმული ისტორია. მანამდე ისტორიის ამოცანა უფრო ფრუასარივით კონკრეტულ მეფეთა განდიდებას ემსახურება; ან "სენ დენის ქრონიკასავით" დინასტიის ისტორიას გადმოსცემდა.

შეიძლება გაკეთდეს მთელი ანთოლოგია - როგორ იყო ფრანგული და გალური სიძველეები ინტერპრეტირებული საფრანგეთის მთლიანი ისტორიის კონტექსტში (მაბლის პარადიგმაში) და რა პოლიტიკურ პლატფორმას / მთავარ პოლიტიკურ ნარატივებს ემსახურებოდა ასეთი მიდგომა. მაგალითად:

- საფრანგეთის რევოლუციის ეპოქის ფონზე ფ. გიზო და ა.სავინი ავითარებდნენ მოსაზრებას, რომ "ხალხთა დიდი გადასახლების" პერიოდში გალო-რომაული მოსახლეობა უფრო შეეფარა ქალაქებს, როცა მომხდურ ფრანკებს უფრო არაუზრბანული სივრცეები ეკავათ. ფარული ლოგიკით გამოდიოდა, რომ "მესამე წოდება", ანუ ქალაქის მოსახლეობა უფრო ძველია ვიდრე ფეოდალები, რომლების წინააღმდეგაც იყო რევოლუციური ქარტეხილები მიმართული;
- ვერცინგეტორიქსის ფიგურა პირველად გამოიკვეთა ნაპოლეონ მესამის მეორე იმპერიის დროს რადგან "კარგად" ეხმიანებოდა გერმანელებისა და ფრანგების (გალების შთამომავლების) დაპირისპირების კონტექსტს.
- მარშალი პეტენი და "ვიშის მთავრობა" ძალიან წყალობდა ვერცინგეტორიქსის ფიგურას და გალო-რომაულ პერიოდს. ამის მიზეზი იყო "ანალოგია" მეორე მსოფლიო ომთან. თითქოს ისე გამოდიოდა, რომ მარშალი პეტენიც ისევე დამარცხდა გერმანელებთან როგორც ვერცინგეტორიქსი კეისართან. მიუხედავად კეისართან მარცხის ტრაგიკულობისა სწორედ ამ მარცხმა შექმნა თანამედროვე საფრანგეთის ეთნიკური სახე. კეისართან მარცხის შემდეგ ჩამოყალიბდა გალო-რომაული საფრანგეთი (ეთნიკური გალები რომანული ენით). შესაბამისად, შეიძლებოდა არსებულიყო იმედი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც შეიძლებოდა შექმნილიყო მომავალი "გუშინდელი მტრების" ფრანგებისა და გერმანელების ალიანსის შედეგად;

ყველა ამ მოსაზრებას აერთიანებს უწყვეტი ეთნო-სოციალური ისტორიის პრიმორდიალური კონცეფცია. მის ფარგლებში ნაკლებად დაისმის შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღიქმავამდა სხვადასხვა ეპოქის საფრანგეთის მოსახლეობა საკუთარ თავს, რამდენად აქტუალური, ან გასაგები იყო მათთვის ეთნიკური იდენტობის თანამედროვე კონცეფცია და სხვა.

ამ ტიპის ისტორია ცხადია ვერ გაქრება სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და სახელმწიფო პოლიტიკიდან რომელსაც საფრანგეთი ჰქვია, თუმცა, მეცნიერულმა კვლევამ დიდი ხანია სხვა აქცენტებზე გადაინაცვლა. ამ გადანაცვლებას კარგად წარმოაჩენს ფრანსუა სიმიანი, რომელიც ისტორიკოსებს სამი კერპის დამსხვრევისკენ მოუწოდებს. ამ კერპებს შორის ერთ-ერთია "გენეზისების" პუნქტი. ანალების სკოლამ კი მოგვცა ისტორიის ძალიან არადინამიური სურათი. სულ უფრო მეტი ისტორიკოსი ინაცვლებს გლობალური ისტორიის პარადიგმაში, რომელიც "საცავად" ერს კი არა რეგიონს და ეპოქას აცხადებს. თითქოს ისე ჩანს, რომ საფრანგეთში ზემოჩამოთვლილი შეკითხვების უხერხულობამ ისტორიის წერის მანერის შეცვლა გამოიწვია.

თუმცა, ნაციის დონეზე კონტროლის არარსებობა არ ნიშნავს მის საერთოდ არარსებობას. ამ ტიპის კონტროლი ხორციელდებოდა წოდების, კლასის, გვარის დონეზე. შევეცადოთ დავაჯგუფოთ ისტორიულად ცნობილი საზოგადოებები „სოციალური კონტროლის“ მახასიათებლები მიხედვით. და მათი ერთმანეთისგან გასამიჯნად გამოვიყენოთ ტერმინი „განზომილება“

წინდაწინვე უნდა ითქვას, რომ კლასიფიკაციის სისტემის შედგენისას სიფრთხილეა საჭირო, რადგან ეთნოგრაფიულ მასალასთან მიმართებით ხშირად არაადეკვატურად გამოიყენება ტერმინი „არქაული“ მოდერნულისგან განსხვავებულის, უფრო ძველის / მოდერნულისგან განსხვავებულის წარმოსაჩენად.

სწორედ ამიტომ შემოთავაზებული კლასიფიკაცია წარმოადგენს არა კვლევის შედეგს, არამედ პიპოთეზას, რომელიც მასალის წინასწარ დათვალიერების საფუძველზე შეიქმნა. წიგნის მიზანი, განზოგადებული კვლევის მიზანი უნდა იყოს ამ კლასიფიკაციის დახვეწა (გადაჯგუფება-გამრავალფეროვნება). ნებისმიერ ქეის-სთადის შეუძლია ამ ტიპის „ორმაგ პერმენენტუკაში“ მონაწილეობის შეტანა.

ვიდრე კონკრეტულ მაგალითეს განვიხილავდეთ ვფიქრობთ სასარგებლოა მაგალითის მოყვანა, რომელიც ძალიან უყვართ კვანტური ფიზიკის მოყვარულებს. ეს არის ე. ებოტის წიგნი სოციალურ რეალობასთან დაკავშირებით, სადაც სამგანზომილებიანი არსება ვერაფრით უმტკიცებს „ორგანზომილებიან“ არსებას მესამე განზომილების არსებობას. საზოგადოების მოდელებს შორის განსხვავებაც ვფიქრობთ ასეთ სტილში შეგვიძლია დავინახოთ. ყველა მომდევნო პერიოდის მოდელი იოლად შეძლებს წინამორბედების თავისებურებების აღქმას, თანამედროვეთათვის კი საზოგადოების ჰიპოთეტური მოდელის აღქმა ძალიან რთულია.

ნაშრომში შვიდი ისტორიული მოდელია გამოკვეთილი, რომელშიც ეთნოგენეზი, ანუ განსხვავებულობის პოლიტიკა განსხვავებულად მიმდინარეობდა. მონაგრაფიის პირველი ნაწილი მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან ელინისტური ხანის ჩათვლით. მომდევნო პერიოდის ეთნო-სოციალური ისტორია კი სერიის მომდევნო წიგნებში განიხილება.

ა) **პალეოლითი** წარმოადგენდა პერიოდს, როდესაც განსხვავებულობის პოლიტიკის არ არსებობა. არავინ ზრუნავდა სოციალურ წესრიგზე და ადამიანის იდენტობა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურის (კაცი, ქალი, ბავშვი) იქით არ მიდიოდა. ანუ ეს არის ერთგანზომილებიანი სოციალური რეალობა, როცა ადამიანი განსხვავებებს აყალიბებს სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით.

ეს აზრი ისტორიოგრაფიაში უალტერნატივოდ ვერ ჩაითვლება. ამ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე მსჯელობას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ევოლუციონისტურ სქემებში მას საწყისის სტატუსი ჰქონდა. პოლულარული იყო მისი სახელდება „ველურობის“ ხანად. შემდგომ პერიოდშიც ის ეთნოლოგ/ანთროპოლოგთა კვლევის საგნად რჩებოდა და მის მიმართ დამოკიდებულებები იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რომელი სკოლის მეცნიერი სწავლობდა მათ.

თანამედროვე ეტაპზე რელატივიზმის დომინაციის ეპოქაში არავინ საუბრობს „ველურებზე“, საუბარი უფრო მეტად შეეხება „კულტურულ სხვას“, რომლის განხილვამაც თანამედროვე ინტერკულტურულ პერიოდში დიდი აქტუალობა შეიძინა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანელი მონადირეები და შემგროვებლები ვერაფრით ჩაითვლებიან წინაპრების ანალოგად; მათზე პირდაპირ ზემოქმედებს თანამედროვეთა ყოფა თუ არა სააზროვნო კატეგორიები მაინც. ის ფაქტი, რომ კუნგის ბუშმენებმა ბანტუს და თეთრკანიანი მეცნიერების არსებობის შესახებ იციან უკვე ძირეულად ცვლის სიტუაციას (ეს მათ საზოგადოებას თანამედროვე მოდელის საზოგადოებად აქცევს, თუნდაც რომ მათი ცხოვრების წესი ძალიან არქაულს ჰგავდეს).

პალეოლითი შეგვიძლია დავინახოთ პერიოდად, როცა სოციალური კონტროლი არ ხორციელდებოდა. ამ პერიოდში ადამიანები 20-30 კაციან, ხშირად მატრილოკალური პრინციპით ორგანიზებულ ჯგუფებში ცხოვრობდნენ, რომლის წევრებიც პირადადა იცნობდნენ ერთმანეთს, თანაც ჯგუფებს შორის საზღვრები მკაფიოდ არ იყო მონიშნული.

ბ) მეზოლითში ნეოლითსა და ენეოლითში განსხვავებულობის პოლიტიკა იწარმოებოდა გვარის, გვაროვნული თემის დონეზე. ადამიანიც საკუთარ იდენტობას გვარისადმი მიკუთვნებულობის განცდით ზომავდა. სოციალური კონტროლის ობიექტი ხდება გვარი. ამ პერიოდში მოსახლეობა ერთიანდება გვარებში, რომ არ ვთქვათ ტომებში, სადაც დასახლებები აღწევს რამდენიმე ასეულს და ათასეულსაც კი. სწორედ ამ პერიოდის პროდუქტად უნდა ჩავთვალოთ ეგზოგამია, ანუ ტაბუ ახლო ნათესაურ საქორწინო კავშირებზე.

გ) ბრინჯაოს ხანაში განსხვავებულობის პოლიტიკა უკვე კლასის დონეზე იწყებს განვითარებას. ყალიბდება ქურუმები, ვაჭრები, მეომრები, მწერლები, ბიუროკრატია, რაც მათ იდენტობაში წამყვან როლს იკავებს.

დ) ანტიკური / რკინის ხანაში განსხვავებების მარკერად უკვე შემოდის მოძღვრები. ეს დიდი რელიგიების ეპოქაა, სადაც უკვე მსოფლმხედველობა (ქრისტიანი, მაჰმადიანი) ადამიანის იდენტობაში გადამწყვეტ ადგილს იკავებს.

ე) შუა საუკუნეებში - განსხვავებულობის პოლიტიკა უკვე წოდებების დონეზე ადის. აქ თითქოს სიახლე არაფერია, მაგრამ კლასსა და წოდებას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა;

ვ) მოდერნი - არის პერიოდი, როცა განსხვავებულობის პოლიტიკა ნაციის დონეზე განისაზღვრება, შესაბამისად გადამწყვეტიან ნაციისადმი კუთვნილება.

ზ) პოსტმოდერნი კი გლობალური იდენტობის მარკერების გენეზისის პოლიტიკა, როდესაც „გლობალური მოქალაქეობის“ იდეის ხარჯზე ხდება უკვე საერთაშორისო ლეველზე კომუნიკაციის რეგულირება.

აქვე უნდა ითქვას რა განაპირობებს ამ მოდელების ტრანსფორმაციას. მით უფრო, რომ ასეთი მიდგომით ჩნდება ჩნდება განცდა, რომ თითქოს ვკარგავთ ეროვნული ისტორიის „უწყვეტ ჯაჭვს“. ეთნიკური ისტორიის სოციალური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიისგან (და სხვა ტიპის ისტორიებისგან) გამიჯვნა, ხომ თითქოს იმის ფიქრის საფუძველს გვაძლევს, რომ ეთნოსები და ეთნიკური ტრადიციები (ენა მაინც) არის ის ვერტიკალი / ერთგვარი ვერტიკალური Long Duree , რომელიც ცვალებადი სოციალ-პოლიტიკურ ქარტეხილებისა და ტრანსფორმაციების მიუხედავად არსებობს და ჩვენი არსებობის იმანენტურ (თუნდაც გაუსიტყვებელ საზრისს) ქმნის და წინაპართა საქმეების გამგრძელებლად დაგვანახებს თავს (რეალურად სწორედ ეს არის ისტორიის ძალა). ვფიქრობთ, რომ ასეთი „შიში“ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან ეთნიკური /ეთნო-

სოციალური ისტორიის შემოთავაზებული ფორმატი სწორედაც უფრო კომპლექსურად სვამს ამა თუ იმ ტერიტორიაზე ტრადიციითა კონტინუუმების / „წყვეტილობისა და უწყვეტობის“ საკითხს, რომელიც მეტად თუ ნაკლებად ყველა ქვეყნის ისტორიოგრაფიას აღელვებს (აქ წყვეტილი იყო თუ - იტალიელები რომაელების წინაპრებს წარმოადგენენ; არიან თუ არა თანამედროვე ბერძნები ძველი ბერძნების თუ ბიზანტიელების შთამომავლები, რა საერთო აქვთ თანამედროვე ინგლისელებს ბრიტებთან, ან სტოუნჰენჯის შემქმნელებთან). ამ საკითხზე საუბარი შეუძლებელია მოდელების ცვალებადობის იდეის გარეშე. ეს მაშინ ხდება, როცა კონტრასტი ორ მოდელს შორის ძალიან მკაფიოა - როგორც ეს მოხდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში. ნაშრომში ჩვენ გამოვყოთ ისტორიულად არსებულ „საზოგადოების 7 მოდელს“ (იხ. ჩამონათვალი ზემოთ) რა გვიშლის ხელს იმაში, რომ საზოგადოების ამ მოდელებს ეთნოსი / ეთნოსის ტიპების ვუწოდოთ. მაგალითად გავყვეთ ლოგიკას, რომელსაც ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოაჩენს:

საზოგადოების მოდელი	ეთნოსის ტიპი	ტრანსფორმაციის პროცესი
პალეოლითი და მეზოლითი	20-30 წევრისგან შემდგარი ჯგუფი - კლანი	
ნეოლითი და ენეოლითი	გვარი / გვაროვნული თემი	გაჩნდა სირია-პალესტინაში გობეკლი თევსთან და იერიქონთან ერთად.
ბრინჯაოს ხანა	კლასი (ქურუმები, ამარნას მეფეები)	გაჩნდა ეგვიპტეში, შუამდინარეთსა და ინდოეთში თითქმის პარალელურად.
ანტიკურობა	მომღვრება (ქრისტიანები, მუსლიმები)	გაჩნდა შუამდინარეთში ასურეთის, ახალი ბაბილონისა და აქემენიანთ ირანის პირობებში
შუა საუკუნეები	წოდებები (სასულიერო, საერო, მესამე)	გაჩნდა ევროპაში (სხვაგან არ იყო) - ყუთლუ არსლანი ტყუილია.
მოდერნი	ერი, ნაცია	გაჩნდა ევროპაში
პოსტმოდერნი	„გლობალური საზოგადოება“ კულტურულ-ცივილიზაციური ერთობა	გაჩნდა დასავლეთში.

შენიშვნა: ცხადია ყველა მომდევნო ეტაპზე საზოგადოებრივი ფორმები არ ქრებოდა, მაგალითად, გვარი მომდევნო ეტაპზეც ასრულებდა საზოგადოებრივი ჯგუფის როლს, თუმცა, მას ეთნოსთან მხოლოდ ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში ვაიგივებთ, როცა ის უმაღლეს ფორმას წარმოადგენდა და არა უფრო კომპლექსური საზოგადოების/ეთნოსის ერთ-ერთ უჯრედს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ეპოქა მსოფლიოს ყველა ნაწილში არ იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ბრინჯაოს ხანი არ იყო აფრიკის ცენტალურ და სამხრეთ ნაწილებში.

საზოგადოების მოდელების განახლება /მოდელების ცვალებადობა ხშირად „რებრენდინგს“ უფრო წარმოადგენს, ვიდრე წარსულთან კავშირების გაწყვეტას იმ შემთხვევაშიც კი თუკი ელიტები წარსულისგან გამიჯვნაზე აკეთებენ მთავარ აქცენტს განსხვავებულობის პოლიტიკის წარმოებისას.

ამის კარგი მაგალითია ნორმანული დაპყრობები ინგლისში. 1066 წელს ჰასტინგის ბრძოლაში დამარცხებას და უილიამ დამპყრობელის მიერ ინგლისის დაპყრობას მოჰყვა ანგლო-საქსური ელიტის პრაქტიკულად სრული განადგურება და დანარჩენი მოსახლეობის უუფლებო მდგომარეობაში ჩაყენება. ამის შემდგომ პერიოდს ე. გრინი უცხოელი მეფეების ეპოქასაც კი უწოდებს. არის თუ არა ეს „წყვეტილი“ ინგლისის ისტორიაში. ცხადია არა, ვინაიდან მოსახლეობა პრაქტიკულად არ შეცვლილა. ახალმა ელიტამ გამოვიდა, რომ ადგილობრივი კულტურის რებრენდინგი განახორციელა კლასიკური ფეოდალიზმის ყაიდაზე.

შედარებით სხვა ტიპის მაგალითია (დამყარებული არა უხეშ სამხედრო ძალაზე, არამედ ჰუმანისტები და განმანათლებლები, რომლებიც შუა საუკუნეების იდეასთან დაპირისპირებით პრაქტიკულად თავად ქმნიდნენ იმ შუა საუკუნეებს (სტერეოტიპებით აღსავსეს), რომელიც ისტორიულად არასოდეს არსებულა. სინამდვილეში კი XIV-XVIII – XIX-XX საუკუნეების ევროპაში რაიმე ტიპის წყვეტილზე (ვთქვათ ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალი პერიოდისგან განსხვავებით, რომელზეც ბევრი თქმულა და დაწერილა) საუბარიც კი ზედმეტია. არ არსებობს ორი აზრი, რომ ევროპული მოდერნი ანტიკურობას მხოლოდ იმდენად ჰგავს როგორც ძველი ბერძნული თეატრი ჰგავს ოპერას (რომელიც ბერძნული თეატრის მინაბამად იყო ჩაფიქრებული). ამკარაა, რომ მოდერნული ტიპის ნაციის კონსტრუქციას/რებრენდინგს ჰუმანისტები და განმანათლებლები ისევ და ისევ მათ წინაშე არსებული სოციალური ძაფებით ეწოდნენ. თუმცა, შეიძლება ისტორიაში ვნახოთ შემთხვევებიც, როცა ძაფებად სხვა კულტურის სიმები გამოიყენეს მაგალითად როგორც ეს მოხდა ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის შემთხვევაში, როცა ადგილობრივი ელემენტი რეზერვაციების ბინადარი გახდა.

„წყვეტილობა-უწყვეტობის“ საკითხის გააზრებაში ვფიქრობ დაგვეხმარება ცნებების „მოსახლეობა“ და „საზოგადოება“ დაპირისპირება. მოსახლეობას ჩვეულებრივ განმარტავენ, როგორც ამა თუ იმ ტერიტორიაზე დროებით თუ მუდმივად მცხოვრები ადამიანების ერთობას. განსხვავებით საზოგადოებისგან მათ არ აქვთ საერთო ტრადიციები და ერთიანობის აღქმა. ამ გაგებით შეგვიძლია ვისაუბროთ დასავლეთ აფრიკის, საქართველოს კავკასიის, პალეოლითური ხანის მცირე აზიის და ა.შ. მოსახლეობაზე, რომელსაც სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლები აქვს, თუმცა, ეთნოგენეზზე / უფრო სწორად ეთნო-სოციალურ ისტორიაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მოსახლეობა გარდაიქმნება „საზოგადოებად“ და იძენს საერთო კულტურის ნიშნებს.

საბედნიეროდ ისტორიაში ასეთი შემთხვევები ძალიან ცოტაა (უფრო სწორად პრაქტიკულად არ არის). მიუხედავად ამისა მკაფიოდ შეგვიძლია გამოვყოთ საზოგადოების მოდელის ჩანაცვლების რამდენიმე ტიპი:

1. არ იცვლება მოსახლეობის სტრუქტურა - ხდება საზოგადოებრივი წესრიგის/მოწყობის „რებრენდინგი“ ადგილობრივი ელიტების ხელით ადგილობრივ კულტურაზე დაფუძნებით (**აპაჩების მაგალითი**);
2. არ იცვლება მოსახლეობის სტრუქტურა - ხდება საზოგადოებრივი წესრიგის/მოწყობის „რებრენდინგი“ სხვა ტერიტორიიდან მოსული ელიტების ხელით, რომლებმაც ადგილობრივი ელიტები დააყენეს (**ნორმანული დაპყრობების მსგავსად**);
3. იცვლება მოსახლეობის სტრუქტურა - ხდება 'ახალი მოდელის' საზოგადოების ტრანსპლანტაცია ტერიტერიისთვის მანამდე უცხო ეთნიკური ელემენტის ხელით (**აშ.შ. - ინდიელების ქეისი**);
4. ტერიტორიაზე პირველად იწყება რებრენდინგი ადგილობრივი ძალით და არა გარე იმპულსით (**ჰუმანისტებისა და განმანათლებლების მოდელი**).

შენიშვნა: აქვე უნდა გაკეთდეს დაზუსტება ტერმინ ზემოთ გამოყენებულ კულტურასთან დაკავშირებით. ეს ტერმინი შეიძლება ორი მნიშვნელობით იქნას გამოყენებული. ერთ შემთხვევაში შეიძლება ხაზს უსმევდეს გარემოებას, რომ მოსახლეობას, რომელიც თუნდაც სხვებთან მკაფიო საზღვრების გარეშე ტერიტორიაზე ცხოვრობს მსგავსი ყოფით ტრადიციები უყალიბდება (ენაშიც და არქეოლოგიურ კულტურებშიც აისახება-ხოლმე ეს). მეორე შემთხვევაში კულტურა არის იმ „რებრენდინგის ნაწილი“, რომელსაც „განსხვავებულობის პოლიტიკის“ წარმოებისას ელიტები ნერგავენ. ამ დროს ხშირია „ტრადიციის გამოგენება“ იმ გაგებით, რაზეც ერი ჰობსბაუმი გველაპარაკება. ასე რომ ნეიტრალური ტერმინის „მოსახლეობა“ ჩანაცვლება უფრო დამუხტული ტერმინებით „ეთნოგრაფიული ყოფა“, ან „ადგილობრივი/ეროვნული კულტურა“ არ არის რეკომენდირებული“.

კიდევ ერთი სიტყვა, რომელთან მიმართებითაც შეიძლება დაზუსტება გაკეთდეს არის ეთნოსი. რა გვიშლის ხელს, რომ ეთნოსოციალურ პროცესებზე / ეთნოგენეზზე მსჯელობისას **ნეოლით-ენეოლითში** ეთნოგენეზის პროცესი გავაიგივოთ გვაროვნულ თემები ფორმირებასთან; **ბრინჯაოს ხანაში** - კლასების „მაგალითად, სამეფო დინასტიების თანამეგობრობის“ ჩამოყალიბებასთან და არ მისაუბროთ ტომზე, როგორც „კვაზი ნაციაზე“, **ანტიკურ ხანაში** - მომღვრების ეგიდით გაერთიანებულ იმპერიუმებზე, რომელიც გამორიცხავს მოდელს - ქართველი ვარ, მაგრამ ქრისტიანი არ ვარ; **შუა საუკუნეებში** - წოდებებზე (და არა ნაციადყოფნის თანამედროვე იდეაზე); **მოდერნის პერიოდში** კი თანამედროვე ტიპის ერზე/ნაციებზე; თანაც ისე რომ გვაროვნულ თემსაც, კლასსაც, იმპერიუმსაც ეთნოსის სტატუსი მივანიჭოთ. რა გვიშლის ხელს ამაში. თითოეულ მათგანს აქვს:

- **თვითსახელი** (აქვს საგვარეულოსაც, კლასსაც, რელიგიასაც (სექტას განსაკუთრებით), წოდებასაც);
- თითოეულ მათგანს **ენა თუ არა დიალექტი**, ან მეტ-ნაკლებად ორიგინალური კილიკავი მაინც ახასიათებს;
- **საერთო ისტორია და წარმოშობის მითზეც** იგივე ითქმის, მაგალითად, სიცილიური მაფიის წარმოშობის მითი;
- იგივე ითქმის **კულტურაზეც**.
- რიგ შემთხვევებში კი **„წმინდა ტერიტორიაზეც“** (ზოგჯერ ფიზიკურად არსებულზე, ზოგჯერ კი ირაციონალურ სივრცეზე).

ხელისშემშლელი ფაქტორი აქ შეიძლება იყოს დღევანდელი პერცეფცია. მოდერნის ხანიდან დღემდე მთელი სამყარო „ნაციების სამყაროა“ ეს არის კონსტრუქცია, რომელსაც ყველგან წამყვანი ადგილი უჭირავს. შესაბამისად, ეთნიკურობა არის განსახვავებულობის უმაღლესი მარკერი. ადამიანის იდენტობაში სხვა ტიპის პრიორიტეტებიც მონაწილეობს (პროფესია, ოჯახი), თუმცა მათ საზოგადოების ფორმირებისთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ. ამის ფონზე კი ჩვენ გვიჭირს წარმოვიდგინოთ საზოგადოების სხვა მოდელი, სადაც ეთნიკურობა არ იყო სოციალურ-მედიკური დრაივი. ყოველი წინარეპოზიციის ეპოქა განსხვავებულ სურათს იძლევა.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ეთნოსად ვიხსენიებთ საზოგადოებრივ ჯგუფებს, რომლებსაც მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ისტორია და კულტურა ჩამოუყალიბდათ (ანუ წარმატებული აღმოჩნდა მათ გარშემო „რანი ვიყავით“ დისკურსის ფორმირება; ანუ განსხვავებულობის პოლიტიკა ვისთვისაც „წარმატებით ფორმირდა“) განვასხვავებთ რა მათ საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფებისგან, რომლებიც მხოლოდ მცირე ხნით არსებობდნენ/ან რომელთა „განსხვავებულობის“ პოლიტიკა არ გამოდგა საკმარისი. წყალგამყოფია შეკითხვა - ეთნოგენეზი მოხდა, თუ „ეთნოგენეზის წარუმატებელ პროექტთან“ გვაქვს საქმე.

აქვე უნდა დავაზუსტოთ ორი გარემოება:

ა) დისკურსებს შორის შეიძლება არსებობდეს იერარქია იმის თქმა გვსურს, რომ კლასს და რელიგიურ ჯგუფს მანამ შეიძლება ერქვას ეთნოსი, ვიდრე ის უფრო დიდი ერთობის/ყველას მიერ აღიარებული ქოლგის მაგალითად ნაციის ნაწილი გამხდარა. ნაცია უფრო გამამთლიანებელი სიტყვაა. მის ფარგლებში კლასების და რელიგიური ჯგუფების შემოსვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დისკურსმა „კარგი ქრისტიანი“, ან „წარჩინებული VS მდაბიო“ აქტუალობა დაკარგა. ის უბრალოდ უფრო მაღალ იდეას ნაციადყოფნის განცდას დაექმედებარე ასეთი ტიპის კომპრომისებით (აჭარელი კი მუსლიმია, მაგრამ ქართველია; სოციალური წამომავლობა კი სხვა გვაქვს, მაგრამ ქართველები ვართ). მაშინ როცა უფრო ძველ პერიოდში ასეთი წინადადებები არ არსებობდა. მათ წარმოშობას არ საჭიროებდა „განსხვავებულობის/თუ მსგავსებულობის პოლიტიკა“.

ბ) „რანი ვიყავით და რანი ვართ“ ერთადერთი დისკურსი არ არის, რომელშიც ადამიანი მონაწილეობს. ცალკე დისკურსს შეიძლება იყოს სექსობრივ-ასაკობრივი კატეგორიები - მაგალითად, ბავშვობა, მოხუცობა და გენდერი. ასეთი ტიპის დისკურსები, მაგალითად, „ქალურობა“ ცალკე ხაზს ქმნის - ამორძალების ტიპის ჯგუფები ალბათ ეთნოგენეზის მოდელზე მეტად მოთოლოგიად უნდა ჩავთვალოთ.

მამასადამე გამოდის, რომ ნაშრომში ეთნოგენეზის საკითხების კვლევას ვაქცევთ სოციალური მეცნიერებებისთვის ათვლის წერტილად, ანუ იმ გამამთლიანებლად, რომელსაც ინტერ/ტრანსდისციპლინური სინთეზი უნდა დაეფუძნოს. წარსულში თუ დღეს არსებული ნებისმიერი საზოგადოების შესწავლისას წამყვანი ხაზი უნდა იყოს „დისკურსი ჩვენ“, რომელსაც უნდა დაუკავშირდეს ყველა დისციპლინის მონაცემები (ცხადია ეს არ ნიშნავს ჟანრული მრავალფეროვნების უარყოფას. უბრალოდ კვლევის საგნის იერარქიზირებაზე ვსაუბრობთ). თუმცა, ამგვარ მსჯელობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუკი ეს მიდგომა გვაპოვნინებს კვლევის მეთოდს და საკლვევ შეკითხვებს, რომელსაც დღეს და წარსულში არსებული საზოგადოებების შესწავლა უნდა დაეფუძნოს.

თავი 3. კვლევის ტრანს (და არა - მულტი /ინტერ) დისციპლინური მეთოდი

წიგნში ინტერდისციპლინურ კვლევებთან დაკავშირებით ქეროლ კლაინს, მოჰყავს არაჩვეულებრივი პასაჟი წიგნიდან „აღისა საოცრებების ქვეყანაში“:

„ - როდესაც მე სიტყვას ვამბობ - თქვა ჰამფთიმ დამცინავი ტონით - ეს სიტყვა მხოლოდ იმას ნიშნავს, რასაც მე ვისურვებ რომ ნიშნავდეს. არც მეტი, არც ნაკლები.

- როგორ შეიძლება სიტყვას ამდენი მნიშვნელობა ჰქონდეს? - გაიკვირვა ალისამ.
- საკითხავი ეს არ არის - თქვა ჰამფთიმ - საკითხავია რამდენად შეგწევს ძალა ახალი მნიშვნელობა მიანიჭო სიტყვებს. სულ ეს არის.⁸

ვფიქრობთ, რომ ეს პასაჟი კარგად გამოხატავს კარტეზიანული პარადიგმის ყველა პრობლემას. სახეზეა სიტუაცია, როცა სხვადასხვა მეცნიერებები და სამეცნიერო დისციპლინები იმდენად კვლევის განსხვავებულ პერსპექტივას კი არ გამოკვეთენ, არამედ ჰამფთის მსგავსად ქმნიან ნიშანთა ალტერნატიულ სისტემას ერთი და იგივე სოციალური რეალობის აღსაწერად, ასახსნელად და შესაფასებლად / რომ არ ვთქვათ ავტონომიური კათედრებისა და დეპარტამენტების შესაქმნელად.

საზოგადოებას დღეს უამრავი მეცნიერება და მასთან დაკავშირებული დისციპლინა სწავლობს, მაგალითად, ისტორია, არქეოლოგია, ლინგვისტიკა, ეთნოლოგია / ანთროპოლოგია, სოციოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, საზოგადოებრივი გეოგრაფია. გარდა ამისა თითოეული მათგანი კიდევ იყოფა ქვედისციპლინებად. მაგალითად, ისტორია გარდა იმისა, რომ მოიცავს წყაროების ტიპებზე დაფუძნებულ დისციპლინებს (ნუმისმატიკა, ეპიგრაფიკა და სხვა), კიდევ ფორმალურ-ტიპოლოგიურად ჰყოფს კვლევის ობიექტს და ცალკე გვთავაზობს მაგალითად რელიგიის, ეკონომიკის და სხვა ტიპის ისტორიებს.

ყოველივე ამის გამო საზოგადოებრივი რეალობა თითქმის მართლაც დაემსგვსა დამლილ ჰამფთი-დამფთის, რომლის გამთლიანებასაც ამაოდ ცდილობენ მეფის სხვადასხვა მეხეელები.

ცალკე საკითხია, სად არის სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში ეთნიკური ისტორიის ადგილი⁹, თუმცა, ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ არაფრით შეიძლება მისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და სხვა ტიპის ისტორიებისგან გამიჯნულად შესწავლა. ეს სხვა არაფერია თუ არა მოვლენათა კლასებს შორის ფორმალური მიჯნების გავლება. ასეთ მიდგომას ჯერ კიდევ XX საუკუნის 30 იან წლებში აკრიტიკებდა მარკ ბლოკი. ანალების სკოლის ფუძემდებელი თავს ესხმოდა დოკუმენტების დაარქივების პრინციპს, რაც საზოგადოებრივი რეალობის შესწავლას ართულებს. მაგალითად, შუა საუკუნეებზე საუბრისას ერთმანეთისგან

⁸ Thompson Klein J. T., Beyond Interdisciplinarity Boundary Work, Communication, and Collaboration, Oxford University Press, 2021;

⁹ შეიძლება ის დავიანახოთ ეთნოლოგიის ნაწილად, რომლის სტატუსზეც ასევე შეიძლება შევხვდეთ აზრთა სხვადასხვაობას ამერიკულ, ბრიტანულ, ფრანგულ და საბჭოთა აკადემიაში, თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთი აზრიც გამოითმის, რომ ეთნიკური ისტორიის კვლევა ცალკე სამეცნიერო დისციპლინად გამოყალიბდეს და მას "ეთნოგენეზოლოგია" ეწოდოს (ალექსიევი).

გამიჯნულად ვისაუბროთ მის ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკურ, რელიგიურ, კულტურული ისტორიაზე, მივიღებთ "მრუდე სარკეს", თუნდაც იმიტომ რომ ამ ეპოქის მოსახლეობას არ აქვს ეს კატეგორიები გააზრებული/ანუ ურთიერთდაპირისპირების რეჟიმში გააზრებული. ისინი არ ქმნიდნენ ისინი არ ქმნიდნენ დამოუკიდებელ დისკურსებს. ამ ეპოქის მცხოვრებთათვის წამყვანი იყო წოდებრივი და რელიგიური დისკურსი და მასზე დაფუძნებული "განსხვავებულობის პოლიტიკა". ყველაფერ დანარჩენს კი "ავტონომია" ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული / არც პოლიტიკა, არც ეკონომიკა, არც საზოგადოებათმცოდნეობა ჯერ არ იყო ემანსიპირებული ცოდნის ცალკე სფეროებად. ისინი დამოუკიდებელი კვლევის ობიექტის სახით მხოლოდ XVI-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ. ამავე პერიოდშივე გაჩნდა მათ შესწავლაზე ორიენტირებული მეცნიერებებიც, რომლებიც თავიანთი შესწავლის ობიექტისთვის ისტორიულ ფონს ეძებდნენ. არ იქნება გადაჭარბება თუკი ვიტყვით, რომ ისეთ მეცნიერებებს, როგორებიცაა „კემბრიჯის ეკონომიკური ისტორია“, „პოლიტიკური აზრის განვითარების ისტორია“ და ა.შ. მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მკითხველისთვის, ან ეკონომიკის დარგში მომუშავე ადამიანისთვის საკუთარი ცოდნისთვის ისტორიული ანალოგების, უფრო სწორად “ფსევდოანალოგების“ საძიებლად. შესწავლის მთავარი ობიექტის, ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოების შესწავლის პროცესს კი ამგვარი მიდგომა შესაძლოა გარკვეულწილად ხელსაც უშლიდეს, ვინაიდან მათი წყალობით დანაწევრებულად ხდება იმ ქსოვილის წარმოჩენა, რომლისგანაც ამა თუ იმ ეპოქის სოციალური რეალობა შედგება. ამ პროცესს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს სხვადასხვა დარგის ავტონომიური ტრადიციები - დარგობრივი ტერმინები, კლასიკოსები, კვლევის მეთოდები, მიჯნები და სხვა.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ეტაპზე სამეცნიერო დისციპლინებს შორის თითქოს კონვერგაციის პროცესი შეიმჩნევა. იქმნება ვითარება, როცა ყველა დისციპლინა მეტად თუ ნაკლებად "გამოდის საკუთარი საზღვრებიდან". თავისი ბუნებით ეთნიკური ისტორია ისედაც ინტერდისციპლინური შესწავლის ობიექტია. ის ისტორიულ, არქეოლოგიურ, ლინგვისტურ, წერილობითი წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით სწავლობს ეთნოსის ტიპებს, ენთიკურობას, ეთნოგენეზს, ეთნიკურ ისტორიას და სხვა საკითხებს, თუმცა, თანამედროვე ეტაპზე ასეთი სინთეზი კი ვერ იძლევა სრულყოფილ პერსპექტივას. პრობლემის არსის უკეთ წარმოსაჩენად საჭიროა ზღვარი გავავლოთ ტერმინებს: "მულტიდისციპლინური", "ინტერდისციპლინური" და "ტრანსდისციპლინური".

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ დღეს დისციპლინათშორისი სინთეზი კი არას ეთნოგენეზის საკითხებზე მომუშავე ბევრი მკვლევარი საერთოდ გაურბიან მომიჯნავე საგნებთან "დიალოგს". ასეთთა რიცხვს მაგალითად მიეკუთვნება ზემოთ უკვე ხსენებული "ვენის სკოლის" წარმომადგენლები, რომლებიც ამჯობინებენ "დიად დატოვონ" საკითხებიც, რომლების შესახებაც წერილობითი წყაროები უშუალოდ არ გვაწვდიან ინფორმაციას. არც თუ იშვიათად ეთნოგენეზის ფორმატში მოწოდებულ შევხედებით სუფთად ლინგვისტურ და არქეოლოგიურ ნაშრომებასაც. მეცნიერები ერიდებიან ლად ლაპარაკს იმის შესახებ, თუ რატომ ამჯობინებენ ერთი დისციპლინის

ჩარჩში ჩაკეტვას, თუმცა, მათ ნაშრომებში, სტრიქონებს შორის, მაინც შეინიშნება ამგვარი ქმედების მიზეზები. ეს მიზეზები შესაძლოა სამ ჯგუფად დავყოთ.

ა) ფარული ნიჰილიზმი სხვა დისციპლინებისადმი - მაგალითად არქეოლოგიებთან შეინიშნება აზრი, რომ წერილობით წყაროებში დაფიქსირებული "ეთნონიმების" არქეოლოგიურ კულტურებთან გათანაბრების იდეა მხოლოდ დაბნეულობას იწვევს, ვინაიდან ეს "ეთნონიმები" სხვა არაფერია, თუ არა უცხოელი ავტორების მიერ სხვადასხვა შემუშავებული კონსტრუქტები.

იგივე ფიქრი შეიძლება არსებობდეს მაგალითად ლინგვისტური ტერმინების "პროტონა", "ენობრივი ოჯახი" და სხვა მიმართ. არსებობს აზრი, რომ ეს მხოლოდ ენობრივი მასალის დასაჯგუფებლად შექმნილი ტერმინებია და მათი არქეოლოგიურ რეალობასთან გატოლება მხოლოდ გაურკვევლობებს იწვევს / ფიქრის არასწორ მიმართულებას განაპირობებს.

ბ) კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში მონაცემების უფრო მეტად დამუშავების საჭიროება - იკვეთება აზრი, რომ ჯერ-ჯერობით არქეოლოგიის, ისტორიის, ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიის, როგორც მეცნიერებათა აპარატი ისე არ არის განვითარებული, რომ მათ სოციალური რეალობის შესწავლაზე დადებითი გავლენა მოახდინონ / რეალურად შეუწყონ ხელი ინტერდისციპლინურ დიალოგს. ამის შედეგია ის, რომ მომიჯნავე დისციპლინებიდან უფრო "ვირუსული ბუნების" არგუმენტებისა, თუ მიდგომების შემოჭრაა მოსალოდნელი, რომელიც ხელშეწყობის მაგიერ მნიშვნელოვნად ართულებს სოციალურ კვლევას.

ამ მხრივ შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს ჟ. დიუმეზილის შემოქმედება. დიუმეზილი იყო ძალიან გავლენიანი ფრანგი სტრუქტურალისტი მეცნიერი, რომელიც ლინგვისტიკის, ფოლკლორისტიკის, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიის მონაცემებზე დაფუძნებით ცდილობდა დაესაბუთებინა "სამწევროვანი საზოგადოების" იდეა. კერძოდ, ის არიელების, სკანდინავიელების, ალანების, კელტების და პრატიკულად ყველა ინდოევროპელი (და არა მხოლოდ ინდოევროპელი) ხალხის შესწავლის გზით ამტკიცებდა, რომ პროტოინდოევროპული (ისევე როგორც ყველა მისი განშტოება) წარმოადგენდა საზოგადოებას, სადაც "მეომრები ბრძოლობდნენ, ქურუმები ლოცულობდნენ, მწარმოებლები კი შრომობდნენ". ინდოევროპელებზე შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის ევროპის სოციალური ამ მოდელის გადატანის მცდელობა დღეს არ გამოიყურება დამაჯერებლად, თუმცა, ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად ფრანგი ავტორის არგუმენტების დამაჯერებლობაზე საუბარი, არამედ ის თუ რა ტიპის კრიტიკა დაიმსახურა დიუმეზილის და მისი მიმდევრების შემოქმედებამ. პრაქტიკულად არ გამოჩენილა მეცნიერი, რომელიც ავტორის მეტა-სტრუქტურალისტურ ჩარჩოს დააყენებდა ეჭვქვეშ, სამაგიეროდ მრავლად გამოიკვეთა ფოლკლორისტიკები, ლინგვისტიკები და ისტორიკოსები, რომლებიც ცივად შეხვდნენ ალანების, არიელებისა, გერმანელებისა თუ კელტების რეალობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ინტერპრეტაციებს. მათმა ნაშრომებმა ერთობლივად შექმნა "საერთო ფრონტი", რამაც მნიშვნელოვნად შეანელა ჟ. დიუმეზილის ნაშრომებით პირველ ეტაპზე გამოწვეული აღფრთოვანება. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო

დიუმეზილის პიროვნებით აღფრთოვანებას შევხვდებით, ვიდრე მისი იდეების გაზიარებას.

იგივე ტენდენციის გამოვლინება შეიძლება იყოს ის, რომ დღეს ძალიან დიდი იშვიათობაა განზოგადებული ხასიათის არქეოლოგიური ნაშრომები, რომლებიც "ჩიტის საფრენი სიმაღლიდან" აღგვიწერს მაგალითად ზედა პალეოლითის ხანის ევრაზიის არქეოლოგიურ რეალობას; კონკრეტულად გვიხსნის ამ პერიოდის არქეოლოგიური კულტურების წარმოშობასთან, განვითარებასთან და ურთიერთმიმართებებთან დაკავშირებულ საკითხებს. თითქოს ისე ჩანს, რომ ყველა ამჯობინებს კონკრეტული ძეგლების უფრო სიღრმისეული შესწავლით დაკავდეს და ამით შექმნას ბაზისი უფრო მასშტაბური პროექტებისთვის; იმის მკაფიოდ სახელდების გარეშე, თუ რა შეიძლება იყოს ეს მასშტაბური პროექტი (ნაციონალური ისტორიის პარადიგმა დღეს თითქოს აღარ გამოიყურება საკმარისად ამბიციურად/თანამედროვედ).

გ) კვლევის ტრადიციულ პარადიგმაზე თავის არიდების მცდელობა - კვლევის ტრადიციულ პარადიგმას ვუწოდებთ მიდგომას, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადად ა. შლაიხერისა და გ. კოსინას ძალისხმევით ჩამოყალიბდა. ა. შლაიხერმა შექმნა "გენეალოგიური ხის" მოდელი, რომელიც ენების განვითარების ისტორიას ხის ტოტებად გაშლის ფორმატში წარმოადგენდა; გ. კოსინამ კი ხმარებაში ფართოდ შემოიტანა არქეოლოგიური კულტურის ცნება, რომლის გავრცელებასაც გერმანელი არქეოლოგი ძირითადად მიგრაციების გზით ვარაუდობდა. ტრადიციულად ამ ენობრივ ჯგუფებთან და არქეოლოგიურ კულტურებთან ხდებოდა ისტორიულად (ძირითადად ანტიკური ხანის ავტორებთან) დამოწმებული "ეთნონიმების" შესაბამისობის ძიება. ხშირ შემთხვევაში ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებსაც კი "ემბენებოდა" ამ სქემაში ადგილი. ეს (ანუ ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემების შესაბამისობის ძიების) ტენდენცია თანამედროვე ეტაპზე ჩაანაცვლა "მოლეკულური გენეტიკისადმი" მზარდმა ინტერესმა. დღეს არაერთ ნაშრომს შევხვდებით, რომლებშიც ჰაპლოჯგუფები ისეთივე აქტიურ პერსონაჟებად გვევლინებიან, როგორც თავის დროზე თავის ქალები გვევლინებოდნენ.

ინდოევროპეისტიკა შეიძლება ჩაითვალოს კვლევის ინტერდისციპლინურ სფეროდ, სადაც ამ მიდგომამ ყველაზე თანმიმდევრული სახე მიიღო. ამის შედეგია სამეცნიერო ლიტერატურა "პროტოინდოევროპელთა" წინარესამშობლოსთან, ან უფრო კონკრეტულად ძველი გერმანელების, ან კელტების ეთნოგენეზთან დაკავშირებით.

ამ ტიპის კვლევები ყველა ეტაპზე ნაციონალისტური პათოსით იყო გაჟღენთილი. მათ ეკავათ კიდეც საპატიო ადგილი პირველ და მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ევროპული იმპერიების იდეოლოგიაში და დღესა არანაკლებ საპატიო ადგილს იკავებს ამა თუ იმ ქვეყანაში ნაციონალისტურ პარადიგმაში. საზოგადოების მხრიდან მზარდი ინტერესია იმის მიზეზი, რომ როგორც წესი ამ ტიპის ნაშრომები პოლიტიკური მანიფესტის, ჟურნალისტური სტატიისა და სამეცნიერო კვლევის ზღვარზე მერყეობს. სავსებით ბუნებრივია, რომ ეს განიზიდავს მეცნიერთა მეორე ნაწილს და უბიძგებს კვლევისთვის უფრო მოკრძალებული, ერთი დისციპლინის ფორმატში ამოხსნადი ამოცანები დაისახონ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ "დისციპლინური იზოლაცია" სხვა ტიპის

პრობლემებს ბადებს. კერძოდ, იკარგება სოციალური რეალობის ჰოლისტური სურათი; ანუ იკვეთება პრობლემა, რომლის შესახებაც წიგნის პირველ თავში ვისაუბრეთ.

დაისმის შეკითხვა - რამდენად ჭრის ამ პრობლემებს "მულტიდისციპლინური", "ინტერდისციპლინური" და "ტრანსდისციპლინური" მიდგომა.

მულტიდისციპლინური მიდგომა - მულტიდისციპლინური შეიძლება ვუწოდოთ მიდგომას, როცა კვლევაში მონაწილეობს არა ერთი, არამედ რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინა. სხვადასხვა დისციპლინები ამ შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მომწოდებლის როლში გვევლინება. მულტიდისციპლინურ ფორმატში შესრულებული ეთნოგენეტიკური კვლევები როგორ წესი ძალიან კარგად იკითხება - მკითხველს იზიდავს ერთი დისციპლინის ლოგიკაზე დაფუძნებული მკაფიო ნარატივი, რომელიც ეფექტურად მდიდრდება სხვადასხვა მეცნიერებების მონაცემებით.

მაგალითი 1.

მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ კიმერიელების ეთნიკური ისტორია, რომელიც ბევრი მეცნიერების ნაშრომებში მეტ-ნაკლებად მსგავსად აღიწერება. კიმერიელებს უწოდებენ ხალხს, რომელიც ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში სკვითების გამოჩენამდე ცხოვრობდა და რომლებსაც რკინის ხანის პერიპეტიები უკავშირდება.

რკინის ხანა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ძვ.წ. VIII საუკუნიდან (რკინის ნაკეთობების გამოჩენით) იწყება და ძვ. წ. I საუკუნეში (რომაული დაპყრობებით) მთავრდება. ამ პერიოდში ადგილი აქვს მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ ძვრებს, რის შედეგადაც ქვეყნის ამ ნაწილის განვითარების ახალი პერსპექტივები ისახება. ყურადღებას იმსახურებს, ასევე, ეთნიკური ისტორიის საკითხები, რადგან სწორედ ამ პერიოდში მიმდინარე მიგრაციების ფონზე ხდება ძველი გერმანელების, კელტების, ილირიელების და სხვა ეთნიკური ჯგუფების ფორმირება, რომლებმაც ანტიკურ და ადრემუასაუკუნეების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

რკინის ხანის დასაწყისი ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში ჰალშტატის არქეოლოგიურ კულტურასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ამ პერიოდის ეთნიკურ პროცესებზე საუბრისას, მისი გენეზისის პრობლემის განხილვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მას სახელი ავსტრიაში ქალაქ ჰალშტატის მახლობლად მდებარე სამაროვანის მიხედვით შეერქვა, სადაც 1846-1864 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად ამ პერიოდის ამსახველი პირველი ტიპური მასალა გამოვლინდა [7-173]. შემდგომი გათხრების შედეგად ნათელი შეიქმნა, რომ ჰალშტატი გვიანბრინჯაოს, ანუ ურნასამარხების ეპოქის შემდგომ პერიოდს წარმოადგენდა. მისი ქრონოლოგიის საკითხები დაამუშავა გერმანელმა არქეოლოგმა პ. რაინეკემ. მან ეს ხანა ოთხ: A, B, C, D პერიოდებად დაყო. მათგან პირველი და მეორე ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ეპოქას ეკუთვნის. საკუთრივ ჰალშტატის კულტურა კი C და D პერიოდებს მოიცავს, რომელიც ძვ.წ. VIII-ში იწყება.

ჰალშტატის არქეოლოგიური კულტურა დუნაის შუა დინებიდან პირინეის ნახევარკუნძულამდე და ადრეატიკის ზღვიდან ვისლა-ოდერის რაიონებამდე ვრცელდებოდა. გავრცელების ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე იგი, ბენზრია, რამოდენიმე

ლოკალური ვარიანტის სახით იყო წარმოდგენილი. ჩვეულებრივ, მის ოთხ ვარიანტს გამოყოფენ: 1. ადრიატიკულს (მოიცავს, ძირითადად ბალკანეთის ნახევარკუნძულს); 2. დუნაისპირულს (მოიცავს ავსტრიას, დას. უნგრეთს, ჩეხეთსა და მორავიას); 3. მესამე ვარიანტი ელბისა და ოდერის ზემო დინებას მოიცავს; 4. მეოთხე კი – რეინისა და რონის ზემო დინებას. აქვე შედის აღმ. საფრანგეთის, ჩრდ. შვეიცარიის და ჰესენსა და მაინცს შორის მდებარე ტერიტორიები.

ჰალშტატის კულტურის გენეზისის შესახებ ევროპულ არქეოლოგიაში არაერთგავროვანი შეხედულებები არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი (ი. ფილიპი, პ. ბოშ – გიმპერა, ა. მონგაიტი და სხვა) ხაზს უსმევს ამ კულტურის მემკვიდრეობას წინა პერიოდის ურნასამარხების კულტურასთან და მას ბრინჯაოს ხანის უშუალო კონტინუუმად განიხილავს. მეორე ნაწილი კი, (ვ. მეგოუ, პ. კორკორანი და სხვა), მართალია, ბრინჯაოს ხანასთან მის მემკვიდრეობითობას არ უარყოფს, მაგრამ ამავე პერიოდის ეთნიკურ პროცესებში ჩრდილოეთშავიზღვისპირეთიდან მოსული ელემენტის (კიმერიელების) მონაწილეობასაც ვარაუდობს.

მამასადამე, ჩვენს წინაშე, არქეოლოგიური თვალსაზრისით, ჰალშტატის კულტურის გენეზისის სამი შესაძლო ვარიანტი გადაიშლება: 1. ადრერკინის ხანის ცენტრალურ ევროპაში მნიშვნელოვან მიგრაციებს (მამასადამე ეთნიკურ ცვლილებებსაც) ადგილი არ ჰქონია; 2. ჩრდ. შავიზღვისპირეთიდან გარკვეულ მიგრაციას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მას მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები არ გამოუწვევია; 3. კიმერიელების მიგრაციამ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ძირეულ ეთნო-ლინგვისტურ ცვლილებებს დაუდო სათავე. ჩამოთვლილ ვერსიებს შორის უფრო ღირსეულის ამორჩევას დიდად ართულებს ის გარემოება, რომ არქეოლოგიურ მეცნიერებაში ბოლომდე არ არის განსაზღვრული თუ რა უნდა ჩავთვალოთ არქეოლოგიური კულტურის წიაღში მიმდინარე ცვლილებების მიზეზად. მართალია, სადღეისოდ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ეს პრობლემა მეტისმეტად სწორხაზოვნად მიგრაციულ ან ავტოქტონისტური კონცეფციის ჩარჩოებში განიხილებოდა, მაგრამ, ამ მხრივ, ბევრი პრობლემა დღემდის დაუძლეველია. ობიექტური და პროფესიონალური კვლევის შემთხვევაშიც კი შეიძლება არქეოლოგი მცდარ დასკვნებამდე მივიდეს. ამ პრობლემას კარგად აღწერს ვ. არუთიუნოვი. იგი აღნიშნავს, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით სავსებით შეუმჩნეველია ის ძირეული ეთნიკური ცვლილებები, რომლებსაც ძვ.წ. III-II ათასწლეულებში სამხრეთ შუამდინარეთის ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი. მაშინ, როცა მნიშვნელოვანი კულტურული ტრანსფორმაციები, ხშირად, სულაც არ არის განპირობებული ეთნიკური ცვლილებებით.

მსგავსი შეცდომებისგან თავის დადწევა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, როცა იმავე საკითხის საილუსტრაციოდ არქეოლოგიური მასალის გვერდით ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებიც მოგვეპოვება. ჩვენთვის საინტერესო საკითხი, საბედნიეროდ, სწორედ ასეთთა კატეგორიას განეკუთვნება. საქმე ისაა, რომ უკლებლივ ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ დასავლეთ ჰალშტატური ზონა კელტური ენების გავრცელების არეალს წარმოადგენდა, რომლის ბაზაზეც, ოდნავ მოგვიანებით, ლატენის არქეოლოგიური კულტურა ჩამოყალიბდა. კელტური ტომების შესახებ კი მრავალი წყარო

არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია იულიუს კეისარის „კომენტარები გალებთან ომის შესახებ“. ამ თხზულებაში აღწერილმა ავტორის მიერ გალურ „პლებსად“ წოდებული მოსახლეობის მეტისმეტად უუფლებო მდგომარეობამ მკვლევარები დიდი ხანია მიიყვანა მოსაზრებამდე, რომ გალური ტომების „პლებსა“ და „ნობილიტეს“ შორის არსებული ასეთი ძირეული განსხვავებების მიზეზი მათეთნიკური თვალსაზრისით განსხვავებულობაა. ეს მოსაზრება პირველად კ. ჟულიანმა გამოთქვა (თუმცა, იგი, პარალელურად, ალტერნატიულ მოსაზრებასაც ავითარებდა). მოგვიანებით კი - ჯ. არმანმა დახვეწა. იგი კელტურ საზოგადოებას ძველი სპარტის ტიპის წარმოქმნად თვლის, სადაც ეთნიკური და კლასობრივი განსხვავება ტოლფარდი ცნებები გახლდათ. გამოთქმულ მოსაზრებას, მართალია, ყველა არ იზიარებს, მაგრამ მის წინააღმდეგ სერიოზულ კონტრარგუმენტებსაც არავინ გამოთქვამს.

ზემოთმოყვანილი თეორიის გაზიარების შემთხვევაში ჩვენს წინაშე, ვფიქრობთ, ისტორიული ხასიათის საკმაოდ სერიოზული არგუმენტი ჩნდება, რომლის არქეოლოგიურ მონაცემებთან შეჯერებასაც შეუძლია საინტერესო დასკვნებამდე მიგვიყვანოს.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ როგორ ეფარება ზემოთმოყვანილ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალას არქეოლოგიური მონაცემები, საჭიროა, უფრო ახლოს გავცნოთ ე.წ. „კიმერიელებს პრობლემას“. ანტიკური და ძველადმოსავლური წყაროები კიმერიელების ჩრდილოეთშავიზღვისპირეთში მცხოვრებ „ტომებს“ უწოდებენ, რომლებმაც ძვ.წ. VIII საუკუნეში (სკვითების შემოხვევის გამო) თავიანთი საცხოვრისი მიატოვეს და წინა აზიას შეესივნენ.

კიმერიელების არქეოლოგიური იდენდიფიკაციის პრობლემა დიდი ხანია ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს. ჩვენს შემთხვევაში ყურადღებას ამ პრობლემის ერთ-ერთი ასპექტი, კერძოდ, კიმერიელების ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ლაშქრობის თეორია იმსახურებს. საქმე ისაა, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ევროპულ არქეოლოგიურ სინამდვილეში ვხვდებით რიგ კულტურულ არტეფაქტებს, რომლებიც ზოგიერთ მკვლევარს საშუალებას აძლევს ივარაუდოს, რომ მაშინ, როცა კიმერიელების ერთი ნაწილი წინა აზიას შეესია მისი მეორე ფრთა ევროპისკენ გაემართა. რიგ შემთხვევაში მათი ლაშქრობის მარშრუტებზეც კი მიუთითებენ [7-206]. ასეთ არტეფაქტებს შორის უნდა მოვიხსენიოთ: 1. ბელადის ოთხბორბლიანი საზიდრით დაკრძალვის ტრადიცია; 2. ცხონის სხვადასხვა აღკაზმულობები; რომლებსაც არქეტიპები ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის წინასკვითურ ხანაში ეძებნება. აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე პერიოდის ევროპაში ჩნდება დამარხვის ახალი წესები, რკინის მეურნეობა და სხვა. ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ მრავლად გვხვდება დამარხული განმები, რომ რაც შემოსევის არაპირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს.

ვფიქრობთ, რომ ეს არგუმენტები სავსებით საკმარისია საიმისოდ, რათა ძვ.წ. VIII ს-ში კიმერიელების დასავლური ლაშქრობის თეორია ვირწმუნოთ. ალბათ, არ შეგვცდებით თუ ვიტყვით, რომ ა. მონგაიტი ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს, როცა ზემოთჩამოთვლილი არტეფაქტების წარმოქმნის მიზეზად სავაჭრო ურთიერთობებს ასახელებს. ძალზე მოკლე პერიოდში: დამარხვის ახალი წესების შემოსვლა, მძლავრი არისტოკრატის

ჩამოყალიბება, ცხენის ამხედრებული ტარების ტრადიციის შემოსვლა, რკინის მეტალურგიის დანერგვა, სამოსახლო ფართობების გადიდება და ა.შ., ცენტრალური ევროპის არქეოლოგიურ მასალაში. ამჟამად, ჩრდილოეთშავიზღვისპირული მასალის არსებობის ფონზე, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს ცენტრალურ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოების ფორსირებული გზით განვითარების სურათი დავინახოთ. მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის მოსახლეობის (კიმერიელების) აქტიური დინამიკა სავსებით დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენს.

მეორე პრობლემა იმის განსაზღვრა, თუ რა როლი ითამაშა მოსულმა ელემენტმა ამ პერიოდის ევროპის ეთნიკურ ისტორიაში. ის ავტორებიც კი (პ. კორკორანი, ვ. მეგოუ) რომლებიც მთლიანობაში კიმერიელების დასავლური მიგრაციის თეორიას იზიარებენ უფრო იმ აზრის ჩანან, რომ ადრერკინის ხანაში მოსული ეს ელემენტი მთლიანად ურნასამარხების კულტურის შემქმნელი მოსახლეობის მიერ იქნა ასიმილირებული არადა ჩვენს მიერ ზემოთაღწერილი ისტორიული მონაცემები და ზოგადად ანტიკური და ძველარმოსავლური საზოგადოების ეთნიკური პროცესების დინამიკის კანონზომიერებების გათვალისწინება, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს რეალობა სხვაგვარად წარმოვიდგინოთ. ცნობილია, რომ ძველ დროში ეთნიკური ტრადიციების მთავარ მატარებელს „სუპერსტრატული“ და არა „სუბსტრატული“ მოსახლეობა წარმოადგენდა. თუკი კელტური საზოგადოების სტრუქტურის შესახებ კ. ჟულიანისა და ჟ. არმანის ზემოთ მოყვანილ თეორიას გავიზიარებთ და ამასთან, გალური ნობილიტეტის სიძლიერის დამადასტურებლად ჰალშტატური არისტოკრატის მდიდარ სამარხებს და სიმაგრეებს ჩავთვლით, ცოტა ძნელი გახდება „პლებისიგან“ არისტოკრატის ასიმილაციის ვარაუდი, უფრო მეტი არგუმენტები, ვფიქრობთ, საწინააღმდეგო მოსაზრების სასარგებლოდ არსებობს.

დასასრულს, საჭიროა ავლნიშნოთ, თუ რა ადგილი უჭირავთ კიმერიელებს ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ სინამდვილეში, რადგან ეს საკითხი (ზემოთმოყვანილი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში), ფაქტიურად, „ძველევროპულ“ ენებზე მოსაუბრე ხალხების ადრეულ ისტორიას წარმოადგენს. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ იგი დიდი ხანია საკმაოდ ფართო დისკუსიის საგანია. დადგენილია, რომ ამ (და არა მხოლოდ ამ) ტერიტორიაზე ძვ.წ. II-I ათასწლეულებში ორი მსხვილი კულტურულ-ისტორიული ერთობა (კატაკომბური და ძელური) არსებობდა, რომლების დაკავშირებასაც არქეოლოგები ისტორიულად შავიზღვისპირეთში ცნობილ ორ ისტორიულ სინამდვილესთან სკვითებთან და კიმერიელებთან ცდილობდნენ. საქმეს მეტად ართულებს ის გარემოება, რომ განსხვავებით სკვითებისგან (რომლებიც ინდო-ირანულ ენებზე საუბრობდნენ) ჯერ კიდევ არ არის დადგენილია თუ რომელ ენობრივ გარემოს ეკუთვნოდნენ კიმერიელები.

კიმერიელების „ძველევროპელობის“ თეორიის გაზიარების შემთხვევაში ამ პრობლემატიკის კვლევაში მეტი სიცხადის შეტანა შეიძლება. საქმე ისაა, რომ „ძველევროპულ“ ენობრივ ოჯახს ლინგვისტურად ბევრი რამ აკავშირებს ურალურ-ალთაურ, ენისეურ, უნგრო-ფინურ და სხვა. სავარაუდოდ, ძვ.წ III-II ათასწლეულებში,

ცენტრალურ აზიაში ლოკალიზებულ ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფებთან. ამ არგუმენტებზე დაყრდნობით თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი „ძველევროპელი ხალხების“ შუა აზიიდან დასავლეთით მიგრაციის თეორიას გვთავაზობენ. თუმცა, ამის საილუსტრაციო არქეოლოგიური არგუმენტები თითქმის არ მოყავთ.

ვფიქრობთ, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით უფრო ლოგიკური იქნება, თუ „ძველევროპულ“ ენებზე მოსაუბრე ხალხების ვოლგა-ურალის სტეპებიდან დასავლეთით მიგრაციას ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარს დავუკავშირებთ. ამ პერიოდში ვოლგა-ურალის სტეპებში ე.წ. ძელური კულტურულ-ისტორიული ერთობა ჩამოყალიბდა, რომელმაც ოდნავ მოგვიანებით (თავისი არსებობის II პერიოდში) გავრცელება აზოვისა და ჩრდილოეთმავიზღვისპირეთისკენ დაიწყო, სადაც მან კატაკომბური კულტურულ-ისტორიული ერთობის ადგილი დაიკავა. ამ ჰიპოთეზის უპირატესობა ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში ნათლად იკითხება კონტინიუმი ძელურ და ე.წ. კიმერიულ არქეოლოგიურ კულტურებს შორის.

ზემოთჩამოყალიბებული თეორია ე.წ. „ძველევროპულ“ ენებზე მოსაუბრე „ეთნო“-ლინგვისტური ჯგუფის ისტორიას გვიხატავს ძვ.წ. III ათასწლეულიდან ძვ.წ. I ათასწლეულამდე. გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს ენობრივი მასივი ჯერ ძელურ, შემდეგ კიმერიულ, შემდგომ კი ჰალშტატურ არქეოლოგიურ კულტურებს მოიცავდა, შესაძლოა ბევრ ჰიპოთეტურ მოსაზრებას მოიცავს, მაგრამ მას ბევრი ღირსებაც გააჩნია. კერძოდ, მასში თანამედროვე არქეოლოგიის, ლინგვისტიკის და ჰიდრო-ტოპონიმიკის ყველა მონაცემია გათვალისწინებული. ისინი აქ იმგვარად არიან დალაგებული, რომ ერთმანეთისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს არ წარმოადგენენ. ეს კი ეთნოგენეზის საკითხებზე საუბრისას საკმაოდ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

ასეთ სტილში იწერება ეთნოგენეტიკური ნაშრომების აბსოლუტური უმრავლესობა. ასეთი ტიპის ნაშრომების უმეტესობა უმეტესად ისტორიკოსების დაწერილია, რომლებიც იოლად ნახულობენ საჭირო სიტყვებს თანამედროვე პუბლიკასთან დიალოგისთვის. მკითხველს იზიდავს ერთი ეთნიკური ჯგუფის თავგადასავალის ამსახველი მეტა-ჩარჩო და მისი ცალკეული ფაზლების ამსახველი კვლევები, რომლებიც დაინტერესებული მკითხველს უფრო დეტალურ ინფორმაციას აწვდის. საინტერესოა, რომ ყველა ამ ტიპის კვლევაში ხაზგასმით ითქმის, რომ კიმერიელებში არ უნდა ამოვიცნოთ ერთგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, ნაშრომი მაინც ისე იკითხება თითქოს ერთი ეთნიკური ჯგუფის (ტომის, ტომთა კავშირის, ხალხის) თავგადასავალს ეხებოდეს.

არანაკლებს მომხიბვლელია ერთი "უწყვეტი ეთნიკური ისტორიის" ამსახველი არქეოლოგიური სახელმძღვანელოები. მაგალითად, ნაშრომები, რომლებიც ქართველი ხალხისა და ქართული ტრადიციების უწყვეტი განვითარების სურათს წარმოაჩენს პალეოლითური, ან ნეოლითური ხანიდან ადრე რკინის ხანის ჩათვლით. ამგვარ მიდგომას საფუძველი ბორის კუფტინმა ჩაუყარა. მისი ტრადიციები არაჩვეულებრივად განაგრძეს ო. ჯაფარიძემ და სხვა არქეოლოგებმა. მათი საშუალებით მკითხველის წინაშე გადაიშლება არაჩვეულებრივად ტევადი და საინტერესო მეტა-ნარატივი იმისა, თუ

როგორ გადმოგვემდინე ჩვენი წინაპრები იდენტობას თუ არა ეთნიკურ ტრადიციებს მაინც და რა ადგილი ეკავა ამ ჭაჭში პალეოლითური მღვიმეების კულტურას, დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კულტურებს, შულავერ-შომუთეფეს კულტურას, სიონის კულტურას, მტკვარ-არაქსის კულტურას, ბედენისა და თრიალეთის კულტურებს და გვინბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კოლხურ და იბერიულ კულტურულ წრეებს, რომლებიც კარებს უღებენ იმ პერიოდს, როცა ჩნდება წერილობითი წყაროები და რომლის შემდეგაც ჩვენი წინაპრები უეჭველად უწყვეტად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ეს ნარატივი მძაფრდება ერთი მხრივ იმით, რომ ალაგ-ალაგ შემოდის ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ამ ტრადიციების კონტინუუმს გვაჩვენებს; მეორე მხრივ კი ქართველურ ენებზე მოსაუბრეების შესახებ ლინგვისტური მონაცემებით. დინამიკას ქმნის ასევე პროგრესის იდეა და იმის "საფრთხე", რომ ეს კულტურები სხვა ენებზე მოსაუბრე ხალხის მიერ შექმნილი შეიძლება გამოდგეს. დღეს ეს ნარატივი კიდევ უფრო ძლიერდება მოლეკულური გენეტიკის წყალობით.

მსგავსად ისტორიკოსებისა, რომლებიც პირდაპირ არ აცხადებენ, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფის ისტორიას იკვლევენ არქეოლოგებიც ხაზგასმით აცხადებენ, რომ ეთნოსები მაშინ სხვანაირი იყო და ეთნიკური ისტორიაც დღევანდელი

ამ ტიპის ნაშრომები უდაოდ აღვივებს პატრიოტიზმის გრძნობას და აძლიერებს ნაციად ყოფნის განცდას, თუმცა, ამ შემთხვევაში ხდება დისციპლინათმორისი საზღვრების გაძლიერება და რაც ანაქრონიზმი და ავთენტური სოციალური რეალობის უგულვებელყოფა (ანუ პრობლემა, რომელიც წიგნის მეორე თავში იქნა გაშუქებული).

ინტერდისციპლინური მიდგომების შემთხვევაში ხდება მომიჯნავე მეცნიერებების კვლევის მეთოდების აკომოდაცია. მაგალითად, ისტორიკოსისთვის ლინგვისტიკა უბრალოდ წყარო კი არ არის, არამედ ლინგვისტური მიდგომა გამოყენებულია შესასწავლად შერჩეული სოციალური რეალობის განსხვავებული კუთხით შესასწავლად.

ტრანსდისციპლინური მიდგომის შემთხვევაში მთავარი იმპერატივია შესასწავლი ფენომენი და ცოდნის მთლიანობის იმპერატივი. მის ფარგლებში ხშირად კვლევის მეთოდებსაც კი არ განსაზღვრავენ, უბრალოდ ფოკუსირდებიან სოციალური რეალობის რაობაზე და ასეთ სტილში განსაზღვრავენ კვლევის ობიექტს.

ისტორიოგრაფიაში არაერთხელ ყოფილა ტრანსდისციპლინური პროექტები გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ეტაპზე ეთნოგენეზოლოგიას მტკიცე სინთეზი სჭირდება კიდევ სხვა დარგებთან, რომლებიც თავის მხრივ ასევე განიცდიან ცალმხრივობას. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება **ისტორიას, სოციალოგიას, ანთროპოლოგიას, კულტუროლოგიას, მემორი სთადის** და სხვა სფეროებს, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ ერთსა და იმავე რეალობას სხვადასხვა აქცენტებითა და ცნებებით აღწერენ. წინამდებარე მონოგრაფიაში შემოთავაზებულია კვლევის მეთოდი, რომელიც ამგვარი სინთეზის შესაძლებლობას მოგვცემს. მისთვის საკვანძო ცნებებია: **ეთნოგენეზი, ეთნიკური ისტორია, სოციალური ისტორია, პოლიტიკური ისტორია, სოციალური კონტროლი, იდენტობა, მეხსიერების პოლიტიკა.** ნაშრომში ეს ცნებები ნაშრომში

ურთიერთდაკავშირებულად განიხილება (შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთთან არის გაიგივებული). თითოეულ ამ ტერმინს ცხადია საკუთარი მნიშვნელობა და შესწავლის ტრადიცია გააჩნია, თუმცა, როდესაც ისტორიულ რეალობას/მაგალითებს აღვწერთ აქ მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ სამეცნიერო დისციპლინას წარმოადგენს ავტორი.

მოკლედ ვთქვათ კვლევის თითოეული იმ მიმართულების შესახებ, რომელსაც და სინთეზის/ეთნო-სოციალური ისტორიის პროექტში ემეზნება ადგილი. ეს უფრო კონკრეტულად გამოჩნდება ის პრობლემატიკაც, რომელსაც ვცდილობთ შევცხოთ.

ა) ისტორია ფართო გაგებით ყველაფერს გულისხმობს. დღეს თითქოს არავინ დაობს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს არის მეცნიერება, რომელიც ადამიანთა საზოგადოებას დროის ჭრილში შეისწავლის, თუმცა, ამ დეფინიციას ნაკლებად შეესაბამება ისტორიის წერის ტრადიცია. ტერმინის „ისტორია“ „პრივატიზირება“ XIX საუკუნეში **პოლიტიკურმა ისტორიამ** მოახდინა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა გაბმული პოლიტიკური ისტორიის პრიმატი ისტორიის ფორმატში/ე.წ. ფრანსუა მაბლის სტილში ქართველების, ფრანგების, გერმანელების და ხალხების ისტორიის წერის ტრადიცია. ამ ტიპის ისტორიების ცალმხრივობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ჩვენი მხრივ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ მართალია ამ ტიპის ისტორიების ცენტრში თითქოს ეთნოსები/ნაციები/ეთნიკური ჯგუფები დგანან, მაგრამ სიმძიმის ცენტრი აშკარად პოლიტიკურ ისტორიაზე (ჰეგემონობისთვის ბრძოლა, დიდი პიროვნებების საქმეებთან, სასაზღვრო-ტერიტორიული კონფლიქტები, კულუარული ინტრიგები და სხვა) გადადის საკუთრივ ეთნიკური ისტორიის საკითხები კი პრაქტიკულად „თამაშვარე მდგომარეობაში“ რჩება. ეს კი იწვევს ხელშესახებ შეცდომებს. ვლადიმერ ვლასოვმა ჩვენს ისტორიაზე ისე, რომ მკაფიოდ არ ვხსნიტ რას გულისხმობს ეს „ჩვენ“ წარსულის სხვადასხვა ეტაპზე.

ბ) XX საუკუნის 20-30 იანი წლებიდან, პოლიტიკური ისტორიის ცალმხრივობაზე ლაპარაკის ფონზე შეიქმნა კვლევის ტრადიცია, რომელსაც ინგლისურენოვან ლიტერატურაში უფრო **„სოციალური ისტორიის“**, ფრანგულ აკადემიაში კი **„ტოტალური ისტორიის“ / „ანალების სკოლის“** სახელით იცნობენ. ცალკე ავტონომიურ თრენდათ უნდა მოვიხსენიოთ ალბათ **გლობალური ისტორიაც**.

ცალკე საქმეა პრობლემები, რომლებიც მარკ ბლოკის ნაშრომებში იკვეთება, რომელსაც მართლაც ჰქონდა მაკროისტორიული სინთეზის მცდელობა ეს პრობლემებია ა) ტერმინოლოგია; ბ) ისტორიული ცოდნის ორგანიზება; გ) წყაროები; ბ) სხვა დისციპლინებთან მიმართება.

ისტორიოგრაფიაში ამ რევოლუციის შედეგია კვლევის სრულიად ახალი პერსპექტივების და ინტეგრირებული კონტექსტების ჩამოყალიბება, სადაც ერთმანეთთან საერთო ენა იპოვა სოციოლოგიამ, ისტორიამ, ანთროპოლოგიამ, საზოგადოებრივმა გეოგრაფიამ, დემოგრაფიამ. თუმცა, ამ სინთეზსაც აღმოაჩნდა ხელშესახები პრობლემები, რომლებზეც ასევე ბევრი თქმულა და დაწერილა. მათ შორის მთავარი ისაა, რომ გლობალური ისტორიის ფორმატში ადგილი ვერ იპოვა „ისტორია თხრობამ“ (რომელიც „ისტორია პრობლემამ“ განდევნა) - ან ადგილობრივთა დისკურსებმა, რომელიც პროცესების

დინამიკას/დისკურსების განვითარებას წარმოაჩენეს. ჩვენი მხრივ იგივეს დავამატებთ ეს კვლევები ვერ გამოკვეთს სიტყვას „ჩვენ“/და მის ტრანსფორმაცია, რომელიც ეთნიკური ისტორიისთვის საკვანძო სიტყვაა და რომელიც თავისი აშკარად ინტეგრირებული ბუნების მიუხედავად აქაც „ინტეგრირებული პროექტის“ მიღმა დარჩა.

ანალების სკოლისგან განსხვავებული სოციალური ისტორიის კვლევაც არ არის დაზღვეული მსგავსი პრობლემებისგან. ფ. ტილი სოციალური ისტორიის არსს ასე აღწერს. შეისწავლე მაკროსოციალური მოვლენები, შეისწავლე ერთი ადამიანის პერსპექტივა, შემდეგ კი დაუკავშირე ისინი ერთმანეთს. თუმცა, კვლევის ასეთ დღის წესრიგს რატომღაც ნაკლებად მოჰყვა ისეთი პერსპექტივების წინ წამოწევა, როგორებიცაა ადამიანის იდენტობის განვითარება, კონკრეტული ჯგუფების დროსა და სივრცეში ტრანსფორმაცია და ა.შ.

სათქმელი ილია ჭავჭავაძის ქართველი მკითხველისთვის კარგად ცნობილი გამონათქვამის საფუძველზე რომ ვთქვათ ანალების სკოლამ „მეფეების ისტორია, მართლაც შეცვალა ხალხის ისტორიით“, თუმცა, ხალხში ტერმინი მოსახლეობა (ამა თუ იმ ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები ადამიანები უფრო იგულისხმება) ვიდრე კონკრეტული საზოგადოებები, რომლების თვალითაც სრულიად განსხვავებულად ჩანდა პოლიტიკური თუ მაკროსოციალური მოვლენები და უპირველესად რომელთა იდენტობასაც ავითარებდა შექმნილი მოვლენები. არ იქნება გადაჭარბება, თუკი ვიტყვით, რომ ანალების სკოლამ „მოსახლეობის“ კვლევის ხარჯზე საზოგადოება დაკარგა. ამ დანაკარგის შევსება ათვლის წერდილად ამა თუ იმ ეპოქაში სიტყვის „ჩვენ“ დისკურსის წინ წამოწევას შეუძლია.

გ) ასეთი ტიპის დანაკარგს (ანუ საზოგადოების ფენომენის იგნორირებას) ვერც ის მეცნიერება აცდა, რომელსაც დასახელებაშივე აქვს დაფიქსირებული „საზოგადოება“, როგორც შესწავლის ობიექტი. ცხადია ვსაუბრობთ „სოციოლოგიაზე“. მან თითქოს რაღაც ეტაპზე თეორიტიკოსის როლი იტვირთა, თუმცა, დღეს ისიც კვლევის სფეროს გაფართოვებას ესწრაფვის. ამის დასტურია ემანუელ ვალერსტაინი და მისი სკოლა, რომელიც ხშირად ისტორიულ სოციოლოგიად არის სახელდებული.

მიდგომა ძალიან სწორია, თუმცა, კვლევის მეთოდები საკითხავია რამდენად იძლევა დათქმულ შედეგს. თუმცა, ეს სინთეზის ერთ-ერთი მცდელობაა. თუმცა, ვალერსტაინის სინთეზები მარქსის და ბროდელის სინთეზებს უფრო მიაგავს. აქაც „ჩვენ“ დისკურსი იგნორირებულია;

დ) ასეთი ტიპის სინთეზებზე ბუნებრივად ორიენტირებული დარგია ასევე **ანთროპოლოგია**, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში კვლევის სხვადასხვა ტრადიციას აერთიანებს. ამერიკული გაგებით ის ნიშნავს (ჩვენს სინამდვილეში კი ცოდნის ეს სფერო ტერმინებით ეთნოგრაფია და ეთნოლოგია აღიწერებოდა ბოლო პერიოდში სინთეზებისდმი სწრაფვის მიღმა არც ეს სფერო დარჩენილა. ამის შედეგია ზიდების პრიმიტიული საზოგადოების შესწავლიდან თანამედროვე საზოგადოებაზე. სიტყვა ანთროპოლოგიის გავრცელებაზე სხვადასხვა სფეროებზე, თუმცა, საინტერესოა, რომ „ჩვენ დისკურსი“ აქაც „სინთეზის პროექტის“ მიღმა რჩება. ამის გამომავალი შეიძლება

ადასტურებდეს ბევრ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) ტერმინების ეთნოლოგია (და ეთნოგრაფია) ანთროპოლოგია.

ე) ცალკე უნდა ითქვას დარგებზე, რომლებიც ლამის პირდაპირ ინტერდისციპლინური სინთეზისთვის არიან შექმნილი, მაგალითად, **მემორი სთადი, კულტუროლოგია - ლოკალურ ცივილიზაციათა და კულტურათა შესწავლა** და არც მათი კლასიკოსები (შპენგლერი, დანილევსკი, ჰოლსბახი, ნორა) ცნობენ ისტორიზმის და ეთნიკური ისტორიის მიდგომას. თვით ისეთ სფეროებშიც კი როგორც არის ნაციონალიზმის კვლევა დომინირებას კონსტრუქტივისტული მიდგომები, რომლებიც მიმართულია პრიმორდიალიზმის წინააღმდეგ. საითაც არ უნდა იყოს სიმართლე ამ დისკუსიაში ფაქტია, რომ რეალურად ის ეთნიკური ისტორიის როლის დაკნინებაზეა მიმართული. იგივე ითქვამის ინდოევროპეისტიკის ტიპის დარგებზე, სადაც ასევე ყველა ძალიან მორიდებით საუბრობს არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალის სოციალურ რეალობასთან გაიგივებაზე მაშინ, როცა წინათ ეს წამყვანი ტენდენცია იყო.

რა შეიძლება ჩაითვალოს განზოგადებულად ყველა ზემოჩამოთვლილი „ინტერდისციპლინური პროექტის“ საერთო ნაკლად? ამაზე მინიშნებები ზემოთაც გვქონდა - მათი საერთო ხარვაზია „ჩვენ“ დისკურსის და მისი განვითარების დინამიკის იგნორირება, რომელიც ისტორიულად განიცდის ევოლუციას და რომელიც საუკეთესოდ წარმოაჩენს ისტორიის მთავარ პერსონაჟებს / რომ არ ვთქვათ მამოძრავებელ ძალებს. ამ დისკურსისთვის კარის ასე დახურვა ალბათ ეთნიკურ ისტორიასთან/და ეთნოგენეზოლოგიასთან მისი მონათესავეობით უნდა აიხსნას. XIX-XX საუკუნეში ეთნიკურობის ისტორია ხშირად იყო და არის პოლიტიკური ინსტრუმენტი, რამაც მას სახელი გაუტეხა, თუმცა, „ნაბან წყალზე ბავშვის გადაყოლება“ ცხადია არ არის სწორი მიდგომა. ეთნიკურ ისტორია / ანუ ეთნიკურობის (სიტყვის "ჩვენ") არის ათვლის წერტილი/მიდგომა, რომელსაც სხვებზე ბევრად უკეთ შეუძლია ინტერდისციპლინური სინთეზები უზრუნველყოფა. სიტყვა „ჩვენ“ ყველაზე მეტად ხელშესახები სიტყვაა და რომელიც ყველაზე მკვეთრად გვაჩვენებს ისტორიის მთავარ აქტორებს / შესაძლოა ისტორიის მამოძრავებელ ძალებსაც.

ვინ არიან ისტორიის მთავარი პერსონაჟები? ან რა ათვლის წერტილებზე ორიენტირებას შეუძლია მოგვცეს სწორი რაკურსი სოციალური ისტორიის კვლევისას? ამ შეკითხვაზე პასუხი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს - დაწყებული იმით, რომ მთავარი პერსონაჟებია დიდი ისტორიული პიროვნებები, სახელმწიფოები, ან პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის წყალობით სამეცნიერო წრე-ბრუნვაში ფართოდ დამკვიდრებული კონსტრუქტები (მაგალითად, ჯვაროსნული ლაშქრობები), ან მარქსისტული ისტორიოგრაფიის გავლენით შემოტანილი ფორმაციები; ან ერები, რომლებიც პრიმატად ნაციონალისტურმა ისტორიოგრაფია დაამკვიდრა; დამთავრებული იმით, რომ ისტორიის პერსონაჟია ბროდელის „Long Duree“ - ეს ტიპის კონსტრუქცია. თუმცა, ყველაფერი ეს მეცნიერთა ენაა და მეტი არაფერი (ჯვაროსნების ეპოქის მაცხოვრებლებმა არ იცოდნენ, რომ პროცესს, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯვაროსნული ომები ერქვა; არც დიდი პიროვნებები იყვნენ შექმნილი ან შერისხული ერთი და იგივე მიზეზით ეპოქის თანამედროვეთა და XIX-XX საუკუნეების მეცნიერთა მიერ; საქართველოს, ინგლისის,

საფრანგეთის იდეაც, რომლის ჩარჩოშიც ნაციონალური ისტორია იწერება დღევანდელი გაგებით ადრე არ არსებობდა; არც ფორმაციებს აღიქვამდნენ ძველად ცალ-ცალკე და არც „მულტიკულტურულ ხმელთაშუაზღვისპირეთს“ აღიქვამდნენ ერთიანობად ფილიპე მეორის ეპოქაში). ადგილობრივთა ენა და სააზროვნო კატეგორიები კი სულ სხვა აპარატამდე დაიყვანება. ამ აპარატებს შორის საერთო არის მხოლოდ დისკურსი "ჩვენ" და ძალაუფლებისთვის ბრძოლა/"სოციალური კაპიტალის" დაგროვება ამ დისკურსის ფარგლებში ნარატივების გამოყენებით.

როგორი უნდა იყოს თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებისთვის კვლევის მეთოდები და საკვლევი შეკითხვები. მარტივად და ყველასთვის მისაღებად რომ ვთქვათ საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფუნქცია არის სოციალური რეალობის - აღწერა (პასუხი შეკითხვაზე „რა“), ახსნა (პასუხი შეკითხვებზე „რატომ“, „როგორ“) და შეფასება (პასუხი შეკითხვებზე - „რა მნიშვნელობა აქვს“, „რას გვაძლევს ამის ცოდნა“). თუმცა, ყოველივე ეს არც ისე იოლია. აღწერის პრობლემებს, კარგად აჩვენებს უცხოელი მოგზაურების ჩანაწერები, რომლებიც სხვა კულტურის რეალობას ლამის ღიმილისმომგვრელი დასკვნების ფონზე აღწერდნენ; ახსნის პრობლემების გენერალიზება კარგად შეიძლება „პოზიტივისტური მეცნიერებების“ კრახით, შეფასების კუთხით კი მხოლოდ იმის გახსენებაც საკმარისა, თუ რაოდენ ხშირად და მრავალმხრივად იყო ისტორიული ბუნების ნაშრომები ამა თუ იმ პოლიტიკური ისტორიის სამსახურად. ამ პრობლემების გათვალისწინებას დღეს მკაფიოდ მივყავართ კვლევის მეთოდებთან დაკავშირებულ შეკითხვებამდე, რომელსაც „პრაქტიკოსი მეცნიერები“ ან აიგნორებენ, ან ძალიან ვიწრო ჭრილში განიხილავენ.

მეთოდი სხვა არაფერია თუ არა პასუხი შეკითხვაზე - როგორ? როგორ ვაგროვებ მასალას საკვლევი ობიექტის შესასწავლად? ჩვენთვის უალტერნატიულოა აბდაქტიური, შეიძლება ითქვას თვისებრივი მეთოდი. რომელიც გვეხმარება საზოგადოება შეგინიდან, აქტორების თვალთ დავინახოთ. იგივეს იძლევა კომპლექსურ-ინტენსიური და ჩართული კვლევი მეთოდით და ტექსტების ჰერმენევტიკული ანალიზიც. ცხადია ამ მეთოდს სხვადასხვა სიტუაში აქვს შეზღუდვა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

მიდგომის უფრო მკაფიოდ წარმოჩენაში დაგვეხმარება ენტონი გიდენსის ზემოთ უკვე ნახსენები მიდგომა - „ორმაგი ჰერმენევტიკა“, რომლის მიხედვითაც სოციალურ კვლევაში მთავარი როლი ენიჭება აქტორების კონსტრუქტებს (მკვლევრის მხრიდან მათ გააზრებას) და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ამ კონსტრუქტებზე დაყრდნობით სოციალური რეალობის უფრო განზოგადებული აღწერა. ენტონი გიდენსი მეტ აქცენტს სოციოლოგიაზე აკეთებს, თუმცა, ისტორიის შემთხვევაშიც ზუსტად იგივეზე შეიძლება მსჯელობა (ამ საკითხს ქვემოთ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით).

აბდუქტივიზმის მეთოდის იდეის გაგებაში და ეთნოისტორიასთან მისადაგებაში დაგვეხმარება მისი შედარება ერთის მხრივ ინდუქციასთან და დედუქციასთან, მეორე მხრივ კი რეტროდაქტიულ მეთოდთან (პირველი და მეორე შემთხვევაში შედარება შეპირისპირებითი ხასიათის იქნება; მეორე შემთხვევაში კი - შემავსებელი ხასიათის).

დედუქცია და ინდუქცია არის კვლევის მეთოდი/მასალის ორგანიზების/არგუმენტირების სტილი, რომელსაც სოციალურ მეცნიერებებში პირველ რიგში უნდა გავემიჯნოთ. ამ

დროს შესასწავლი ფენომენის ზედაპირული გააზრების გზით ხდება კატეგორიების გამოკვეთა, უფრო სწორად ფრაგმენტიზირება და ისეთ კალათაში ჩაყრა, რომელიც კონტექსტს არ ითვალისწინებს. ეთნოგენეზის დისკურსში ინდუქცია შეიძლება ვუწოდოთ ღვე გუმილევის მიდგომას, რომელიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეძებს პასიონარებს და პასიონარულ ბიძგებს. ანუ კალათაა პასიონარები - თეორიაა პასიონარული ბიძგები და მათი აღმოჩენის მეთოდი ინდუქცია. ინდუქციის გამოვლინებაა ასევე წყაროებში ეთნოისტორიის საკითხების ფრაგმენტულად ამოკრება; უფრო ზოგადად კი დაარქივების წესი, რასაც მარკ ბლოკი ძალიან აკრიტიკება (კრაფტ 3)

ეთნოგენეზის პრობლემების კვლევას კიდევ მეტად სცოდავს დედუქციის კუთხით. დღეს არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, თანამედროვეობისთვის აქტუალური შეკითხვების ფონზე იკვლევს მაგალითად ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის ეთნიკურ ისტორიას, ეკონომიკას, პოლიტიკას, სოციალურ მოწყობას ისე, თითქოს ეს სიტყვები მართლაც აქტუალური იყო იმ ეპოქის მცხოვრებლებისთვის. „სახელი ხვედრია“ არასწორ სათაურს შემოაქვს არასწორი ათვლის წერტილები, არასწორი განზოგადებული სააზროვნო კატეგორიები (დღევანდებობის), რაც არასწორ სურათს ქმნის. დედუქციური კვლევის კარგი მაგალითია ტრანსეპოქური ეთნიკური ისტორიები, რომლებიც საკმარის ყურადღებას არ უთმობს სხვადასხვა ეპოქაში იდენტობის მარკერების და მათ განსხვავებულ დატვირთვას. ისტორიულ მეცნიერებაში დედუქციური მიდგომის მაგალითად შეგვიძლია ჩავთვალოთ ეკონომიკის ისტორიები, რომლების წერასაც დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, ფეოდალიზმის შესწავლისას ხდება ეკონომიკური ბუნების ფაქტების გამოკვეთა ვერტიკალურ ჭრილში, რაც ქმნის ერთიან სტატისტიკას ფორმაციის აღსაწერად და კანონზომიერებების გამოსაკვეთად. მთავარი შეცდომა ამ დროს არის „თანამედროვე გადასახედიდან“ შექმნილი კალათები და კონტექსტის იგნორირებით გაკეთებული დასკვნები. ამ ტიპის დისკუსიის გამოძახილია მსჯელობა „ჰომო ეკონომიკუსის“ კონცეპტზე, რომელიც ადამიანის სტიმულებს ერთნაირად წარმოაჩენს ყველა ეპოქაში, რასაც მოჰყვა კარლ პოლანის მხრიდან კრიტიკა ეკონომიკური ანთროპოლოგიის ფორმატში.

აბდაქტივიზმის შემთხვევაში მთავარი აქცენტი სწორედ ამაზე კეთდება - როგორ ესმით ადგილობრივებს სოციალური ტერმინები, რა არის აქტუალური საკითხები? მისი რეალიზება მხოლოდ ნარატივების ორგანიზებით შეიძლება; თანამედროვეთა ნარატივი უნდა იყოს ის მარგანიზებული (რის დეფიციტსაა ასე განიცდის ინდუქცია და დედუქცია).

თუმცა, აქცენტი აბდაქტივიზმზე სულად არ გულისმობს ერთეულ ქეისთა შესწავლას განზოგადებების გარეშე. ამ დროს შემოდის სწორედ რეტორდაქტიული კვლევის იდეა და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები.

და მაინც ზემოთქმულის გათვალისწინებით ეთნოგენეზის საკითხების კვლევის მეთოდი / ანუ ეთნოსოციალური ისტორიის სინთეზი. როგორ უნდა მოხდეს მასალების დაჯგუფება სოციალური კვლევისას.

- უპირველეს ყოვლისა განხილვისთვის უნდა შეირჩეს ძალიან კონკრეტული საზოგადოების/საზოგადოებების ქეისი, რომელზე დაფუძნებითაც განხორციელდება ჰერმენევტიკის პირველი პლასტი;

ამ ქეისის მაგალითზე უნდა წარმოჩნდეს:

- ვინ იყვნენ ელიტები, რომლებიც „განსხვავებულობის პოლიტიკას“ აწარმოებდნენ **(დიდი პიროვნებები; საზოგადოე მოღვაწეების წრეები);**
- რა ტიპის საზოგადოებრივი ჯგუფების (სოციალური წესრიგის, იდენტობის მარკერების) მოდელირებაზე/გამოლიერებაზე იყო ორიენტირებული ელიტების მცდელობები **(სოციალური ისტორია) - აქ უკვე ჰერმენევტიკის მეორე პლასტი შემოდის;**
- რა მსოფლმხედველობრივ წანამდგვრებთან იყო დაკავშირებული „ახალი პროექტის“ რეალიზება - რა პარალელები ეძებნება ამ იდეებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებსა და წინარე ისტორიულ პერიოდებში **(კულტურის ისტორია);**
- როგორ მიმდინარეობდა „ახალი პროექტის“ ჩამოყალიბებისა და რეალიზების პროცესი **(პოლიტიკური ისტორია);**
- რამდენად ჰომოგენური იყო პროექტი (არსებობდა თუ არა შიდა კონფლიქტები მისი ჩამოყალიბებისა და რეალიზების პროცესში);
- არსებობდა თუ არა პარალელური ან ოპოზიციური მსგავსი პროექტები; რა ჰქონდათ მათ მსგავსი და განსხვავებული;
- რა დარჩა ამ პროექტისგან / რის კონტინიუმს ვადევნებთ თვალს შემდგომ პერიოდში **(ისტორიული მეხსიერება);**
- რის განსხვავდება საზოგადოების ამ მოდელის ფარგლებში მიმდინარე ეთნო-სოციალური პროცესები წინარე და შემდგომი პერიოდის მოდელის საზოგადოებებისთვის დამახასიათებელი რეალობისგან (აქაც იგივე ჰერმენევტიკის მეორე პლასტია აქტუალური).

აქვე უნდა ითქვას ამ მეთოდის შეზღუდულობასთან დაკავშირებით. ეთნოგენეზის საკითხებში ელიტების როლის აღიარება იმის გასაღებსაც გვაძლევს, თუ როგორ უნდა მოხდეს ზემოჩამოთვლილი საკვლევი შეკითხვების შესწავლა. საამისოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ მწერლობას, რომელიც გამოდის მმართველი ელიტის კანცელარიიდან, ან მასთან ოპოზიციურად განწყობილი კლუბიდან წამოსული ნარატივების საშუალებით. ისტორიული მწერლობა კლასიკური გაგებით ისტორიის ყველა ეტაპზე არ გვხვდება, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პერიოდში არც ეთნოგენეზისა და ეთნო-ისტორია მიმდინარეობს. სხვადასხვა მოდელის საზოგადოებაში ადვილად მოინახება ისტორიკოსის და ისტორიოგრაფიის ფუნქციური ექვივალენტები - შამანი/აკსაკალი/აიდი/ მემატანე / მწერალი - რომელიც მეტანარატივის ჩარჩოს განსაზღვრავს. აქვე უნდა ვახსენოთ ხელოვნების ნიმუშები და სიმბოლოები, რომელიც გარკვეული თვალსწარმისით ოფიციალური ისტორიოგრაფიის გაგრძელებას წარმოადგენს. მაგალითად, ახალი და უახლესი პერიოდისთვის (მაგალითად, საბჭოთა მოდერნისთვის) კი შესაძლოა სხვა ტიპის წყაროების, მაგალითად ისტორიული ფილმების გამოყენება, რომელიც ოფიციალურ ისტორიოგრაფიაზე არანაკლებ კარგად ასახავს „ოფიციალურ მეხსიერებას“.

წყაროებზე საუბრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველწყაროებს (და არა მეორად წყაროებს). ტექსტი უპირველეს ყოვლისა მესიჯია თანამედროვეთათვის და მხოლოდ ამის

შემდეგ წარმოაჩენს წარსულს. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტექსტი მხოლოდ ნაწერი არ არის. ტექსტს ნებისმიერი არქეფაქტი მოიცავს (მეორე საქმეა რამდენად მოხერხდება მეცნიერთა მიერ ამ ტექსტის წაკითხვა).

& & &

წიგნის თითოეული თავი საზოგადოების ერთ მოდელს ეძღვნება და ერთ ქეისს განიხილავს. თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული ეპოქის ტექსტებთან მუშაობა ამის შესახებ წიგნის თითოეული თავის შესავალ ნაწილში ვიმსჯელებთ აქ განზოგადებულად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ წყაროზე მუშაობისას უპირველესი მნიშვნელობა აქვს ავტორის, როგორც სოციალური აქტორის მსოფლმხედველობის შესწავლას და იმ დისკურსების გამოკვეთას, რომელთა განვითარებაშიც მას საკუთარი ნარატივებით შეაქვს წვლილი.

წიგნს სათაურები ნიკო ბერძენიშვილის გავლენით აქვს დარქმეული, თუმცა, არის ვარიაციები, რომელიც ზუსტად არ მისდევს ისტორიული გეოგრაფიის პრინციპებს. აქ სათაურებად გამოტანილია არა იმედნად საზოგადოების ძირითადი სოციალური უჯრედი, როგორც ეს ნიკო ბერძენიშვილთან ჩანს, არამედ „პროექტის მეტა-ჩარჩო“ - რა წარმოადგენდა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე / საზოგადოების სხვადასხვა მოდელის ფარგლებში მთავარ გამამთლიანებელს. ეს სათაურები ცხადია საქართველოსა და კავკასიის რეალობას წარმოაჩენენ და არ შეიძლება გაიგივდეს მთლიანად ამ ეპოქის მოდელთა სახელდებისთვის:

მეორე თავში - „**ქვეყანა გამოქვამულისა**“ დახასიათებულია პალეოლითური და მეზოლითური პერიოდი საწურბლია მღვიმის ქეისის საფუძველზე - ამ შემთხვევაში ქეისად აღებულია საწურბლიასა და ძუძუნას მღვიმეები.

ამ პერიოდის საზოგადოება თავისებურ „სენგულარულ“ მოდელს ქმნის, რომელშიც საეჭვოა რამდენად მიმდინარეობდა ეთნო-სოციალური პროცესები და ეთნოგენეზები. მიეხადავად ამისა ეს პერიოდი მაინც ჩართულია მონოგრაფიაში კონტრასტების ხაზგასასმელად.

მესამე თავში - „**ქვეყანა გორისა**“ დახასიათებული ნეოლითური და ენეოლითური პერიოდით შულავერისა და სიონის არქეოლოგიური კულტურების მაგალითზე.

ამ პერიოდში საზოგადოების მასშტაბი იზრდება და განსხვავებულობის პოლიტიკა აშკარად იკვეთება. მისთვის ათვლის წერტილია გვარი და კლანი.

მეოთხე თავი - „**ქვეყანა ხევისა**“ - წარმოაჩენს ბრინჯაოს ხანა იმ ისტორიული რეალობის რეკონსტრუქციის გზით, რომელიც ტერმინების „პროტოქართველური“ და „პროტოინდოევროპული“ იმალება.

ბრინჯაოს ხანაში კავკასიისგან არც თუ მოშორებით კლასობრივი საზოგადოება იწყებს ჩამოყალიბებას, რომლის მასშტაბებიც ნეოლითსა და ენეოლითს დიდად აღემატება. წერილობით წყაროებში გვხვდება ეთნონიმები; ჩანს მმართველი ელიტები, როგორც ისტორიის სახელდებული აქტორები, თუმცა, კავკასიის ტერიტორიაზე მათ შესახებ წერილობითი წყაროები ნაკლებად ჩანს. ამის გამო აქცენტი ლინგვისტების მიერ პოსტულირებულ „ეთნონიმებზე“ კეთდება, რომელთა შესახებ მსჯელობასაც ეთნოგენეზის საკითხების ისტორიოგრაფიაში ძალიან დიდი ხნის ტრადიცია აქვს.

მეოთხე თავი - „ქვეყანა „იმპერიუმი“ / „თანამეგობრობის ნაწილი“ წარმოადგენს რკინის ხანას. პირველწყაროების დეფიციტის გამო აქ გამოტანილია ორი საკვანძო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა - ა) იბერია-ქართლის სამეფოს დაარსება და ბ) ქართლის გაქრისტიანება (მონოგრაფიაში აქცენტი კეთდება მხოლოდ იბერია-ქართლის სამეფოს დაარსებაზე). თუმცა, ეს საკითხები განიხილება ძალიან განსხვავებულად ეთნოგენეზის პრობლემატიკის და არა ტრადიციული პოლიტიკური ისტორიის ჭრილში. განვითარებულია აზრი, რომ ეს ორი მოვლენა საკვანძოა ეთნოგენეზის პრობლემის კვლევის პროცესში.

წიგნის ამ მონაკვეთს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვინაიდან სწორედ აქ წყდება მეთოდოლოგიური კავშირი ტრადიციულ ეთნოგენეტიკურ კვლევებსა და „ეთნო-სოციალურ ისტორიას“ შორის. უფრო სწორად ხდება კვლევის მეთოდების ახალი ელემენტებით გამდიდრება.

ტერმინი „იმპერიუმი“ სათაურში შემთხვევით არ არის გამოტანილი ძვ.წ. I ახ.წ. I ათასწლეული დიდი იმპერიუმების ეპოქაა. საქართველო სხვადასხვა პერიოდში მათ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მმართველი დინასტიაც კი ხშირად უცხოური იყო.

წიგნის შემდგომი ნაწილები სერიის მომდევნო წიგნებშია წარმოჩენილი, თუმცა, კვლევის მეთოდის ლოგიკის წარმოსაჩენად მათ აქაც ვახსებებთ

„ცხოვრება და იწყება ზაგრატუნთან“ / „წმინდა მამათა ცხოვრება“ შუა საუკუნეების პერიოდს წარმოაჩენს. ქეისად აღებულია ორ-ორი განსხვავებული სტიპის თხზულება - „ცხოვრება და უწყება ზაგრატუნთან“ და „მატიანე ქართლისა“ და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მეორე მხრივ ვინაიდან ამ პერიოდის საქართველოში ორი ტიპის ელიტა არსებობს. გარდა ამისა ქეისად აღებულია XIII-XIV საუკუნეების სამი ქართული წყარო ჟამთააღმწერელის „ასწლოვანი მატიანე“. ავგაროზ ბანდაისძის „ძველი ერისთავთა“ „გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“ და „მესხური დავითნის ქრონიკა“ ახალი ტიპის ელიტების წარმოსაჩენად.

წიგნის ეს ნაწილი წარმოაჩენს ფეოდალურ საზოგადოებას, როდესაც ადგილი აქვს სხვადასხვა წოდებათა ურთიერთდაპირისპირებას. ბოლო ნაწილში კი ჩანს, თუ როგორ იწყება წოდებრივი საზოგადოების რღვევა და როგორ ყალიბდება ახალი სოციალური რეალობა, რომელსაც მოდერნი დაეფუძნა. წიგნის ეს თავი ყველაზე მეტად პრობლემურია სახელდების თვალსაზრისით. აქ შემოდის შუა საუკუნეები და „დენტის იმპერიების ეპოქა“. თუმცა, ყველაზე მეტად პრობლემურია მასში განხილული პრობლემატიკის მიხედვით. აქ ეთნოისტორიად განიხილება ისეთი რაღაცეები, რაც მანამდე ვერ ხდებოდა ამ სათაურის ქვეშ.

„ქვეყანა - საქართველო“, წარმოაჩენს მოდერნის პერიოდს როცა ყალიბდება თანამედროვე ნაციები. აქ ერთმანეთთან არის შედარები XVIII – XX საუკუნეების ინტელექტუალური ელიტის საქმიანობა - ვახტანგ მეექვსის სამეფო კარი, ქართველი რომანტიკოსების და საბჭოთა ნომენკლატურა. ქეისებად აღებულია მათი ამსახველი მხოლოდ ერთი წყარო - დავით გურამიშვილის „დავითიანი“, გრიგოლ ორბელიანის 'სადღეგრძელო' და საბჭოთა კინემატოგრაფია ფილმები (გიორგი სააკაძე, მაია წყნეთელი, ზაში აჩუკი და მამლუქი). ამ ქეისების უკან ჩანს სამი განსხვავებული ელიტა, რომელსაც სამი განსხვავებული მოდერნის პროექტი ეკუთვნის.

„გლობალური სოფელი“, წარმოაჩენს თანამედროვე პოსტმოდერნულ პერიოდს. აღწერს 1990 - იან 2000 - იან წლებში ჩამოყალიბებულ საქართველოს ისტორიის ახალ ინტერპრეტატიულ ნარატივებს. უკავშირებს მათ ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ეთნო-სოციალური პროცესებს.

წიგნის ეს ნაწილი ყველა მეტად პროვოკაციული და საექსპერიმენტოა. აქ წამყვანია შემდეგი შეკითხვა - როგორ უნდა იწერებოდეს ეთნო-სოციალური ისტორია თანამედროვე ეტაპზე. რატომ ვერ ხერხდება თანამედროვე ეტაპზე შუა საუკუნეების ტიპის გაბმული ქორნიკების დაწერა. ვერ ხერხდება იმიტომ, რომ თანამედროვეთათვის ცალსახა იქნება მისი ცალმხრივობა. დღევანდელი საქართველოს ისტორია მხოლოდ პოლიტიკოსებისა და პარტიების მოქმედებასთან, უფრო სწორად ძალაუფლებისთვის ბრძოლის პერიპეტებთან რომ გავაიგიოთ ასეთ შემთხვევაში „კადრს მიღმა“ დარჩება მთელი რიგი ინტერესთან ჯგუფები - აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ვერ დავინახავთ მთელ რიგ დემოგრაფიულ პროცესებს და სოციალურ ტრანსფორმაციებს (ანუ დავკარგათ ეპოქის შეგრძნებას). ესეც არ იყოს არ არის გარანტია, რომ შექმნილი ისტორია ფეისბუქ პოსტებზე, საგაზეთო სტატიებსა და ტელე გადაცემებზე დამაჯერებელი გამოვა (წყაროების გადამოაწმების ტრადიციული მეთოდები და თითქოს რეალობის იდეაც აქ უკან იხევს). თითქოს გაცილებით პერსპექტიულად მოჩანს ბოლო 30 წლის დემოგრაფიული პროცესების აღწერის შემდეგ გამოვკვეთოთ საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებსაც საკუთარი ინტერესები და დინამიკა აქვთ - ბიუროკრატია, ეკლესია, არასამთავრობო ორგანიზაციები (თუნდაც არაფორმალური ინტერესთან ჯგუფები), ადგილობრივი თვითმმართველობები და რეგიონის მოსახლეობა (მათ შორის ეთნიკური უმცირესობების), საგანმანათლებლო დაწესებულებები, სხვა პროფესიული გაერთიანებები, კრიმინალური ელემენტები / საგვარეულო კლანები - არც ერთი ეს ჯგუფი არ არის ჰომოგენური - თითოეულის შიგნით მრავალი ადამიანი და ჯგუფი იბრძვის ჰეგემონობისთვის და მაღალია თითოეულის მობილობა, თუმცა ყველა აქვს საკუთარი „ინსტიტუციური ნარატივი“, რომელიც მკლავიოდ ილინკება „ეროვნულ ნარატივთან“ (დღევანდელის შეფასებით, წარსულის ინტერპრეტაციით). ეროვნული ნარატივი ის არის, რაც ეთნოსის იდეას „ახმოვანებს“, თუმცა, ეს ნარატივი სხვა ჯგუფების/სუბკულტურების ნარატივებთან ექოში არსებობს და ფორმირდება. მის არსს კარგად გადმოსცემს ილია ჭავჭავაძის სიტყვები „რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით“. ეს ნარატივი მთავარი ხაზია ეთნოსის ისტორიის შესასწავლად.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ყველა ეპოქიდან ერთი ქეისს განიხილავს ვერ ჩაითვლება მონოგრაფიად, რომელიც საქართველოს ეთნო-სოციალური ისტორიის სრულად წარმოაჩენაზე აცხადებს პრეტენზიას. წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ საკითხის დასმის მცდელობად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

ის რასაც ჩვენ „ეთნო-სოციალურ ისტორიას“ ვუწოდებთ ქართული ისტორიოგრაფიისთვის ნამდვილად ვერ ჩაითვლება რევოლუციურ სიახლედ. საკითხის დასმის სტილით ის ძალიან ახლოს დგას „ისტორიული გეოგრაფიის“ კვლევის იმ ტრადიციასთან, რომელსაც ნიკო ბერძენიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. სწორედ ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ წიგნის თავებისთვის სახელი ნიკო ბერძენიშვილის მიერ დამკვიდრებული, ან მის მისებურ სტილში დაგვერქმია.

წიგნს არ აქვს პრეტენზია არც მეთოდოლოგიურ სიახლეზე. ნოვაცია აქ მხოლოდ ის არის მხოლოდ ის, რომ აქ სიმძიმის ცენტრი გადადის ეთნიკურ ისტორიაზე - როგორც გამამთლიანებელზე, როგორც სიმძიმის ცენტრზე, როგორც განზომილებაზე, რომლიდანაც შედუღაბებულად ჩანს სხვა შემთხვევაში დაქსაქსული პროცესები. ჩვენს შემთხვევაში ტერმინები „ეთნოგენეზი“ და „კულტუროგენეზი“, „სოციალური ისტორია“, „ეთნიკური ისტორია“, და ზოგადად „ისტორია“ ძალიან უახლოვდება ერთმანეთს. ჩვენ ვიკვლევთ წარსულში სხვადასხვა მიკრო კულტურების გენეზისს (კელტები, გერმანელები), რომლის წარმომადგენლებიც საკუთარ თავს სიტყვით 'ჩვენ' აღნიშნავდნენ და ყურადღებას ვამახვილებთ მაკროსოციალური მოვლენებზე, რომლებიც „საზოგადოების მოდელს“ განსაზღვრავდა.

ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის კვლევა დაზღვეულია ტრადიციული ეთნოგენეტიკური კვლევების ცალმხრივობისგან, პოლიტიკური ისტორიისთვის დამახასიათებელი ტენდენციურობისგან და სოციალური ისტორიისთვის დამახასიათებელი სტატიკურობისგან (უპერსონაჟობისგან), თუმცა, ვაცნობიერებთ იმასაც, რომ ასეთი ინტერდისციპლინური სინთეზი ბევრ გამოწვევასთანაც არის დაკავშირებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაშრომში სულ სხვადასხვა დისციპლინებსა და ისტორიულ ეპოქებს შეეხება, რომლებთან მიმართებითაც ავტორი ვერ იქნება ერთნაირად კომპეტენტური. გამომდინარე აქედან მაღლობით მივიღებთ ყოველ კომენტარს, შენიშვნასა და დისკუსიას.

ნაწილი 2. საქართველოს ეთნო-სოციალური ისტორია

2012 წელს საწურბლიას მღვიმეში აღებული სინჯების საფუძველზე ჩატარდა დნმ ანალიზი. დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის მეტი ნაწილი დღემდე იმ გენომის მატარებელია, რომელსაც პალეოლითისა და მეზოლითის გასაყარზე კრომანიონელები ატარებდნენ. ეს კიდევ ერთელ ადასტურებს უწყვეტ ჯაჭვს მოსახლეობის უწყვეტ განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე. J1 და G გამოდის ძალიან მნიშვნელოვანი

თუმცა, ეთნოგენეზის საკითხებზე საუბრისას ეს არ არის მთავარი. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის უწყვეტ განვითარებას თან სდევდა „საზოგადოების მოდელების“ ცვალებადობა. კავკასია არის რეგიონი, რომელიც უძველესი დროიდან მსოფლიო ისტორიული პროცესების ეპიცენტრში იყო მოქცეული. შესაბამისად ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს იარსება ისტორიულად დადასტურებულმა საზოგადოების პრაქტიკულად ყველა მოდელმა - (ა) პირველყოფილი საზოგადოება, (ბ) ნეოლითური და ენეოლითური პერიოდი გვაროვნული თემები, (გ) ბრინჯაოს ხანის საზოგადოება; (დ) ანტიკური/რკინის ხანის საზოგადოება; (ე) შუა საუკუნეების საზოგადოება; (ვ) მოდერნული პერიოდის ნაცია; (ზ) აქტიურ ფაზაშია პოსტმოდერნული პერიოდი. ჩვენ მათ ერთგანზოლი

ეს საქართველოს ეთნოსოციალურ ისტორიას შესწავლის ძალიან საინტერესო ობიექტად აქცევს - „ორმაგი ჰერმენევტიკის ორივე პლასტისთვის“ როგორც მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი მაგალითთა წრის გასამდიდრებლად, ისე ეთნოსოციალური ისტორიის ჩარჩოს შესასწორებლად.

თავი 1. „ერთგანზომილებიანი სოციალური რეალობა“ (ზედა პალეოლითი)

- კლანი

საქართველოს ეთნოსოციალურ ისტორიაზე მსჯელობა უნდა დავიწყოთ 1970 წელს საქართველოს ისტორიის ნარკვევების პირველ ტომში წარმოდგენილი ერთი პასაჟით, რომელიც პალეოლითურ და მეზოლითურ პერიოდს ეხება: „სავესებით შესაძლებელია, რომ ასეთ განსახლებას (ტომების მოძრაობის სახით) ნამდვილად ჰქონოდა ადგილი. მაგრამ ამისი, როგორც ისტორიული ფაქტის, დადასტურება პირდაპირი საბუთების უქონლობის გამო, ჭირს. ყოველ შემთხვევაში, კულტურებს შორის უშუალო, მჭიდრო კონტაქტი, გავლენა, საწარმოო გამოცდილების გაზიარება და სხვ. ეჭვს არ უნდა იწვევდეს. გაცვლაგამოცვლის საფუძველზე დამყარებული კონტაქტი თუნდაც იმითაც მტკიცდება, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში საკმაოდ ხშირად პოულობენ კავკასიიდან გატანილ კარგ საიარაღე მასალას – ობსიდიანს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის საზოგადოება სოციალური განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. მისი სოციალური სტრუქტურის საფუძველს შეადგენს წყვილთა ოჯახზე დამყარებული მატრიარქატული გვარი. ადრე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ტომობრივი ორგანიზაცია ყალიბდება მეზოლითში, როდესაც საფუძველი ეყრება ეთნიკური ხასიათის ვიწრო ლოკალურ კულტურებს (А.А.Формозов, О времени и исторических условиях сложения племенной организации, СА, №1 1957, გვ. 13 – 21). ახლა მეცნიერება თითქოს უფრო ღრმად ჩაწვდა ამ რთული პრობლემის ფესვებს და ასეთი ორგანიზაციის ჩასახვას ზედა პალეოლითის

დამდეგიდან ვარაუდობენ (Н. О. Бадер, Различия между верхнепалеолитическими культурами Закавказья и Ближнего Востока, Сб. «Археология Старого и Нового Света», М., 1966, გვ. 135 –143) ზოგი კი უფრო შორს მიდის და ჯერ კიდევ მუსტიეს ხანაში ხედავს ტომობრივი ცხოვრების ნიშნებს, რომელთა ერთობლიობას წინარეტომის სახელწოდებას აძლევს (Г.П. Григорьев, Начало верхнего палеолита и возникновение Homo sapiens в Европе и на Ближнем Востоке, Л., 1965).

თუ ისტორიულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთხმობი თანხმობის უქონლობის გამო მუსტიესათვის გაჭირდებოდა ამის მტკიცება, ყოველ შემთხვევაში, ზედაპალეოლითელი Homo Sapiens-ის მოდგმა ფიზიკურად და სიმბოლურად იმდენად მაღალორგანიზებული არსებაა, რომ მისი საზოგადოებისათვის კოლექტიური თანაცხოვრების პრინციპი სოციალური არსებობის უმაღლესი მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო. ასეთი თანაარსებობის პირველი სახე თემია. არის საფუძველი ვივარუდოთ, რომ მაგალითად, კავკასია–საქართველოს პირობებში ყოველი პატარა ხეობა თავისი მღვიმეებითა და თავშესაფრებით, ტყიან – ველიანი სავარგულებით, ისევე როგორც წყლის რესურსებით, თითო ასეთი თემის საარსებო არეს, თავისებურ მიკროქვეყანას წარმოადგენდა, ხოლო რამდენიმე თემი ან ჯგუფი თემებისა შეადგენდა ტომს, რომელიც ტერიტორიულად ამ პატარა ხეობათა შემკრები სამდინარო აუზის რომელსაღმე ნაწილში (სათავეებში, შუა ან ქვემო წელში) იყო განლაგებული, ხოლო მოსახლეობა მონათესავე თემურ დასახლებათა გაერთიანებულ სოციალურ აგრეგატს წარმოადგენდა. ასე მაგალითად, თუ ჯრუჭულას ან ჭერულას რომელიმე ხეობა ერთი გვაროვნული თემის ან თემთა ჯგუფის საცხოვრისი იყო, მდ. ყვირილას შუა წელი უკვე უფრო მსხვილ გაერთიანებას ანუ ტომს ექნებოდა დაკავებული. ასეთივე სურათი შეიძლება ვივარუდოთ ძირულა–ჩხერიმელას ხეობების მიმართაც, ან კიდევ, ძეგრულას წყალწითელას და სხვ. წვრილ ხეობებში მოზინადრე თემები ან მათი ჯგუფები ბუნებრივად გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ მდ. რიონის შუა წელზე მოსახლე ერთ–ერთი ტომის ფარგლებში. მსგავსად ამისა, შავი ზღვისპირა ზოლის მდინარეთა წყალგამყოფი ქედებიც შეიძლება ბუნებრივად დანაწილებულიყო მონათესავე გვაროვნული თემების გამაერთიანებელ ტომებს შორის და სხვ. ის გარემოება, რომ წებელდას ხეობაში მიკვლეული სვანთა სვანის ნამოსახლარს ქვის დამუშავების ტექნიკაში თავისი, განსხვავებული ეთნოგრაფიული ნიშანი აქვს, ხოლო ყვირილას ხეობის ნაბინარებს კი თავისი, იქნებ არ იყოს შემთხვევითი და გვანიშნებდეს თავისებურ ტრადიციებზე, რაც ამ ორი ხეობის ტომთა არქეოლოგიური კულტურებისათვის იყო დამახასიათებელი აღნიშნულ იარაღ–ხელსაწყოთა დანიშნულების მიხედვით დაჯგუფება გვაძლევს სახოკ–საფხეკებს, საჭრისებს, საჭრელებს, სათლელებს, ხოწებს, სახვრეტებს, სადგისებს, ნემსებს, შუბის, ხელშუბისა და ისრისპირებს, სათხრელებს, ხელკერებს და მრავალ მისთ., რაც მათზე უშუალო დაკვირვებისა და აგრეთვე ნართაული ეთნოგრაფიული ფაქტების მოშველიებით გვიდასტურებს მათ გამოყენებას მონადირეობაში, ნაწადირევი ხორცეულის, ძვლოვანი მასალისა და ტყავის დამუშავებაში, მცენარეული ნაყოფის შერგოვებით საქმიანობაში, თვით იარაღთა კვლავწარმოებაში და ადმიანის სხვა მრავალ ყოფა–ცხოვრებით მოღვაწეობაში. ბევრი მათგანი თემებისა თუ ტომების ურთიერთშეჯახებასა და საომარ მოქმედებაშიც პოულობდა თავის გამოყენებას და ამგვარად, არსებობისათვის ბრძოლის ერთ აუცილებელ საშუალებას წარმოადგენდა. საომარი მოქმედებაც ხომ წარმოების ერთერთი სახეობა იყო, ხოლო მისი შედეგი – ნადავლი – წარმოებული პროდუქტი (თუმცა მეორადი). თვით მაგიური მოქმედება,

სხვადასხვა საკულტო ცერემონიალი და საამისოდ საჭირო აქსესუარების გამოყენება უნდა განვიხილოთ, როგორც ამდროინდელი ადამიანის წარმოების, საერთოდ, მისი სამეურნეო ცხოვრების ხელშეწყობი პირობები.“ (ნარკვევები 83 – 86). შესაძლოა ძალიან მარტივად ითქვას, რომ ეს არის მოძველებული ინტერპრეტაცია, თანაც საბჭოთა პერიოდის იდეურ ქარგას მორგებული და მიუღებელია მის კრიტიკაზე სამეცნიერო კვლევის აწყობა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს არ არის უბრალოდ ინტერპრეტაცია. ეს არის მეტა-ნარატივი, რომელსაც ჰომოსაპიენსის უძველეს ისტორიის საკმაოდ სტატიკურ ჩარჩოს განსაზღვრავს. ნარკვევების პირველი ტომის გამოსვლიდან დღემდე ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ უამრავი ნაშრომი დაიწერა, მაგრამ აქცენტირებულად არავის უცდია ამ სურათის გადასინჯვა. დღემდე მეტ-ნაკლებად გაზიარებულია საყრდენი დებულებები, რომლებსაც ეს ნარატივი შეიცავს:

- ზედა პალეოლითში და მეზოლითში ხდებოდა ტომების მოძრაობა;
- სოციალური სტრუქტურის საფუძველს შეადგენს წყვილთა ოჯახზე დამყარებული მატრიარქატული გვარი;
- ტომობრივი ორგანიზაცია ყალიბდება ზედა პალეოლითში ან მეზოლითში, როდესაც საფუძველი ეყრება ეთნიკური ხასიათის ვიწრო ლოკალურ კულტურებს;
- კავკასია-საქართველოს პირობებში ყოველი პატარა ხეობა თავისი მღვიმეებითა და თავშესაფრებით, ტყიან – ველიანი სავარგულებით, ისევე როგორც წყლის რესურსებით, თითო ასეთი თემის საარსებო არეს, თავისებურ მიკროქვეყანას წარმოადგენდა, ხოლო რამდენიმე თემი ან ჯგუფი თემებისა შეადგენდა ტომს;
- ამ ტომებს შორის არსებობდა მეტ-ნაკლებად მკაფიო საზღვრები - ან მდინარეები წარმოადგენდა ამ ტომების შემკრებს და ან ქედები მათ გამყოფს. შესაბამისად შესაძლებელია ეთნოგრაფიულ ნიშნებზე, ეთნიკურ კულტურაზე საუბარი.

თუკი ამგვარ დიდ სურათს გავიზიარებთ ხელს არაფერი გვიშლის უკვე ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ხანაში ვილაპარაკოთ ეთნოსოციალურ ისტორიაზე, მაგრამ ყველაფერი ის, რაც დღეს ვიცით პალეოლითისა და მეზოლითის შესახებ რომ ეს სურათი არსობრივად მოითხოვს გადასინჯვას. მისი სქემატურობა ბევრი მკვლევრისთვის უკვე საბჭოთა პერიოდში იყო ნათელი. მათ შორის იყო ზემოთ უკვე არაერთგზის ხსენებული ნიკო ბერძენიშვილი, რომელმაც გამოკვეთა „გორას“, როგორც მთავარი სოციალური უჯრედი. ხეობა კი მისი განვითარების მომდევნო ფაზად მიიჩნია. საინტერესოა, რომ ნიკო ბერძენიშვილი „გორის ქვეყანაზე“ საუბარს ნეოლითური ხანიდან იწყებდა და ერიდებოდა პალეოლითურ-მეზოლითური მასალის ინტერპრეტირებას.

წიგნის პირველ თავში, ეთნოსოციალური ისტორიის მეთოდოლოგიაზე საუბრისას, განსაკუთრებული აქცენტი გავაკეთეთ ცნებების „მოსახლეობა“ და „საზოგადოება“ გამიჯვნაზე. კერძოდ აღვნიშნეთ, რომ ეთნოგენეზის საკითხებზე საუბრისას მთავარია საზოგადოება, უფრო სწორად „ჩვენ“ დისკურსი, რომელიც ამა თუ იმ პერიოდის საზოგადოების წევრებს ეთნოსად აერთიანებს; ეთნოსად, რომლის წევრებსაც აქვთ თვითსახელი, რომლის ელიტებიც აწარმოებენ/ავითარებენ სხვებთან „მსგავსება-განსხვავებულობის“ პოლიტიკას, რომლებსაც აქვთ გარკვეული საერთო მითები/ისტორიები და შეთანხმებული წესები (რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს მატერიალურ კულტურაში).

ყველაფერი ის, რაც დღეს ვიცით პალეოლითისა და მეზოლითის შესახებ გვაფიქრებინებს, რომ ამ ტიპის დისკურსი ამ პერიოდისთვის არ იყო დამახასიათებელი. თანამედროვე ანთროპოლოგები და არქეოლოგები უფრო იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ამ პერიოდში არსებული 20-30 კაციანი ჯგუფები არ წარმოადგენდნენ „მყარ საზოგადოებას“. დიდი ალბათობით მათ არც უნიკალურობის განცდა ჰქონდათ და არც მეზობლებთან საზღვრავდნენ საზღვრებს მათთან განსხვავების გამოსაკვეთად. ეს იყო კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ტოლერანტული პერიოდი როცა არც „კულტურული სხვა“ (და შესაბამისად არც განსხვავებულობის მიმდებლობის პრობლემა) არსებობდა და არც გენდერული თუ სხვა ნიშნით თანასწორობის იდეას ემუქრებოდა რაიმე - გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანთა ჯგუფები პირად ნაცნობობის ნიშნით არსებობდა; ლიდერობა კი „მსახურობას“ / ვალდებულებას უფრო განაპირობებდა, ვიდრე რაიმე პრივილეგიას. ზემოთქმულიდან გამომდინარე პალეოლითური და მეზოლითური პროცესები მხოლოდ გარკვეული პირობითობით შეგვიძლია შემოვიყვანოთ ეთნოსოციალური ისტორიის ფარგლებში. ამ პერიოდში არც ეთნიკურობა არსებობდა, არც ეთნოსოციალური ისტორია და არც მათი მთავარი დრაივერი „განსხვავებულობის“ პოლიტიკა და ელიტების ბრძოლა ძალაუფლებისთვის იყო მაინცდამაინც აქტუალური. დღეს თითქმის ისე ჩანს, რომ გვაროვნული თემის იდეაც ნაკლებად ეხმიანება ამ პერიოდის საზოგადოების მოდელს. რომც წარმოვიდგინოთ, იორუბას ტიპის ტომებად ეს ტომები არ არიან ისეთი მოზილური, რომ მათ ინდივიდების კი არა ერთობლივად რაიმე მიგრაცია დავაბრალოთ.

კონტექსტ-მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ ძუძუანასა და საწურბლიას მღვიმე, რომლებმაც ბოლო ხანებში საკმაოდ ფართო რეზონანსი / რომ არ ვთქვათ საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. ნეოლითსა და ენეოლითს კი გავაშუქებთ შულავერის კულტურის საფუძველზე. თუმცა, ვიდრე ამ ძეგლების დახასიათებას შევუდგებოდეთ უფრო კონკრეტული საკვლევი შეკითხვების ჩამოსაყალიბებლად უნდა გავეცნოთ თეორიულ მსჯელობას არქეოლოგიური არქეფაქტების საფუძველზე ეთნიკური ისტორიის „წაკითხვასთან“ დაკავშირებით. ამ საკითხზე დღეს მეცნიერები განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ზოგადი ტენდენციაა ის, რომ კოსინას მეთოდები ყველამ დაგმო, თუმცა, ამან კონსენსუსს ნაკლებად შეუწყო ხელი. დღეს ზოგიერთი ამ ტიპის მცდელობებს ზედმეტ და არამეცნიერული ამოცანად თვლის, ზოგი კი „პროცესული არქეოლოგიის“ პარადიგმას იზიარებს და ახალი სინთეზების მცდელობაშია. ეს სინთეზები არქეოლოგიურ კულტურათა ტრანსფორმაციის პროცესის დეტალურ შესწავლაზეა ორიენტირებული, სადაც „ეთნიკურობა“ კვლავაც რჩება ერთ-ერთ ემპირიულ ცვლადად. ნაშრომის პირველ თავისთვის, „ქვეყანა გამოქვაბულისა“ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პალეოლითური და მეზოლითური პერიოდის არქეოლოგიური კულტურების სპეციფიკა - ანუ მათი განსხვავებები ნეოლით-ენეოლით-ბრინჯაოს ხანის კულტურებისგან. როდესაც 1999 წელს სეიან ჯონმა გამოსცა დღეს უკვე კლასიკად აღიარებული სახელმძღვანელო მას ცალკე არ გამოუყვია პალეოლითური და მეზოლითური პერიოდის კულტურები, თუმცა, მის ნაშრომში ბევრი რამ არის, რამაც ამ კუთხით შესაძლოა გარკვეული მიწიშვნებები მოგვცეს.

ძუძუანას მღვიმეში 1966-1975 წლებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა დავით თუშაბრამიშვილი. ძეგლის შესწავლა განახლდა 1983 წელს თ. მეშველიანი მიერ. 1987-1989 წლებში ძუძუანას მღვიმეში გიგანტური სამუშაოები იქნა ჩატარებული. კერძოდ,

გეოლოგიური და პალინოლოგიური კვლევები (მ. თვალჭრელიძის და დ. ლორთქიფანიძის მიერ).

ქართველ მეცნიერებთან გაფორმებული ერთობლივი პროექტის („თანამედროვე ვიზიკური ტიპის ადამიანის განსახლების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში“) ფარგლებში 1996 წლიდან საქართველოს ზედა პალეოლითურ ძეგლებზე (ორთვალა კლდის მღვიმესა და ძუძუანას მღვიმეში) დაიწყო საქართველო-აშშ-ისრაელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია.

დადასტურებულია ნეოლით-ენეოლითური და ზედა პალეოლითური ფენა. რვა ფენა გამოიყო მერვე ფენა სტერილურია.

საწურბლიას მღვიმე 1975 წელს აღმოაჩინა ექსპედიციამ ალ. კალანდაძის მეთაურობით. 2008 წელს კი ის განმეორებით შეისწავლა არქეოლოგებმა თ. მეშველიანის ხელმძღვანელობით (ჩხარტიშვილი - 92). ის თარიღდება 17,9 – 16,2 ათასწლეულით (?), ეს რაც შეეხება A უბანს, B უბანი კი უფრო ძველი პერიოდით 25,535 -24.408 წლებით (?) თარიღდება (ჩხარტიშვილი - 92)

თანამედროვე არქეოლოგიური მიღწევების ფონზე ჩვენთვის მთავარია პასუხის მიღება შემდეგ შეკითხვებზე:

- რა ტიპის მიგრაციებს ჰქონდა ადგილი?
- შეგვიძლია თუ არა ვიმსჯელოთ არქეოლოგიურ მასალაზე დაფუძნებით საზღვრებზე იქნება ეს ეთნოგრაფიული თუ ეთნიკური?
- რამდენად მყარი იყო გაერთიანებები, რომლებიც აქ საწურბლიასა და ძირულაში ცხოვრობდნენ; რამდენად გვაქვს საფუძველი მათ გვარი, თემი და ტომი ვუწოდოთ?

ამ შეკითხვებზე პასუხი საჭიროა საიმისოდ, რათა გადაისინჯოს ან არ გადაისინჯოს ქვემოთ მოცემული ინტერპრეტაცია, უფრო სწორად ამ ტიპის ინტერპრეტაციები: „მაგალითად, თუ ჯრუჭულას ან ჭერულას რომელიმე ხეობა ერთი გვაროვნული თემის ან თემთა ჯგუფის საცხოვრისი იყო, მდ. ყვირილას შუა წელი უკვე უფრო მსხვილ გაერთიანებას ანუ ტომს ექნებოდა დაკავებული. ასეთივე სურათი შეიძლება ვივარუდოთ ძირულა-ჩხერიმელას ხეობების მიმართაც, ან კიდევ, ძევრულას წყალწითელას და სხვ. წვრილ ხეობებში მოხინადრე თემები ან მათი ჯგუფები ბუნებრივად გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ მდ. რიონის შუა წელზე მოსახლე ერთ-ერთი ტომის ფარგლებში. მსგავსად ამისა, შავი ზღვისპირა ზოლის მდინარეთა წყალგამყოფი ქედებიც შეიძლება ბუნებრივად დანაწილებულიყო მონათესავე გვაროვნული თემების გამაერთიანებელ ტომებს შორის და სხვ. ის გარემოება, რომ წებელდას ხეობაში მიკვლეული სვანთა სავანის ნამოსახლარს ქვის დამუშავების ტექნიკაში თავისი, განსხვავებული ეთნოგრაფიული ნიშანი აქვს, ხოლო ყვირილას ხეობის ნაპირებს კი თავისი, იქნებ არ იყოს შემთხვევითი და გვანიშნებდეს თავისებურ ტრადიციებზე, რაც ამ ორი ხეობის ტომთა არქეოლოგიური კულტურებისათვის იყო დამახასიათებელი“

- რა ტიპის მიგრაციებს ჰქონდა ადგილი?

ამ შეკითხვაზე პასუხი უნდა დავიწყოთ იმით, რომ საწურბლიას ეხი არ იყო მუდმივი სადგომი. აქ მოსახლეობა მხოლოდ ზაფხულობით მოდიოდა. ამას ადასტურებს ნანადირევის სტრუქტურა. აქ აღმოჩენილია ახალგაზრდა ღორები. ანუ მათზე გაზაფხულის პერიოდში ნადირობდნენ.

მნიშვნელოვანი ფაქტია ასევე ობსიდიანის მოპოვება ახალციხეში ჭიქიანის მთაზე. ისე ჩანს, რომ აქაურ ობსიდიანს მთელ დასავლეთ საქართველოში მოიხმარდნენ. ეს გაცვლის შედეგი კი არ იყო იმდენად, რამდენადაც სხვადასვა ჯგუფების პერმანენტული მიგრაცია.

მიგრაცია აღსანიშნავია, რომ არც თუ ხშირად, მაგრამ მაინც საწურბლიაზე ობსიდიანი გამოიყენებოდა, რომელიც მოჰქონდათ ჯავახეთის პლატოზე მდებარე ჭიქიანის მთიდან (საწურბლიას ობსიდიანის კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ მეზობელი სამელე-კლდეების ობსიდიანი იქიდანაა და ამიტომ დიდი ალბათობით საწურბლიაც იგივე იქნება). (ჩხარტიშვილი გვ. – 112) ეს ერთგვარი არგუმენტია იმისა, თუ რა მანძილებს ფარავდა პალეოლითელი ადამიანი და რა მასშტაბის ტერიტორიაზე მოძრაობდა. იგივე ფაქტი შეიძლება მეტყველებდეს ჯგუფებს შორის აქტიურ კონტაქტებზე. ნანადირევის ბუნება მიუთითებს, რომ საწურბლია მცხოვრებლებს ათვისებული ჰქონდათ რეგიონის განსხვავებულ ეკოლოგიური ზონები (გვ. 115)

საცხოვრებელი

- საწურბლიას A უბანზე გათხრების დროს დაფიქსირდა სულ მცირე 4 საცხოვრებელი იატაკი (მოყვითალო შლამიანი თიხნარი, დამწვარი და დატკეპნილი ზედაპირი). ყველაზე აღმოჩნდა „კერა“, რიყის ქვებისაგან შექმნილი მრგვალი ფორმის კონსტრუქცია ნახშირის დიდი რაოდენობით. აღსანიშნავია, დამწვარი ძვლებისა და კაყის დიდი რაოდენობა.
- ადამიანი საწურბლიას მღვიმეში ცხოვრობდა მშრალი და თბილი კლიმატური პირობების დროს, ხოლო ცივ და ნესტიან კლიმატურ პირობებში მღვიმეს ტოვებდა. რადგან ამ დროს მღვიმეში წყალი 117 დგებოდა, რის დასტურიცაა წყალმცენარეების ნაშთების აღმოჩენა. მკვლევართა აზრით, მაშინ როცა ადამიანი ტოვებდა მღვიმეს, იქ ცხოველები იდებდნენ ბინას.
- საცხოვრებელ იატაკებზე ხოჭოს და სელის ბოჭკოს აღმოჩენას, მკვლევარები იმით ხსნიან, რომ ადამიანი ცხოველის ტყავს დასაფენად იყენებდა, რომელსაც სელის მაფიდ ამაგრებდა.

საკვები

აღმოჩენილი პალეონტოლოგიური მასალის ნახევარზე მეტს წარმოადგენს ტახი და კუთილშიბილი ირემი როგორც ჩანს სწორედ ისინი წარმოადგენდნენ მთავარ საკვებს. არის ასევე დიდი ბოვიდები, ჯიხვი და ირემი. მტაცებლებსაც ვხვდებით - მურა დათვი, მგელი და მელა. არის თევზი და თახვიც (Castor fiber - პალეოლითში გავრცელებული, მაგრამ დღეს უკვე გადაშენებული სახეობა).

როგორც ჩანს ნადირობის სეზონი გვიანი გაზაფხული-ადრე ზაფხულის პერიოდი უფრო იყო, რადგან სადგომებში ახალგაზრდა ტახების ძვლებია აღმოჩენილი (ტახის გამრავლების პერიოდი კი კავკასიაში (მარტი-აპრილზე მოდის). არის მიკროფაუნაც

პატარა მღრღნელები, დიდი ზომის ზაზუნა, ციყვი, ღამურა, წყლის თაგვი, თხუნელა. აღმოჩენილია კურდღლის ერთი უკბილო ქვედა ყბაც.

როგორც ჩანს საწურბლია ბინადრები დახელოვნებული მონადირეები იყვნენ. აღმოჩენილი მასალა პრაქტიკულად სულ ნანადირევია. როგორც ჩანს ნანადირევის დამუშავების ტექნიკაც მაღალ დონეზე იყო აყვანილი პრაქტიკულად ყველა ძველი დამუშავებულია (ამოღებულია ძვლის ტვინი, იყენებდნენ იარაღად). არის გაპობა-გატყავება ძვლის დაწვის კვალიც (გვ. 114)

რაც შეეხება მცენარეებს პანილონოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ საწურბლიელები მრავალფეროვან მცენარეებს იყენებდნენ:

- ხის მერქნის დამწვარი უჯრედები;
- მარცვლეული მცენარის და სხვა მცენარის სახამებელის მარცვალი;
- მარცვლეულის ფიტოლიტები;
- ა სელის ტექსტილის ბოჭკოები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია (დაახლ. 40 ბოჭკო);
- სახამებლის მარცვალი ;
- მწერების 118 ბუსუსი. მათ შორის ტყავისჭამია ხოჭოს მატლის ბუსუსები;
- სოკოებს, ამ ნიმუშში აღინიშნება მხოლოდ Glomis და Sordaria-ს სპორები.
- ნანახია ფიჭვის, მურყანის, კაკალის, თხილის და თელის მტვრიანის ერთეული მარცვალი;
- ბალახეული მცენარეები წარმოდგენილია მარცვლოვანთა და მიხაკისებრთა ყვავილის მტვერით. გვიმრის სპორებს შორის ნანახია ასევე გვიმრუჭა (Asplenium);
- აღმოჩენილია აგრეთვე სელის ბოჭკოებიც. მათ შორის არის ცისფრად და ვარდისფრად შეღებილები;

პალინოლოგებმა (ი. მარტყოფიშვილი, ე. ყვავაძე) 22 ნიმუში აიღეს, რომელთაგან 10 მათგანი იქნა შესწავლილი და გამოქვეყნებული (Martkoplshvili...2015: 42-52). დაფიქსირდა რამდენიმე სამკურნალო მცენარის მტვრიანას ნაშთები. კერძოდ, ღიღილო (C. Jacea), აბზინდა (A. Annua), მწარე აბზინდა (A. Absinthium), ფარსმანდუკი (A. Millefolium) და ჭინჭარი (U. Dioica) (Martkoplshvili...2015: 50, fig. 7b)

ამდენად, როგორც პალინოლოგიურმა მონაცემებმა დაადასტურა, საწურბლიას მღვიმეში ზედა პალეოლითის ხანაში იზრდებოდა ფართოფოთლოვანთა ჯიშები, რასაც კარგი კლიმატური პირობები იწვევს. აქ წარმოდგენილია რცხილა, ცაცხვი, მუხა. მოიმატა სითბოსმოყვარული გვიმრების სპორებმა, როგორიცაა ვენერას თმა და სამეფო გვიმრა (გვ. 121).

თითქოს იშლება სურათი, როდესაც ცხოვრება სხვა არაფერია თუ არ მცირე ჯგუფების გადაადგილება ბუნებრივი პირობების მიხედვით; ისე, რომ მიგრაცია ცალკე ტერმინადაც არ გამოიყოფა.

- შეგვიძლია თუ არა ვიმსჯელოთ არქეოლოგიურ მასალაზე დაფუძნებით საზღვრებზე იქნება ეს ეთნოგრაფიული თუ ეთნიკური?

„კულტურებს შორის უშუალო, მჭიდრო კონტაქტი, გავლენა, საწარმოო გამოცდილების გაზიარება და სხვ. ეჭვს არ უნდა იწვევდეს“ „ეს კონტაქტები შეიძლება აიხსნას ტომების მოძრაობით - განსახილველია მიგრაციების რა ფორმებია ამ პერიოდში საფიქრებელი;

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უნდა დავიწყოთ სტრატეგიაფიის პრობლემებით. ძალიან ძნელია სხვადასხვა ძეგლზე დადასტურებული ორი ფენა რეალურად შეადარო ერთმანეთს. ამას ადასტურებს მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა საწურბლიასა და ძუძუანას ურთიერთმიმართებით შესახებ. მიუხედავად ამისა, მაინცადამაინც მკვეთრი განსხვავება პარალელურად არსებულ იარაღებს შორის არ იკითხება. გამომდინარე აქედან გაუგებარია რას ეფუძნება ასეთი დასკვნა.

„წებელდას ხეობაში მიკვლეული სვანთა სავანის ნამოსახლარს ქვის დამუშავების ტექნიკაში თავისი განსხვავებული ეთნოგრაფიული ნიშანი აქვს, ხოლო ყვირილას ხეობის ნაზინარებს კი თავისი, იქნებ არ იყოს შემთხვევითი და გვანიშნებდეს თავისებურ ტრადიციებზე, რაც ამ ორი ხეობის ტომთა არქეოლოგიური კულტურებისათვის იყო დამახასიათებელი“ - ნამდვილად გადასამოწმებელია ამ დასკვნის სისწორე. რამდენად არის შესაძლებელი ქვის დამუშავების ტექნიკაში ეთნოგრაფიული ნიშნის ამოცნობა?

აღსანიშნავია, რომ ადრე საწურბლიასა და ძუძუანას მღვიმეებს შორის ჰიატუსი არსებობდა, თუმცა, დღეს თითქმის ძუძუანა B გაუთანაბრდა საწურბლიას ე.წ. A უბანს. რაც შეეხება საწურბლიას B უბანს, მას ანალოგი ძუძუანას C ფენაში ეძებნება. ანუ ისე, რამდენადაც ეს არქეოლოგიის მონაცემებზე დაფუძნებით შეიძლება ითქვას, ეს ორი ძეგლი გარკვეულ ეტაპებზე თანამედროვეებად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

საწურბლიას მღვიმის ფინალურ ზედაპალეოლითურ ფენას, ისევე როგორც ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ძუძუანას B ფენა, ანალოგები ეძებნება ამავე პერიოდის შესატყვის არქეოლოგიურ ძეგლებთან. კერძოდ, გვარჯილას-კლდე (15.960 BC და 15.010 BP) (Лютин, 1989: 93-96). საკაქიას მღვიმე – 11.700 B.C. (Nioradze...265-300), დევისხვრელი – 10.12 B.C. (ჯაყელი 113-114). ძუძუანას B ფენა 16,5-10,2 ka cal BP. (Bar-Yosef... 2011: 336) (ჩხარტიშვილი გვ. 123)

აბსოლუტურ ქრონოლოგიასა და მასალის ტიპოლოგიაზე დაფუძნებით შეიძლება ითქვას, რომ საწურბლია და ძუძუანა აღმოსავლეთ ევროპის ეპიგრავეტის ანალოგი ძეგლებია, მაგრამ რამდენად შორს მიდის ეს ანალოგიები, უფრო სწორად ტიპოლოგიური მსგავსებები? საუბარია მიკროლითებზე, კერძოდ, გამორჩეულია მიკროგრავეტის განსხვავებული ტიპი და თავრეტუშირებული იარაღები. ესაა მართკუთხედი, რომელიც თავისი ზომით, მოყვანილობით და რეტუშის ხასიათით განსხვავდება იმ გეომეტრიული ტრაპეცია-მართკუთხედისაგან, რომელიც მეზოლითური კულტურისთვისაა დამახასიათებელი. აღმოჩენილია 327 ძვლის ერთეული.

რამდენად ნიშნავს ანატკეცების კეთების ტექნიკაში განსხვავება ეთნიკურ კულტურას, ან ეთნოგრაფიულ ნიშანს. ასეთი ნიშნები შეიძლება დავინახოთ ძალიან ვრცელ ტერიტორიებზე, მაგალითად, გრავეტული კულტურის გავრცელების არეალში უმცირეს ტერიტორიაზე ტომთა შორის განმასხვავებელ ნიშნების ამოცნობაზე კი რა თქმა უნდა საუბარიც კი ზედმეტია.

ასეთი ნიშნები უფრო ლოგიკური იქნებოდა დაგვენახა მაგია-რელიგიურ ნიშნებში, თუმცა, ამ კუთხითაც სიმწირეა.

სიმბოლური აზროვნების ნიშანია მთელი რიგი სამკაულები და ტატუირებები. საწუბლიაში აღმოჩენილია ძვლისა და რქისაგან დამზადებული საინტერესო ნივთები; ცხოველის კბილზე დამზადებული საკიდ-ამულეტები, აღმოჩენილია მოცელდრუიანი მოლუსკისგან გაკეთებული საკიდიც - რაც იმის დასტური შეიძლება იყოს, რომ ადამიანი ეგზოტიკურ ნივთებს ამჩნევდა და მნიშვნელობას ანიჭებდა.

ბელემნიტის საკიდის გარდა, საინტერესო ნივთია ცხოველის კბილზე დამზადებული საკიდი, რომელიც არაა გახვრეტილი, მაგრამ გარშემო შემოუყვება ღრმა ნაჭდევი, რომელზედაც იკიდებოდა ეს ამულეტი. ასეთი ღარიანი საკიდი ნანახია ჩვენთვის საინტერესო ძუძუნას მღვიმეშიც. საწურბლიას ფინალური ზედა პალეოლითის ფენაში მრავლად არის წარმოდგენილი ქვაზე, ძვალზე და ცხოველის კბილზე ნაკეთები საკიდები და 116 მძივები (ცხრილი XVIII). გვხვდება ცხოველის რქაზე და ნიჟარაზე დამზადებული ეგზემპლარებიც (ნემსი, სადგისი, ამულეტი, წვეტანები, გახვრეტილი ნივთები, მძივები, ნიჟარები).

მედიცინა

პალინოლოგებმა (ი. მარტყოფიშვილი, ე. ყვავაძე) 22 ნიმუში აიღეს, რომელთაგან 10 მათგანი იქნა შესწავლილი და გამოქვეყნებული (Martkoplshvili...2015: 42-52). დაფიქსირდა რამდენიმე სამკურნალო მცენარის მტვრიანას ნაშთები. კერძოდ, ღიღილო (C. Jacea), აბზინდა (A. Annuia), მწარე აბზინდა (A. Absinthium), ფარსმანდუკი (A. Millefolium) და ჭინჭარი (U. Dioica) (Martkoplshvili...2015: 50, fig. 7b)

ვინ და ქმნიდა ამ ნივთებს, რა იყო ამ ადამიანების სოციალური სტატუსი. ალბათ ეს იყვნენ კონკრეტული ჯგუფების ლიდერები, რომლებიც „გამოქვაბულის ქვეყანაში“ გარკვეულ ინიციატივას იჩენდნენ.

ის ერთი მძივი სიტუაციას არ ცვლის, როგორც არ უნდა გამოდგეს მისი ინტერპრეტაცია.

მთლიანადაც რომ შევხედოთ ამ ორ ძეგლზე აღმოჩენების სტრუქტურას. ძირითადად ეს არის ანატექვები, ლამელები, ცხოველთა შემთხვევით შემორჩენილი ნაშთები. აქ ჩანს მონადირე ჯგუფები, რომლებიც ბუნებასთან ჭიდში არიან ჩართული და ნაკლებად ზრუნავენ სხვა ჯგუფებთან „მსგავსება-განსხვავების“ მარკირებას. ისიც აღსანიშნავია, რომ ელიტურობის არანაირი ნიშან-წყალი აქ არ ჩანს. ელიტა კი ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ეთნიკურობაზე მსჯელობისას.

აქ ალბათ რეალისტურია ვითარება, როცა მატრილოკალურობის პრინციპის გამო ხშირი იყო მამაკაცთა გადაადგილება, რასაც განუხრელად სდევდა ქვის და ობსიდიანის იარაღის კეთების ტექნიკის დიფუზია. ეს არის მიზეზი იმისა, რომ დღეს გვაქვს არქეოლოგიური კულტურის გამოყოფის საფუძველი. ამ ეპოქაში საზღვრის ცნება ცხადია იქნებოდა უაღრესად პირობითი. ალბათ ვერ წარმოვიდგენთ ვითარებას, როცა ერთმანეთს შეხვდებოდნენ განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, ან სოციალურად განსხვავებული ჯგუფები (მონები, სამხედრო ელიტები). ადამიანი ჩამორღული იყო ბუნებასთან ბრძოლაში.

აქვე შეიძლება საუბარი მოსაზრებებზე კრომანიონელების მხრიდან ნეანდერტალელების გენეზისზე, რაც შესაძლოა ფაქტორი ყოფილიყო ეთნოსოციალური ისტორიისთვის,

მაგრამ ეს უბრალოდ ჰიპოთეზაა. კავკასიის ტერიტორიაზე, როგორც ნეანდერტალელის, ისე ადრეული ჰომოსაპიენსის პოპულაციის გავრცელების არეალს წარმოადგენდა არ ჩანს ასეთი კონფლიქტის კვალი. ის კი არა საერთოდ არ ჩანს მასალა, რაც ზოგადად რაიმე კონფლიქტებს ან რაიმე შეხვედრის ფაქტს მიანიშნებს. როგორც ჩანს ნეანდერტალელების გადაშენება ბუნებრივმა პირობებმა გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში კავკასიის მასალა საწინააღმდეგო მოსაზრების არგუმენტად ნამდვილად ვერ გამოდგება.

- **რამდენად მყარი იყო გაერთიანებები, რომლებიც აქ საწურბლიასა და ძირულაში ცხოვრობდნენ; რამდენად გვაქვს საფუძველი მათ გვარი, თემი და ტომი ვუწოდოთ?**

თავად ის ჯგუფებიც, რომლებიც საწურბლიას ეხში ცხოვრობდნენ დიდი ალბათობით არ გამოირჩეოდნენ რთული სოციალურ-პოლიტიკური დისკურსებით. რამდენ ადამიანს შეიძლება ეცხოვრა საწურბლიას ეხში? არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ ამ ტიპის გამოქვაბულებში შეფარებული ადამიანების რიცხვი არ იქნებოდა უსაშველოდ დიდი. 20-30 კაცი. ამას ეკონომიკური ფაქტორები არეგულირებდა. ძეგლის მასშტაბებიც ამაზე მეტყველებს. ელიტის ჩანაფიქრში ვერ იკითხება - დღეს ვერ გვეჩვენა მეთოდოლოგია არტეფაქტებიდან წამოსული მესიჯების წასაკითხავად. უნდა ვიმსჯელოთ საზოგადოებით, რომელსაც ეს ძეგლი მიემართება. რამდენად ეტყობა მას „ელიტების მხრიდან“ ინჟინერიის პროცესი.

მთელი პირობითობის გათვალისწინებითაც კი რამდენად სწორია ასეთ გაერთიანებებს გვარი, თემი, ან ტომი ვუწოდოთ? და მით უფრო მათი სახელდება მოვახდინოთ მოკროქვეყნად.

თანამედროვე ანთროპოლოგიაში ტომი აღარ განიმარტება როგორც მორგანისა და ტაილორისეული იროკეზების მობილური ურდო. ტომზე საუბრისას ხაზი ესმება მის ფართო განფენილობას. კერძოდ, მონათესავე გვარები განიფინებიან. მაგრამ აქ არ არსებობს არც უხუცესთა საბჭო, არც მუდმივმოქმედი სტრუქტურები, არც საზღვრების ცნება, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მაინც არსებობს განცდა „ჩვენ“ და „ისინი“ დაფუძნებული საერთო წინაპრის იდეაზე - რამდენად შეიძლება ასეთი განცდა არსებულიყო ზედა პალეოლითსა და მეზოლითში. ასეთ განცდას როგორც წესი საერთო წინაპრის იდეა ან რაიმე კატაკლიზმი აყალიბებს. ძალიან ნაკლებად სავარაუდოა, რომ პალეოლითში ისეთ კატაკლიზმს ჰქონოდა ადგილი, რომ ასეთი ერთობა ან შექმნილიყო, ან არსებულიყო.

საერთო წინაპრის იდეა კი კიდევ უფრო ძნელად სავარაუდოა მატრიკოლალური გვარის პირობებში. სავარაუდოდ ეს არის კლანების პერიოდი, რომელსაც არ ჰქონდა ეთნიკური კულტურა.

საწურბლიასა და ძუმუნას მღვიმეების შედარება გვაჩვენებს, რომ მათ აქვთ საერთო კულტურა. საერთო კულტურა არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ მთელი ეპიგრავეტის მასშტაბით. ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ჯგუფებს შორის არსებულიყო მკაფიო საზღვრები და სხვა ჯგუფებისგან განსხვავებულობის დისკურსი. შესაბამისად, ნაკლებად რელევანტური გამოდის ეთნო-სოციალურ ისტორიაზე ლაპარაკი პალეოლითისა და მეზოლითის ხანაში. ამაში ქვემოთ მეთოდის ფარგლებში გამოკვეთილ შეკითხვებზე პასუხებიდ დაგვარწმუნებს:

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მოცემული დასკვნები უფრო „მოსახლეობის“ მახასიათებლებად შეგვიძლია განვიხილოთ და ეთნოსოციალური

ისტორია მას ნაკლებად დაერქმის ამის მიზეზია უპირველეს ყოვლისა ჯგუფების მცირე ზომა და ფლექსურობა და საზღვრის იდეის ეფემერულობა. სიტყვები „ჩვენ და ისინი“ ალბათ ამ პერიოდშიც გაისმოდა, მაგრამ ეს იყო ძალიან სიტუაციური მემკვიდრეობითობის იდეის გარეშე. „განსხვავებულობის პოლიტიკა“ ამ პერიოდში არ არსებობდა. არ არსებობდა ელიტები, რომლებიც თავიანთ პოლიტიკას „კულტურული სხვის“ გამოკვეთაზე ააწყობდნენ - შესაბამისად არ არსებობდა მკაფიო არც ვირტუალური და არც ფიზიკური საზღვრები. საზოგადოებრივი ჯგუფებიც ამ პერიოდში არამყარი იყო და სულ 20-30 წევრისგან შედგებოდა. ქვემოთ ასეთ ჯგუფებს „კლანებს“ ვუწოდებთ ვერიდებით რა პალეოლითისა და მეზოლითის ხანასთან მიმართებით ტერმინების „გვარი“, „გვაროვნული თემი“ და მით უმეტეს „ტომი“ გამოყენებას.

თავი 2. „ორგანზომილებიანი სოციალური რეალობა“ (მეზოლითი, ნეოლითი)

- გვაროვნული თემი

„გორა“ ქართული რეალობისთვის პრაქტიკულად საკრალური სიტყვაა. სიტვა „გვარი“, გამონათქვამი „ვისი გორისა ხარ?“ თითქოს მიანიშნებენ ეთნო-სოციალურ ისტორიისთვის მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ნიკო ბერძენიშვილი „გორას“ მთავარ/თავდაპირველ სოციალურ უჯრედად მიიჩნევდა და ავითარებდა მოსაზრებას, რომ ადამიანები/გვარი თავდაპირველად გორაზე ცხოვრობდა, შემდეგ „ხევი“ დაიკავა, შემდეგ კი „სამთავრო“. ამ კონსტრუქციას თითქოს მხარს უჭერს ლინგვისტური მონაცემები, მაგალითად ისეთი ტოპონიმები, როგორებიცაა ორბნი, ერბეთი, - ისინი ნიკო ბერძენიშვილის აზრით სოციაუმის განვითარების სხვადასხვა სტადიას წარმოაჩენენ. „ორბნი“ წარმოაჩენს ვითარებას, როცა ტერიტორია და თვითსახელი განუყოფელია; ტერმინში „ორბეთი“ ეს დისტანცია უფრო ხაზგასმულია. ტოპონიმი „ორბეთის ქვეყანა“ კი ბევრად უფრო მასშტაბურ ეთნო-სოციალურ ორგანიზმზე მიანიშნებს, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები იყრიან თავს.

ვფიქრობთ, რომ ნიკო ბერძენიშვილის ხედვის გაზიარება სავსებით შესაძლებელია. სიტყვების „გვარი“, „ხევი“, „ქვეყანა“ ორგანული კავშირი ქართულ ენობრივ-კულტურულ სინამდვილესთან მის კონცეფციას, თუმცა, დაისმის შეკითხვა - როდის ხდებოდა ყოველივე ეს? როდის ადის ადამიანი გორაზე? თავად ნიკო ბერძენიშვილის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ დასადგენია, თუ რომელ ეტაპზე ავიდნენ ადამიანები „გორაზე“ და „როდის დატოვეს ის“.

- „მრავალწახნაგოვანი რევოლუცია“

თუკი წიგნის პირველ თავში განვითარებულ მსჯელობას გავიზიარებთ პალეოლითში „კლანების“ და არა „გვაროვნული თემის“ არსებობის შესახებ, მაშინ ამ შეკითხვაზე პასუხი თითქოს ძალიან ცალსახა გამოდის. მოგვიწევს ვიფიქროთ, რომ ნეოლითი არის ის პერიოდი, როცა „გორა“ მთავარ სოციალური უჯრედია იწყება ნეოლითიდან, როცა მწარმოებლური ეკონომიკა შესაძლებელს ხდის უფრო კომპლექსური საზოგადოების ფორმირებას. თუმცა, საქმე არც ისე მარტივადაა - როგორც ერთი შეხედვით ჩანს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს აქ არეულობა ამ მაორგანიზებელ ტერმინს - „ნეოლითური რევოლუცია“ შემოაქვს. გორდონ ჩაილდის გავლენით არსებობს ამ ტერმინის წყალგამყოფად საჭიროზე მეტად წარმოჩენის ტენდენცია. ყველა სახელმძღვანელოში ისე ჩანს, რომ სირია-პალესტინის ტერიტორიაზე, ნატუფიური კულტურის გავრცელების არეალში შეიქმნა ნეოლითური კულტურები და ეკონომიკა, რასაც თანდათანობით სხვადასხვა ფორმით მოჰყვა კულტურის დიფუზია. ჯერ ნაყოფიერი ნახევარმთვარის, შემდეგ ირანის, მცირე აზია-კავკასიის, ევროპის მიმართულებით. ბევრი დიფუზიონისტი ინდოეთისა და ჩინეთის და თვით მეზოამერიკის მიმართულებითაც არ გამოორიცხავს „იდეების მიგრაციას“.

ვფიქრობთ, რომ ამ კონცეფციაში არის ორი ელემენტი, რომელიც ძირეულად რევს ათვლის წერტილებს. პირველი ეს არის „მწარმოებლური მეურნეობის“ როლი. 1968 წელს მ. ფლამენიმ ჩამოაყალიბა „ბროად სპექტრუმ რევოლუშენ“ კონცეფცია, რომელიც კარგად წარმოაჩენს ამ ხარვეზს. ინგლისელი მეცნიერის ნაშრომში ისე ჩანს, რომ ნეოლითურმა

მეურნეობამ კი არ შექმნა ბინადარი ცხოვრება, ან უფრო კომპლექსური საზოგადოება, არამედ მწარმოებლური მეურნეობა იქნა მოგონილი იმისთვის, რომ უფრო მდგადი საზოგადოება „შეენახა“. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ **დომესტიკაცია, აგრიკულტურა და მიწათმოქმედება** დღეს სამ განსხვავებულ ცნებად განიხილება. ეს კი კიდევ ერთხელ უსმევს ხაზს მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის სტადიურ ხასიათს.

მეორე პრობლემა, რომელიც „ნეოლითური რევოლუციის“ იდეას მოაქვს არის უფრო გეოგრაფიული ბუნების. ამ შემთხვევაში სირია-პალესტინა გამოდის ცენტრი. Broad Spectrum Revolution კონტექსტში კი სიმბიმის ცენტრი უფრო აღმოსავლეთისკენ იწინააღმდეგება. თავად ავტორი ზაგროსის მთების არეალისკენ მიუთითებს, საიდანაც ჰოლოცენის მიწურულს, კლიმატური პირობების ვცლილების შედეგად ვრცელდება ბროუდ სპექტრუმის არეალი. სწორედ აქ ყალიბდება ახალი ტიპის ეთნო-სოციალური ერთობები / საზოგადოების ახალი მოდელი, რომლებიც რამდენიმე ათასწლეულში მთელ მსოფლიოში იკავებს გაბატონებულ ხასიათს. ასეთი ტიპის საზოგადოება უკვე არსობრივად განსხვავება წინარე პერიოდისგან როგორც მოსახლეობის სტრუქტურით, ისე სოციალური წესრიგით. დემოგრაფიულ განვრცობა (თავისუფლად შეიძლება ამ პერიოდისთვის „დემოგრაფიული გადასვლის“ ეტაპის სტატუსიც მივცევა. სოციალური წესრიგი კი ძალიან ჰგავს იმ დისკურსს რომელსაც ეთნოლოგები ენდო-გეზოგამიის სახელით იცნობენ. ეს დისკურსი შესაძლოა ამ პერიოდში არ გაჩენილა (დიდი ალბათობით პალეოლითშიც ერიდებოდნენ სისხლით მონათესავეთა ქორწინებას - ამას ცხოველთა პოპულაციებიც კი ერიდებიან), მაგრამ საზოგადოების მარგანიზებული წესრიგის როლში ეს სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება. ეს ბუნებრივია ამ დროს გვარი/გვაროვნული თემი არის უმაღლესი ერთობა / თანამედროვე ეტაპის ნაციების ტოლფარდი. უფრო მასშტაბურ გაერთიანებებს ამ პერიოდში ვერ ვხვდებით, თუმცა, მასშტაბების სიმცირემ „ეგალიტარიზმის“ უპირობოდ აღიარებისკენ არ უნდა გვიბიძგოს. ეს არის რანგობრივი საზოგადოება, სადაც სოციალური როლები მკაფიოდაა ხაზგასმული. „უხუცესს“ / ელიტურ ჯგუფებს რესურსების მობილიზების, ვინმესთვის რაიმეს იძულების ძალიან შეზღუდული რესურსი აქვთ, მაგრამ მათ პალეოლითისგან განსხვავებით მკვეთრად გამოკვეთილი სტატუსი აქვთ (ჩამოყალიბების უნივერსალურ მიზეზებზე არ ღირს საუბარი). ასეთი მოდელისთვის განზოგადებულ სახელად შესაძლოა „გვაროვნული თემი“ გამოვიყენოთ“, გორის ტიპის დასახლებები კი მის ქართულ/კავკასიურ თავისებურებად შეიძლება დავინახოთ.

როგორი შეიძლება ყოფილიყო გვაროვნული საზოგადოების სტრუქტურა ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ - იორუბას მაგალითზე. აქ უბრალოდ იორუბას აფრიკული ტომის სტრუქტურაზე საუბარი უნდა შევავსოთ ქართული კონტექსტ-მაგალითებით. ხევსურეთის სახით ქართული ეთნოლოგია იცნობს არაჩვეულებრივ ავთენტურ ქეისს. რა თქმა უნდა ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ფიქსირებული ხევსურეთი ვერაფრით გამოდგება ზუსტ ანალოგიად, თუმცა, მისმა გაცნობამ შესაძლოა უფრო ნაყოფიერი ნიადაგი შექმნას ჰიპოთეზების გამოსათქმელად.

ვფიქრობთ, თუკი მეზოლითი-ნეოლით-ენეოლითური ეთნოსოციალურ სურათს გავიზიარებთ მოგვიწევს ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდის პროცესები რაღაცით მოგვაგონებს „ფუტკრების ფიჭების“ გამრავლების პროცესს. ცხადია ანალოგია პირობითია - გვაროვნული თემი არ იყო „ფუტკრებით“ ბოლომდე ჩაკეტილი სისტემა. აქ ქორწინების, თუ დევნილთა შეფარების ფორმატში უცხო ელემენტების ასიმილაციაც ხდებოდა, თუმცა,

ამის გამო „გვაროვნულ თემს“ ტოლერანტობას ვერ დავაბრალებთ. პალეოლითურისგან განსხვავებით ეს იყო საზოგადოება მკვეთრი საზღვრებით და „კულტურული სხვის“ უაღრესად მკვეთრად გამოკვეთილი სურათით და „მრავალფეროვნების მართვის“ ასიმილაციური მოდელით (სხვა საქმეა, რომ მასშტაბები იყო მცირე).

როგორ/რამდენად აისახა არქეოლოგიურ მონაცემებში „საზოგადოების მოდელის“ ცვლილება. სამწუხაროდ არქეოლოგიის ეთნო-სოციალური ისტორიის რეკონსტრუქციაში შეზღუდულად შეუძლია დახმარების გაწევა. თითოეულ აღმოჩენილ არქეოლოგიურ ცხადია „ნარატივი“ მოჰყვება, მაგრამ მათი ამოცნება შეუძლებელია. ის, რაც საქართველოს ტერიტორიაზე მეზოლითი-ნეოლითი-ენეოლითის ხანიდან ჩვენამდე შემორჩა თითქოს მშვენივრად მიესადაგება ზემოაღწერილ სოციალურ მოდელს.

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ საქართველოში (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) მეზოლითის მკვეთრი კონტურები არ აქვს. ხშირად ძნელი გაარჩევია არის სად „მთავრდება“ ერთი და სად „იწყება“ მეორე. დომესტიკაცია, აკულტურაცია მიწათმოქმედებაზე ზემოთ მოყვანილ მსჯელობას თუ გავიხსენებთ ეს ბუნებრივია. „ბროად სპექტრუმ რევოლუშენი“, მაღლობელი აღმოსავლეთის არეალში (სხვა საქმეა ევროპა) არ გულისხმობს მკვეთრ კონტრასტებს და მაგალითად ისეთ ვითარებას, როცა „ნეოლითური სტადიის“ ტომები ველურებს უძახია „ძველებურ კლანებს“ მათი განსხვავებული სოციალური მოდელის გამო.

დასავლეთ საქართველოს ძეგლები თითქოს მოსახლეობის თანდათან გავრცელებაზე მიგვანიშნებს. თითქოს ისე ჩანს, რომ ანასეული - კისტრიკის ტიპის ძეგლები აფრო ადრინდელია, ვიდრე ოდიშის, საგვარჯილისა და სამელე კლდის ძეგლები. იგივე სურათია ოდნავ მოგვიანებით შულავერ-შომუთეფეს კულტურის გავრცელების არეალშიც. დასავლეთ საქართველოში ნასახლარები არ ჩანს, ამ კულტურის გორები კი ნამდვილად მოგვაგონებს „ნიკო ბერძენიშვილისეულ გორას“.

თითქოს ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ კავკასია „მრავალწახნაგოვანი რევოლუცია“ ნაწილი იყო (და არა ნაყოფიერი ნახევარმთვარის გარეუბანი), მეორე მხრივ კი სწორედ აქ გაჩნდა ის ეთნოსოციალური ელემენტი, რომელიც დღემდე ასე ბუნებრივია ჩვენი ქვეყნისთვის. თუმცა, მანამდე დაისმის შეკითხვა გავრცელების ცენტრებსა და გზებზე.

ამ საკითხზე ფიქრისთვის თითქოს ახალ რაკურსს გამოკვეთს მოლეკულური გენეტიკა. ვგულისხმობთ ისევ და ისევ საწურბლიასა და კოტიას მღვიმეებიდან აღებულ მასალას, რომელიც გარდა ევრაზიული პალეოლითური კავშირებისა მიაწინებს იმაზეც, რომ კავკასიელი მონადირეები და შემგროვებლები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ G გენომის ფორმირებაში, რომელიც ანატოლიელ ფერმერებთან იგივედება. მეტიც, თითქოს ისე ჩანს, რომ კავკასიის რეფუგიუმიდან ხდება უფრო სამხრეთით მოსახლეობის გავრცელება. ანატოლიელი ფერმერები შემდეგ ევროპაში ერთვარ გენომურ ბლიცკრიგს აკეთებენ და პრაქტიკულად მთელ ევროპას იკავებენ - ისეთი კულტურები, როგორებიცაა ტრიპოლიე, ლენტური კერამიკა და სხვა სწორედ მათ უკავშირდება. გენეტიკის მონაცემები ადასტურებს, რომ ისინი პირველ ეტაპზე ძალიან მცირედით შეერივნენ ევროპის პალეოლითურ მოსახლეობას. შემდეგ ძველი მოსახლეობის პროცენტმა აიწია, მაგრამ ბრინჯაოს ხანამდე მაინც ოტცის და საწურბლია გენი რჩებოდა ევროპაში დომინანტურად.

მნიშვნელოვანია, რომ იგივე გენომი ფიქსირდება შულავერ-შომუთებს კულტურაშიც, სადაც მეორე მხრივ ჩრდილო - დასავლეთ ირანიდან მოსული ელემენტიც აქტიურად მონაწილეობს. თითქოს ისე ჩანს, რომ ზარზიული კულტურის გაგრძელების სახით ხდებოდა ახალი ტერიტორიების ათვისება და ეს იყო მეორე ცენტრი.

თანამედროვე ეტაპზე ალბათ ჯერ კიდევ ადრე გენეტიკის მონაცემების მყარ არგუმენტად გამოცხადება, თუმცა, მეცნიერების ამ დარგის დღეს არსებულ მიღწევებს დავყვდნობით თითქოს ისე გამოდის, რომ კავკასიის მეზოლით-ნეოლითურ-ენეოლითური მოსახლეობა ერთი მხრივ ანატოლიელების (რომელიც შეიძლება წარმოშობით კავკასიას უკავშირდებოდეს), მეორე მხრივ კი სამხრეთ დასავლეთ აზიის - ზარზიული კულტურის ურთიერთქმედებით ჩამოყალიბდა.

ეს ზოგადად კარგად ეწერება ერთიან კონტექსტში. მეზოლითი ზოგადად ის პერიოდია, როცა მოსახლეობა პალეოლითური რეფიგიუმებიდან გამოდის და ახალ-ახალი კავშირები და კულტურები ყალიბდება. ბევრგან არის ჰიატუსი, ბევრგან უწყვეტი განვითარება, ბევრგან კი შერეული ზონები ყალიბდება. იქმნება ახალი გაერთიანებები ახალი სოციალური წესრიგის ფარგლებში, თუმცა, ცდუნების მიუხედავად არ უნდა ვიჩქაროთ ამ მოსახლეობის ლინგვისტებისთვის კარგად ცნობილ ენობრივ ოჯახებთან გაიგივება.

საქმე ისაა, რომ „ენობრივი უწყვეტობის“ იდეა არც ამ პერიოდში კარგავს აქტუალობას. მეზოლით-ნეოლით-ენეოლითშიც არსად გამქრალა ვითარება, როცა პირველ ჯგუფს ესმის მეორის, მეორეს მესამის, მესამეს მეოთხის, მეოთხე პირველის კი აღარ. ამ პერიოდის მცირერიცხოვანი საზოგადოების სტრუქტურა გამორიცხავდა გვაროვნულ თემზე უფრო დიდი გაერთიანებების ხანგრძლივად არსებობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ ვერ გვექნებოდა „პროტონდოევროპულის“ ტიპის ერთობა. მკაფიო საზღვრებით ვთქვათ ქართველურ ენებთან. ამ პერიოდში დიდი ალბათობით უნდა არსებულიყო ნოსტრატულის ტიპის „ენობრივი კონტინუმი“, რომელშიც ტალღებად კი იკვეთებოდა იზოგლასები, მაგრამ ეს ტალღები საზღვრებს არ ქმნიდა.

თუკი ზემოთ მოცემულ სურათს გავიხსენებთ შეუძლებელია ასევე არ გაგვახსენდეს „ნოსტატურლი თეორია“, რომელიც ურალურ-ალთაურ, ინდოევროპულ, სემიტურ, ქამიტურ ენებს შორის ეძებს საერთოს. ნიკო მარი კი ენობრივ ოჯახებს უარყოფდა და ენების განვითარების სტადიებზე საუბრობდა.

ნოსტრაციზმის არაერთი კრიტიკა გვინახავს, მაგრამ ეს კრიტიკა კომპარატივისტიკის მხრიდან მოდის მისთვის დამახასიათებელი აპარატიდან გამომდინარე. თუ ამ პარადიგმას ვუარვყოფთ და სტადიური მოდელით წავალთ, მაშინ რა გვიშლის ხელს ვთქვათ, რომ ნოსტრაციზმი მეზოლითურ-ნეოლითურ-ენეოლითური მოდელის კულტურების ენაა. არეალია სადაც არ არსებობს საზღვრები. ერთს ესმის მეორის, მორეს მესამის, მეხუთეს კი პირველის აღარ ესმის. თუ ასეთ ენობრივ უწყვეტობას წარმოვიდგენთ მთელ უზარმაზარ არეალში ეგვიპტიდან და ჩრდილოთ აფრიკიდან ციმბირამდე. მაშინ რა გამოვა, რომ ეს არის ენობრივი ქსოვილი, რომლის საფუძველზეც ბრინჯაოს ხანაში (მის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ) უკვე კომპარატივისტიკისთვის უფრო ბუნებრივი ენობრივი ოჯახების კონსტრუქცია ყალიბდება.

თუმცა, აქვე „ნარჩენის ენები“ საკითხსაც რომ არ შევხებით არ შეიძლება. ბასკური. მთის კავკასიური ენები, ენისეური. თითქოს ლოგიკურად ჩანს, რომ ამ ენებს მთიანი/იზოლირებული ლანდშაფტების გამო ძველი ბუნება შეენარჩუნებინათ. მით

უფრო რომ სტაროსტინი და ნიკოლაევი თითქოს ამას ამტკიცებენ კიდევ. გრინზერგთანაც მსგავსი რამ ჩანს. აღვნიშნავთ უბრალოდ, რომ ესეც კომპარატივისტიკის გავლენაა. შეუძლებელია პალეოლითური ფონდის ასეთი დაცულობა ვივარაუდოთ ვითარებაში, როცა პირენეი და კავკასია არ იყო მადაგასკარივით იზოლირებული. ამდენად ნოსტრატულ ენებსა და მათ შორის სხვაობებზე საუბარი ალბათა გადაჭარბებულია. შეიძლება ამ ენებში ძველი პალეოლითური სტადიის ნაშთების აღმოჩენა, როგორც ამას ნიკო მარი აკეთებდა, მაგრამ ეს არის და ეს.

ალბათ არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ ი. შმიდტისა და ნ. ტრობეცკოის ენობრივი მოდელი საკმაოდ კარგად წარმოაჩნეს მეზოლით-ენეოლით-ნეოლითის რეალობას, თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით მომდევნო პერიოდზე, რომელსაც ბრინჯაოს ხანას უწოდებენ.

თავი 3. „სამგანზომილებიანი სოციალური რეალობა“ (ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა)

- კლასი

ბრინჯაოს ხანა არის პერიოდი, რომელიც ყველაზე მეტად დააზარალა ეთნო-სოციალური კვლევებისთვის დამახასიათებელმა ტიპურმა ხარვაზებმა. დიდი ხნის განმავლობაში წარსულში ვეძებდით „ჩვენს ფესვებს“ და ნაკლებად იმ საზოგადოებას რომელსაც ვიკვლევდით (ავთენტური სოციალური რეალობა); ნაშრომებში ვიყენებდით მეორად სამცნიერო ტერმინებს (არქეოლოგიური კულტურა, „პროტოენა“, ტომი, ხალხი, სახელმწიფო) ისე, რომ ნაკლებად ვფიქრობდით ეპოქისთვის დამახასიათებელ ნარატივებსა და დისკურსებზე, ან წყაროებში დაფიქსირებული ეთნო-პოლიტონიმების რეალურ მნიშვნელობაზე (ანაქრონიზმი); ვიყენებდით კვლევის ინტერ და არა ტრანსდისციპლინურ მეთოდებს, როცა მომიჯნავე დისციპლინები უბრალოდ შემავსებლად გვყავდა წარმოდგენილი.

შესაბამისად ისტორიოგრაფიაში გაჩნდა სადისკუსიო საკითხები, რომლებიც შესაძლოა არც გაჩენილიყო (მაგალითად, შეკითხვები ეთნო-ლინგვისტურ აფილიაციებთან დაკავშირებით) თუკი კვლევა მართებული საკვანძო შეკითხვით დაიწყებოდა. ვფიქრობთ, ასეთი შეკითხვა იქნება შემდეგი. **რა განსხვავებაა ნეოლით-ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის საზოგადოებას / საზოგადოების მოდელს შორის? ბრინჯაოს ხანა უბრალოდ მოვლენათა ფორმალური დაჯგუფებისთვის გამოკვეთილი ტერმინია, თუ ის თვითმყოფად (ქვის და რკინის ხანისგან განსხვავებულ) სოციალურ რეალობას წარმოადგენს ? ვინ არიან ამ პერიოდის ისტორიის მთავარი პერსონაჟები და რა ყოველდღიური საზრუნავი, თუ გრძელვადიანი პროექტები/პოლიტიკური ხედვა აქვთ მათ ?**

ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, ანუ ეპოქებს შორის განსხვავებების წარმოსაჩენად უნდა გადავინაცვლოთ სამხრეთით, ოღონდ არა „ცივილიზაციის აკვან“ მესოპოტამიისკენ, არამედ მისგან მისგან დროში და გეოგრაფიულად უფრო დაშორებულ ჰალაფის არქეოლოგიურ კულტურის გავრცელების არეალში.

რით დაიძახებდა მან ეთნო-სოციალური ისტორიის თვალსაზრისით ასეთი მაღალი ყურადღება? საქმე ისაა, რომ ჰალაფი არის სრულიად ახალი ტიპის კულტურა, რომელშიც ჩანს ელიტების განსაკუთრებული როლი. ელიტებს მეცნიერები აქ კითხულობენ მოხატულ კერამიკაში და რეგიონულ კავშირებში. სწორედ ეს ელიტა წარმოქმნის ვითარებას, როცა ერთმანეთს უკავშირდება მთელი რეგიონები და გარკვეულ ვითარებაში წარმოიქმნება სახელმწიფოები/ცივილიზაციები.

მარქსისტული ისტორიოგრაფიის ენაზე შეიძლება ამას კლასობრივი საზოგადოების ფორმირების დასაწყისი ვუწოდოთ, როცა თანდათან ღრმავდება სოციალური უთანასწორობა / ხდება ჭარბი პროდუქტის არასამართლიანი გადანაწილება და ყალიბდება მექანიზმები / ძალმომრეობის აპარატი „სტატუს კვოს“ შესანარჩუნებლად. ასეთი ხედვა, რომელიც დღემდე დომინირებს სახელმძღვანელოებსა და სპეციალურ ლიტერატურაში ცხადია მოძველებულია. მოძველებულია არა იმიტომ რომ არასწორია, არამედ იმიტომ რომ პრიმიტიულია და არასწორ აქცენტებს გამოკვეთს. თანამედროვე ეტაპზე სოციალურ პროცესებს უფრო სიღრმისეული შესწავლა სჭირდება.

კლასობრივი საზოგადოების მთავარი მახასიათებელია სოლიდარობის ჩამოყალიბება სხვადასხვა, მანამდე პრაქტიკულად ერთმანეთისგან იზოლირებულ ჯგუფების ერთნაირი პროფილის ადამიანებს შორის (მეომარი ქურუმი); ეს ჯგუფები ერთიანდებიან კლასებად, რაც იწვევს უფრო ვრცელი და მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას. კლასების შექმნას მოსდევს სოციალური კონტროლის ახალი მექანიზმები / ანუ „რეგულაციების დაწესება კლასის დონეზე“ (დისკურსი კარგი მეომარი). საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან მეტაფორა რომ გავაკეთო ჩნდება „სამგანზომილებიანი“ (სქესობრივ-არაკობრივ-გენდერული სტრუქტურა, გვაროვნული თემი + კლასი) სოციალური რეალობა, რომელიც გაცილებით კომპლექსურია (ამიტომ არის რომ იმას, რაც მანამდე იყო ხშირად პრეიტორიას უწოდებენ).

ამ ტიპის რეალობა ცხადია თანდათან ყალიბდება. შესაძლოა მის ერთ-ერთი პირველი ფაზის ფიქსირება მოახდინა ბორისლავ მალინოვსკიმ წიგნში „არგონავტები“, როცა ტრობრიანის კუნძულების მცხოვრებლებში გავრცელებული „კულას“ ტრადიცია აღწერა. კულა არის მძივებისა გაცვლის ტრადიცია, რომელიც ხშირად ვაჭრობასთან აიგივებენ, თუმცა, ეს არ არის ვაჭრობა. აქ რეგულირებულია რისი ჩუქება შეიძლება ვისთვის და რისი არა, ვის შეუძლია ამ პროცესში ჩართოს და ვის არა და ა.შ. „კულას“ ინტერპრეტაციაზე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით ბევრი მოსაზრება გამოთქმულა. თუმცა, არც ერთი მათგანი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ ეს ინსტიტუტი სხვადასხვა გვაროვნულ თემებს აერთიანებს და სოციალურ უფრო მაღალ ერთეულს წარმოქმნის. არ იქნება ალბათ გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ ასე იკვეთება „კლასი“, რომელიც მიკუთვნებულობის განცდის გვაროვნულზე კიდევ უფრო მაღალ/განსხვავებულ მაინც სენტიმენტებს აჩენს.

ცივილიზაცია კლასობრივი საზოგადოების უფრო მაღალ ერთეულს წარმოადგენს, როცა, კლასებს შორის იერარქია (თუნდაც ორ-სამ საფეხურიანი იერარქია მყარდება). საინტერესოა, რომ კლასობრივი საზოგადოების ყველა მახასიათებელი და მისი ჩამოყალიბების პროცესი მთელი სიგრძე-სიგანით არის აღწერილი ჩვენამდე მოღწეულ პირველივე ლიტერატურულ ძეგლში „გილგამეშის ეპოსი“. ის ცხადია საქართველოს და კავკასიას არ აღწერს, მაგრამ იმ საზოგადოებას ნამდვილად კარგად წარმოაჩენს, რომლის შესწავლასაც ბრინჯაოს ხანის ეთნო-სოციალურ ისტორიის ამსახველი ნაშრომი უნდა ცდილობდეს.

ამ თხზულებაში მშვენივრად ჩანს. აგას ელჩებიც, უხუცესთა საბჭოც, მოყმეთა საბჭოც და მთლიანად „სამგანზომილებიანი სოციალური რეალობა“. კლასიკური ინტერპრეტაცია ამ საკითხზე არის ის, რომ გვაროვნული თემი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დაშლილი და ქალაქის ცხოვრებაში ინარჩუნებს „სათათბირო ხმის“ უფლებას (სტრუქტურა დაწესებული დიაკონოვით დამთავრებული ამას ამბობს ყველა). სინამდვილეში ცხადია აქ ვხედავთ მეომართა და უხუცეს-ვაჭართა ფენას/კლასს, რომელიც თვითონ ეძებს გავლენას ქალაქში და არა დაშლის პირას მყოფი თემის „ომბუტსმენებს“. რა თქმა უნდა, ღიმისიმომგვრელია ამ ყველაფრის „ორპალატიან პარლამენტთან“ შედარება (ს.ნ. კრამერი სწორედ ღიმისის მოსაგვრელად აკეთებს ასეთ სახელდებას), თუმცა, ვფიქრობთ სწორია ამ ტექსტში ურუქში არსებული „პოლიტიკური კლასების ხმა“ ამოვიცნოთ.

ვფიქრობთ, ისიც არ არის მწელად მისახვედრი ვაჭრებს რატომ არ სურთ ომი. ამგვარი ვითარება გილგამეშის პოზიციებს აძლიერებს, რომელსაც ერთია რომ ისედაც გაუვიდა თავს, ამას „დაფთავის ხმაზე ამხედრებს მეომრებს“ და ა.შ. მეორე ფაქტორია ის, რომ აგას მსგავს მეფეებთან ურთიერთობის დისკურსში ქმნიან მეფეების კლასს, რომლის შექმნაც უკვე შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაციის პირდაპირ პროპორციულია. შუმერული ცივილიზაცია სხვა არაფერია თუ არა ურუქის ტიპის ქალაქების ნეთვორქი, სადაც ქალაქის ენსები/სასახლეები მართლაც ცალკე, იერარქიულად ყველაზე მაღლა მდგომ კლასს ქმნიდნენ. ცივილიზაცია და კლასობრივი საზოგადოება კლასობრივი საზოგადოების უფრო მაღალი ფაზაა.

ასეთი ზეკლასობრივი ნეთვორქი ყველაზე უკეთ ჩანს „ამარნას უნიკალურ“ არქივში. აქ აღმოჩენილ ფირფიტებში მკაფიოდ იკითხება „დიდ მეფეთა“ კლასის/მომხმობის ჩამოყალიბება. სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე მეტად პოპულარულია ამარნას „ფორინ ოფისად“ გამოცხადება და მიმოწერის საერთაშორისო ურთიერთობებთან გაიგივება, თუმცა, ესეც თანამედროვეობის კალკია. ვფიქრობთ ინტერპრეტაციისას მეტ ყურადღებას იმსახურებს აქ დაფიქსირებული მიმართვის ფორმები, იერარქია, საჩუქრების სახეები და სხვა. ეს არის „ძველადმოსავლური კულა“ მეფეების კლუბი და არა გაეროს, „საღვთო კავშირის“, ან „დიდი სამეულის“ „წინაპარი“ გაერთიანება.

მეფეების კლასის არეალი ქმნის ცივილიზაციის არეალს. ეს კი დღის წესრიგში აყენებს ამ არეალის გარეთ მცხოვრებთა სტატუსს. შემთხვევითი არ არის, რომ შუმერულ ლიტერატურაში გვხვდება „მართუს“ ცნებაც და გვხვდება მართუს აკომოდაციის აღწერილობაც ენქიდუს მაგალითზე. ეს ცნება სამყაროს ბუნებრივად აჯგუფებს ცივილიზაციის, ნახევრად ცივილიზაციის და „ბარბარიკუმის“ ზონებად (შესაძლოა არ იყოს ანალოგია, რომელსაც ემანუელ ვალერსტაინის სკოლა გვთავაზობს დღევანდელი ანალოგიად).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ბრინჯაოს ხანის ადამიანის“ იდენტობა მკვეთრად განსხვავდებოდა მეზოლითი-ნეოლით-ენეოლითის პერიოდისგან. აქაური მაცხოვრებლისთვის აქტუალური ოპოზიციებია:

- მონა, ან თემის წევრია, თუ რომელიმე აქტიურ კლასს მიეკუთვნება (მანიშთუმუს ობელისკი);
- რა ადგილი უჭირავს თავად კლასის შიდა იერარქიაში; და რა მიმართება აქვს მის კლასს სხვა კლასებთან (ღმერთების ნების მიება სწორედ ამ დისკურსის ნაწილია);
- ცხოვრობს ცივილიზაციის, თუ ბარბარიკუმის ზონაში (მართუ დისკურსი).

ყველა ეს აქცენტი აუცილებლად ასახული უნდა ყოფილიყო მათ ნარატივებში, რომელიც „ჩვენ“ დისკურსის ნაწილს წარმოადგენდა; როგორც ეს არის ასახული გილგამეშის ეპოსში (აქ სხვადასხვა კლასის ნარატივი ისმის, რასაც ზემოთ აღვწერთ). სიტყვა „ჩვენ“ ბრინჯაოს ხანაში უპირველეს ყოვლისა კლასთან იგივედება / მასთან მიკუთვნებულობას აღნიშნავს. სწორედ კლასია აქ მთავარი გამაერთიანებელი და არა გვარი, როგორც ეს ნეოლით-ენეოლითში ხდებოდა და არა თანამოქალაქეობის (მაგალითად, ურუქელობის), ან შუმერობის. ურუქელობასაც და მთლიანად ურბანულ ზონასაც აქ ცივილიზაციის არეალის სტატუსი უფრო აქვს ვიდრე რაიმე „ნაციისადმი“ / „ტომისადმი“ / „ხალხისადმი“ მიკუთვნებულობის. ეს არ არის ბერძნული პოლისები „დემოკრატიით“ გამძაფრებული დისკურსით. სწორედ ამიტომ ამ პერიოდში ეთნოსი უნდა ვუწოდოთ არა ურუქელებს და

ქიშელებს, არამედ კონკრეტულ კლასებს (სხვადასხვა მოყმეთა საბჭოებს, მეფეთა კლუბს), რომლებიც სხვადასხვა კონფიგურაციის ელიტურ გაერთიანებებს ქმნიან.

ბრინჯაოს ხანა არ მოიცავდა მთელ მსოფლიოს. ცენტრალური და სამხრეთი აფრიკა, ამერიკა ავსტრალია და ოკეანეთი მას არ იცნობდა. თავად ამ ზონაში შემავალი ქვეყნებიც ერთმანეთისგან გვარიანად განსხვავდებოდნენ, თუმცა, რაც ზემოთ წერია ეს ყველას საერთო უნდა ჰქონოდა. ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება უპირველესია, რომელიც ამ პერიოდის ეთნო-სოციალურ / ეთნიკურ ისტორიასა თუ ეთნოგენეზის საკითხებზე ვსაუბრობთ. ეს ფრიად გააადვილებს მიგრაციებზე, ომებზე, აჯანყებებზე საუბარში ავთენტური შინაარსის ჩადებას.

მეორე გარემოება, რომელიც ბრინჯაოს ხანის ეთნიკურ ისტორიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში უდაოდ არის ცივილიზაციის არეალიალისა და „ბარბაროსული“/„ნახევრადბარბაროსული“ პერიფერიის ურთიერთქმედება. ძველი აღმოსავლეთი ფრიად საინტერესო რეალობაა, სადაც ცენტრი ძალიან არის დამოკიდებული პერიფერიაზე. ძველა აღმოსავლეთში არც ხე-ტყე და არც ბრინჯაოს წარმოებისთვის საჭირო ლითონები არ მოიპოვება, ამიტომ აქ ჩამოყალიბდა მოდელი, როცა ინდუსტრიალიზაციის პერიოდის ევროპისგან განსხვავებით ღირებული „სამრეწველო ნაწარმო“ პერიფერიიდან შემოდის. ეს იყო ამ ცივილიზაციის სისუსტეც. დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული თეორიებით ძვ.წ. XII საუკუნეში კოლასის, სწორედ ნეთვორქის არეამ გამოიწვია. ეკონომიკური კავშირები არ იყო „ფრჩხილებს გარეთ“ გატანილი. აქ ხდებოდა ცივილიზაციის ცენტრების სააზროვნო კონსტრუქციების ნახევრად პერიპერიულ და პერიფერიულ ზონაში გავრცელება, რაც არათი ეთნოსოციალურ ისტორიაზე ახდებდა ზეგავლენას, არამედ მას განსაზღვრავდა კიდევ.

ვფიქრობთ, რომ ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთქმედებას კარგად ასახავს ძალიან ძველი და ძალიან ავთენტური ტექსტი “ენმერქარი და არათას ბატონი”. ის, რასაც ამ პოემაში ვკითხულობთ ძალიან ჰგავს თანამედროვე ეკონომიკურ სანქციებსა და წამყვანი სახელმწიფოების მართულ მარიონეტულ რეჟიმებთან ურთიერთობას. არათას ბატონს ენმერქარი ტებს იმით, რომ ჯერ ინანას ადგილსამყოფელს შეუსწორებს და ღმერთებთან ურთიერთობის იერარქიას განუსაზღვრავს, შემდეგ კი შიმშილობას იწყებს, შემდეგ კი ურუქის ხალხთან (რომლებშიც ცხადია ადგილობრივი არისტოკრატია იგულისხმება) იწყებს სეპარატისტულ მოლაპარაკებებს.

ვფიქრობთ, რომ ეს ეპოსი კარგად წარმოაჩენს ბრინჯაოს ხანაში შუამდინარული ცივილიზაციის განვითარების ზემოაღწერილ მოდელს. ასე იყო ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანაშიც; თუმცა, იცვლებოდა მასშტაბები და მიმართებები.

ცივილიზაციის პირველ ევოლუციურ სტადიას უდაოდ წარმოადგენს ზემოთ უკვე ორ წყაროში განხილული ქალაქი ურუქი. ლიტერატურაში „ურუქის ექსპანსიას“ უწოდებენ ამ არქეოლოგიური კულტურის ნეთვორქის ზრდას. გვიანბრინჯაოს ხანაში კი ელიტებით მართული პერიფერიები ქმნიდა დიდი ხუთეულის სამყაროს. თითოეული მათგანი დიდ გავლენას ახდენდა კავკასიის რეგიონში მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებზე თუმცა, მოდი მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრობით.

- ადრეული ბრინჯაოს ხანა

ურუქის/შეიძლება ითქვას შუამდინარეთისაგ და ნახვრადპერიფერია სუზიანის პრაქტიკულად ზუსტად პარალელურად სტარტი აიღო სამმა უზარმაზარმა კულტურულ-ისტორიულმა ერთობამ. ეს არის მტკვარ-არაქსი, მაიკოპი და ძველი ორმოების კულტურა სტეპებში (შეიძლება მათ რიცხვს ზონრიანი კერამიკის კულტურაც მივუმატოთ). ეს არის ტიპოლოგიურად სრულიად ახალი ტიპის კულტურები, რომლებსაც გავრცელების ძალიან ფართო არეალი ახასიათებთ. არასოდებს ამ ადრე ასეთი მასშტაბის და ასეთი ჰომოგენური კულტურები არ გავრცელებულა.

ცხადია, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითი არ არის და გაეკვეთა მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ რა არის ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. დავიწყოთ იმისა აღნიშვნით, რომ ამ კავშირების უმთავრესი ცვლადი უდაოდ არის ელიტები, რომლებიც თითოეულ ამ კულტურის მთავარ დრაივერს წარმოაჩენს. მაიკოპის კულტურის შემთხვევაში ამ ელიტებს ძებნა არც სჭირდება ისინი ისედაც წარმოაჩენენ თავს თავიანთი ყორღანებით; იგივე ითქმის ძველი ორმოების ელიტებზე, რომლებმაც უზარმაზარ სივრცეზე პირველ ეტაპზე ძალიან ჰომოგენური სივრცე შექმნეს. მტკვარ არაქსის შემთხვევაშიც ასეთი უეჭველი სავიზიტო ბარათები არ ჩანს; კულტურა თითქოს ეგალიტარულია, თუმცა, მისი ძალიან ჰომოგენური ბუნება უდაოდ მიგვანიშნებს ელიტურ ჯგუფებზე, რომლებიც ამირანის გორის ტიპის საოჯახო ტიპის დაწესებულებებიდან გამოცალკევდებოდნენ კულტურის შიგნით ნერგულ კავშირებს ქმნიდნენ (მით უფრო რომ ტექნილოგიები მსგავსი აქვთ).

გაცილებით რთული საქმე იმის განსაზღვრა რას წარმოადგენდა ეს ელიტები? რა ტიპის ურთიერთობები ჰქონდათ მათ ერთმანეთთან და შუამდინარულ სამყაროსთან. ურთიერთობებზე ლაპარაკიც არ არის ადვილი იმიტომ რომ აქაც ფრიად უცნაური სურათია. ძველი ორმოების კულტურას ძველ აღმოსავლეთთან პირდაპირი კავშირი არ უჩანს. ეს არც არის გასაკვირი დისტანციური სიშორის გამო. მაიკოპურ კულტურას პირდაპირი კავშირები უჩანს ურის პირველი დინასტიასთან - ამას თითქოს ადასტურებს პირველი დინასტიის სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი.

მტკვარ არაქსის კულტურაში კი ძველადმოსავლური ნივთები პრაქტიკულად არ აღწევს. ის კი არაა მაიკოპის კულტურასთანაც ის საკმაოდ „გაბუტულად“, „ცივი ომის რეჟიმში“ ცხოვრობს (მათი არეალები ერთმანეთს პრაქტიკულად არ გადაკვეთს). რას უნდა ნიშნავდეს ეს? ალბათ იმას, რომ ძველ აღმოსავლეთთან ურთიერთობამ მაიკოპში თუ „მეფეები შექმნა“ იგივე არ მოხდა მტკვარ-არაქსში. აქ აშკარად არ ჩანს ძვირფასეულობა.

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ მაინცადამაინც მკაფიო არ არის რაში სჭირდებოდათ ამ კულტურებს ერთმანეთი. ყველაზე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ საქმე ბრინჯაოს მოპოვებას უკავშირდება. კავკასია კი არის სივრცე საიდანაც ნედლეული მოედინება, თუმცა, სანაცვლოდ რა ბრუნდება გაურკვეველია. თანამედროვე ეტაპზე ვერც ის ჩაითვლება ბოლომდე დასაბუთებულად, რომ აქადის და წინადინასტიურ ხანაში საერთოდ რაიმე კონტაქტი არსებობდა.

რადგან არქეოლოგია არაფერს გვეუბნება ალბათ უნდა ვიფიქროთ, რომ ტავროსის მთებთან, ან ზაგროსში არსებობდა შუალედური ნახვრადპერიფერიული ზონები, რომლებიც მესოპოტამიასთან შუამავლის როლში იყვნენ. ერთ-ერთ ასეთ რგოლს

ბურუსხანდას სამეფოს და მის მეფე დანუ ნუს ანატოლაში სარგონიც ახსენებს (თუმცა, ეს ბევრ მეცნიერს გვიანდელი ჩანამატი ჰქონია). როგორც არ უნდა იყოს აქადის მეფეები სულ ამ ნახევრადპერიფერიის დამორჩილებას ცდილობდნენ. როგორც ჩანს ამ ზოლთან ამყარებდნენ მტკვარ-არაქსელები ძირითად კომუნიკაციას.

ამას თითქოს დინასტიის დაცემის ისტორიაც ადასტურებს. მას ჩვეულებრივ ან გუთიებს უკავშირებენ, ან კლიმატურ პირობებს ან ორივეს ერთად. ერთი შეხედვით მტკვარ-არაქსის ამოგდება არც ერთი მათგანიდან არ შეიძლება. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ორივე ეს მოვლენა თითქმის პარალელურად ხდება ძვ.წ. XXII საუკუნეში დადასტურებულია მტკვარ-არაქსული მოსახლეობის მასიური გადმოსვლა გოდინ თევსა და კირბეთ-კერაკის მიმართულებით. თითქოს ფაქტია, რომ ინტენსიური მიწათმოქმედებით გამოწვეულმა კლიმატურმა კატასტროფამ მოსახლეობისგან დაცლა გამოიწვია; ალბათ ეს უფრო სარწმუნო ვერსიაა, ვიდრე ბედენელების შემოსევა, თუმცა, შესაძლოა ორივე ამ ფაქტორის თანხვედრასაც ჰქონოდა ადგილი. ისიც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ გუთიები, ლულუბელები, კასიტები და სხვა უცნაური ხალხები მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების არეალში თუ არა უშუალოდ მის გავრცელების არეალთან ძალიან ახლოს მაინც ცხოვრობდნენ.

აქადის დინასტიის დაცემა, როგორც ჩანს გარკვეული მიზეზების გამო ბუფერის მოშლამ გამოიწვია. შეიძლება ეს იყო იგივე შიმშილი, რამაც მტკვარ-არაქსი აყარა, შეიძლება ვულკანის ამოფრქვევა, შესაძლოა ნარამსინის დაშვებული შეცდომები - შესაძლოა ვინმე ისეთი გაანადგურა, რომელსაც ბუფერის როლი ჰქონდა. ამ სისტემის აღდგენა უკვე ოდნავ მოგვიანებით კაპადოკიური ფირფიტების ეპოქაში ხდება, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ის პერიოდი, როცა მცირე აზია პერიფერია-ნახევრადპერიფერიიდან ცივილიზაციის ზონად; მოგვიანებით კი „დიდი ხუთეულის“ ერთ-ერთ ცენტად გარდაიქმნება. როგორც ჩანს მტკვარ-არაქსის დაცემა უშუალოდ ებმის იგივე პროცესებს.

- რომელ ენაზე საუბრობდნენ ბრინჯაოს ხანის კავკასიაში?

მტკვარ-არაქსის კულტურას როგორც წესი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიის და არა მხოლოდ კავკასიის ხალხის ეთნიკურ ისტორიაზე საუბრისას. შესაბამისად, როგორც არ უნდა იყოს დამოკიდებულება ეთნოგენეზის საკითხების კვლევის პარადიგმის მიმართ გვერდს ვერ ავუვლით გვიანი ბრინჯაოს ხანის კავკასიის მოსახლეების ენობრივი კუთვნილების საკითხს. თუმცა, ამ საკითხზე მსჯელობა ოდნავ უფრო შორიდან ინდოევროპულ ენებთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზით უნდა დავიწყოთ. საქმე ისაა, რომ ინდოევროპული ენები დღეს მსოფლიოში ყველაზე უკეთ არის შესწავლილი, შესაბამისად მათი პრობლემების კავკასიის რეალობასთან კავშირში განხილვას ისტორიოგრაფიული დისკურსების შესაჯერებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ ქართულ და ინდოევროპულ ენებს შორის უამრავი საერთო ელემენტი მოიძებნება, რომელიც ამ ენობრივი მასივების ხანგრძლივი კომუნიკაციის შედეგად ჩამოყალიბდა.

თანამედროვე ეტაპზე ინდოევროპულ ენობრივ ოჯახში ხშირად გერმანიკულ, კელტურ, იტალიურ, ილირიულ, მესაპურ, სამხრეთ პიცენურ, ვენეტურ, რიგ შემთხვევებში კი ბალტიურ და სლავურ ენებსაც ცალკე ე.წ. „ძველევროპული“ ჯგუფის სახით გამოყოფენ (122, 65). ეს ტერმინი ხმარებაში 1954 წელს გერმანელმა ლინგვისტმა ჰ. კრაემ შემოიტანა ევროპული ტოპონიმის ცალკეული ფენების აღსანიშნავად (122, 67). სადღესოდ მისი საშუალებით ზემოთჩამოთვლილ ენებსა და ენობრივ ოჯახებს შორის არსებული არეალური ენობრივი კავშირები აღინიშნება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში მისი დამოუკიდებელი მასივის სახით განხილვის ტენდენციაც იგრძნობა.

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოევროპული ენობრივი მასივის დივერგაციის პრობლემასაც. ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში ფართო დისკუსიის ობიექტს წარმოადგენს, რადგან ინდოევროპული ენების შესახებ ფრაგმენტული ინფორმაციაა შემორჩენილი, რაც ამ მხრივ თამამი ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში ამ კუთხით დადგენილ ფაქტად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ:

ა) ანატოლიური ენები სხვებზე ადრე გამოეყო ერთიან ინდოევროპულ სივრცეს;

ბ) ინდო-ირანული, ბერძნული და სომხური ენობრივი მასივი გარკვეულ პერიოდში ერთმანეთთან სხვა ენობრივ ჯგუფებზე დაახლოებული უნდა ყოფილიყო;

გ) ცალკე ერთობას ქმნიდა გერმანიკული, ბალტიური და სლავური ენებიც; კელტური და იტალიური კი მეტ სიახლოვეს ჩრდილოეთის ჯგუფებთან ამჟღავნებდა;

დ) თოხარული ენის პოზიცია ბოლომდე ნათელი არ არის, მაგრამ იგი ინდო-ირანულთან ახლოს მდგომად არ უნდა ჩავთვალოთ (81, 98).

ისტორიოგრაფიაში ინდოევროპული ენების დივერგაციის არაერთ მოდელს ვხვდებით. ხშირად ისინი გარეგნულად დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ მათ შორის გარკვეული წინაღობები არსებობს. წინამდებარე ნაშრომი უმთავრესად თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის გეგმას ეყრდნობა, ვინაიდან აქ ინდოევროპული ენების დაშლის პროცესი ისტორიულ კონტექსტშია განხილული. თანაც იგი გარეგნულად დიდად არ განსხვავდება დ. რანგის სქემისგან, რომელიც თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში ყველაზე მეტად გაზიარებულ მოდელად ითვლება (84, 206).

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის სქემაში ინდოევროპული ენობრივი მასივის დაშლა შვიდი ქრონოლოგიური ეტაპის სახითაა წარმოდგენილი. დაშლის პროცესი სქემატური სახით ასე გამოიყურება (იხ.: სურათი #1) (239, 279).

ბ) სად მდებარეობდა და რას წარმოადგენდა ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლო - ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის საკითხზე საუბარისას, პირველ რიგში, ევროპის არქეოლოგიურ რუკაზე იმ ეთნო-ლინგვისტური ჯგუფების გეოგრაფიული და ქრონოლოგიური იდენტიფიცირებაა საჭირო, რომელთა საფუძველზეც მოგვიანებით გერმანული და კელტური სინამდვილეები ჩამოყალიბდნენ. შესაბამისად, ჩვენი შემდგომი ამოცანა ზემოთ შემოთავაზებული ლინგვისტური სქემის

ევროპის არქეოლოგიურ რუკასთან შეფარდებაა, თუმცა ვიდრე ამ პრობლემის განხილვას შევეუდგებოდეთ, საჭიროა განვსაზღვროთ, თუ სად მდებარეობდა მათი განსახლების საწყისი წერტილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა განვსაზღვროთ, თუ სად მდებარეობდა ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლო.

ინდოევროპული ენების ნათესაობის აღიარება წარსულში მათი ან მათი წინაპარი ენების ერთიანი ენობრივი სისტემის პირობებში თანაარსებობის აღიარებასაც გულისხმობს. ასეთ ენობრივ სისტემას ლინგვისტები "პროტოინდოევროპულს" უწოდებენ, მისი (ე.ი. ამ ჰიპოთეტური ენობრივი რეალობის) თავდაპირველი გავრცელების არეალს კი - წინარესამშობლოს (Urheimat, Homeland). ამ უკანასკნელში ტრადიციულად იგულისხმება ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა და გარკვეული დროის განმავლობაში არსებობდა "პროტოინდოევროპული" ენობრივი ერთობა. მის დაკავშირებას, როგორც წესი, რომელიმე არქეოლოგიურ კულტურასთან ცდილობენ. ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრას არაერთი თაობის ლინგვისტი, არქეოლოგი, ისტორიკოსი და ანთროპოლოგიცდილობდა. მიუხედავად ამისა, საკითხზე მსჯელობა დღემდე მეტად ჰიპოთეტურ ხასიათს ატარებს.

ინდოევროპელების წინარესამშობლოს პრობლემის კვლევა, ვფიქრობთ, ორ ნაწილად უნდა გაიყოს. პირველ რიგში, მისი (ე. ი. წინარესამშობლოს) გეოგრაფიული და ქრონოლოგიური კოორდინატები უნდა განვსაზღვროთ, შემდეგ კი - რა ისტორიული რეალობა იმალება "პროტოინდოევროპულის" ლინგვისტური ცნების ქვეშ და რა პროცესები მოსდევდა ინდოევროპული "კილოკავების" ევრაზიის კონტინენტზე გავრცელებას. წინამდებარე პარაგრაფი პირველ მათგანზე იქნება ორიენტირებული, მეორე საკითხს კი მომდევნო, მეოთხე თავშიშევეხებით.

ინდოევროპული ენების თავდაპირველი გავრცელების არეალის შესახებ მსჯელობა იმ კრიტერიუმების აღნუსხვით უნდა დავიწყოთ, რომელთა გათვალისწინებაც საკითხის კვლევისას უპირობოდ აუცილებელია. ამ მხრივ, ვფიქრობთ, დამაჯერებელ მსჯელობას ჯ. მელორი და დ. ადამსი გვთავაზობენ ნაშრომში: "ინდოევროპელების კულტურის ენციკლოპედია". თუმცა, მიგვაჩნია, რომ აქ მოყვანილი ცალკეული დებულებები გარკვეულ დაზუსტებასა და შევსებას საჭიროებენ. ჯ. მელორი და დ. ადამსი 6 ასეთ კრიტერიუმს გამოყოფენ (81, 295-297). მათი აზრით, ინდოევროპელების წინარესამშობლოს ძიებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

1) წინარესამშობლოს არსებობა ნაკლებად სავარაუდოა ისტორიულად ა პრიორი არაინდოევროპელი ხალხების განსახლების არეალში, მაგ.: ბასკების, ტარტესების, დრავიდების, მუნდელელების, ელამელების, შუმერების, პროტოხეთებისა და ა. შ.

2) უნდა გავითვალისწინოთ, რომ "პროტოინდოევროპულის" არსებობა ნეოლითის ხანაზე ადრეულ პერიოდში ნაკლებად სავარაუდოა, რადგან "პროტოინდოევროპულ" ენობრივ სისტემაში კარგად არის ასახული "ნეოლითური რევოლუციის" მიღწევები;

ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში "პროტოინდოევროპულის" ქრონოლოგია ფართო დისკუსიის ობიექტია. ყველასათვის ცხადია, რომ შედარებითი და

გლოტოქრონოლოგიური მეთოდის საფუძველზე ამ მიმართულებით გაკეთებული დასკვნები, რომლებიც ინდოევროპული ერთობის ძვ. წ. V-IV ათასწლეულებით დათარიღებისკენ გვიბიძგებს, მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება. ინდოევროპეისტიკაში ამ თვალსაზრისით მეთოდოლოგიური ნოვაციების დანერგვის მცდელობაც აღინიშნა (105, 435-438). მიუხედავად ამისა, რ. დიქსონის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „პროტოინდოევროპულის“ არსებობის პერიოდად ძვ. წ. 4000-დან 40 000 წლამდე ნებისმიერი თარიღი შეიძლება გამოდგეს, დღემდე ძალაში რჩება [Graf...2003: 436]. ამდენად, ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქრონოლოგიური ხასიათის არგუმენტებს ინდოევროპელების წინარესამშობლოს შესახებ მსჯელობისას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. დაზუსტებით იმის მტკიცებაც კი არ შეიძლება, რომ „პროტოინდოევროპული“ რეალობა ნეოლითის ხანაზე ადრეულ პერიოდში არ ჩამოყალიბებულა, ვინაიდან თეორიულად სავსებით შესაძლებელია, ინდოევროპულ ენობრივ მასივს მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი სახე ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქაში ჰქონოდა, ხოლო „ნეოლითური რევოლუციის“ მიღწევები მასში მხოლოდ შემდგომ ეტაპზე გავრცელებულიყო.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „ლინგვისტური პალეონტოლოგიის“ (ანუ იმ დარგის, რომელსაც ამ შემთხვევაში დ. ადამსი და ჯ. მელორი ეყრდნობიან) მნიშვნელობა სადღეისოდ არაერთგვაროვნად არის შეფასებული. (ამ დარგის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ). მეცნიერთა ერთი ნაწილი მას დღემდე ენდობა, მეორე კი მთლიანად უარყოფს და მასზე საუბრისას სარკაზმსაც არ ერიდება. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ერთგვარი „ოქროს შუალედის“ პოვნაა საჭირო, ვინაიდან „ლინგვისტური პალეონტოლოგიის“ სრული უარყოფა ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობის საკითხის შესწავლაზე უარის თქმასაც ნიშნავს. ინდოევროპეისტიკა, პირველ რიგში, ენათმეცნიერების დარგია. თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ლინგვისტიკის აღდგენილ „პროტოინდოევროპულ“ ენობრივ სისტემას ზოგადად მაინც არ შეუძლია თავისი გარემომცველი გეოგრაფიული და ისტორიული გარემოს შესახებ მოგვითხროს, მაშინ საერთოდ რა აზრი აქვს მის ისტორიულ კონტექსტში განხილვას? ამგვარი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, ვფიქრობთ, საჭიროა სამეცნიერო წრებრუნვაში სხვა მსგავსი ტიპის (ე.ი. „ლინგვისტური პალეონტოლოგიის“ საშუალებით მიღებული) არგუმენტებიც შემოვიტანოთ. კერძოდ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ნაშრომს: „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“, რომელიც ამ (ე.ი. „პროტოინდოევროპულის“ გარემომცველი გარემოს რეკონსტრუქციის) თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე უფრო სრულყოფილი გამოკვლევაა. მასში, ვფიქრობთ, განსაკუთრებით ნიშანდობლივია დასკვნა ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის წინააზიურ კულტურულ წრეში შესაძლო მდებარეობისა და ქართველური ენების მასთან დიდი სიახლოვის შესახებ (239, 869-891). ისეთი არგუმენტების მნიშვნელობა კი, რომ წინარესამშობლო თითქოსდა უნდა ყოფილიყო მხარე მთიანი ლანდშაფტით (239, 865-866), არცთუ დიდია, რადგან ამა თუ იმ „პროტოენაში“ ცალკეული სიტყვების არსებობა იშვიათად თუ ნიშნავს იმას, რომ ეს ცნებები მხოლოდ აღნიშნული „პროტოენისთვის“ იყო დამახასიათებელი. იგივე შეიძლება

ითქვას ცხოველებისა და მცენარეების ცალკეული სახეობების აღმნიშვნელი სიტყვების შესახებ, რომლებზე მსჯელობასაც ავტორები ასევე დიდ ადგილს უთმობენ (239, 465-686).

3) წინარესამშობლოს შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია ასევე ინდოევროპული ენობრივი ჯგუფების ურთიერთმიმართების საკითხი. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა გვახსოვდეს, რომ:

ა) ანატოლიური ენები სხვებზე ადრე გამოეყო ერთიან ინდოევროპულ სივრცეს;

ბ) ინდო-ირანული, ბერძნული და სომხური ენობრივი მასივი გარკვეულ პერიოდში ერთმანეთთან სხვა ენობრივ ჯგუფებზე დაახლოებული უნდა ყოფილიყო;

გ) ცალკე ერთობას ქმნიდნენ გერმანიკული, ბალტიური და სლავური ენებიც, კელტური და იტალიური კი მეტ სიახლოვეს ჩრდილოეთის ჯგუფებთან ამჟღავნებდა; დ) თოხარული ენის პოზიცია მთლად ნათელი არ არის, მაგრამ იგი ინდო-ირანულთან ახლოს მდგომად არ უნდა ჩავთვალოთ;

4) ინდოევროპული ენების გავრცელების არეალი უნდა დავუკავშიროთ ცხენის დომესტიკაციის არეალს;

5) ინდოევროპული ენების გავრცელების ლინგვისტური სქემა უნდა შეესაბამებოდეს არქეოლოგიურ რეალობას;

6) ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის თეორიამ უნდა ახსნას ყველა ინდოევროპული ენობრივი ჯგუფის თავის ისტორიული განსახლების არეალში გავრცელების საკითხი.

ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს პრობლემის შესწავლას საფუძველი ინდოევროპული ენათმეცნიერების ჩამოყალიბებისთანავე ჩაეყარა და უამრავი ჰიპოთეზაც გამოითქვა. ისინი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. თანამედროვე ეტაპზე სერიოზულად მხოლოდ რამდენიმე მათგანი განიხილება. მათ რიცხვში შეგვიძლია დავასახელოთ პალეოლითური უწყვეტობის თეორია (მ. ალინეი); მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც წინარესამშობლო ჩრდილოეთ ევროპის ტერიტორიაზეა ლოკალიზებული (ლ. კილიანი, ა. ჰაუსლერი, მ. ზველებილი); თავისი მომხრეები ჰყავს ინდურ ჰიპოთეზასაც (მ. ვიტზელი, კ. ელსტი). ეს კონცეფციები თანამედროვე ეტაპზე დიდი პოპულარობით არ სარგებლობენ, თუმცა არც მთლიანად უარყოფილიან. გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს წინარესამშობლოს ბალკანეთ-კარპატებსა (ვ. საფრონოვი, ბ. გორნუნგი, ი. დიაკონოვი, ლ. მაკკაი, გ. დევოტო) და წინა აზიაში ლოკალიზების მხარდამჭერებს. წინააზიურ ჰიპოთეზებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით კ. რენფრიუს ანატოლიური თეორია სარგებლობს, რომელიც ინდოევროპელების სახელს ნეოლითური მეურნეობის გავრცელებას უკავშირებს (კ. რენფრიუ, ა. დოლგოპოლსკი). შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა ინდო-ხეთურ (პ. სტურტეჟანი, ბ. დარდენი) და გამყრელიძე-ივანოვის კონცეფციებს. მიუხედავად ერთგვარი მსგავსებისა, ეს ჰიპოთეზები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეულ ნიუანსებში რენფრიუს თეორია ბალკანურ-კარპატულ ჰიპოთეზებთან ერთად უპირისპირდება პონტიურ-კასპიურ თეორიას. ამ უკანასკნელის

მიხედვით, ინდოევროპელების წინარესამშობლოდ ვოლგა-ურალის სტეპები განიხილება, ხოლო ინდოევროპელების დასავლეთით გავრცელება ბრინჯაოს ხანის მოვლენად არის აღქმული. წინააზიურსა და ბალკანეთ-კარპატულ ბანაკებს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ე. შერა თავისი ე. წ. "მეორადი ნეოლითური რევოლუციის" კონცეფციით. იგი ადრე ბრინჯაოს ხანაში ინდოევროპელების ვოლგა-ურალის სტეპებიდან დასავლეთით გადანაცვლების კონცეფციას ანაქრონიზმად თვლის (188-234). პონტიურ-კასპიური თეორიის მთავარ მომხრეებად მ. გიმბუტასი, დ. ენტონი, ჯ. მელორი და დ. ადამსი გვევლინებიან. მათთან ახლოს შეიძლება დავაყენოთ ჯ. ნიკოლსი, რომელიც თავისი ე. წ. სოგდიანური ჰიპოთეზით ინდოევროპელების აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიგრაციის თეორიის სასარგებლოდ მნიშვნელოვან ლინგვისტურ არგუმენტებს გვთავაზობს. ყველა ამ თეორიას გარკვეული ხარვეზი ახასიათებს. მათ შესახებ მსჯელობას ინდოევროპეისტიკაში (ძირითადად საწინააღმდეგო თეორიის მომხრეების მიერ), ტრადიციულად, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ამიტომ ვფიქრობთ, ამ კუთხით მსჯელობის გაგრძელება აუცილებელი არ არის. ზემოთ ჩამოთვლილი თეორიების ცალკეული სუსტი მხარეები საკითხის შესახებ ჩვენეული მსჯელობისათვის სასარგებლო არგუმენტად ვერ ჩაითვლება.

„პროტოინდოევროპული“ ენისა და მისი თავდაპირველი გავრცელების არეალის შესახებ მსჯელობისას, ვფიქრობთ, პირველ რიგში, ყურადღება ე. წ. ნოსტრატულ თეორიას უნდა მივაპყროთ. ამ უკანასკნელის მიხედვით, ევრაზიის კონტინენტის ბევრი ენობრივი ოჯახი სათავეს კიდევ უფრო მსხვილი ნოსტრატული „პროტოენიდან“ იღებს. ნოსტრატული ენების კლასიფიკაციის შესახებ ლიტერატურაში ერთმნიშვნელოვან მსჯელობას ვერ ვხვდებით. თუმცა, „პროტოინდოევროპული“ ყოველთვის მის უცვლელ წევრად განიხილება. იგივე შეიძლება ითქვას ქართველურ და ურალურ ენებზეც, მაშინ, როცა სემიტური, ზაგროსულ-ელამური, დრავიდული, ალთაური, აფრაზიული და სხვა ენობრივი ჯგუფების პოზიცია ამ მხრივ მთლად ნათელი არ არის. თანამედროვე ლინგვისტიკაში ნოსტრატული თეორიის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ინდოევროპეისტიკაში მას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. მძიმედ დავად ამისა, ჩვენი აზრით, ინდოევროპელების წინარესამშობლოს შესახებ მსჯელობისას მისი მნიშვნელობა ფრიად დიდია. საქმე ისაა, რომ ინდოევროპული, ქართველური და ურალური ჯგუფებისგან საკუთრებული სიახლოვე ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, იმაზე მაინც მიგვანიშნებს, რომ ამ ოჯახების ენებზე მოსაუბრეთა წინაპრების ენების გავრცელების არეალი გარკვეულ პერიოდში, რომელიც, ალბათ, წინ უსწრებდა მათ დამოუკიდებელ ენობრივ ოჯახებად ჩამოყალიბებას, ერთმანეთთან ახლოს მდებარეობდა. ეს, ალბათ, უფლებას გვაძლევს, „პროტოინდოევროპელების“ თავდაპირველი გავრცელების არეალად ქართველურ და ურალურ ენობრივ სივრცეებს შორის არსებული ტერიტორია ჩავთვალოთ.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ საკითხზე ყურადღებას არანოსტრატუკოსი ლინგვისტებიც ამახვილებენ. იმავე მოცემულობის შესახებ მათი არგუმენტები დაახლოებით ასე გამოიყურება: უკვე ფუძეენის დონეზე ინდოევროპულ ენაში გვხვდება მთელი რიგი სიტყვები, რომლებიც შუმერული, პროტოხეთური, ელამური, ხური-ურარტული, ქართველური და სხვა (239, 456-462) უძველესი წინააზიური ენების ლექსიკიდან არის

ნასესხები (ან პირიქით). პროტონდოვეროპული რიგ საერთო ელემენტებს სემიტური ჯგუფის ენებთანაც ამჟღავნებს. აქვე უნდა ითქვას, რომ „პროტოქართული“ ენა ფუძინდოვეროპულთან იმდენად დიდ სტრუქტურულ მსგავსებებს ავლენს, რომ ზოგი მკვლევარი მათი ჩამოყალიბების საერთო არეალზეც საუბრობს. მეორე მხრივ, როგორც ცალკეული ენების, ისე „პროტო ერთობის“ დონეზე ინდოვეროპულ ენებში ვხვდებით ისეთ ლექსიკურ და მორფოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც ინდოვეროპელების უნგრო-ფინურ და ურალურ-ალთაურ ენებზე მოსაუბრე ხალხებთან ხანგრძლივ ისტორიულ კონტაქტებზე მეტყველებს. ყოველივე ზემოთქმული ლინგვისტიკის ნაწილს ინდოვეროპული ტიპის ენების გენეზისთან დაკავშირებით საკმაოდ თამამი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას აძლევს. ასეთ მკვლევართა რიცხვში შეგვიძლია მოვიხსენიოთ: ე. ფორერი, ნ. ტრუბეცკოი, კ. ულენბეკი და სხვები. მათი კონცეფციები ერთმანეთისგან მთელ რიგ ნიუანსებში განსხვავდება, მაგრამ ბევრ საერთოსაც ამჟღავნებს იმის გამო, რომ „პროტონდოვეროპულს“ ყველა მათგანი უგრო-ფინურ-ურალურ-ალთაური და კავკასიურ-ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის ენების სინთეზის შედეგად წარმოქმნილად მიიჩნევს.

ყველაზე მკაფიოდ ეს თეორია კ. ულენბეკს აქვს ჩამოყალიბებული. იგი ინდოვეროპულს A (ჩრდილოეთ ევრაზიული) და B (კავკასიურ-ხმელთა-შუაზღვისპირული) ტიპის ენების სინთეზის შედეგად წარმოქმნილად თვლის. თავის ადრეულ ნაშრომებში მას განხილული აქვს ინდოვეროპული და ესკიმოიდური საერთო ენობრივი ელემენტები, რის საფუძვლზეც მიიჩნევს, რომ უნგრო-ფინური ენები ამ (ე.ი. ესკიმოსური) ტიპის საფუძველზე ვითარდებოდნენ, მაგრამ მოგვიანებით თავიანთი სახე ურალურ-ალთაურ ოჯახთან ურთიერთობისას დაკარგეს. სამაგიეროდ, ეს სახე არ დაუკარგავს უნგრო-ფინურთან ახლო მდგომ იმ ეთნიკურ ჯგუფს, რომელმაც ე.წ. A კომპონენტის სახით ინდოვეროპული ტიპის ენების ფორმირებაში მიიღო მონაწილეობა. ულენბეკის აზრით, მეორე მხრივ, ამ პროცესში, ანუ ხმელთაშუაზღვისპირულ-კავკასიური ტიპის ენებთან ახლო მდგომი ენობრივი ჯგუფი მონაწილეობა (241, 35-36).

მსგავს მოსაზრებებს მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს, მაგრამ პროტონდოვეროპულის ზემოთხსენებულ ენებთან შეხვედრის ფაქტების ლოგიკური ახსნის აუცილებლობაზე ყველა საუბრობს. რიგი ზემოთჩამოყალიბებული დებულებებისა შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობას იწვევდეს, მაგრამ, ვფიქრობთ, სავსებით ცალსახაა, რომ ინდოვეროპელებს თავიანთი „პროტო ერთობის“ არსებობის ხანაში უძველეს წინააზიელ და ჩრდილოევრაზიელ ხალხებთან ჰქონდათ კავშირი. თანამედროვე ინდოვეროპისტიკაშიც ეს აზრია გავრცელებული, კერძოდ, ყველა აღიარებს „პროტონდოვეროპულ“ – წინააზიურ ენობრივ შეხვედრებს. ურალურ-ალთაურ ენებთან მისი კავშირისადმი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ კი ა. ანდრეევის გამოკვლევა გამოდგება. მან დაადგინა, რომ 203 ძველი ინდოვეროპული ფუმიდან 198 ურალურ-ალთაურ და უგრო-ფინურ ენებშიც გვხვდება, 5 კი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში (276, 154).

სად შეიძლებადა ყოფილიყო ასეთი სივრცე? ქართველური ენების ფორმირებისა და გენეტიკური კავშირების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ

გაზიარებული აზრი არ არსებობს, თუმცა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მათი თავდაპირველი გავრცელების არეალი კავკასიის ტერიტორიას დიდად არ უნდა გასცილდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ ირანი და ინდოეთი ნოსტრატული ჯგუფის სხვა წევრებით (ზაგროს-ელამელებითა და დრავიდებით) იყო დასახლებული, ურალისპირეთი და ცენტრალური აზია კი, სავარაუდოდ, ურალელებისა და ალთაელების წინაპრებით, ვფიქრობთ, ლოგიკური იქნება, თუ ამგვარ შუალედურ ტერიტორიად სამხრეთ შუა აზიასა და ჩრდილოეთ ირანს ჩავთვლით. მეზოლითის ხანაში ქვეყნის ეს ნაწილი ჩანს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ერთი მხრივ, ურალისპირეთთან (147, 368-372), მეორე მხრივ კი – წინა აზიასთან. ეს კავშირები არც ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში შესუსტებულა. ამ პერიოდში აქ სამი კულტურული წრე - ჯეითუნის, ჰისარის და კელტიმინარის – ჩამოყალიბდა (291, 13-24). ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას ჯეითუნის კულტურა იმსახურებს. მასში კარგად არის წარმოდგენილი „ნეოლითური რევოლუციის“ ყველა მიღწევა. წინა აზიურ სინამდვილესთან მისი კავშირებიც ინტენსიურ ხასიათს ატარებს, ამავდროულად იგი ადგილობრივ, მეზოლითურ ტრადიციებსაც აგრძელებს. ეს გარემოებები, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ სამხრეთ შუააზიურ თეორიას კარგად ესადაგება „ლინგვისტური პალეონტოლოგიის“ საფუძველზე გაკეთებული ზემოთ ჩამოყალიბებული დასკვნები ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის წინა აზიური სამყაროს სიახლოვეს მდებარეობის შესახებ. იგივე შეიძლება ითქვას „ნეოლითური რევოლუციის“ მიღწევებზეც. წინააღმდეგობაში იგი (ე.ი. სამხრეთ შუა აზიური თეორია) არც „პროტინდოევროპულის“ ქრონოლოგიის საკითხებთან მოდის.

ინდოევროპეისტიკისათვის ინდოევროპელების წინა აზიურ ნეოლითურ სინამდვილესთან დაკავშირების იდეა ახალი არ არის. თუმცა, ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით სამხრეთ შუა აზიურ ჰიპოთეზას მეტი არგუმენტი მოეპოვება, ვინაიდან:

ა) იგი არ გადაკვეთს წინა აზიის ა პრიორი არაინდოევროპელი მოსახლეობის გავრცელების ისტორიულ არეალს;

ბ) მის ფარგლებში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, შინაური ცხენის წინა აზიაში გავრცელების შესახებ საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება;

გ) მისი საშუალებით სადღეისოდ ცნობილი ინდოევროპული ენობრივი ჯგუფების თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში გავრცელების ლოგიკური გზების დასახვა ხერხდება.

ნეოლითის ხანის შუა აზიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შემდეგ არქეოლოგიურ რეალობას ვხვდებით: თურქმენეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჯეითუნელი მიწათმოქმედები მეან-ჩააჩას რაიონამდე ვრცელდებოდნენ. დასავლეთით კი იმავე (ან მასთან ახლო მდგომი) კულტურის ძეგლები, შესაძლოა, სუმზარას ხეობაშიც (კარაკალას რაიონი) მდებარეობდნენ. რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილი ნეოლითელ მეთევზეთა ტომებს ეკავათ. მათი კვალი აღმოჩენილია კასპიისპირეთში, ხორეზმში, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქმენეთში, ზერავშანას ხეობაში, ცენტრალურ ფერგანაში. ამ ძეგლების დიდი უმრავლესობა კელტემერანულ კულტურაში ერთიანდება. ირანის ჩრდილოეთით სიალკის, ტაჯიკეთის მთიან რაიონებში კი ჰისარის არქეოლოგიური კულტურები იყვნენ

გავრცელებულნი. მკვლევართა ნაწილი მათ მიწათმოქმედებად და მესაქონლეებად თვლის, მეორენი - მონადირეებად და შემგროვებლებად, მესამენი კი - მეტწილად მესაქონლეებად (230, 366-367).

ენეოლითის ხანაში აქ კულტურის ევოლუციის ახალ საფეხურებს ვხვდებით. შუა აზიის ენეოლითის ადრეულ პერიოდს ანაუ IA და ნამაზგა I-ის ტიპის ძეგლები განეკუთვნება. ანაუს ძეგლები ტერიტორიულად ორ, ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ, ადმოსავლეთ და დასავლეთ არეალად იყოფა. მისი გენეზისის საკითხი ძალიან რთულია, მაგრამ თითქოს ყველა თანხმდება, რომ მისი ჩამოყალიბება ჩრდილოეთ ირანიდან მომავალ იმპულსებს უნდა უკავშირდებოდეს. სამწუხაროდ, ირანული არქეოლოგიური ძეგლები ჯერჯერობით კარგად არ არის შესწავლილი. ის კი, რაც ვიცით მისი ყველაზე უფრო ცნობილი კულტურის - სილკას - შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ იგი ნეოლით-ენეოლითის ხანაში სამხრეთ შუა აზიურ კულტურებთან ახლო კონტაქტში უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობთ, რომ ამ არქეოლოგიური კულტურების წრეშია სამეზნი ის ეთნო-ლინგვისტური ბაზისი, რომლის საფუძველზეც „პროტოინდოევროპული სინამდვილე“ ჩამოყალიბდა.

მამასადამე, ვფიქრობთ, რომ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლო სამხრეთ შუა აზიისა და ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. აქ ჯერ კიდევ მეზოლითის ხანაში უნდა დაწყებულიყო „პროტოინდოევროპული“ ენობრივი თავისებურებების ჩამოყალიბების პროცესი. ეს პროცესი დიდად უნდა დაეჭაბინა ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში ქვეყნის ამ ნაწილში (ე.ი. სამხრეთ შუა აზიასა და ჩრდილოეთ ირანში) მწარმოებლური მეურნეობის გავრცელებასა და ჰისარისა და ჯეითუნის მსგავსი არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბებას. ინდოევროპული ენობრივი სივრცის დაშლა, სავარაუდოდ, ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში უნდა დაწყებულიყო. მისი ევრაზიის კონტინენტზე განფენა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა. დასავლეთით ანატოლიური ენების გავრცელება მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირებასთან, შემდეგ კი ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში მის დაშლასთან უნდა იყოს დაკავშირებული. თოხარულ ენებს განსაკუთრებული გადაადგილება არ განუცდია. ვოლგა-ურალისპირეთში ინდოევროპელების გავრცელების მარკერად აქ მწარმოებლური მეურნეობის გავრცელება უნდა ჩავთვალოთ. პონტიურ-კასპიური თეორიის მიხედვით, აქვე მდებარეობდა ინდოევროპელების წინარესამშობლო, რომელიც, ჩვენი აზრით, წინარესამშობლოს მხოლოდ ინდოევროპული ოჯახის არიულ-ბერძნულ-სომხურ-„ძველევროპული“ ფრთისთვის წარმოადგენდა. ამგვარი მსჯელობის შემთხვევაში, ვფიქრობთ, დ. ადამსისა და ჯ. მმელორის ზემოთ განხილული არც ერთი კრიტერიუმი არ ირღვევა. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიერ შემოთავაზებული ყველა ლინგვისტური არგუმენტიც ძალაში რჩება. ვფიქრობთ, რომ ისტორიული და თეორიული საკითხების (რა ისტორიული რეალობა იმალება „პროტოინდოევროპულის“ ლინგვისტური ცნების ქვეშ; რა ფორმებით ვრცელდებოდნენ სხვადასხვა მიმართულებით ინდოევროპული ენობრივი

ჯგუფები და როგორ აისახებოდა ყოველივე ეს არქეოლოგიურ მასალაზე) შესახებ მსჯელობა შემოთავაზებულ ჰიპოთეზას სამომავლოდ მეტ დამაჯერებლობას შესძენს.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, ინდოევროპელების წინარესამშობლოს გეოგრაფიული ლოკალიზაციის შესახებ მსგავსი ჰიპოთეზები ინდოევროპისტიკაში ადრეც იყო გამოთქმული, მაგრამ ზემოთჩამოყალიბებული ჰიპოთეზა მათ სამართალმემკვიდრედ ვერ ჩაითვლება, რადგან XIX საუკუნეში პოპულარული თეორიები ინდოევროპელების წინარესამშობლოს შესახებ, ძირითადად, ლინგვისტურ დასკვნებს ეყრდნობოდა, რომლების არაავთენტურობაც XIX საუკუნის II ნახევარში, ლინგვისტიკური მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ცალსახად გამოჩნდა (ერთ-ერთი მათგანი იყო, მაგალითად, ვედური სანსკრიტის პროტოინდოევროპულთან იდენტურობის თეორია), რის შემდეგაც თანამედროვე ინდოევროპისტიკაში მათ სერიოზულად აღარავინ უყურებს.

გ) როგორ მიმდინარეობდა ევროპის 'ინდოევროპიზაციის' პროცესი (რა ისტორიული ფონი სდევდა მას) და რა ასახვა ჰპოვა მან ქვეყნის ამ ნაწილის არქეოლოგიურ სინამდვილეზე? - როგორც არ უნდა მივუდგეთ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს პრობლემას, ცხადია, რომ მის გარშემო არსებული თეორიების ავთენტურობა-არაავთენტურობის მთავარი ინდიკატორი მიგრაციების იმ გზების ბუნებრივობაა, რომელთამემგვობითაც წერილობითი წყაროების საშუალებით ცნობილმა ეთნო-ლინგვისტურმა ჯგუფებმა (ხეთებმა, კელტებმა, არიელებმა, გერმანელებმა და სხვა) თავიანთ ისტორიულ საცხოვრისს მიაღწიეს. ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების ევროპაში განსახლება და მათი ადგილობრივ არქეოლოგიურ კულტურებთან დაკავშირება თანამედროვე ინდოევროპისტიკის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. ამ კუთხით შექმნილ ლიტერატურაში არაერთ სტატიას თუ მონოგრაფიას შევხვდებით, რომლებშიც ცალკეული ეთნო-ლინგვისტური ჯგუფების მიგრაციებზეა საუბარი, თუმცა ამ საკითხის კომპლექსური (ანუ ინდოევროპული ენობრივი ოჯახის ყველა წარმომადგენლის ევროპულ არქეოლოგიურ მასალასთან დაკავშირების) გაშუქების მცდელობა არცთუ ბევრია. როგორც წესი ისინი დამაჯერებლობით არ გამოირჩევიან. საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანი შეგვიძლია გამოვყოთ. მათი ავტორები არიან კ. რენფრიუ (რომელიც ინდოევროპელების სახელს ევროპაში ნეოლითური ხანის კულტურების გავრცელებას უკავშირებს), მ. გიმბუტა (რომელიც ინდოევროპელების განსახლების საწყის წერტილად ადრებრინჯაოს ხანის ურალისპირეთს ხედავს), ვ. საფრონოვი (და სხვა ბალკანეთ-კარპატებში წინარესამშობლოს ლოკალიზების მოსურნე მკვლევარები) და თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (რომლებიც ინდოევროპელთა წინარესამშობლოდ მცირე აზიას მიიჩნევენ). მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი. მათი ხარვეზები, ვფიქრობთ, კარგად წარმოაჩენს იმ სისუსტეებს, რომლებიც ინდოევროპელთა წინარესამშობლოს შესახებ ზემოთ ჩამოთვლილ თეორიებს ახასიათებს.

ვ. საფრონოვის თეორია (რომელიც შედარებით უფრო კომპლექსური თანმიმდევრულია იმ ჰიპოთეზებს შორის, რომლებიც ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის ბალკანეთ-კარპატების რაიონში ლოკალიზებას ცდილობენ) დაახლოებით ასე გამოიყურება: ავტორი ლინგვისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ინდოევროპულმა ენებმა

განვითარების სამი დიდი ეტაპი გაიარეს და თითოეული მათგანისთვის არქეოლოგიური შესატყვისობების პოვნას ცდილობს. მისი აზრით, პირველ ეტაპს (ანუ ინდოევროპელების ადრეულ წინარესამშობლოს) ჩატალ - ჰუიუკის კულტურა შეესატყვისება, რომელიც მცირე აზიაში ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებში იყო გავრცელებული. ინდოევროპელების საშუალო წინარესამშობლოს (რომელშიც ინდოევროპული ენების განვითარების მეორე ეტაპი მიმდინარეობდა) ლოკალიზაციას ავტორი ბალკანეთ-კარპატების რაიონში (ძვ.წ. V-IV ათასწლეულების ვინჩის არქეოლოგიური კულტურის წიაღში) ცდილობს. მესამე ეტაპს კი ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში ლენდენისა და ძაბრისებრი კერამიკის კულტურება უკავშირებს (276, 203-209).

ცალკეული ინდოევროპული ეთნო-ლინგვისტური ჯგუფების მიგრაციის საწყის წერტილებად სწორედ ამ არქეოლოგიური კულტურების გავრცელების არეალი ივარაუდება. ვ. საფრონოვი ერთადერთი ავტორი არ არის, რომელიც ინდოევროპელების წინარესამშობლოს „დუნაის ცივილიზაციის“ ჩარჩოებში ეძებს, მაგრამ ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს თეორია მას ყველაზე უფრო თანმიმდევრულად აქვს ჩამოყალიბებული.

ამ თეორიის მთავარი სისუსტე ისაა, რომ არ ჩანს ბალკანეთ-კარპატების რაიონიდან არქეოლოგიური კულტურების აღმოსავლეთით გავრცელების დამადასტურებელი არგუმენტები (ის, რასაც ვ. საფრონოვი გვთავაზობს, ძალზე არადამაჯერებელია). ასევე, ევროპის არქეოლოგიურ სივრცეში არ ჩანს ზაბრისებრი თასების და ლენდენის არქეოლოგიური კულტურების უწყვეტი კავშირი.

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ რეალურად ბალკანეთ-დუნაისპირეთი მხოლოდ ინდოევროპული ენების ოჯახის ერთ-ერთი (ალბათ კონსერვირებული) ფრთის საცხოვრისი შეიძლება ყოფილიყო. მისთვის წინარესამშობლოს სტატუსის მინიჭება კი არაფრით შეიძლება.

არქეოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით უფრო დამაჯერებელია მ. გიმბუტას თეორია. იგი ყველაზე უფრო თანმიმდევრულად აგრძელებს ევროპული ინდოევროპისტიკის ტრადიციებს. გ. ჩაილდის მსგავსად, მას საწყის ინდოევროპულ კულტურად ძველი ორმოსამარხების ტიპის ძეგლები მიაჩნია. შესაბამისად, მათი წინარესამშობლოს ლოკალიზებას იგი ვოლგისპირეთში ახდენს. მისი აზრით, აქედან ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში მომავალი იმპულსების კვალდაკვალ ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხები იწყებენ გავრცელებას (ყორდანული, ზონრიანი კერამიკის და სხვა კულტურები აქ ძველი ორმოსამარხების კონტინუუმად განიხილება). მათ „სავიზიტო ბარათად“ გიმბუტა ორმოებში მოკრუნჩხულ მდგომარეობაში ზურგზე დამარხვის ტრადიციას მიიჩნევს. ავტორი ევროპის ინდოევროპიზაციის პროცესს ცენტრალულ ევროპაში არსებული „სუფსტრატული ცივილიზაციების“ (ტრიპოლიე, გუმელნიცა, ვინჩი) დეგრადაციას უკავშირებს. მათ წიაღში ინდოევროპელების ინფილტრაციის საბოლოო თარიღად იგი ძვ.წ. 2500-2200 წლებს თვლის. ეს პროცესი ავტორს ერთგვარი დრამის სახით აქვს წარმოდგენილი. კერძოდ, იგი ავითარებს მოსაზრებას, რომპატრიარქალური საზოგადოების პირობებში მცხოვრებმა აგრესიულმა ინდოევროპელმა ტომებმა გაანადგურეს ე.წ. „ძველი ევროპის“ მატრიარქატის

პრინციპებზე ორგანიზებული სამყარო, რომლის მსოფლმხედველობაც დღევანდელი ცივილიზაციებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა (98, 198-209).

არქეოლოგიური თვალსაზრისით, მ. გიმბუტას თეორია (რიგი ქრონოლოგიური ხასიათის დებულებების არადამაჯერებლობის მიუხედავად) ყველაზე უფრო გამართულია, მაგრამ იგი ბევრ ხარვეზსაც შეიცავს. კერძოდ, მის მიერ წინარესამშობლოდ გამოცხადებული ტერიტორია ძნელად ეთავსება „ლინგვისტიკური პალეონტოლოგიის“ მონაცემებს. ყველაფერი ის, რაც ამ (ე.ი. ლინგვისტიკური პალეონტოლოგიის თვალსაზრისით) ვიცით ინდოევროპელების წინარესამშობლოს შესახებ, გვაფიქრებინებს, რომ იგი ვოლგისპირეთში (ძველადმოსავლური ცივილიზაციებისგან ასე შორს) არ მდებარეობდა.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თეორიის მიხედვით, ინდოევროპელების პირველსაცხოვრისად კავკასიის სამხრეთი, მცირე აზიის აღმოსავლეთი და მესოპოტამიის ჩრდილოეთი ნაწილი ითვლება. მის არქეოლოგიურ ეკვივალენტად კი ჰალაფის, შულავერ-შომუთეფეს და მტკვარ-არაქსის კულტურები განიხილება. გამყრელიძისა და ივანოვის თეორიის თანახმად ინდოევროპულ ერთობას თავდაპირველად ანატოლიური ჯგუფი გამოეყო, შემდგომ კი - ბერძნული და არიული, რომლის წარმომადგენლების მიგრაცია ევროპისკენ ძვ.წ. III ათასწლეულში ნაწილობრივ მცირე აზიის, ნაწილობრივ კი კავკასიის გზით განხორციელდა. ინდოევროპული ოჯახის დანარჩენმა წარმომადგენლებმა ამ სქემის მიხედვით თავიანთ ისტორიულ საცხოვრისს შუა აზიის, ვოლგისპირეთის და სამხრეთ რუსეთის სტეპების გავლით მიაღწიეს, სადაც მათი მეორადი ენობრივი კონვერგაცია მოხდა.

ამ თეორიის ძლიერი მხარე ლინგვისტიკური მონაცემებია. მართალია, ბევრი მოსაზრება აქაც საკამათოა, მაგრამ ძალზე დამაჯერებლად გამოიყურება დასკვნა: ენათმეცნიერული მონაცემების კვალობაზე ინდოევროპელების წინარესამშობლო სადღაც სამხრეთ ბალკანეთიდან თურქმენეთამდე ტერიტორიაზე უნდა მოვიაზროთ (239, 479-490). თუმცა არქეოლოგიური თვალსაზრისით იგი კრიტიკას ვერ უძლებს. როგორც ო. ჯაფარიძე შენიშნავს, აქ ნავარაუდები ინდოირანელი ტომების კავკასიის გავლით ევროპისკენ მიგრაციის და ჰალაფური კულტურის შუა აზიისკენ გავრცელების თეორიას არქეოლოგიური საფუძველი არ გააჩნია (27, 122). იგივე შეიძლება ითქვას ბერძნების მცირე აზიიდან მიგრაციის ჰიპოთეზის შესახებაც. ამ მხრივ მისი გამართლება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ აქ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების მიგრაცია არა ხალხების მასობრივი მოძრაობის, არამედ მცირე ჯგუფების მშვიდობიანი გადაადგილების სახით არის წარმოდგენილი, რაც თითქმის საფუძველს გვაძლევს მათ მოძრაობაზე საუბრისას არქეოლოგიურ მონაცემებს მეორეხარისოვანი მნიშვნელობა მივანიჭოთ.

ზემოთხსენებული ავტორებისგან განსხვავებული პოზიცია უჭირავს კ. რენფრიუს, რომელიც ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების ევროპაში გავრცელებას ნეოლითურ მიგრაციებს უკავშირებს (173, 280-289). ამ თეორიის ჩარჩოებში ცალკეული ინდოევროპული ენობრივი მასივების თავგადასავალზე საუბარი ძნელია, რადგან ავტორის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს საკითხის ასე ფორმულირებას ნიჰილისტურად უცქერის.

ამდენად, ევროპის ინდოევროპიზაციის ყველა ზემოთხსენებული სქემა მნიშვნელოვანი სისუსტით ხასიათდება. მათი გაუმართავობა, რა თქმა უნდა, სამხრეთ შუააზიური თეორიისათვის არგუმენტი არ არის, მაგრამ მას გარკვეული მნიშვნელობა მაინც აქვს. მისი ავთენტურობა–არავთენტურობის მთავარი ინდიკატორად კი მხოლოდ ინდოევროპული ენობის ევროპაში გავრცელების მისეული სქემა შეიძლება გამოდგეს.

ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოდ სამხრეთ შუა აზიის გამოცხადების შემთხვევაში საშუალება გვეძლევა მათი პრეისტორიული მიგრაციები განსხვავებულ კონტექსტში განვიხილოთ, რაც, ვფიქრობთ, მთელი რიგი არქეოლოგიური და ლინგვისტური ლაფსუსებისგან თავის არიდების საშუალებას მოგვცემს. იმისათვის, რომ მსჯელობას მეტად ჰიპოთეტური ხასიათი არ მიეცეს, საჭიროა, ყოველთვის თვალწინ გვქონდეს ინდოევროპელების „პროტოერთობის“ დაშლის ამსახველი ზემოთმოყვანილი ლინგვისტიკური სქემა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ იმ არქეოლოგიური დებულებების დასაბუთებას, რომლებსაც ჩვენი თეორიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

სამხრეთ შუა აზიური თეორიის მიხედვით გამოდის, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით თოხარული ენები მხოლოდ უმნიშვნელოდ გადაადგილდნენ. ანატოლიელების წინა აზიაში გავრცელება კი, ვფიქრობთ, მტკვარ–არაქსის არქეოლოგიურ კულტურას უკავშირდება. ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, მტკვარ–არაქსის კულტურის გენეზისში სამხრეთ შუა აზიიდან და ჩრდილოეთ ირანიდან მოსული ელემენტის მონაწილეობა დადასტურებულ ფაქტად ვერ ჩაითვლება, თუმცა, ვფიქრობთ, რამდენიმე გარემოებაზე ყურადღების გამახვილებამ, შესაძლოა, კვლევის საინტერესო პერსპექტივები გვიჩვენოს. კერძოდ:

1) მტკვარ–არაქსის კულტურით კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანა იწყება, რასაც წინა აზიაში მნიშვნელოვანი კულტურული, სამეურნეო და, შესაძლოა, ეთნო-ლინგვისტური ცვლილებები მოსდევს. მათი კვალი აშკარად ეტყობა ძვ. წ. IV ათასწლეულის არქეოლოგიურ მასალას. კერძოდ, ხალხთა მნიშვნელოვანი ტალღა ინაცვლებს სამხრეთ შუა აზიიდან ურალისპირეთის მიმართულებით. თავის მხრივ, სამხრეთელი მიგრანტები ითვისებენ სამხრეთ შუა აზიის ტერიტორიას, რაც აქ ანაუს კულტურის ფორმირების საფუძველი ხდება (291, 24-26). ამავე პერიოდში კავკასიაში გავრცელდა ლეილათეფეს ტიპის ძეგლები და სამხრეთიდან ჩრდილო კავკასიისკენ ხალხთა მნიშვნელოვანი ნაკადი გადავიდა, რამაც მაიკოპის კულტურის ფორმირება გამოიწვია (27, 277-278). აგრეთვე, მტკვარ–არაქსელი ტომები სწრაფად გავრცელდნენ კავკასიაში და ა.შ. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩნდებიან შუმერები სამხრეთ შუამდინარეთში. არ არის გამორიცხული, რომ მათი გადაადგილებაც რაიმე ფორმით ზემოთ ხსენებულ მოვლენებს უკავშირდებოდეს. ინდოევროპული (ანატოლიური) „კილოკავების“ დასავლეთით გავრცელებაც, ვფიქრობთ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ (ხაზს ვუსვამთ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ, რომელი ლოგიკური კულტურულ-ისტორიულ პროცესების დევდათან ინდოევროპული კილოკავების დასავლეთით გავრცელებას);

2) ხეთების მცირე აზიის ტერიტორიაზე არსებობა მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან დასტურდება. ამავე პერიოდს ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემა. ჩანს, რომ მისი მოსახლეობა ნაწილობრივ ჩრდილოელი მეზობლებისა და ნაწილობრივ კლიმატური პირობების გაუარესების გამო მასობრივად ტოვებს ძველი განსახლების ადგილებს (27, 170-174). სწორედ ეს ხდება სირიაში კირზე-კერაკის კულტურის გენეზისის მიზეზი. გარკვეული მასების გადაადგილებას ბალკანეთის მიმართულებითაც ვარაუდობენ. ხომ არ უნდა ვეძებოთ ანატოლიელების მცირე აზიაში გავრცელების ისტორიული საფუძველია მოვლენების კონტექსტში?

3) ყურადღება უნდა მივაქციოთ წინა აზიაში შინაური ცხენის გავრცელების პრობლემასაც. მზევრი არქეოლოგი თვლის, რომ მტკვარ-არაქსის მოსახლეობა ცხენს იცნობდა (27, 108-109) ჯერ კიდევ მაშინ, როცა მას არ ჰქონდა საშუალება, რომ კულტურის ეს ელემენტი სტეპებთანკავშირისშედგენადეთვისებინა. აახალი მონაცემებით (145, 129-139) ასევე იკვეთება, რომ ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე შინაური ცხენი, შესაძლოა, ძვ. წ. IV ათასწლეულში ან უფრო ადრეულ პერიოდშიც ვრცელდებოდა. სუნდა აღინიშნოს, რომ წინა აზიის სხვა მხარეებში ამ მხრივ განსაკუთრებულ მასალას ვერ ვხვდებით. გავიხსენოთ ზემოთ უკვე აღნიშნული შუა აზიის ტრადიციული კავშირები. ამ კავშირებს ევროპის ინდოევროპეიზაციის პროცესში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. აგრეთვე, გავიხსენოთ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ცხენის მოშინაურება იმ ზოლში უნდა მომხდარიყო, რომელშიც შინაური ვირი იყო გავრცელებული (81, 441-442).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველაზე მეტი პოპულარობით ცხენის აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში მოშინაურების კონცეფცია სარგებლობს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ძვ.წ. IV ათასწლეულში შინაური ცხენის გავრცელების საინტერესო არეალი იკვეთება, რომელიც ძალზე უახლოვდება ჩვენ მიერ ინდოევროპულ სივრცედ აღქმულ ტერიტორიას;

4) ვფიქრობთ, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა წინა აზიასთან სუსტ კავშირებს ამჟღავნებს (განსხვავებით რეგიონში მისი წინამორბედი არქეოლოგიური კულტურებისგან) მაშინ, როცა მისი ჩრდილოელ იმეზობელი მაიკოპის კულტურა ამ მხრივ საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. ხომ არ არის ეს მტკვარ-არაქსის კულტურის შექმნაში არაადგილობრივი ელემენტის მონაწილეობის არგუმენტი? კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ზემოთმოყვანილ მსჯელობას (ინდოევროპული ენების დასავლეთით გავრცელების შესახებ) ჯერჯერობით მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის სახე შეიძლება ჰქონდეს.

სამხრეთ შუაზიური ჰიპოთეზის გაზიარების შემთხვევაში, ბუნებრივია, ევროპაში ინდოევროპული ენების გავრცელების საკითხიც საჭიროებს ალტერნატიულ ახსნას. ამ მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, ყურადღება ურალის სტეპების „ნეოლითიზების“ პროცესზე (ვგულისხმობთ მწარმოებლური მეურნეობის გავრცელების პროცესს) გავამახვილოთ. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ქვეყნის ამ ნაწილში მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბება და განვითარება მხოლოდ სამი შესაძლო ცენტრიდან: დუნაისპირეთ-ბალკანეთიდან, კავკასიიდან და სამხრეთ შუა აზიიდან შეიძლებოდა მომხდარიყო (135, 203).

ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში კავკასიის სტეპებთან კონტაქტები არ დასტურდება, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით სამხრეთ შუა აზიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ინდოევროპეისტიკის საკითხებზე მსჯელობისას ამ პროცესს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ როგორც მეზოლითის, ისე ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდში ეს რეგიონები (ე.ი. ურალისპირეთი და სამხრეთ შუა აზია) ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სტეპების ათვისებასა და იქ ნომადური მეურნეობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი მეცხვარეობის კულტურამ შეასრულა. ცხვარი, ისევე როგორც თხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ურალის სტეპებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ბინადრობდა (147, 375). ძალზე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ იგი აქ სამხრეთ კასპიისპირეთიდან გავრცელდა, სადაც მისი დომესტიკაციის ერთ-ერთი უძველესი კერა არსებობდა. დასასრულ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ 'პროტოინდოევროპულ' ენაში, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი მეცხვარეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

რა თქმა უნდა, ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ვოლგა-ურალის სტეპების ათვისებაზე მსჯელობისას დუნაი-ბალკანეთის კერის მნიშვნელობის დაკნინება. უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბება ურალისპირეთსა და მის აღმოსავლეთნაწილში ძირითადად მაინც სამხრეთ შუაზიური გავლენის შედეგად მოხდა. ინდოევროპული კილოკავების, უფრო სწორად, მისი არაანატოლიური და არათოხარული ნაწილის ევროპაში გავრცელება ხსენებული მიმართულებით ეთნიკური და კულტურული დიფუზიის შედეგად მიგვაჩნია. ამ მხრივ ჩვენი პოზიცია განსხვავდება პონტიურ-კასპიური თეორიების მომხრეებისგან, რომლებიც ქვეყნის ამ ნაწილის ინდოევროპეიზაციის პროცესს უფრო დასავლეთიდან წამოსულ იმპულსებს უკავშირებენ. ვფიქრობთ, რომ ამგვარი მიდგომა ნ. დანილენკოს მიერ შემოთავაზებული არქეოლოგიური არგუმენტებისა (289, 327-328) და ჯ. ნიკოლსის ლინგვისტური დასკვნების (159, 245-277) ურთიერთდაკავშირების საინტერესო საშუალებას იძლევა.

მაშასადამე, შესაძლებელია დავუშვათ, რომ სამხრეთ შუა აზიიდან, რომლიც, ჩვენი აზრით, ინდოევროპელების წინარესამშობლოს წარმოადგენდა, ძვ.წ. IV ათასწლეულში მომთაბარე-მესაქონლე ტომების მცირე ჯგუფების მიგრაცია დაიწყო, რის შედეგადაც ვოლგა-ურალისპირეთის ინდოევროპეიზაცია მოხდა. ძალზე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ახალმოსულებმა აქ "სუპერსტრატის" როლი შეასრულეს, რის შედეგადაც სრედნესტოგის, დნეპრო-დონეცის და სხვა კულტურები ჩამოყალიბდა. ძველი ორმოსამარხების კულტურა კი, სავარაუდოდ, სრედნესტოგის კულტურის საფუძველზე განვითარდა (98, 78).

ვფიქრობთ, რომ ძველი ორმოების კულტურა წინარესამშობლოს წარმოადგენდა ყველა იმ ინდოევროპული ენისთვის, რომლებიც მოგვიანებით ევროპაში იყო გავრცელებული (გგულისხმობთ ყველა ინდოევროპულ ენას ანატოლიურისა და თოხარულის გამოკლებით, რომლების ისტორიაც ზემოთ წინა და ცენტრალურ აზიას დავუკავშირეთ).

ძვ.წ. III ათასწლეულში ძველი ორმოების კულტურის საფუძველზე სამი მსხვილი კულტურულ-ისტორიული ერთობა ჩამოყალიბდა (უფრო სწორად განვითარდა):

ა) ამ პერიოდის ვოლგა-ურალის სტეპებში გავრცელებული ჩანს პოლტავინოს კულტურა;

ბ) შავიზღვისპირეთში – კატაკომბური;

გ) ჩრდილოეთ ევროპაში კი საბრძოლო ცულების კულტურა ვრცელდება.

ვფიქრობთ, რომ ამ არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბება ინდოევროპული ენების დივერგაციის მეხუთე ეტაპს შეესაბამება, როდესაც მსხვილ ინდოევროპულ ჯგუფებად იტალიურ-კელტური, ბერძნულ-სომხურ-არიული და ბალტიურ-სლავურ გერმანიკული გამოიყოფა.

მიგვაჩნია, რომ ბალტიურ-სლავურ-გერმანიკული საბრძოლო ცულების კულტურას შეესაბამება; კატაკომბური კულტურა ბერძნულ-სომხურ-არიულს წარმოადგენს, პოლტავინოსი კი - იტალიურ-კელტურს (ამ საკითხების შესახებ უფრო დეტალურად II თავის მეორე და III თავის მეორე პარაგრაფში გაგრძელდება მსჯელობა).

რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემასთან. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს საკითხს წარმოადგენს. მის კვლევას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა იგი დღემდე შემდგომ შესწავლას საჭიროებს. კერძოდ, დასაზუსტებელია, თუ რომელი არქეოლოგიური კულტურის, ან არქეოლოგიური კულტურების გავრცელების არეალში მდებარეობდა ქართველურ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლო; რა მიმართებაშია ქართველური ენები სხვა ენებთან და ენობრივ ოჯახებთან. შემდგომ შესწავლას მოითხოვს, ასევე, ძველადმოსავლურ და ანტიკურ წყაროებში ფიქსირებული ეთნიკური ჯგუფების (ქაშეების, მუშქების, სასპერების და ა. შ.) ეთნიკური ისტორიის საკითხები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში ეთნოგენეტიკური კვლევები მეთოდოლოგიურად და თემატურად მნიშვნელოვნად გამრავალფეროვნდა. თუკი მანამდე მკვლევარები ძველი პერიოდის ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას შედარებითი ენათმეცნიერების მონაცემების საფუძველზე ცალკეული ისტორიული რეალობების (მაგალითად “პროტოინდოევროპულის”, “პროტოკელტურის” და ა. შ.) პოსტულირებით და მისი შესატყვისი არქეოლოგიური არტეფაქტების, ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემებისა და რიგ შემთხვევებში ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცნობების მიეხედო, კმაყოფილდებოდნენ, სადღეისოდ მეტ ყურადღებას ამ თეორიული სისტემების ისტორიულ ინტერპრეტაციას უთმობენ. კერძოდ, ენათმეცნიერებაში ფართოდ განიხილება საკითხი თუ რა ისტორიული რეალობა უნდა დავინახოთ “პროტოენის” ლინგვისტური სქემის ქვეშ; იზრდება დიალექტოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის მნიშვნელობა; არქეოლოგიაში, ძირითადად ნეოარქეოლოგიისა და პროცესუალისტების ძალისხმევით, გაიზარდა სკეფსისი მიგრაციული კონცეფციების მიმართ; ისტორიკოსები და ეთნოლოგები სულ უფრო ნაკლებად ენდობიან ანტიკური ავტორების ეთნიკურ კონსტრუქციებს. ფიზიკურ ანთროპოლოგიაში კი შესამჩნევი ხდება მოლექულური ბიოლოგიის პრიორიტეტი. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბოლო ხანებში გადაისინჯა ბევრი ძველებური კვლევის მეთოდი და კონცეფცია. მაგალითად, მკაცრი კრიტიკის ობიექტი გახდა გლოტოქრონოლოგიური მეთოდი; გაიზარდა ე.წ. ნოსტრატული

თეორიის მომხრეების რიცხვი; გადაისინჯა “პროტოინდოევროპელების” წინარესამშობლოზე, გავრცელების გზებსა და საშუალებებზე ძველი კონცეფციები. ყოველივე ეს გვაიძულებს ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემასაც ოდნავ ახალი აქცენტებით შევხედოთ. ვფიქრობთ, თანამედროვე ეტაპზე საჭიროა მისი კვლევა ორ ნაწილად გავყოთ: 1) პირველ შემთხვევაში ქართველური ენების გავრცელების თავდაპირველი არეალის გეოგრაფიული და ქრონოლოგიური კოორდინატები უნდა განვსაზღვროთ; 2) მეორეში – კი ევროპული “ეთნოგენეზოლოგიის” თანამედროვე მიდწევების ფონზე ქართველთა ეთნიკური ისტორია უნდა განვაზოგადოთ. მაგალითად, ამ მხრივ, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რა ისტორიული რეალობა იმალება “პროტოქართველური” ენის ლინგვისტური ცნების ქვეშ; რამდენად ემთხვევა კავკასიისა და მცირე აზიის შესახებ ძველდამოსავლური და ანტიკური ავტორების შეხედულებები აქაურ რეალურ ეთნიკურ სინამდვილეს; როგორ უნდა განვმარტოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა ქართველური ტომი, ხურიული ტომი და ა.შ. თუმცა, წინამდებარე სტატიაში საუბარი მხოლოდ ქართველური ენების თავდაპირველი გავრცელების არეალის პრობლემაზე გვექნება. ვფიქრობთ, კვლევის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინება ამ მხრივ საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

“პროტოქართველურის” თავდაპირველი გავრცელების არეალზე მსჯელობა მისი სავარაუდო გეოგრაფიული და ქრონოლოგიური კოორდინატების განსაზღვრით უნდა დავიწყოთ. თუკი ამ მხრივ ისტორიოგრიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებს შევაჯერებთ დავინახავთ, რომ ქართველური ენების სავარაუდო წინარესამშობლოდ, სხვადასხვა თეორიების მიხედვით, მცირე აზია, ჩრდილოეთ შუამდინარეთი, სამხრეთ ან ჩრდილოეთ კავკასია მოიაზრება. ისტორიული, ლინგვისტური, არქეოლოგიური და სხვა მონაცემები ამ ჰიპოთეტური ზონის კიდევ უფრო გაფართოვების საშუალებას არ იძლევა. ეს დასკვნა, ერთი შეხედვით მისი არც თუ მრავლისმეტყველი ხასიათის მიუხედავად, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემის მკვლევარებს ერთობ კომფორტულ გარემოს უქმნის. კერძოდ, იგი მათ ორი მეტად არასასიამოვნო თემის განხილვის აუცილებლობისგან ათავისუფლებს: 1) წარმოადგენდა თუ არა ქართველთა პირველსაცხოვრისი მეტ-ნაკლებად ლოკალურ ტერიტორიას; 2) საჭირო არის თუ არა “ლინგვისტური პალეონტოლოგიის” მონაცემების გათვალისწინება. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ინდოევროპეისტიკაში ორივე ეს პრობლემა ფართოდ განიხილება, რაც “პროტოინდოევროპელების” წინარესამშობლოს საკითხის მკვლევარებს ბევრ უხერხულობას უქმნის. მათი წყალობით, ზოგჯერ, კვლევის ამ ობიექტის (ანუ ინდოევროპელების წინარესამშობლოს პრობლემის) აქტუალობაც კი დგება ეჭვ ქვეშ.

1) ქართველთა ეთნოგენეზის საკითხის კვლევისას ზემოთ ნახსენები პირველი პრობლემა (ანუ წარმოადგენდა თუ არა ქართველთა პირველსაცხოვრისი მეტ-ნაკლებად ლოკალურ ტერიტორიას) განხილვის ობიექტი ვერ იქნება. გამომდინარე იქიდან, რომ გეოგრაფიული არეალი, სადაც ქართველური ენების გენეზისი შეიძლება მომხდარიყო ძალზე ვიწროა. ეს ტერიტორია კი უამრავი სხვა ენობრივი ოჯახის წარმომადგენლებისთვისაც (მაგალითად, “პროტოხეთებისთვის,” ხურიტებისთვის, ნახო-დადესტნელებისთვის, აფხაზ-ადიგელებისთვის, სემიტებისთვის, ინდოევროპელთა მინიმუმ ორი ჯგუფისთვის

(ზოგიერთი მკვლევარი აქ ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის არსებობასაც ვარაუდობს)) წარმოადგენდა წინარე, თუ ისტორიული სამშობლოს;

2) “ლინგვისტური პალეონტოლოგიის” შემთხვევაში კი მნიშვნელოვანია ის, რომ ზემოთ შემოსაზღვრული ტერიტორია ერთი გეოგრაფიული სარტყელის საზღვრებს არ სცილდება. არც აქაური ისტორიულ-კულტურული გარემოს რეკონსტრუქცია წარმოადგენს დიდად სადისკუსიო ობიექტს.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართველური ენების ძირეულ და აფიქსურ მორფემებში რეგულარული ფონემური შესატყვისობების არსებობა ეჭვს არ იწვევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღის წესრიგში ვერ დადგება საკითხი: ქართველური ენობრივი ოჯახის სახით ენათა გენეტიკურ, თუ არეალურ ერთობასთან გვაქვს საქმე. მაშინ, როცა ინდოევროპულ და განსაკუთრებით იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში ეს პრობლემა ძალზე მწვავედ დგას. ასე რომ ქართველური ენების თავდაპირველი გავრცელების არეალზე მსჯელობისას არც მისი სავარაუდო ადგილსამყოფელი, არც საკითხის არსი და აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ქართველური ენების ასაკის შესახებ. ამ მხრივ ისტორიოგრაფიაში მინიმუმ სამი მოსაზრება მაინც ფიგურირებს. მათ მიხედვით ქართველური ენები ჩამოყალიბდა და მათი დიფერენცირება 1) ძვ. წ. I; 2) ძვ.წ. III; 3) ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში უნდა დაწყებულიყო. ხსენებულ საკითხზე მსჯელობისას აზრთა სხვადასხვაობა ერთობ გამაღიზიანებელია, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსგავსი პრობლემა მხოლოდ ქართველური ენების გენეზისის კვლევისას არ წარმოიქმნება. საქმე ისაა, რომ გლოტოქრონოლოგიური მეთოდი, რომლის საფუძველზეც მსგავსი მოსაზრებების არგუმენტირება წარმოებს ცალსახა დასკვნების გაკეთების საშუალებას იწვიათად იძლევა. ამიტომ, სადღეისოდ იგი ძალზე ცუდი პრესით სარგებლობს. ისტორიოგრაფიაში მისი მეთოდოლოგიური ჩანაცვლების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ გაგვიჭირდება ვთქვათ, რომ “პროტოენების” ასაკის კვლევა ამით უფრო დამაჯერებელი გახდა. გამომდინარე აქედან ვფიქრობთ, რომ მსგავს საკითხებზე მსჯელობისას გლოტოქრონოლოგიური, თუ ფილოგენეტიკური მეთოდების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები გადამწყვეტი მნიშვნელობის ვერ იქნება. ასეთ შემთხვევაში სხვა ტიპის მონაცემების მოშველიებაა საჭირო. ქართველური ენების გენეზისის პრობლემის კვლევის შემთხვევაში ასეთ არგუმენტად ქართველური და “პროტოინდოევროპული” ენობრივი სისტემების სიახლოვე გამოდგება. “პროტოინდოევროპულის” არსებობას კი, მიუხედავად ამ მხრივ არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, სადღეისოდ ძვ.წ. IV ათასწლეულზე გვიანდელ პერიოდში არავინ ვარაუდობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ ქართველური ენების ასაკის შესახებ ზემოთხსენებულ მოსაზრებებს შორის ყველაზე უფრო მართებულად მისი ძვ.წ. V-IV ათასწლეულამდე დაძველების ჰიპოთეზა გვესახება.

ქართველური ენების სავარაუდო ასაკისა და ფორმირების ადგილის დადგენის შემდეგ საჭიროა მის სხვა ენობრივ ოჯახებთან მიმართების საკითხსაც შევხებით. ამ მხრივ მსჯელობა, ვფიქრობთ, ქართველურისა და მთის კავკასიური ენების (ნახურ-დაღესტნურისა და აფხაზურ-ადიღეურის) ურთიერთმიმართებაზე საუბრით უნდა დავიწყოთ. ამ მხრივ ისტორიოგრაფიაში კვლევის ორი მიმართულება ფიგურირებს.

მკვლევართა ერთი ნაწილი, ივ. ჯავახიშვილისა და არნ. ჩიქობავას კვალდაკვალ, მათ გენეტიკურ ნათესაობას დადასტურებულ ფაქტად თვლის. მეორე ნაწილი კი – მათ შორის არსებული სიახლოვის სხვა მიზეზებით (მაგალითად არეალური კავშირებით) ახსნას ცდილობს. ამ დისკუსიაში ჩართვა ერთობ არასახარბიელოა, რადგან თითოეულ მხარეს თავისი საკმაოდ საინტერესო არგუმენტები მოეპოვება. ჩვენი მხრივ, მხოლოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ იბერიულ-კავკასიური ენების გენეტიკური ნათესაობის კონცეფციის გაზიარების შემთხვევაში რამოდენიმე შეკითხვა იზადება: 1) თუკი “პროტოქართველური” მართლაც ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში არსებობდა, როდისღა არსებობდა “პროტოიბერიულ-კავკასიური”?; 2) თანამედროვე ლინგვისტიკაში ძალზე პოპულარულია ნახურ-დაღესტნურისა და ხური-ურარტულის განსაკუთრებული სიახლოვის ჰიპოთეზა. იგივეს ვერ ვიტყვით “პროტოხეთურისა” და აფხაზურ-ადიღეურის შესახებ. თუმცა, ტრადიციულად, ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მდგომად სწორედ ეს ენობრივი სინამდვილეები განიხილება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ტრადიციულად ბევრი იწერება ქართველურის ერთი მხრივ ინდოევროპულთან, მეორე მხრივ კი “ნოსტრატულთან” სიახლოვის შესახებ. მაშინ, როცა მთის კავკასიურ ენებს ამ კონტექსტში არავინ ახსენებს. ეს გარემოებები კი “პროტოიბერიულ-კავკასიურის” არსს და ასაკს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის. ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის გენეტიკური ნათესაობა რომც არსებულიყო მას იმდენად შორეულ წარსულში ექნებოდა ადგილი, რომ ქართველთა ეთნოგენეზზე საუბრისას მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ვფიქრობთ, ამ კუთხით (ე.ი. ქართველთა ეთნოგენეზზე საუბრისას) გაცილებით მნიშვნელოვანია ქართველური და ინდოევროპული ენობრივი შეხვედრების განხილვა. მის იბერიულ-კავკასიურთან, ნოსტრატულთან, მედიტერანულთან და სხვა სავარაუდოდ ასე შორეულ წარსულში არსებულ “ენობრივ რეალობებთან” მიმართების საკითხს კი ყურადღება მხოლოდ შემდეგ უნდა მივაპყროთ.

ქართველურ-ინდოევროპული პარალელები დიდი ხანია შესწავლის ობიექტია. მას არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნეს: გ. დეერტესმა, თ. გამყრელიძემ, გ. მაჭავარიანმა, გ. მელიქიშვიმ, გ. კლიმოვმა, ვ. ივანოვმა, ი. დიაკონოვმა და სხვა ცნობილმა მეცნიერებმა. სადღეისოდ, დადგენილია, რომ: საერთო-ქართველური ენობრივი მოდელი უახლოეს სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ პარალელს საერთო-ინდოევროპულ ენობრივ სისტემასთან პოულობს: ფონემათა სიმრავლის დაყოფა საკუთრივ ხმოვანთა, საკუთრივ თანხმოვანთა და სონანტთა ქვეკლასებად ორივე მათგანის ფონოლოგიური სისტემისთვის არის დამახასიათებელი. ორივე სისტემაში ტიპოლოგიურად იდენტურია სონანტთა კლასისა და საკუთრივ ხმოვანთა კლასის შემადგენლობა. სონანტურ ფონემათა მარცვლოვანი და უმარცვლო ალოფონების გადანაწილების მოდელებიც ქართულსა და ინდოევროპულში დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. ამასთან, მარცვლოვანი სონანტების განვითარება ქართველურში ინდოევროპულ დიალექტებში მათი განვითარების ანალოგიურ სურათს იძლევა. თვალში საცემია, აგრეთვე, ქართველურ-ინდოევროპული სტრუქტურული პარალელიზმი საკუთრივ თანხმოვანთა კლასში. კერძოდ, ხშულ ფონემათა სისტემაში . უნდა ითქვას ისიც, რომ საერთო-ინდოევროპული მორფონოლოგიური სისტემა ხმოვანთა აბლაუტური მონაცვლეობების მექანიზმით აშკარა

ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს მონაცვლეობათა საერთო-ქართველური ენისათვის აღდგენილ მოდელთან. ეს შესაძლებლობას იძლევა ვილაპარაკოთ ქართველურ-ინდოევროპულ მორფონოლოგიურ იზომორფიზმზე, რომლის საფუძველზეც ქართველური და ინდოევროპული საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ კლასს შეიძლება მივაკუთვნოთ. მსგავსი დასკვნების საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ამ ენობრივი სისტემების ერთ ოჯახში გაერთიანებას ცდილობს. ზოგიერთი – მათი საერთო წინაპრის არსებობასაც ვარაუდობს. მეცნიერთა უმეტესი ნაწილი კი ამ ენობრივი პარალელების წარმოშობის მიზეზად “პროტოქართული” და “პროტოინდოევროპული” ენების გავრცელების არეალის სიახლოვეს მიიჩნევს. ალბათ აქვე უნდა ითქვას, რომ ისტორიოგრაფიაში დისკუსიის ობიექტია ქართველურს ურთიერთობა რომელიმე ძველ ინდოევროპულ დიალექტთან ჰქონდა თუ თავად “პროტოინდოევროპულ” ენასთან. მაგალითად, გ. მელიქიშვილი უფრო პირველი მოსაზრების მომხრე ჩანს, თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი კი – მეორესი. ქართულ ისტორიოგრაფიაში იმის დამტკიცების მცდელობასაც კი აქვს ადგილი, რომ ქართულ-ინდოევროპული კავშირები ქართულ-ზანურ და არა “პროტოქართულ” დონეზე ხორციელდებოდა.

ისტორიოგრაფიაში ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი კავშირების ფორმირების ისტორიული მიზეზების შესახებ საერთო აზრი არ არსებობს. ამ საკითხზე მსჯელობა, ვფიქრობთ, ქართველთა პირველსაცხოვრისის პრობლემის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების კონტექსტში უნდა განვაზოგადოთ. თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი წიგნში “ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები”, ვარაუდობენ, რომ ისინი ძვ. წ. V–IV ათასწლეულში მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში უნდა წარმოქმნილიყვნენ, სადაც, მათი აზრით, ინდოევროპელების პირველსაცხოვრისი მდებარეობდა (“პროტოქართულის” თავდაპირველი გავრცელების არეალად გამყრელიძე და ივანოვი მცირე კავკასიონს თვლიან). გ. მაჭავარიანი ქართველურ-ინდოევროპული კონტაქტების ზონად მტკვარ-არაქსის კულტურას მიიჩნევს, რომელსაც იგი ძვ. წ. IV – III ათასწლეულში ორივე ზემოთხსენებული ლინგვისტური ჯგუფის წარმომადგენლების ადგილსამყოფლად აღიქვამს. განსხვავებული აზრის ჩანს გ. მელიქიშვილი. იგი მტკვარ-არაქსის კულტურას ინდოევროპელების კუთვნილებად თვლის, რომლის მოსახლეობამაც, მოგვიანებით, სამხრეთიდან მოსული ქართული ტომებისთვის სუბსტრატის როლი შეასრულა. გ. კლიმოვს კონტაქტების ეს ზონა კავკასიონის მთავარი ქედის რაიონში გადააქვს. დაახლოვებით ასევე იქცევა ი. დიაკონოვიც. იგი ქართველური ენების გავრცელების თავდაპირველ არეალად და მაშასადამე ქართულ-ინდოევროპული ენობრივი კონტაქტების ზონადაც, მაიკოპის კულტურას მიიჩნევს. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველი ხალხის თავდაპირველი გავრცელების არეალის შესახებ ისტორიოგრაფიაში ფიგურირებს ჰიპოთეზები, რომლებიც ქართულ-ინდოევროპული ენობრივი შეხვედრების ფაქტს ნაკლებად ითვალისწინებენ, რაც, ალბათ, მათ ნაკლად უნდა ჩავუთვალოთ. ასეთი მოსაზრებების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ო. ჯაფარიძის და მ. ქურდიანის კონცეფციები. ო. ჯაფარიძე თვლის, რომ ქართველთა პირველსაცხოვრისის მტკვარ-არაქსის კულტურა წარმოადგენდა. ქართველურ-ინდოევროპულ ენობრივ შეხვედრებს კი არ შეიძლებოდა ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარზე უადრეს პერიოდში ჰქონოდა ადგილი. მმ. ქურდიანი ქართველთა პირველსაცხოვრისში დიდი კავკასიონის სამხრეთი

კალტიდან შავ ზღვამდე ტერიტორიას გულისხმობს . ისე რომ მკაფიოდ არ ხსნის ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი შეხვედრების ჩამოყალიბების მიზეზებს. ქართველების გენეზისის შესახებ ისტორიოგრაფიაში სხვა მოსაზრებებიც არსებობს. მაგალითად არ შეიძლება ამ კუთხით ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ტ. ფუტყარაძის, რ. თოფჩიშვილის, დ. მუსხელიშვილის, ო. ლორთქიფანიძის და სხვა მეცნიერების მოსაზრებების დავიწყება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი (მაგალითად ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას კონცეფციები) არქეოლოგიურ მასალას ნაკლებად ითვალისწინებს, ზოგიერთი – კი უფრო ქართველების ისტორიული განსახლების არეალსა და მათ ეთნიკურ ისტორიას ეხება ვიდრე “პროტოქართველურ” სიძველეებს.

“პროტოქართული” და “პროტოინდოევროპული” ენობრივი პარალელების არსებობის ისტორიული მიზეზების შესახებ მოსაზრებების მრავალფეროვნებას და ხშირ შემთხვევაში მათ არადამაჯერებელ ხასიათის რამოდენიმე მიზეზი განაპირობებს. საქმე ისაა, რომ ხსენებულ საკითხზე მსჯელობა მჭიდრო კავშირშია ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს პრობლემასთან, რომელიც, თავის მხრივ, ასევე სადისკუსიო საკითხია. თანამედროვე ეტაპზე ამ ორი საკითხის იზოლირებულად განხილვა წარმოუდგენლად გვეჩვენება, ამიტომ ქვემოთ ინდოევროპული ენობრივი სისტემის გენეზისის საკითხსაც უნდა შევეხოთ. ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ ჩვენეული მოსაზრებების ჩამოყალიბება კი მხოლოდ ამის შემდეგ, ინდოევროპეისტიკის მონაცემების გათვალისწინებით უნდა ვცადოთ.

ინდოევროპელების წინარესამშობლოს გეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხი, დიდი ხანია, ფართო დისკუსიის ობიექტია. ინდოევროპეისტიკაში, ამ მხრივ, დღემდე ბევრი ჰიპოთეზა ფიგურირებს. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე სერიოზულად მხოლოდ რამდენიმე მათგანი განიხილება. მათ რიცხვში შეგვიძლია დავასახელოთ პალეოლითური უწყვეტობის თეორია (მ. ალინეი); მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც წინარესამშობლოდ ჩრდილოეთ ევროპა განიხილება (ლ. კილიანი, ა. ჰაუსლერი, მ. ზველელი); თავისი მომხრეები ჰყავს ინდურ ჰიპოთეზასაც (მ. ვიტხელი, კ. ელსტი). ეს კონცეფციები თანამედროვე ეტაპზე დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. თუმცა, არც მთლიანად უარყოფილია. გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს წინარესამშობლოს ბალკანეთ-კარპატებსა (ვ. საფრონოვი, ბ. გორნუნგი, ი. დიაკონოვი, ლ. მაკკაი, გ. დევოტო) და წინა აზიაში ლოკალიზების მხარდამჭერებს. წინააზიურ ჰიპოთეზებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით კ. რენფრიუს ანატოლიური თეორია სარგებლობს, რომელიც ინდოევროპელების სახელს ნეოლითური მეურნეობის გავრცელებას უკავშირებს (კ. რენფრიუ, ა. დოლგოპოლსკი). შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა ინდო-ხეთურ (ე. სტურვენანტი, ბ. დარდენი) და გამყრელიძე-ივანოვის კონცეფციებს. მიუხედავად ერთვარი მსგავსებისა, ეს ჰიპოთეზები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეულ ნიუანსებში რენფრიუს თეორია ბალკანურ-კარპატულ ჰიპოთეზებთან ერთად უპირისპირდება პონტიურ-კასპიური თეორიას. ამ უკანასკნელის მიხედვით ინდოევროპელების წინარესამშობლოდ ვოლგა-ურალის სტეპები განიხილება, ხოლო ინდოევროპელების დასავლეთით გავრცელება ბრინჯაოს ხანის მოვლენად არის აღქმული. წინააზიურსა და ბალკანეთ-კარპატულ ბანაკებს შეიძლება მივაკუთვნოთ,

აგრეთვე, ე. შერა თავისი ე. წ. "მეორადი სამეურნეო რევოლუციის" კონცეფციით. იგი ადრე ბრინჯაოს ხანაში ინდოევროპელების ვოლგა-ურალის სტეპებიდან დასავლეთით გადანაცვლების კონცეფციას ანაქრონიზმად თვლის. პონტიურ-კასპიური თეორიის მთავარ მომხრეებად მ. გიმბუტასი, დ. ენტონი, ჯ. მელორი და დ. ადამსი გვევლინებიან. მათთან ახლოს შეიძლება დავაყენოთ ჯ. ნიკოლსი, რომელიც თავისი ე. წ. სოგდიანური ჰიპოთეზით ინდოევროპელების აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიგრაციის თეორიის სასარგებლოდ მნიშვნელოვან ლინგვისტურ არგუმენტებს გვთავაზობს.

თუ ზემოთ აღნუსხულ თეორიებს განზოგადებთ დავინახავთ, რომ აქ ორ ძირითად მიმართულებასთან გვაქვს საქმე. ერთის მიხედვით "პროტოინდოევროპულის" ფორმირება ნეოლითის (ან კიდევ უფრო ადრინდელი) ხანის ცენტრალურ-აღმოსავლურ ევროპულ არქეოლოგიურ კულტურებს უკავშირდება. მეორე მხრივ ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ურალისპირეთის ტერიტორიას. პირველ ბანაკს შეგვიძლია მივაკუთვნოთ კ. რენფრიუს ანატოლიური ჰიპოთეზაც. მაშინ, როცა თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის, ინდო-ხეთური და სხვა წინა აზიური კონცეფციები, მათი ერთგვარი შუალედური პოზიციის მიუხედავად, ვფიქრობთ, მეტ საერთოს მეორე მიმართულებასთან ამჟღავნებენ.

თავიდანვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის სავსებით მიუღებელია კონცეფციები, რომლებიც ინდოევროპელების წინარესამშობლოს ნეოლითურ ევროპას უკავშირებენ. თუნდაც იმიტომ, რომ ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი შეხვედრებს ფორმირების ისტორიულ მიზეზებს ისინი, თუნდაც ნოსტრატული თეორიის ფარგლებში, ძალზე არადამაჯერებლად ხსნიან. არც ენობრივი მეთოდებით "რეკონსტრუქტირებული პროტოინდოევროპული სინამდვილე" შეესატყვისება ნეოლითური ევროპის არქეოლოგიურ კულტურებს. ამ მხრივ, თუნდაც ის გარემოება რად ღირს, რომ ეს მხარე ვერაფრით მოთავსდება ცხენისა და ბორბლიანი ტრანსპორტის გენეზისის არეალში. მაშინ, როცა კულტურის ეს ორი ელემენტი ცალსახად "პროტოინდოევროპული" სამყაროს განუყოფელ ნაწილად ითვლება. მის მიხედვით ევროპის არაინდოევროპელი ხალხების ეთნიკური ისტორიაც არადამაჯერებლად გამოიყურება. გამომდინარე იქიდან, რომ ინდოევროპელების ევროპის ავტოქტონებად გამოცხადება მათთვის ძალზე მცირე გეოგრაფიულ არეალს ტოვებს. ამ კონცეფციების ჩარჩოებში ანატოლიური და თოხარული ენების მერმინდელი გავრცელების არეალში მოხვედრის გზების ახსნაც კრიტიკას ვერ უძლებს.

ასეთი ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში ინდოევროპელების პირველსაცხოვრისის შესახებ ყორღნულ, ინდო-ხეთური, სოგდიანურ და თ.გამყრელიძე-ვ. ივანოვის კონცეფციებს შორის მოგვიწევს არჩევანის გაკეთება. ყველა მათგანი თავისებურად საინტერესოა. თუმც, ვფიქრობთ, ისინი ბოლომდე დამაჯერებლად ვერ ხსნიან "პროტოინდოევროპელების" გენეზისის ყველა საიდუმლოს. პონტიურ-კასპიური (იგივე ყორღანული) თეორიის შემთხვევაში ძნელი აღსაქმელია თუ რამ გამოიწვია "პროტოინდოევროპული" და წინა აზიური სინამდვილის დიდი მსგავსება. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის თეორიის არქეოლოგიური სარჩული კი ძალზე არადამაჯერებელია. სოგდიანური და ინდო-ხეთური ჰიპოთეზები ბევრ საინტერესო

მიგნებას შეიცავენ, მაგრამ ისინი უფრო ლინგვისტური თეორიებია და ერთგვარ შევსება-დაზუსტებას საჭიროებენ.

“პროტოინდოევროპული” და “პროტოქართველური” ენების თავდაპირველი გავრცელების არეალის შესახებ მსჯელობა, ვფიქრობთ, ე. წ. ნოსტრატული თეორიის მიმართ ჩვენი პოზიციის დაფიქსირებით უნდა დავიწყოთ. ამ უკანასკნელის მიხედვით ევრაზიის კონტინენტის ბევრი ენობრივი ოჯახი (ინდოევროპული, სემიტური, ქართველური, ურალური, ალთაური, დრავიდული) სათავეს კიდევ უფრო მსხვილი ნოსტრატული “პროტოენიდან” იღებს, რომლის არსებობასაც მეზოლითურ ეპოქაში (ძვ. წ. XII-VIII ათასწლეულები) ვარაუდობენ. ლინგვისტიკაში ნოსტრატული თეორიის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მას დიდ ნდობას უცხადებს. მეორე ნაწილი კი _ არამეცნიერულად თვლის. ვფიქრობთ, როგორც არ უნდა გადაწყდეს ლინგვისტებს შორის არსებული ეს დავა (თუ კი მისი გადაწყვეტა საერთოდ შეიძლება) ნოსტრატული თეორიის მნიშვნელობა ჩვენთვის მაინც დიდია. გამომდინარე იქიდან, რომ ამ თეორიის ფარგლებში საუბარია ევრაზიის კონტინენტის მხოლოდ ზოგიერთი და არა ყველა ენობრივი ოჯახის განსაკუთრებულ სიახლოვეზე, რაც მათ “პროტოენობრივ ერთობას” თუ არა მეზოლითის ხანაში მათი წინაპრების განსახლების არეალის ერთმანეთთან სხვა ენობრივ ოჯახებზე მეტ სიახლოვეზე მაინც მეტყველებს. ჩვენს შემთხვევაში ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველური, ინდოევროპული და ურალური ენების სიახლოვის (უფრო სწორედ ინდოევროპულის ერთი მხრივ ქართველურთან, მეორე მხრივ კი ურალურთან სიახლოვის) ფაქტს აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხს, ხშირად, არანოსტრატუკოსი ლინგვისტებიც ეხებიან. ბევრი მათგანი “პროტოინდოევროპულის” ერთგვარ ნარევ ბუნებასაც უსმევს ხაზს. ეს კი, ალბათ, უფლებას გვაძლევს ინდოევროპელების წინარესამშობლოდ ქართველური და ურალური ენების გავრცელების არეალის შუალედურ ტერიტორიაზე ვეძებოთ.

ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, ლოგიკას არ იქნება მოკლებული, თუ მეზოლით-ნეოლით-ენეოლითის ხანის წინა აზიის ეთნო-ლინგვისტურ რუკას შემდეგი სახით წარმოვიდგენთ. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ნახურ-დაღესტნური ენების გავრცელების ზონას აღმოსავლეთ კავკასია წარმოადგენდა. ენობრივად მათთან ბევრი საერთოს მქონე (თუ მათ მონათესავე) ხური-ურარტული ენებს კი სამხრეთ კავკასიის ნაწილი, დაახლოვებით შულავერ-შომუთეფეს კულტურის გავრცელების არეალი ეკავათ. ისტორიული, არქეოლოგიური და ენათმეცნიერული მონაცემები, ვფიქრობთ, კარგად ადასტურებს ამ პოსტულატს. არქეოლოგიურად დასტურდება, რომ შულავერ-შომუთეფეს კულტურის შექმნაში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში გავრცელებულმა ჩოხის ნეოლითური არქეოლოგიური კულტურის ხალხებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. შულავერ-შომუთეფეს კულტურის გავრცელების ზონა ბრინჯაოს ხანაში ძირითადად, ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის არარატული ვარიანტის არეალს. ისტორიულ პერიოდში კი ამ მიწებზე ხური-ურარტული ტომები ცხოვრობდნენ. ლინგვისტურად ხელს არაფერი გვიმლის იგივე ზონა ხური-ურარტული და ნახურ-დაღესტნური ენების დივერგაციისა, თუ კონვერგაციის ადგილად ჩავთვალოთ.

კავკასიის დასავლეთი ნაწილში ნახურ-დადესტურის ენების მონათესავე აფხაზურ-ადიღურის ენები ვრცელდებოდნენ. მცირე აზიაში კი, ძირითადად, “პროტოხეთურის” ტიპის ენების არსებობა უნდა ვივარაუდოთ.

ვფიქრობთ, რომ ე. წ. ნოსტრატული ენების ფორმირებისა, თუ გავრცელების არეალი შედარებით უფრო სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. ლოგიკას არ იქნება მოკლებული, თუ ვივარაუდებთ, რომ ქართველურს – შუამდინარეთის ჩრდილოეთი, ინდოევროპულს კი ირანის ჩრდილოეთი და შუა აზიის სამხრეთი ნაწილი ეკავათ. ნეოლით-ენეოლითის ხანაში მათ ამუკი-მერსინი, ჰასუნა-ხალაფის (ქართველურს) და ჯეითუნ-ჰისარ კელტემინარული (ინდოევროპულს) კულტურული წრეები წარმოადგენდნენ. ასეთ შემთხვევაში სამხრეთ ირანი და ჩრდილოეთ ინდოეთი ბუნებრივად რჩებათ ნოსტრატული ენების სხვა წარმომადგენლებს: დრავიდებსა და ზაგროს-ელამელებს, რომლების ენობრივ სიახლოვეზეც ბევრი იწერება; ცენტრალური აზია კი – ურალელებსა და ალთაელებს; სემიტების ადგილსამყოფელი ქართველურისგან სამხრეთ-დასავლეთით, სირია-პალესტინაში უნდა ვივარაუდოთ. თუმცა კი ძალზე რთულად გვეჩვენება მათი საცხოვრისის არქეოლოგიური იდენტიფიცირება, რადგან ნეოლითის ხანის აქაური კულტურული წრეები ე.წ. მედიტერანული თეორიის კონტექსტშიც დიდი მნიშვნელობას ატარებს. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე სტატიაში თავს ვარიდებთ იმის განსაზღვრას თუ რა ისტორიული რეალობა უნდა მოვიაზროთ ნოსტრატული და სხვა აღწერილი ენობრივი საწინამდვილეების ქვეშ. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ აქ რა, თქმა უნდა არ ვგულისხმობთ მკაფიო საზღვრების მქონე გაცნობიერებულ ლინგვისტურ ერთობებს. ზემოთ ნახსენებ ტერმინებში (მაგალითად ქართველურში, დრავიდულში, ინდოევროპულში, ურალურში და ა.შ.) უბრალოდ გეოგრაფიული სივრცეები ივარაუდება, რომლის წიაღშიც, ალბათ უკვე მეზოლითის ხანიდან, ყალიბდებოდა ცალკეული ენობრივი იზოგლასები, რამაც, საბოლოოდ, ჩვენთვის საინტერესო ენობრივი ოჯახების ფორმირება გამოიწვია. ვფიქრობთ, ნეოლითის ხანაში ეს პროცესი მწარმოებლური მეურნეობის ფორმირებას დიდად უნდა დაეხმარებინა. ბრინჯაოს ხანაში კი ქართველურსა და ინდოევროპულს იმდენად მკვეთრად გამოხატული სახე უნდა ჰქონოდათ, რომ ცალკეულ რაიონებში უკვე მათი ინფილტრაციის შესაძლებლობაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ.

შემოთავაზებული მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, ბუნებრივია, რამდენიმე საკითხი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ: 1) როდის და როგორ გავრცელდნენ ქართველური ენები თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში; 2) როდის და როგორ გავრცელდნენ ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხები; 3) როდის და როგორ გავრცელდნენ წინა აზიაში ანატოლიური ენები; 4) სად და როგორ ჩამოყალიბდა “პროტოქართველურ-პროტოინდოევროპული” ენობრივი პარალელები.

1) როდის და როგორ გავრცელდნენ ქართველური ენები თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში – ქართველური ენების ფორმირების არეალის ჩრდილოეთ შუამდინარეთთან დაკავშირების იდეა ისტორიოგრაფიაში ახალი არ არის. XX საუკუნის I ნახევარში იგი კვლევის წამყვან მიმართულებასაც კი წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში ენობრივი თვალსაზრისით მყარ არგუმენტს ქართველურის შუანდინარულ ენებთან

(მაგალითად, შუმერულთან და სემიტურთან) არსებული ენობრივი შეხვედრების ფაქტი წარმოადგენდა. თუმცა, ამ კუთხით გამოთქმული ჰიპოთეზები საკმაოდ არადამაჯერებლად აღწერდნენ ქართველური ტომების კავკასიაში ინფილტრაციის პროცესს. გადაჭკონდათ რა იგი ძალზე გვიანდელ ისტორიულ პერიოდში. ვფიქრობთ, “პროტოქართველური ენის ასაკისა და მისი პროტონდოევროპულთან კავშირების გათვალისწინებით სავსებით ლოგიკურია ეს პროცესი გვიანენეოლითურ და ადრე ბრინჯაოს ხანას დაევუკავშიროთ. ამ პერიოდში (ძვ. წ. V ათასწლეულის მიწურულს და IV ათასწლეულის დასაწყისში) ჩრდილოეთ შუამდინარეთიდან და აღმოსავლეთ მცირე აზიიდან კავკასიის მიმართულებით, რომელიც იმ პერიოდში აფხაზურ-ადიღური ნახურ-დაღესტნური ენების გავრცელების არეალს წარმოადგენდა ხალხთა მნიშვნელოვანი მასები ინაცვლებს. არქეოლოგიურად, ყოველივე ამან გამოხატულება თეფე გაურას (მესოპოტამია), ამუკი F (სირია) და განსაკუთრებით არსლან თეფე VII (ანატოლია) ტიპის ძეგლების გავრცელებაში ჰპოვა ამ ფაქტს ზურგს სტრატეგრაფიის მონაცემები უმაგრებს. ჩანს, სამხრეთიდან ჯერ კიდევ გვიანენეოლითის ხანაში უნდა დაწყებულიყო მიგრაციული პროცესები კავკასიის მიმართულებით. ამის არგუმენტად, ამუკი F ფაზის დროს, ადრემაიკოპური ტიპის კერამიკის სირიაში გამოჩენა გამოდგება, რომელიც, როგორც ფიქრობენ, თეფე გაურადან უნდა შემოსულიყო. როგორც ჩანს, ეს მიგრაცია შულავერ-შომუთეფეს, სიონს და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებსაც მნიშვნელოვნად შეეხო. ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ და შესაძლოა ცენტრალურ ნაწილში კი მისი (ე. ი. მიგრაციის) წყალობით მაიკოპის კულტურა ჩამოყალიბდა.

აქვე შეიძლება გვესაუბრა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ქართველთა მერმინდელ განსახლების ტერიტორიაზე მაიკოპის კულტურის კონტინუუმის დანახვა. თუმცა, ვფიქრობთ, ამის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან მაიკოპის კულტურის სიახლოვე დასავლეთ ქართულ სინამდვილესთან სავსებით დადასტურებულ ფაქტად ითვლება.

2) როდის და როგორ გავრცელდნენ ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხები – შემოთავაზებული მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში, ბუნებრივია, ალტერნატიულ ახსნას ევროპაში ინდოევროპული ენების გავრცელების საკითხი საჭიროებს. ამ მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, თუ ყურადღებას ურალის სტეპების “ნეოლითიზების“ (ე.ი. აქ მწარმოებლური მეურნეობის გავრცელების) პროცესზე გავამახვილებთ. ქრესტომატიული ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყნის ამ ნაწილში მწარმოებლური მეურნეობის გავრცელება მხოლოდ სამი შესაძლო ცენტრიდან: დუნაისპირეთ-ბალკანეთიდან, კავკასიიდან და სამხრეთ შუა აზიიდან წამოსული იმპულსების საშუალებით შეიძლება მომხდარიყო. ნეოლითისა და ენეოლითის ხანაში კავკასიის სტეპებთან კონტაქტები არ დასტურდება. იგივეს ვერ ვიტყვით სამხრეთ შუა აზიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ინდოევროპეისტიკის საკითხებზე მსჯელობისას ურალისპირეთისა და სამხრეთ შუა აზიას შორის არსებულ ამ კავშირებს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ როგორც მეზოლითის, ისე ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდში ეს რეგიონები ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სტეპების ათვისებასა და იქ ნომადური მეურნეობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი მეცხვარეობის კულტურამ შეასრულა.

ცხვარი კი, ისევე როგორც თხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ურალის სტეპებსა და მის მიმდებარე მხარეებში ბუნებრივი სახით არ ბინადრობდა . ძალზე ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ იგი აქ სამხრეთ კასპისპირეთიდან გავრცელდა, რომელიც მისი დომესტიკაციის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ვოლგა-ურალის სტეპების “ნეოლითიზების” პროცესზე საუბრისას დუნაი-ბალკანეთის კერის მნიშვნელობის დაკნინება. აქ, უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბება ურალისპირეთსა და მის აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად მაინც სამხრეთ შუა აზიური გავლენების შედეგად მოხდა . ინდოევროპული “კილოკავების”, უფრო სწორად მისი არაანატოლიური და არათოხარული ნაწილის ევროპაში გავრცელებაც ხსენებული მიმართულებით ეთნიკური და კულტურული დიფუზიის შედეგად მიგვაჩნია. ამ მხრივ ჩვენი პოზიცია განსხვავდება პონტიურ-კასპიური თეორიების მომხრეებისგან, რომლებიც ქვეყნის ამ ნაწილის ინდოევროპიზირების პროცესს უფრო დასაღეთიდან წამოსულ იმპულსებს უკავშირებენ. ვფიქრობთ, რომ საკითხისადმი ჩვენეული მიდგომა ნ. დანილენკოს შემოთავაზებული არქეოლოგიური არგუმენტებისა და ჯ. ნიკოლსის ლინგვისტური დასკვნების ურთიერთდაკავშირების საინტერესო საშუალებას იძლევა.

აქვე გვსურს, აღვნიშნოთ, რომ პონტიურ-კასპიური თეორიები, ვფიქრობთ, სხვა შესწორებებსაც საჭიროებენ. ეს, პირველ რიგში, ევროპაში მათ მიერ შემოთავაზებული ინდოევროპული ჯგუფების დისტრიბუციის სქემებს ეხება. თუმცა, იმასაც გავიმეორებთ, რომ ისინი ევროპის ინდოევროპიზირების საკითხზე საუბრისას ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე ევროპაში ინდოევროპელების გავრცელების ბალკანურ-კარპატული, ანატოლიური და მით უმეტეს ჩრდილოევროპული მოდელები.

3) როდის და როგორ გავრცელდნენ წინა აზიაში ანატოლიური ენები და 4) სად და როგორ ჩამოყალიბდა “პროტოქართველურ-პროტოინდოევროპული” ენობრივი პარალელები – მიგვაჩნია, რომ ანატოლიელების წინა აზიაში გავრცელება მტკვარ-არაქსის არქეოლოგიურ კულტურას უკავშირდება. სადღეისოდ, რა თქმა უნდა, მტკვარ-არაქსის კულტურის გენეზისში სამხრეთ შუა აზიიდან და ჩრდილოეთ ირანიდან მოსული ელემენტის მონაწილეობა დადასტურებულ ფაქტად ვერ ჩაითვლება , მაგრამ, ვფიქრობთ, რამდენიმე გარემოებაზე ყურადღების გამახვილებამ, ამ თვალსაზრისით, შესაძლოა კვლევის საინტერესო პერსპექტივები გვიჩვენოს. კერძოდ:

ა) მტკვარ-არაქსის კულტურით კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანა იწყება, რასაც წინა აზიაში მნიშვნელოვანი კულტურული, სამეურნეო და, შესაძლოა, ეთნო-ლინგვისტური ცვლილებები მოსდევს. მათი კვალი აშკარად ეტყობა ძვ. წ. IV ათასწლეულის არქეოლოგიურ მასალას. კერძოდ, ხალხთა მნიშვნელოვანი ტალღა ინაცვლებს სამხრეთ შუა აზიიდან ურალისპირეთის მიმართულებით. თავის მხრივ, სამხრეთელი მიგრანტები სამხრეთ შუა აზიაში მოდიან, რაც აქ ანაუს კულტურის ფორმირების საფუძველი ხდება . ამავე პერიოდში კავკასიაში ვრცელდება ლეილა თევფს ტიპის ძეგლები და სამხრეთიდან ჩრდილოეთით ხალხთა მნიშვნელოვანი ნაკადი ინაცვლებს, რომელმაც მაიკოპის კულტურის ფორმირება გამოიწვია . არც ის უნდა

დავივიწყოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩნდებიან შუმერები სამხრეთ შუამდინარეთში. არ არის გამორიცხული, რომ მათი გადაადგილებაც რაიმე ფორმით ზემოთ ხსენებულ მოვლენებს უკავშირდებოდეს. ინდოევროპული (ანატოლიური) "კილოკავების" დასავლეთით გავრცელებაც, ვფიქრობთ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ხაზს ვუსვამთ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი არაა, განვსაზღვროთ ინდოევროპული "კილოკავების" დასავლეთით გავრცელებას მიგრაცია, თუS რომელიმე სხვა ლოგიკური კულტურულ-ისტორიულ პროცესები სდევდა თან;

ბ) ხეთების მცირე აზიაში ყოფნა მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან დასტურდება. ამავე პერიოდს ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემა. ჩანს, რომ მისი მოსახლეობა ნაწილობრივ ჩრდილოელი მეზობლების, ნაწილობრივ კი კლიმატური პირობების გაუარესების გამო მასობრივად ტოვებს განსახლების ძველ ადგილებს. სწორედ ეს ხდება სირიაში კირზეთ-კერაკის კულტურის გენეზისის მიზეზი. ხომ არ უნდა ვეძებოთ ანატოლიელების მცირე აზიაში გავრცელების ისტორიული საფუძველი ამ მოვლენების კონტექსტში? საკითხის შესახებ დაახლოვებით ასეთივე ხედვას გვთავაზობენ ჯ. მელაარტი და ლ. ვული. ამდენად, მტკვარ-არაქსის კულტურის კულტურის შიდა ქართლური ვარიანტის ინდოევროპელი ხეთების კუთვნილებად ცნობის შემთხვევაში, ვფიქრობთ, მათი ანატოლიაში მიგრაციის პრობლემისაც ეფექტურად გადავჭრით.

გ) ყურადღება უნდა მივაქციოთ წინა აზიაში შინაური ცხენის გავრცელების პრობლემასაც. ცხენი და ბორბლიანი ტრანსპორტი ინდოევროპეისტიკაში "პროტოინდოევროპული" სინამდვილის განუყოფელ ნაწილად ითვლება. ბევრი არქეოლოგი თვლის, რომ მტკვარ-არაქსის მოსახლეობა ცხენს იცნობდა ჯერკიდევ მაშინ, როცა მას არ ჰქონდა საშუალება კულტურის ეს ელემენტი სტეპებთან კავშირების შედეგად აეთვისებინა. ახალი მონაცემებით ასევე იკვეთება, რომ ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიაზე შინაური ცხენი შესაძლოა ძვ. წ. IV ათასწლეულში, ან კიდევ უფრო ადრეულ პერიოდში ვრცელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ წინა აზიის სხვა მხარეებში ამ მხრივ განსაკუთრებულ მასალებს ვერ ვხვდებით. თუ გავისხენებთ ზემოთ უკვე აღნიშნული შუა აზიის ტრადიციულ კავშირებს ურალის სპეპებთან, რომელიც ცხენის მოშინაურების უძველეს კერად ითვლება და გავიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ცხენის მოშინაურება იმ ზოლში უნდა მომხდარიყო, რომელშიც შინაური ვირის იყო გავრცელებული, ვფიქრობთ, ჩვენს წინაშე ძვ.წ. IV ათასწლეულში შინაური ცხენის გავრცელების საინტერესო არეალი გამოიკვეთება, რომელიც ძალზე უახლოვდება ჩვენ მიერ ინდოევროპულ სივრცედ აღქმულ ტერიტორიას;

დ) ვფიქრობთ, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა წინა აზიასთან სუსტ კავშირებს ამჟღავნებს (განსხვავებით რეგიონში მისი წინამორბედი არქეოლოგიური კულტურებისგან) მაშინ, როცა მისი ჩრდილოელი მეზობელი მაიკოპის კულტურა ამ მხრივ საკმაოდ დაწინაურებული ჩანს. ხომ არ არის ეს მტკვარ-არაქსის კულტურის შექმნაში არაადგილობრივი ელემენტის მონაწილეობის არგუმენტი?

მამასადამე გამოდის, რომ ქართველების პირველსაცხოვრისი შუა აზიის ჩრდილოეთ და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ინდოევროპელების თავდაპირველი

გავრცელების არეალს კი ჩრდილოეთ ირანი და სამხრეთ შუა აზია წარმოადგენდა. ამ გეოგრაფიულ არეალებში, ჯერ კიდევ მეზოლითის ხანაში, უნდა დაწყებულიყო ქართველურისა და ინდოევროპულის დამოუკიდებელი ლინგვისტური მახასიათებლების ჩამოყალიბება. ეს პროცესი დიდად უნდა დაეჭარბინა წინა აზიაში მწარმოებლური მეურნეობის გავრცელების პროცესს. გამომდინარე იქიდან, რომ მისი წყალობით ნეოლით-ენეოლითის ხანაში მსხვილი კულტურული წრეები ჩამოყალიბდა. ქართველური ენები ამუკი-მერსინისა და ჰასუნა-ხალაფის კულტურების გავრცელების არეალში მოექცნენ. ინდოევროპელების საცხოვრისში კი ჯეითუნისა და ჰისარის არქეოლოგიური კულტურები ჩამოყალიბდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ბრინჯაოს ხანის დასაწყისში ქართველურსა და ინდოევროპულსავე უკვე საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი სახე უნდა ჰქონოდა. ბრინჯაოს ხანაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს სოციალურ და ეკონომიკურ ძვრებს, რომლებმაც არქეოლოგიურად ასახვა ბრინჯაოს ხანის კულტურების ფორმირებაში ჰპოვეს, ვფიქრობთ, ენობრივი თვალსაზრისით ინდოევროპელების ანატოლიური ფრთის დასავლეთით გავრცელება და “ქართველების” კავკასიაში ინფილტრაცია უნდა მოჰყოლოდა შედეგად. ჩრდილოეთით გავრცელებულმა ქართველურმა ტომებმა მაიკოპის კულტურა შექმნეს. ანატოლიელმა ინდოევროპელებმა კი - მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლურ ვარიანტს დაუდეს სათავე. მაშინ, როცა ამ არქეოლოგიური კულტურის არარატული ვარიანტი ხური-ურარტული ენების გავრცელების არეალს წარმოადგენდა.

მოვლენათა ასეთი ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში ქართველურ-შუმერული და ქართველურ-სემიტური ენებრივი პარალელების გენეზისისათვის ისტორიული სარჩულის მოძებნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. “პროტოქართველურ-პროტოინდოევროპული” პარალელების ახსნა კი ორი შესაძლო ვარიანტის ფარგლებში შეიძლება: 1) თუ ნოსტრატული, ან “პოსტნოსტრატული” თეორიის ფარგლებში ქართველურისა და ინდოევროპულის შორეულ ნათესაობას ვირწმუნებთ; 2) შეგვიძლია ასევე ჩავთვალოთ, რომ “პროტოქართველური” და “პროტოინდოევროპული” ენობრივი სისტემების სიახლოვე მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურის პირობებში ქართველთა და ინდოევროპელთა მეზობლობამ განაპირობა.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი შეხვედრების ისტორიის კიდევ ერთი მომენტის ახსნა შეიძლება. საქმე ისაა, რომ “პროტოქართულ” ენას კონტაქტები უჩანს სადღეისოდ ჩვენთვის უცნობ რომელიღაც ინდოევროპულ ენასთან, რომელიც ყველაზე მეტ სიახლოვეს ინდოევროპული ოჯახის ბალტიურ-სლავურ-გერმანიკულ ფრთასთან ამჟღავნებს. “პროტოქართულის” გავრცელების არეალად მაიკოპის კულტურის გამოცხადების შემთხვევაში კი ქართველთა მეზობლად ამ ჯგუფის ინდოევროპელების არსებობის შესაძლებლობაც ადვილი შესაძლებელია, რადგან ძვ. წ. III ათასწლეულში სამხრეთ რუსეთის სტეპებში და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ინდოევროპელები უკვე ფართოდ იყვნენ გავრცელებული.

დასასრულ, საჭიროა, კიდევ ორ მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ. ვფიქრობთ, ახსნას საჭიროებს, თუ რატომ არ ვიყენებთ ზემოთ ფიზიკური ანთროპოლოგიისა და

მოლეკულური ბიოლოგიის მონაცემებს და რა დამოკიდებულება გვაქვს ქართველურის იბერიულ-კავკასიურ, ბასკურ და მედიტერანულ ენობრივ სინამდვილეთან მიმართების საკითხზე.

დაუფარავად გვსურს აღვნიშნოთ, რომ ეთნოგენეზის საკითხებზე საუბრისას ფიზიკური ანთროპოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის მონაცემებს ნაკლებ ნდობას ვუცხადებთ. მიუხედავად იმისა, რომ რომ ლ. კავალი-სფორცას, ა. ამორიმის, დ. რანგს და სხვა მკვლევარების წყალობით, ბოლო ხანებში, ამ მხრივ, საკმაოდ საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა. საქმე ისაა, რომ ძველი მსოფლიოსა და შუა საუკუნეების ისტორიის ეთნიკური პროცესების დინამიკის კანონზომიერებების თვალის მიდევნება გვარწმუნებს, რომ ამ პერიოდში არ დასტურდება რომელიმე A ჯგუფის მიერ B ჯგუფის X ტერიტორიაზე სრული ჩანაცვლების ფაქტი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა რეგიონში ლინგვისტური და პოლიტიკური ლანდშაფტი რადიკალურად იცვლებოდა, მოსული ელემენტი უმეტესად “სუპერსტრატულ უმცირესობას” წარმოადგენდა. მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება: რომის იმპერიის შემდგომი ხანის ე.წ. “ბარბაროსული სახელმწიფოების”, აღმოსავლეთ ევროპის თურქული გაერთიანებების, სპარტული და კელტური საზოგადოებების სახით. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ევრაზიის ძალიან ბევრი რეგიონი (თუ ყველა არა) არქეოლოგიური თვალსაზრისით უწყვეტი განვითარების სურათს იძლევა. ეს გარემოება ასაზრდოებს წინარესამშობლოს შესახებ პალეოლითური უწყვეტობისა და ჩრდილო-ევროპული თეორიების მსგავსი ჰიპოთეზების მომხრეებს. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ფიზიკური ანთროპოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის მონაცემებსაც მნიშვნელოვან კვალს დააჩენს. რა თქმა უნდა, ძნელია უარყოთ ამ დარგების მნიშვნელობა, როცა საქმე ზედა პალეოლითურ და მეზოლითურ პერიოდებს ეხება, მაგრამ ნეოლითსა და მის შემდგომ პერიოდში ამ თვალსაზრისით უფრო თავშეკავებული მსჯელობა გვმართებს.

ქართველურისა და იბერიულ-კავკასიურის (ანუ აფხაზურ-ადიღეურისა და ნახურ-დაღესტნურის) შესახებ მსჯელობისას კი, სამწუხაროდ, ღიად მოგვიწევს დავტოვოთ საკითხი: ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენები ოდესღაც “პროტოენას” წარმოადგენდნენ და ქართველური შემდეგ აღმოჩნდა ენათა ნოსტრატულ წრეში, თუ ასეთ ერთობას რეალურად ადგილი არასოდეს ჰქონია. აქ საბოლოო სიტყვა ლინგვისტებს ეკუთვნით. ჩვენი მხრივ კი მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენების სიახლოვე თავისუფლად შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ მაიკოპის კულტურის გავრცელების არეალში მთის კავკასიურმა ენებმა სამხრეთიდან მოსული ქართველური სუპერსტრატისთვის სუბსტრატის როლი შეასრულეს.

შემოთავაზებული მსჯელობის გაზიარები შემთხვევაში, ვფიქრობთ, A ქართველურ-მედიტერანული და ქართველურ-ბასკური ენობრივი სიახლოვის ჩამოყალიბების ისტორიული მიზეზების შესწავლის თვალსაზრისითაც საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება. თუმცა, ამ საკითხზე მსჯელობა დამოუკიდებელი კვლევის ობიექტად მიგვაჩნია.

ჩამოყალიბებული თეორია, ჩვენი აზრით, ქართველთა პირველსაცხოვრისის გეოგრაფიული ლოკალიზაციის საკითხისათვის მნიშვნელოვან ყველა საკვანძო საკითხს

ითვალისწინებს. ამ კუთხით შემდგომმა კვლევებმა კი, შესაძლოა, უფრო საინტერესო დასკვნებამდეც მიგვიყვანოს.

ზემოთ ჩვენ საუბარი შევწყვიტეთ აქადის დინასტიის დაცემით, რომელიც განვიხილეთ მტკვარ-არაქსის კულტურასთან სინქრონულად. როგორ განვითარდა შემდგომი პერიოდის (ანუ შუაბრინჯაოს ხანის) ისტორიულ არქეოლოგიური რეალობა. აქადის დაცემას ურის მესამე დინასტიის მცირეხნიანი აღზევება და დაცემა მოჰყვა ელამელებისა და ამორეველების ხელით. ამან კი თავის მხრივ ჩრდილოეთ შუამდინარეთში ასურეთის, სამხრეთში კი ბაბილონის გაძლიერებას დაუდო სათავე.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითქოს ახლებურად ლაგდებოდა კომუნიკაცია მცირე აზია ჩრდილო ზაგროსის რეგიონთან. ეს არის .ე.წ. კაპადოკიური ფირფიტების ეპოქა, რომელსაც პრაქტიკულად მოსდევს ხეთებისა და მითანის სამეფოს შექმნა, რომლებმაც არათუ ცივილიზაციის ზოლი შეავსეს, არამედ 1595 წელს ბაბილონიც კი დაიკავეს. ბაბილონი ცოტა ხანში უკვე საკრალური ტერიტორიიდან მოსულმა კასიტებმაც კი დაიკავეს.

ამ პერიოდში ძალთა ბალანსის გადანაწილებას როგორც ჩანს არც საქართველო გადაურჩა. აქ ყალიბდება მსხვილი გაერთიანებები, რომლებსაც ბედენის და თრიალეთის კულტურები წარმოაჩენს. ძნელია ზუსტად თქმა რა ტიპის კავშირები ჩვენს კულტურებს მახლობელ აღმოსავლეთთან, ან კიდევ როგორ ერთმემა ეს ყველაფერი კასიტებს, კაპადოკიურ ფირფიტებს და ხეთების ძველ სამეფოს, თუმცა, თრიალეთის ინვენტარი ადასტურებს, რომ აშკარად ერთმეობდა. ეს ის პერიოდია, როცა ცივილიზაციის ცენტრები მთელი ზოლით მაღლა ამოდის, რაც ცხადია აქაური ტომების სტრუქტურაზეც იმოქმედებდა.

ამ ეპოქის განუყოფელი ნაწილი ჩანს ხეთების ეპოქალური დაპირისპირება ქაშქებთან. სომეხი ისტორიკოსი არამ კოსიანი ყურადღებას ამახვილებს ასევე ადგილ - ჰაიასას გაერთიანებაზე, რომელსაც ის თრიალეთის (თრიალეთი ვანამორის კულტურას უკავშირებს). ჰაიასას დაპირისპირება ხეთებთან ცხადია ცივილიზაციის ცენტრების მაღლა ამოწევის დისკურსის ნაწილია, თუმცა, ის თითქოს უფრო გვიანბრინჯაოს ხანას უკავშირდება, როცა თრიალეთის კულტურა აღარ არსებობდა.

თითქოს თრიალეთის კულტურის დაშლაც ერთგება მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციური ცენტრების რეალობას. გვიანბრინჯაოს ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარში ყალიბდება ამარნას სახელოვანი რეალობა, რომლის წყალობითაც როგორც დღეს ამბობენ ვხედავთ გლობალიზაციის პირველ დიდ პროექტს. ეს პროექტი მთელ ევროპასა და ავღანეთსაც მოიცავდა. ძნელი სათქმელია აქ რა ადგილი ეკავა საქართველოსა და კავკასიას. ის ცხადია გვიანბრინჯაოს ხანაშიც მითანისა და ხეთების პერიფერიას წარმოადგენდა. თითქოს წერილობით წყაროებშიც არცთუ ცუდად არის ასახული, მაგრამ ეს წყაროები ყველაზე მთავარზე ნაკლებად საუბრობენ - რა ტიპის კომუნიკაცია ჰქონდათ / რა ტიპის ეკოსისტემას ქმნიდა კავკასია. რაში სჭირდებოდა აქ მაცხოვრებელი ხალხი ხეთას და მითანს (ან კიდევ სხვებსაც) და რაში სჭირდებოდა ამათ ხეთა და მითანი.

ერთი კი ფაქტია, რომ სამხედრო ელიტების შექმნას კი ეს ყველაფერი ნამდვილად იწვევდა. ზემოთ ხსენებული აცი ჰაიასა ერთ-ერთი ასეთი გაერთიანებაა, რომელიც არც თუ მცირე პრობლემებს უქმნიდა ხეთების სამეფოს. სამწუხაროდ წყაროები მხოლოდ ტრაბახს და ცოლის დებზე ლაპარაკს უნდება და ურთიერთობათა მთელ კომპლექსს არ წარმოაჩენს. ისევე როგორც არ წარმოაჩენს უფრო ჩრდილოეთით მდებარე სხვა გაერთიანებებს, რომლებიც შეგვეძლო კოლხური ცულების და ლჭაშენ წითელგორების ეთნონიმებად ამოგვეცნო.

აქვე არ შეიძლება არ შევხვთ ეთნიკური კუთვნილების საკითხს, რომელიც ადგილობრივ ისტორიოგრაფიაში ყველაზე ფართო განხილვის თემაა. მაგალითად, აცი ჰაიასას სამეფო სომხურ ისტორიოგრაფიაში პირველ სომხურ სახელმწიფოდ განიხილება; ამ კუთხით ხშირად თრიალეთის ინდოევროპულად აფილირების ტენდენციაც ჩანს.

დავიწყოთ ენობრივ აფილიაციაზე საუბრით. შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში აქ სულ სამი ტიპის ენობრივ რეალობას შეიძლება ეარსება. ანატოლიური ფრთის ინდოევროპულს (რომელიც სინამდვილეში არც არის ბოლომდე ინდოევროპული), ხური-ურარტულს და ქართველურს. შეიძლება ასევე პროტოხეთურის, აფხაზურ-ნახურის ტიპის რეალობაც ამოვიცნოთ სადღაც-სადღაც. მით უფრო, რომ ამ პერიოდში ამ ენებს შორის მკაფიო საზღვრების არსებობა ნამდვილად სავარაუდოა. სხვადასხვა ენები ბოლაზქოის არქივში ამის აშკარა დასტურია.

რომელ ენობრივ რეალობას შეიძლება მივაკუთვნოთ აცი ჰაიასა, შესაძლოა ხურიტულს, თუმცა, შესაძლოა ქართველურსაც, რადგან მისი გავრცელების არეალი ძალიან ახლოს დგას თრიალეთი (თრიალეთი - ვანაძორის კულტურასთან) და აია თითქმის კარგა ერთიანება კოლხეთის ბერძნულ სახელწოდებას. ყოველ შემთხვევაში ინდოევროპულ რეალობასთან მისი სიახლოვე არ უნდა იყოს სწორი, მით უფრო ინდოევროპელების სომხურენოვან ფრთასთან, რომლების არსებობაც ძვ.წ. XI საუკუნეში ფრიგიელების გამოჩენამდე საერთოდ არ დასტურდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ ფრთის ინდოევროპელები პოსტკატაკომბურ კულტურებს ქმნიდნენ. მცირე აზიაში მათი გავრცელება კი უკვე გვიანბრინჯაოს ხანის კოლაფსის, ან მის შემდგომ პერიოდში ხდება.

ნიშნავს თუ არა ამგვარი მსჯელობა იმას, რომ სომეხი ხალხის ეთნოგენეზიდან ამოსახევია ჰაიასას ეპიზოდი? რა თქმა უნდა არა. ეს სამეფო მდებარეობს სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობის უწყვეტი განვითარება დასტურდება არა თუ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან, არამედ მეზოლითის პერიოდიდანაც. ეს სწორედ ის მოსახლეობაა, რომლებიც კვებავდა სხვადასხვა ელიტებს, რომლებიც სხვადასხვა დროს ტერიტორიას წარმოადგენდნენ. ეს ელიტები სხვადასხვა დროს შეიძლება საუბრობდნენ ხურიტულად, ზანურად და ინდოევროპულ დიალექტებზე, მაგრამ ტერიტორიაზე ენების ცვალებადობა (მით უფრო ბრინჯაოს ხანაში) სულაც არ არის ათვლის მთავარი წერტილი.

იგივე ითქმის ქაშეებსა და აბეშალელებზეც. ეს ტომი ალბათ პროტოხეთებთან ახლო მდგომ რეალობას წარმოადგენდა, რომელიც „ენობრივი უწყვეტობის“ ფორმატში მთელს დასავლეთ კავკასიასაც მოიცავდა. როგორც ვთქვით ბრინჯაოს ხანაში მასთან შემხებლობით ჩამოყალიბდა ქართველური. მისი ერთ-ერთი სეგმენტიდან უნდა

განვითარებულიყო აფხაზურ-ადიღური ენებიც. თუმცა, ქაშქების აფხაზებად სახელდების ტრადიციაც დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

აქვე დაისმის საკითხი რომელიც არ შეიძლება არ დაისვას, როდესაც ძველი პერიოდთან ეთნოგენეზის საკითხების დაკავშირების დროს არის მნიშვნელოვანი. დავიწყეთ იმის აღნიშვნით, რომ ნაციონალისტური პარადიგმა სრულიად გასაგებია. კავკასიაში პატარა ერები ვცხოვრობთ, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში განიცდიდნენ და განიცდიან დიდი იმპერიების წნეხს. ეს აჩენს ერთგვარ კომპლექსს და ცდუნებას აწმყოში უსუსურ მდგომარეობას წარსულის დიადი ფურცლებით დავუპირისპირდეთ. ამიტომ არის, რომ ჩვენი წინაპრების გაიგივება ძველადმოსავლურ (ანუ უძველეს ცივილიზაციურ) რეალობასთან ლამის ერთვულ მნიშვნელობას იძენს. ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვები „ქვებიც (ანუ ლურსმული ფირფიტები) კი ღადადებენ მათ წინააღმდეგ ვისაც ქართული ისტორიის დაკნინება სურსო“ ამ ტიპის ინტერპრეტაციების საუკეთესო დევიზს წარმოადგენს.

არ ვთვლით საჭიროდ ყველა ასეთი მცდელობის ჩამოთვლას და გაანალიზებას. გამოვყოთ უბრალოდ პარადიგმულ საფუძვლებს. ეს საფუძვლები გარკვეულწილად სხვადასხვა კავკასიის სხვადასხვა ხალხისთვის - მათ შეიძლება ვუწოდოთ „რეფუგიუმი“ და „განვითარების უწყვეტი ტრადიცია“ და „გენეზისის კულტი“:

- „რეფუგიუმის იდეა“. სემიტები და ინდოევროპელები გვიან ძვ.წ. III-II ათასწლეულში არიან მოსული. კავკასიური ენები კი შუმერული ან პანმედიტერანული რეალობის მემკვიდრეობას აგრძელებენ. ყველაზე თანმიმდევრულად ეს იდეა ჩამოყალიბდა სკოლის სახელმძღვანელოში:

მოლეკულურმა გენეტიკამ ამ მიდგომას თანამედროვე ეტაპზე თითქოს დამატებითი არგუმენტები მისცა იმით, რომ დადასტურდა ანატოლიელი და ევროპელი ფერმერებისა და კავკასიის მოსახლეობის გენეტიკური კავშირი. დადასტურდა „ენიკური ბლიცკრიგიც“, რომელიც ამ მოსახლეობამ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და პრაქტიკულად განახორციელა. დადასტურდა ყორღანული თეორიაც და მარია გიმბუტას მოდელის „გენოციდი“ იმით, რომ ევროპაში R ჰაპლოჯგუფის გარდა სხვა მამაკაცი მოსახლეობა პრაქტიკულად განადგურებული ჩანს. G ჯგუფი კავკასიაში დღემდე წამყვანია (სვანებთან ის 90 პროცენტსაც კი აღწევს). ამ ფონზე ახალბურად დამაჯერებელი ხდება ქართულისა და წინაბერძნულის, ბასკურის და სხვა ტიპის პარალელები.

მიუხედავად ამისა, „რეფუგიუმის“ იდეა მეცნიერულ კრიტიკას მაინც ვერ უძლებს. აქ მთავარი ხარვეზია ის, რომ სემიტური და ინდოევროპული მოსახლეობა ძველი სამყაროსთვის ანტისხეულად არის წარმოდგენილი სინამდვილეში კი ის ქართველურის მსგავს მისი ორგანული ნაწილი იყო. დღეს ცივილიზაციის იდეა აღარ დაიყვანება მხოლოდ სამხრეთ შუამდინარეთამდე და ევროპის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებამდე. ეს ტომები ჩვენსავით იყვნენ ამ სივრცის განუყოფელი ნაწილი.

- მეორე საფუძველი ოდნავ სხვა სტილის არის. „უწყვეტი განვითარებას“ ხალხი არის ეთნიკური ტრადიციების უზრუნველყოფელი (მათ შორის ენისაც - ამიტომაც არის ენობრივ აფილიაციაზე ამხელა აქცენტი და ის აზრიც არის, რომ

არქეოლოგიური კულტურიდან არქეოლოგიურ კულტურამდე ტრადიციები გადადის (ნანა ხაზარაძის ეთნოგრაფიული ნაშრომი, გენეტიკაც ჯოჯოხეთს ახალი მუგუზალი შემმატა ბოლო ხანებში); ანუ არსებობს ვერტიკალური სისტემები;

მოლეკულური გენეტიკის განვითარებამ ამ იდეას ახალი ძალა შემატა. ადრე რომ ნაცილების დონეზე იყო „გენეალოგიური ხეები“ ახლა ლამის უკვე ერთ ადამიანამდე დადის. ენა და არქეოლოგია-ეთნოგრაფია, თუ არასაიმედო ხაზად ჩანდა, ახლა მეორე უფრო ერთმნიშვნელოვანი ხაზი გაჩნდა. ამას კიდევ ემატების „გენეზისის კულტი“ - ანუ საწყისების დროსა და სივრცეში მკვეთრად ლოკალიზების ტრადიცია და შეჯიბრი უფრო ძველ ისტორიასთან დაკავშირებით.

ამ მიმართულებითაც თანამედროვე მეცნიერება მაინცადამაინც ბევრს ვერ გვაძლევს. აქ ხომ მთავარი საკითხი „ცნობიერება“ და არა გენი, ენა, თუ ნივთი. გენს „ცნობიერება“ არ მოჰყვება. გვარები, რომლებსაც ვატარებთ სულ რამდენიმე საუკუნეს მოითვლის.

მეორე საქმეა არქეოლოგიური კულტურა. რომელსაც თუ სიტყვა არქეოლოგიურს ჩამოვაშორებთ დაგვრჩება კულტურა, რომლის ნაწილადაც საკუთარ თავს მივიჩნევთ. დავესესხოთ თანამედროვე ფუნქციონალისტებს და ვნახოთ რამენად არის რეალური კულტურის უწყვეტობაზე ლაპარაკი საუკუნოვანი აკულტურაციების ფონზე.

ენა თითქოს ყველაზე ცალსახა ელემენტია, თუმცა, პროტონები არ არის იმ გაგებით ენები, რა შინაარსსაც დღეს ჩვენ ვდებთ.

რა რჩება კულტურას საზოგადოების მოდელის შეცვლის შემდეგ? რა გადაყვება შემდგ მოდელში. არსებობს თუ არა ვერტიკალური სისტემები? მაგალითად, წიგნში ჩვენ საზოგადოების სამი მოდელის ტრანსფორმაცია ვნახეთ. პირველყოფილი, გვაროვნული, კლასობრივი. რა შეიძლება აქ მივიჩნიოთ კონტინუუმის უეჭველ გამოვლინებად? ისეთად, რაც იმ და შემდგომი ეპოქის მცხოვრებათთვისაც წარმოადგენდა ღირებულებას. ვფიქრობთ, ამ შეკითხვებს შემდგომმა კვლევებმა უნდა გასცეს პასუხი. წინამდებარე ნაშრომში კი შეგვიძლია მაგალითის სახით მოვიყვანოთ - როგორ შეისწავლება მსგავსი პრობლემატიკა ძველ გერმანელებთან და კელტებთან მიმართებით.

გერმანელებისა და კელტების სახელით ანტიკური ხანის ავტორები ევროპის ცენტრალურ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს იხსენიებდნენ. აქ მაცხოვრებელი „ბარბაროსი“ ხალხების შესახებ ბერძნებისა და რომაელების შეხედულებები თანამედროვე ისტორიოგრაფიაზეც ახდენს გავლენას. თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევებში ხშირად ვხვდებით მათ სახელებთან რკინის, ან ბრინჯაოს (ან კიდევ უფრო ადრინდელი) ხანის არქეოლოგიური არტეფაქტებისა და ლინგვისტური სქემების დაკავშირების მცდელობებს. მიუხედავად ამისა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე: ვინ იყვნენ ანტიკური ხანის კელტები და ძველი გერმანელები?

მათი სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს:

1) ეთნიკურ ჯგუფებთან;

2) ტერმინებთან, რომლებიც თავიანთი შინაარსით უფრო ტოპონიმებს წარმოადგენდნენ;

3) ანტიკური ხანის ავტორების, ან სულაც თანამედროვე მკვლევარების პოსტულირებულ ცნებებთან, რომლებიც ერთგვარი კლასიფიკატორის როლს თამაშობენ და - რეალური ისტორიული შესატყვისობები არ გააჩნიათ;

4) ისტორიულ-კულტურულ რეალობასთან, რომელსაც თავისი ორიგინალური ჰაბიტუსი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემქნელი ადამიანები თავიანთ ერთობას ვერ აცნობიერებდნენ.

ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემის გადაჭრა, ვფიქრობთ, შემდეგ კითხვებზე მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხის გაცემის საფუძველზე შეიძლება:

1) თუ რა ობიექტური რეალობა იმალება ანტიკური ხანის ავტორების მიერ “კელტიკად” და “გერმანიად” სახელდებული ისტორიული სინამდვილეების მიღმა;

2) როდის და როგორ მოხდა მათი (ე. ი. ამ ისტორიული სინამდვილეების) ფორმირება;

3) რა მიმართებაშია ერთმანეთთან ამ “ხალხების” სახელებთან გაიგივებული ლინგვისტური სქემები, არქეოლოგიური არტეფაქტების სერია, ეთნონიმები და ძველი პერიოდის ავტორების აღწერილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტები.

ვფიქრობთ, რომ ამ თემებზე მსჯელობაში შემდეგი თვისობრივი კითხვები მოგვეხმარება:

- როგორ ხდებოდა ბერძნული და რომაული ეთნიკური კონსტრუქციების ფორმირება;

- რა თავისებურებები ახასიათებდა “ბარბარიკუმში” მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესებს; რა გავლენას ახდენდა მათზე ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების ეთნიკური კონსტრუქციები;

- რატომ და როგორ უნდა გამოვიყენოთ ეთნოგენეტიკური კვლევისას ინტერდისციპლინარული მიდგომები.

თუმცა, ვიდრე ამ საკითხებზე დავიწყებდეთ მსჯელობას, მკაფიოდ უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია იმ თეორიული საკითხების მიმართ, რომლებსაც ანტიკური ხანის “ბარბაროსი” ხალხების ეთნო-სოციალურ ისტორიაზე მსჯელობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მსჯელობა ეთნიკურობის ფენომენის განხილვით უნდა დავიწყოთ. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომის სათაურია “ძველი გერმანელებისა და კელტების ეთნოგენეზის პრობლემა”, მიგვაჩნია, რომ მათი (ე.ი. ძველი გერმანელებისა და კელტების) ეთნოსების სახით წარმოდგენა არარეალურია. ჩვენი აზრით, ეთნოსები არათუ ზოგადად გერმანელებსა და კელტებს, არამედ ისეთ ჯგუფებსაც არ შეიძლება ვუწოდოთ, როგორებიცაა სვებები, ბასტარნები, კიმბრები, ედუები, სექვანები და სხვა (ისტორიოგრაფიაში მათ, ტრადიციულად, ტომებად იხსენიებენ). საქმე ისაა, რომ ძირეულ გადასინჯვას მოითხოვს ძველი მსოფლიოს ხანის საზოგადოებების სტრუქტურა.

ეს, პირველ რიგში, ტომის ცნებას ეხება, რომელიც ბოლო დრომდე “ბარბარიკუმის” უმთავრეს სოციალურ ერთეულად მოიაზრებოდა. თუკი, რა თქმა უნდა, ტომში ეგალიტარიზმის პრინციპებზე ორგანიზებულ საზოგადოებას ვიგულისხმებთ, რომლის წევრებსაც ჰქონდათ საერთო ენა, ტრადიციები, სოლიდარობის განცდა და სხვა. ასეთი ტიპის გვაროვნული თემები, შესაძლოა, ანტიკური ხანის “ბარბარიკუმში” მართლაც არსებობდა, მაგრამ მათ საერთო არაფერი აქვთ ტრადიციულად ტომებად სახელდებულ იმ აქტიურ ჯგუფებთან, რომელთანაც რომაელები შეურიგებელ ბრძოლებს აწარმოებდნენ. სექვანები, ედუები, სვებები, მაკრომანები და სხვები რეალურად იმ მეომარი კლანების სახელწოდებებია, რომლებიც გერმანიისა და კელტიკის ცალკეული მხარეების რესურსებსა და ტერიტორიას აკონტროლებდნენ. ცალკეული გვაროვნული თემებიც მათ დაქვემდებარებაში იყო მოქცეული, რომლებიც ამა თუ იმ კლანის განადგურების შემდეგ სხვა კლანის გავლენის ქვეშ გადადიოდა. კულტური საზოგადოება სპარტის ტიპის სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ძველი გერმანელების შესახებაც მიუხედავად იმისა, რომ ძველი გერმანული “პლეზის” შესახებ ინფორმაცია ნაკლებად მოგვეპოვება.

ამგვარი მიდგომის გაზიარების შემთხვევაში ანტიკური ხანის გერმანია და კელტიკა (ისევე როგორც სხვა მსგავსი “ბარბაროსული” ერთობები) უნდა წარმოვიდგინოთ სივრცედ, სადაც ისტორიოგრაფიაში შეცდომით ტომებად სახელდებული მეომართა კლანები ერთმანეთს რესურსებისა და ტერიტორიისთვის ედავებოდნენ, რომლებზეც გვაროვნული თემის პირობებში მცხოვრები ჯგუფები ცხოვრობდნენ. “ბარბარიკუმის” ასეთი სურათის პირობებში წარმოდგენა, ვფიქრობთ, ადვილად წყვეტს თანამედროვე ეთნოგენეტიკური კვლევებისთვის მეტად აქტუალურ “მიგრაციონიზმის” პრობლემასაც. ვინაიდან ანტიკური ხანის წყაროებში დაფიქსირებულ და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე პოსტულირებულ მიგრაციებში მოგვიწევს ელიტური მეომრული კლანების გადაადგილება დავინახოთ და არა ხალხთა მასიური გადასახლება. ასეთი გადასახლებები, თუნდაც მას შედეგად მომხდურთა მხრიდან ახალი ტერიტორიის სრული ოკუპაცია მოჰყოლოდა ძირეულად არ ცვლიდა დაპყრობილ ტერიტორიის ეთნოგენეტიკურ მახასიათებლებს (გამომდინარე იქიდან, რომ დამპყრობლები ელიტურ უმცირესობას წარმოადგენდნენ), თუმცა, ეს იწვევდა ახალი ტიპის საკომუნიკაციო კავშირებისა და შესაძლოა ახალი კოინეს ჩამოყალიბებას. სწორედ ამიტომ უჭირთ არქეოლოგებს პასუხი გასცენ კითხვას ცალკეული ახალი არტეფაქტების გამოჩენისა და არქეოლოგიური კულტური კომპლექსის გამოჩენის შემთხვევაში საქმე მიგრაციასთან გვაქვს, თუ ავტოქტონურ განვითარებასთან.

თუკი დავივიწყებთ სტერეოტიპულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ანტიკური ხანის “ბარბარიკუმში” ტომები ცხოვრობდნენ, ვფიქრობთ, სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ კულტურებში მომხდარი ცვლილებები ადვილად შეიძლება ავხსნათ მეომართა ელიტური კოლექტივების მიერ ახალი ტერიტორიებისა და რესურსების ათვისებით, რომლებსაც ახალი საკომუნიკაციო ქსელის ჩამოყალიბება მოსდევდა. ასეთ შემთხვევაში არქეოლოგიური მეცნიერებისთვის ასე დილემური ოპოზიცია მიგრაცია, თუ ავტოქტონური განვითარება პრაქტიკულად აზრს კარგავს. გამომდინარე იქიდან, რომ ძირეულად იცვლება პასუხი კითხვაზე ვის მიგრაციაზე, ან ავტოქტონურ განვითარებაზეა

საუბარი. ვფიქრობთ, რომ არ გადავაჭარბებთ თუკი ვიტყვით, რომ ამ დისკუსიას მხოლოდ ის ასაზრდოვეს, რომ XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის მეცნიერები ანაქრონულად ხედავდნენ ნაციის (უფრო სწორად მათ შემცირებულ ნაირსახეობას – ტომებს) ფენომენს ძველი მსოფლიოს ისტორიაში.

“ბარბარიკუმის” ყოფის ასეთ კონტექსტში გააზრება, ვფიქრობთ ენათმეცნიერებისთვის დილემური პრობლემების იოლად გადაჭრაშიც გვეხმარება. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში ინდოევროპული (თუ კელტური) კილო-კავების მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელება უკავშირდება არა “ინდოევროპელი ხალხების” მიგრაციებს (რასაც ასე ეწინააღმდეგება არქეოლოგიისა და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემები), არამედ ვაჭრებისა, თუ მეომრების ელიტური შედარებით მცირე ჯგუფების გადაადგილებას. ეს პროცესი, მართალია ახლად ათვისებულ ტერიტორიაზე არ არღვევდნენ ეთნო-გენეტიკურ უწყვეტობას, მაგრამ ცვლიდა საკომუნიკაციო ქსელებს, რასაც ზოგ შემთხვევაში რეგიონში ახალი ენების (კოინეების) გაჩენა მოსდევდა. როგორც ეს მოხდა რომაელების მიერ გალიის დაპყრობის შემთხვევაში.

ვფიქრობთ, ცალკე აღნიშვნას მოითხოვს ეთნიკურობის ფენომენი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ანტიკური ხანის “ბარბარიკუმში” ეთნიკურ იდენტობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა. ამ პერიოდში იგი კლანურ-გვაროვნულ და რელიგიურ იდენტობასთან შედარებით დაჩრდილულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. ტერმინები “კელტი”, “გერმანელი”, “ბასტარნი”, არვერნი ალბათ მაშინ იმ კონოტაციას არ ატარებდა, რასაც დღეს ეთნონიმების ხსენებისას განვიცდით.

ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, “ბარბარიკუმის” შესახებ ანტიკური ხანის ავტორების დამოკიდებულებები დიდ სანდოობას არ აღძრავს. გამომდინარე იქიდან, რომ ყოვლად არაადექვატური გამოდის სხვადასხვა “ხალხების” ფიზიკურ- ანთროპოლოგიური მახასიათებლებისა და “ეთნო-ფსიქოლოგიური” მახასიათებლების გამოყოფა. აეს სტერეოტიპები თავად ანტიკურ საზოგადოებაზე უფრო მოგვითხრობს, ვიდრე “ბარბარიკუმის” მაცხოვრებლებზე. ყოველგვარ საფუძველს მოკლებული გამოდის, ასევე, სხვადასხვა ბარბაროს ხალხებს (მაგალითად გერმანელებსა და კელტებს) შორის საზღვრების დადგენისა და ამა თუ იმ “ტომის” გერმანიკულ თუ კელტურ სინამდვილისადმი მიკუთვნების დისკურსი, რომელიც ანტიკურ ისტორიოგრაფიას (მისი გავლენით კი თანამედროვე “ეთნოგენეზოლოგიასაც”) ასე ძალიან ახასიათებს. როგორც სოციოლინგვისტიკური კვლევები ადასტურებს ენებს ბუნებრივ პირობებში (ანუ თუკი ისინი სახელმწიფო საზღვრებით არ არიან შემოსაზღვრული) საზღვრები არ აქვთ. ასეთ სიტუაციაში კი ადვილად იქმნება ლინგვისტური უწყვეტობის სიტუაცია, როცა ერთი აულის წარმომადგენლებს ესმით მეორის, მეორეს – მესამის, მესამის – მეოთხის, მაგრამ მეხუთესთვის კი უკვე ძნელია პირველის გაგება.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, ვფიქრობთ, ანტიკური ხანის ეთნიკური კონსტრუქციების სრულად იგნორირება და ფიქციად გამოცხადებაც არ შეიძლება (რისი ტენდენციაც დღეს მკაფიოდ იგრძნობა). საქმე ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კელტურ და გერმანულ სამყაროში არ იყო ეთნიკური იდენტობის გამოკვეთილი განცდა; არ არსებობდა სხვა “ბარბაროსულ” სინამდვილეებთან მკაფიო საზღვრები კელტურ კულტურას მიანც

საკუთარი განუმეორებელი ჰაბიტუსი ჰქონდა, რომლის ჩამოყალიბებასაც მობილური ელიტური ჯგუფები და მათ მიერ დამყარებული საკომუნიკაციო ქსელი განაპირობებდა. იგივე მიზნები ქმნიდა, ვფიქრობთ, საერთო სალაპარაკო ენის შექმნის შესაძლებლობასაც. ამ შემთხვევაში სავსებით შეგვიძლია დავეთანხმოთ კ. ჰოუსსა და კ. დებზს, რომლებიც თვლიან, რომ კელტური და გერმანული სამყაროს ეს ორიგინალური ჰაბიტუსი, რა თქმა უნდა, თვალშისაცემი იყო ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორებისთვის. სწორედ ამიტომ გამოყოფდნენ ისინი ასე თამამად კელტიკას, გერმანიას, თრაკიას, ილირიას და ა.შ. იმავე მიზეზების გამო არქეოლოგებს დიდი ხნის განმავლობაში მარტივად შეეძლოთ კელტებთან, ან სხვა სინამდვილეებთან ცალსახად ასოცირებულ არქეოლოგიურ კულტურებზე მსჯელობა.

ვფიქრობთ აქვე, საჭიროა, კომენტარი ზოგიერთი ტერმინის არსის შესახებ გავაკეთოთ. ჩვენი აზრით, ეთნოგენეტიკურ გამოკვლევებში “პრა,” “პრე,” “პროტო” თავსართიანი სიტყვების მნიშვნელობა შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. ვფიქრობთ, როდესაც ძველი გერმანელების, კელტების, ან სხვა მსგავსი ისტორიული სინამდვილეების ფორმირების საკითხებზე ვსაუბრობთ ტერმინი კელტი და გერმანელი სამი სხვადასხვა მნიშვნელობით უნდა გამოიყენოთ. სიტყვით „კელტი“ (ან „გალი“, ან „გალატი“) და „გერმანელი“ კონკრეტული ტომები, ან ტომთა კავშირები უნდა აღვნიშნოთ, რომლებიც ანტიკური ხანის ავტორების თხზულებებში ფიგურირებს. მაგალითად ისეთები, როგორიცაა: ბოიები, არვერნები, ედუები, მარკომანები, ჰერმუნდურები, ფრანკები და სხვა. გარდა ამისა ეთნოგენეზის საკითხებზე საუბრისას ჩვენ გვჭირდება ტერმინი, რომელიც კელტურ და გერმანიკულ ენებზე მოსაუბრე ტომების იმ მდგომარეობას დაახასიათებს, როცა ისინი მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან ძირს ქმნიდნენ. ლინგვისტები ასეთ სინამდვილეს “პროტოკელტურს” და “პროტოგერმანიკულს” უწოდებენ. მაშასადამე, ტერმინი „პროტოკელტურისა“ და „პროტოგერმანიკულის“ ქვეშ (როგორც ეთნოგრაფიული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით) ჩვენც, ის არქეტიპული ისტორიული სინამდვილე უნდა მოვიანოთ, რომელიც ამ ლინგვისტური ცნებების ქვეშ იგულისხმება და რომლიდანაც ზემოთხსენებული (და არა მხოლოდ ზემოთხსენებული) გერმანელი და კელტი ტომები წარმოსდგნენ. ასევე საჭიროა ცალკე ტერმინით აღვნიშნოთ ის ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები, რომლების საფუძველზეც თავად “პროტოკელტური” და “პროტოგერმანიკული” ისტორიული სინამდვილე ჩამოყალიბდა. ვფიქრობთ, მართებული იქნება, თუ მათ “პრეკელტებად” და “პრეგერმანელებად” მოვიხსენიებთ.

აქვე გვსურს ხაზი კიდევ ერთხელ გავუსვათ ამ ტერმინების პირობითობას, რომ ეთნოგენეტიკური პროცესები, რეალურად, ასე სწორხაზოვნად არ მიმდინარეობს და ე.წ. „პროტო სინამდვილეების“ რეალური არსი ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენს. სავსებით შესაძლოა კვლევამ გვიჩვენოს, რომ ცალკეულ შემთხვევაში ეს ტერმინები ერთმანეთის გადამკვეთი, ან მეტად ბუნდოვანი შინაარსის მატარებელია. თუმცა, ვფიქრობთ, საკითხის არსის მკაფიო ფორმულირებისთვის მათი გამოყენების აუცილებლობას ვერსად წაუვალთ.

კელტების ეთნოგენეზის პრობლემა

ისტორიოგრაფიაში კელტების ეთნოგენეზად სახელდებული პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენ შემდეგი საკვლევი შეკითხვების შესწავლა მიგვაჩნია საჭიროდ:

1) როდის გამოჩნდნენ ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში კელტების წინაპრები? რა საერთო აქვთ მათ “პროტოინდოევროპელებთან”? ;

2) როდის ჩამოყალიბდა და რას წარმოადგენდა ეთნოლოგიური თვალსაზრისით ანტიკური ხანის წყაროებში აღწერილი კელტიკა?

3) რა მიმართებაშია ერთმანეთთან ანტიკური ხანის ავტორების კელტიკა თანამედროვე მეცნიერული ფაქტების კონსტრუქციის საფუძველზე პოსტულირებულ “პროტოკელტურ” ლინგვისტურ სინამდვილესთან და ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიურ კულტურებთან?

კელტების “ეთნოგენეზზე” მსჯელობა საკითხის ისტორიოგრაფიული მიმოხილვით უნდა დავიწყოთ. თანამედროვე კელტოლოგიაში, შეიძლება ითქვას, რომ ორი მიმართულება იკვეთება, რომლებიც ანტიკური ხანის კელტების (თუ კელტიკის) გენეზისის საკითხს სხვადასხვა სამეცნიერო პარადიგმის ჩარჩოებში წარმოადგენს.

პირველ მიმართულებაში პირობითად შეგვიძლია გავაერთიანოთ მეცნიერები, რომლებიც XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში დამკვიდრებული კონსტრუქციების ფარგლებში მუშაობენ. კერძოდ, ისინი კელტოლოგიის საკითხებს ინდოევროპეისტიკასთან მჭიდრო კავშირში განიხილავენ და აქტიურად ეძებენ „პროტოკელტური ენის“ შესაბამის არქეოლოგიურ კულტურებს; მათთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მიგრაციის იმ გზების ძიება, რომელთა საშუალებითაც ცალკეულმა კელტურმა ენობრივმა ჯგუფებმა თავიანთ ისტორიულ საცხოვრისს (მაგალითად, ბრიტანეთსა და ესპანეთს) მიაღწიეს.

თუკი ამ კუთხით შექმნილ ლიტერატურას გადავავლებთ თვალს დავინახავთ, რომ კელტების (თუ ინდოევროპელების) ევროპის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში მოსვლა ორი განსხვავებული გზით ივარაუდება. ერთ შემთხვევაში იგი უკავშირდება ჩრდილოეთ ევროპის საბრძოლო ცულების (იგივე ზონრიანი კერამიკის) არქეოლოგიურ კულტურას და მეორე მხრივ – დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ზარისებრი თასების ნეოლითურ რეალობას. მაგალითად, დ. ჰოკსი „კელტებად“ ზარისმაგვარი თასების კულტურის შემქმნელებს თვლის, რომლებიც მოგვიანებით ზონრიანი კერამიკის კულტურის ხალხებს შეერივნენ (ჩჰადწიცვ N.K., თჰე ჩელტს, Lონდონ 1970 გვ. 99). ნ. ჩედვიკი და მ. დილონიც დაახლოვებით იგივე აზრისანი ჩანან (ჩჰადწიცვ N.K., თჰე ჩელტს, Lონდონ 1970 გვ. 99). ა. უბერი მათ საწყისებს მეგალითების ეპოქის ბრიტანეთში ეძებს (Hუბერტ H., Lეს ჩელტს ეტ ლ'Ebპანსიონ ჩელტიქუე ჟუსქუა ლ'ეპოქუე დე ლა თენე. Pარის, 1932 გვ. 109).

გვხვდება მკვლევართა სხვა ჯგუფიც, რომელიც კელტებს უფრო შუა და გვიან ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებში დაეძებს. მაგალითად, თანამედროვე კელტოლოგიაში საკმაოდ პოპულარულია ი. ფილიპის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ‘პროტოკელტები’ გვიანბრინჯაოს ხანაში ყორღანული და ურნასამარხების სინთეზის

შედეგად ცენტრალურ ევროპაში ჩამოყალიბდნენ (Филип Ян. Кельтская цивилизация и её население, Прага, 1961 გვ. 124). პ. ბომ-გიმპერაც, რომელიც მათ სახელს ესპანეთის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ურნასამარხების არქეოლოგიურ კულტურას უკავშირებს (Пофелл т. G.E., т.3-е изд. Лондон, 1958 გვ. 48) .

ამ ტიპის თეორიების გვერდით XX საუკუნის მეორე ნახევრის კელტოლოგიაში გამოკვეთა არქეოლოგთა ახალი თაობა, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ სრულიად სხვა სამეცნიერო პარადიგმის ფარგლებში მუშაობს. კერძოდ, ისინი სკეპტიკურად არიან განწყობილი „მიგრაციული თეორიების“ მიმართ და შესაბამისად, ტრადიციული ინდოევროპეისტიკის საკითხებსაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, კ. რენფრიუ, კელტური ენების განვითარებაზე საუბარს უკვე ნეოლითური ხანიდან იწყებს, მ. ალინი „პალეოლითურ უწყვეტობაზე“ კი საუბრობს. მ. კანლიფის თხზულებებიდან კი ისე ჩანს, რომ მას კელტურად უკვე ურნასამარხების კულტურა მიაჩნია. განსხვავებით პირველი მიმართულების მკვლევრებისგან არც ერთი მათგანი დეტალურად არ განიხილავს კელტური მიგრაციების გზებს, რაც ასე დამახასიათებელია პირველი მიმართულებისთვის. მათ გენეზისზე საუბრისას კი სრულიად სხვა ტიპის საკვლევ კითხვებს უთმობენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მათ საკვლევ შეკითხვებს შორის პარადიგმული აცდენების მიზეზს არქეოლოგიაზე მეტად ისტორია და ენათმეცნიერება წარმოადგენს. პირველი მიმართულების მკვლევრებისთვის კელტიკა და ე.წ. „პროტოკელტური ენა“ მეტ-ნაკლებად ჰომოგენური რეალობაა, რომელიც საკმაოდ ვიწრო არეალში, აქტიური ისტორიული პროცესების (მაგალითად მიგრაციების) ფოზე უნდა ჩამოყალიბებულიყო. მეორე მიმართულების მკვლევრებისთვის ისტორიული კელტიკაცა და მით უფრო „პროტოკელტური ენა“ ისეთი ეფემერული რეალობაა, რომელიც პრაქტიკულად მოწყვდილია ისტორიულ ექვივალენტებს. სწორედ ამიტომ არის ასე ადვილი კელტების სახელს დაუკავშიროს ევროპაში ნეოლითური კულტურების გავრცელება (როგორც ამას კ. რენფრიუ აკეთებს), ან კანლიფისავით, მათთან დასავლეთ ატლანტიკური ზონა გააიგივოს.

ყველაზე უფრო თანმიმდევრულად ამ ტიპის თეორია კ. რენფრიუს აქვს ჩამოყალიბებული. ავტორი არქეოლოგია, მაგრამ იგი ფართოდ იყენებს ა. ტოვარის ენათმეცნიერულ დასკვნებს და მიიჩნევს, რომ კელტური ენების ფორმირება არა რომელიმე ლოკალურ ზოლში, არამედ მთელ იმ ფართო გეოგრაფიულ არეალში მიმდინარეობდა, რომელზეც ძვ.წ. I საუკუნისათვის კელტურ ენებზე მოსაუბრე ხალხები იყვნენ გავრცელებული (გარდა აპენინის და მცირე აზიის ნახევარკუნძულებისა, სადაც გალატები აშკარად გვიან არიან მისული). მისი აზრით, აქნეოლითის ხანიდან ისტორიულ დრომდე, მნიშვნელოვანი მიგრაცია არ მომხდარა. „მკვლევროპული“ ენობრივი მასივის ინდოევროპელები ამ ტეროტორიაზე ნეოლითის ხანიდან ცხოვრობდნენ. კელტურ ენებსა და კელტი ხალხების კულტურას შორის არსებული მსგავსებების მიზეზად კი ავტორს ნაწილობრივ მათი ჩამოყალიბების მსგავსი პირობები, ნაწილობრივ კი მათ მეზობლობა მიაჩნია (დენფრეი ჩ., პრობლემს ინ ეუროპეან პრეჰისტორი. დინზურგ, 1979 გვ. 168-179).

ისტორიოგრაფიაში ასევე ფიგურირებს ე. წ. „პალეოლითური უწყვეტობის“ თეორია (ალინეი M. Aნ ალტერნატივე მოდელ ფორ ტპე ორიგინს ოფ ღურპეან პეოპლეს ანდ ლანგუაგეს: ტპე ცონტინუიტე ტპეორე, «ღუადერნი დი შემანტიცა» 21. 2000 გვ. 22-29), რომელიც „პროტოკელტურისა“ და „პროტოინდოევროპულის“ არსს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის. ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორსაც მიდის და არათუ „პროტოკელტებს“, არამედ საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ გალებსაც არ ცნობს გაცნობიერებულ ისტორიულ ერთობად. ასეთთა შორის უნდა მოვიხსენიოთ, მაგალითად, კ. ვერნერი, რომელიც იულიუს კეისარს მიიჩნევს გალების ნაციის „შემოქმედად“ (ჭერნერ K.F., Dეს ორიგინეს ა ლა გაულე რომანიე., პარის, 1984 გვ. 389-421).

რა შეიძლება ითქვას ამ პარადიგმული აცდენების შესახებ? კელტური ენობრივი ოჯახის შესახებ უნდა ითქვას, რომ ძალიან ჭირს მისი ჩამოყალიბების დროის შესახებ დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა, რადგან ლინგვისტიკის აღდგენილი „პროტოკელტური ენა“ საკმაოდ ეფემერულ რეალობას წარმოადგენს, რომლის წიაღშიც ერთმნიშვნელოვანი არქეტიპების გამოყოფა არ ხერხდება. მაშასადამე, დღევანდელი გადასახედიდან „პროტოკელტური ენა“ უფრო სხვადასხვა პერიოდის მონათესავე ენობრივი ჯგუფების ერთობას გავს, ვიდრე „ფუძე ენას“, რომლის წიაღშიც მინიმალური დიალექტური განსხვავებები არსებობს.

მეორე მხრივ ანტიკურ ლიტერატურაში ვხვდებით ცალკეულ პასაჟებს, რომლებიც კელტიკის გეოგრაფიულ ცნებად აღქმისკენ გვიბიძგებენ. მაგალითად, დიოდორე სიცილიელი გვეუბნება, რომ კელტს, თავდაპირველად, მასალიის მახლობლად მცხოვრებ ერთ-ერთ ტომს უწოდებდნენ და ეს სახელი მხოლოდ მოგვიანებით გახდა დასავლეთისმთელი „ზარბაროსული“ სამყაროს აღმნიშვნელი. თითქოს, ამასვე ადასტურებს ჰესიოდეს ნაშრომებიც, საიდანაც ჩანს, რომ ძვ.წ. VIII საუკუნის ბერძენმა ავტორმა, რომელიც ევროპის დასავლეთ ნაწილზე საუბრობს, კელტების არსებობის შესახებ კი არაფერი იცის.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით ტრადიციულად „პროტოკელტების“ სახელთან გაიგივებული ჰალსტატის არქეოლოგიური კულტურა მეტად ჰეტეროგენული არქეოლოგიური რეალობაა. ცუდი პრესით სარგებლობს ჟ. დიუმეზილი და მისი მომხრე ისტორიკოსებიც, რომლებიც „პროტოკელტურ-პროტოინდოევროპული“ რელიგიურ-მითოლოგიური სისტემების რესტავრირებას ცდილობენ. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, რომ მეტად სტერეოტიპულად გვეჩვენება კელტების ფიზიკურ-ანთროპოლოგიურ მონაცემებზე მსჯელობა.

ყოველივე ეს, თითქოს მეორე მიმართულების მკვლევრების სასარგებლოდ მეტყველებს და გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ანტიკური ხანის კელტიკა მხოლოდ თეორიულ პოსტულატს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ მისი აღმწერი ანტიკური ხანის ავტორების წარმოსახვაში არსებობდა. თუმცა, არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ აქვე პირველი მიმართულების მკვლევართათვის სასარგებლო არგუმენტებიც ჩანს.

ლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ „პროტოკელტური“ თუმც „ფუძეენა“ არ არის, მაგრამ იგი არც „პროტოინდოევროპულის“ მსგავსი ცალკეული

იზოგლასების ერთობაა. ამკარად ჩანს, რომ კელტურ ენებს სხვა „ძველევროპულ“ ენებთან მიმართებაში გამოკვეთილი სახე აქვთ. არსებობს ბევრი ლინგვისტური ნიუანსი, რომლებიც მათ ერთმანეთთან აახლოვებს. ექვს არ იწვევს მათ შორის რეგულარული ბერათშესატყვისობების არსებობაც, რაც, ალბათ, მათი ფორმირების არეალის სიახლოვეზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამ არეალს, რა თქმა უნდა, მკაფიო საზღვრები ვერ ექნებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, გეოგრაფიული და ქრონოლოგიური თვალსაზრისით მისი ლოკალურობას ექვეყნებ ვერ დავაყენებთ. მით უფრო, რომ კელტოლოგიაში (განსხვავებით, მაგალითად სლავისტიკისა და ინდოევროპეისტიკისგან) კელტების წინარესამშოლოს საკითხი სადისკუსიო არ არის. ამ მხრივ ტოპონიმიკა-ჰიდრონიმიკის მონაცემებზე დაყრდნობით ლინგვისტები ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებენ ევროპის ცენტრალურ ნაწილზე.

მაშასადამე გამოდის, რომ ლინგვისტური მასალა საფუძველს გვაძლევს კელტური ენები მონათესავე ენების კავშირად განვიხილოთ და ექვეყნებ არ უნდა დავაყენოთ მათი მეტნაკლებად ლოკალური სივრცის არსებობა, საიდანაც ისინი მომდინარეობდნენ, უბრალოდ, უარი უნდა ვთქვათ მის უკან გაცნობიერებული ისტორიული ერთობის დანახვაზე (საკითხის ისტორიული ინტერპრეტაციის შესახებ იხილეთ ქვემოთ).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჟ. დიუმეზილისა და მისი მომხრეების თეორიების ბევრი ნაკლოვანების მიუხედავად სავესებით ნათელია, რომ კელტური მითოლოგია-რელიგია საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული რეალობაა, რომელიც მაგალითად იტალიური და გერმანული კოსმოლოგიებისაგან ძლიერ განსხვავდება. ისტორიაზე და არქეოლოგიაზე საუბრისას კი არ უნდა დავივიწყოთ გალატებისა და გალების შესახებ ზემოთ შემოთავაზებული მსჯელობა (თავი II. §3.), რომელიც მათ გამოკვეთილ ეთნიკურ რეალობად აღქმისკენ გვიბიძგებს და ლატენის ჰომოგენური არქეოლოგიური კულტურის არსებობა.

მაშასადამე გამოდის, რომ ანტიკური ხანის კელტიკა შესაძლოა ის არ არის, რის ამოცნობასაც XIX და XX საუკუნის პირველი ნახევრის მეცნიერები ცდილობდნენ, მაგრამ იგი არც სტერეოტიპული მიდგომების საფუძველზე შექმნილი რეალობაა.

გამომდინარე აქედან ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ საკვლევ კითხვაზე: 1) როდის გამოჩნდნენ ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში კელტების წინაპრები („პრეკელტები“)? რა საერთო აქვთ მათ „პროტოინდოევროპელებთან“? ; კელტური სინამდვილის რაობისა და ფორმირების საკითხების შესწავლაზე კი მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადავიდეთ.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ევროპაში ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხების განსახლების სქემას უნდა მივმართოთ. ჩვენს მიერ გაზიარებული სქემიდან ჩანს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულს კელტურ-იტალიურ-ტოხარული მოდგმის ტომები ვოლგა-ურალის სტეპებში იყვნენ განსახლებული. მაშინ, როცა სომხურ-ბერძნულ-არიულ და ბალტო-სლავურ-გერმანიკული ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი ეკავათ, სადაც მათ სახელს კატაკომბებისა და „საბრძოლო ცულების“ არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბება უკავშირდება. კელტო-იტალიელებს და ალბათ მათთან ერთად ილირიელების წინაპრების ევროპისკენ გადმონაცვლება მხოლოდ მოგვიანებით, ძვ. წ. II

ათასწლეულის I ნახევარში პოლტავინოს და ძელური კულტურების კვალდაკვალ უნდა დაწყებულიყო. პალატის კულტურის გავრცელების არეალში კი უნდა მომხდარიყო იმ ენობრივი იზოგლასების ფორმირება, რომლებიც ენათა “ძველოვრეპულ” მასივს ახასიათებს.

მაშასადამე, გამოდის, რომ ენათა ე. წ. “ძველევროპულ” ერთობაში ერთის მხრივ შედიოდნენ ერთი მხრივ ძვ.წ. II ათასწლეულში შავიზღვისპირეთიდან ცენტრალური ევროპისკენ მიგრანტი ტომები, რომლებიც კელტური, იტალიური, ილირიული და სხვა ენების ხალხებს მოიცავდნენ, მეორე მხრივ საბრძოლო ცულების სამართალმემკვიდრე ბალტებს სლავების და გერმანელების წინაპრები. ძვ. წ. I ათასწლეულში მათი კონვერგაცია მოხდა, რამაც ენათა ე.წ. ძველევროპული მასივის ფორმირება გამოიწვია.

ამგვარი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში ძალაუნებურად ჩვენი კვლევის სფეროში შემოდის კიმერიელების ეთნიკური ვინაობის პრობლემა. გამომდინარე იქიდან, რომ ძვ. II ათასწლეულის მიწურულიდან ძვ. წ. VIII საუკუნემდე სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის წამყვან მოსახლეობას. მით უფრო, რომ მათ კელტურ სიმკვლეებთან დაკავშირების იდეა ისტორიოგრაფიისათვის ახალი არ არის. კიმერიელების შესახებ ცნობებს როგორც ძველადმოსავლურ, ისე ანტიკურ წყაროებში ვხვდებით.

კიმერიელების პირველ მოხსენიებას ჰომეროსთან ვხვდებით. ანტიკურ ხანაში მათ ექსპანსიაზე ძალზე ხშირად გვხვდება საუბარი. ამ ცნობებიდან ზოგი ისტორიულია ზოგი უფრო მითოლოგიური ხასიათის, რომელსაც ალბათ ასევე გარკვეული ისტორიული სარჩული მოეპოვება. ტრადიციულად, ძირითადად, ჰეროდოტეზე და ასურულ-ურარტულ წყაროებზე დაყრდნობით ითვლება, რომ მათ ძვ. წ. VIII საუკუნეში სკვითების ზეწოლით სამშობლო დატოვეს და წინა აზიას შეესივნ. ამის პარალელურად, ევროპულ არქეოლოგიაში ფიგურურებს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კიმერიელების ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ლაშქრობისაც ჰქონდა ადგილი.

საქმე ისაა, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ევროპულ არქეოლოგიურ სინამდვილეში ვხვდებით რიგ კულტურულ არტეფაქტებს, რომლებიც ზოგიერთ მკვლევარს საშუალებას აძლევს ივარაუდოს, რომ მაშინ, როცა კიმერიელების ერთი ნაწილი წინა აზიას შეესია მისი მეორე ფრთა ევროპისკენ გაემართა. რიგ შემთხვევაში მათი ლაშქრობის მარშრუტებზეც კი მიუთითებენ. ასეთ არტეფაქტებს შორის უნდა მოვიხსენიოთ:

1. ბელადის ოთხბორბლიანი საზიდრით დაკრძალვის ტრადიცია;
2. ცხენის სხვადასხვა აღკაზმულობები; რომლებსაც არქეტაიპები ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის წინასკვითურ ხანაში ეძებნება.
3. აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე პერიოდის ევროპაში ჩნდება დამარხვის ახალი წესები, რკინის მეურნეობა და სხვა.
4. ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ მრავლად გვხვდება დამარხული განძები, რომ რაც შემოსევის არაპირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს.

ვფიქრობთ, რომ ეს არგუმენტები სავსებით საკმარისია საიმისოდ, რათა ძვ.წ. VIII ს-ში კიმერიელების დასავლური ლაშქრობის თეორია ვირწმუნოთ. ალბათ, არ შეცვდებით თუ ვიტყვით, რომ ა. მონგაიტი ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს, როცა ზემოთ ჩამოთვლილი არტეფაქტების წარმოქმნის მიზეზად სავაჭრო ურთიერთობებს ასახელებს. ძალზე მოკლე პერიოდში: დამარხვის ახალი წესების შემოსვლა, მძლავრი არისტოკრატის ჩამოყალიბება, ცხენის ამხედრებული ტარების ტრადიციის შემოსვლა, რკინის მეტალურგიის დანერგვა, სამოსახლო ფართობების გადიდება და ა.შ., ცენტრალური ევროპის არქეოლოგიურ მასალაში. აშკარად, ჩრდილოეთშავიზღვისპირული მასალის არსებობის ფონზე, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს ცენტრალურ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოების ფორსირებული გზით განვითარების სურათი დავინახოთ. მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში ჩრდილოეთშავიზღვისპირეთის მოსახლეობის (კიმერიელების) აქტიური დინამიკა სავსებით დადასტურებულ ფაქტს წარმოადგენს.

მეორე პრობლემა იმის განსაზღვრა, თუ რა როლი ითამაშა მოსულმა ელემენტმა ამ პერიოდის ევროპის ეთნიკურ ისტორიაში. ის ავტორებიც კი (პ. კორკორანი, ვ. მეგოუ) რომლებიც მთლიანობაში კიმერიელების დასავლური მიგრაციის თეორიას იზიარებენ უფრო იმ აზრის ჩანან, რომ ადრერკინის ხანაში მოსული ეს ელემენტი მთლიანად ურნასამარხების კულტურის შემქმნელი მოსახლეობის მიერ იქნა ასიმილირებული. არადა ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი ისტორიული მონაცემები და ზოგადად ანტიკური და ძველარმოსავლური საზოგადოების ეთნიკური პროცესების დინამიკის კანონზომიერებების გათვალისწინება, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს რეალობა სხვაგვარად წარმოვიდგინოთ.

ცნობილია, რომ ძველ დროში ეთნიკური ტრადიციების მთავარ მატარებელს „სუპერსტრატული“ და არა „სუბსტრატული“ მოსახლეობა წარმოადგენდა. თუკი კულტური საზოგადოების სტრუქტურის შესახებ კ. ჟულიანისა და ჟ. არმანის ზემოთ მოყვანილ თეორიას გავიზიარებთ და ამასთან, გალური ნობილიტეტის სიძლიერის დამადასტურებლად ჰალშტატური არისტოკრატის მდიდარ სამარხებს და სიმაგრეებს ჩავთვლით, ცოტა მწელი გახდება „პლესისიგან“ არისტოკრატის ასიმილაციის ვარაუდი. უფრო მეტი არგუმენტები, ვფიქრობთ, საწინააღმდეგო მოსაზრების სასარგებლოდ არსებობს. თანაც ბარბარიკუმის ეთნიკური სინამდვილის ანალიზი ასეთი მაგალითების მოყვანის საშუალებას კიდევ მრავლად იძლევა. მაგალითად, პლუტარქე წერს, რომ კიმბრებს გერმანელები ყაჩაღებს ემახდნენ. გვხვდება ისეთი საზოგადოებები, როგორიცაა ვიკინგები, ჰერულები და ა. შ. რაც თითქმის გვაპარაუდებინებს, რომ ეთნიკურად ასე კასტური გახლეჩილი საზოგადოებები ბარბარიკუმისთვის საკმაოდ ტიპურ მოვლენას წარმოადგენდა.

თუმცა აქვე, სქემატურობის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა, აღვნიშნოთ, თუ ისტორიული თვალსაზრისით როგორ გამოიყურებოდა ზემოთგანხილული პროცესები. შამისოდ, დასახმარებლად, ზემოთ უკვე ხსენებულ ანტიკურ წყაროებს უნდა მივმართოთ. კერძოდ, ჩვენ ვახსენეთ, რომ კიმერიელების მიგრაციისა და ვინაობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან: ჰეროდოტე, სტრაბონი და პლუტარქე.

ჰეროდოტეს ცნობები, ამ მხრივ, ვფიქრობთ ნაკლებად ყურადსაღებია. ჩანს, რომ ავტორი სქემატურად აზროვნებს და რაღაც გაურკვეველი წარმომავლობის მითებს ეყრდნობა. გაიუს მარიუსის ბიოგრაფიაში გაცილებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის პლუტარქე, რომელიც აცხადებს, რომ კელტიკა ისეთი ვრცელი და დიდი ქვეყანაა, რომ იგი ოკეანიდან მზიან მეოტიდამდე მოდის, სადაც პონტოს სკვითიას ესაზღვრება. აქედან დაიწყეს ამ ტომებმა უფრო დასავლეთით განსახლება არა ერთად, არამედ ნაწილ-ნაწილ მცირე-მცირე ჯგუფებად. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრ სხვადასხვა ჯგუფად იყოფოდნენ მათ გაერთიანებული სახელით კელტო-სკვითებს უწოდებენ. ის კიმერიელები, რომლებიც ბერძნებისთვის გახდნენ ცნობილი უფრო თავისი ხალხის მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ. მათ შორის ყველაზე მამაცები ოკეანესთან ცხოვრობენ. სწორედ აქედან შემოესივნენ ისინი იტალიას. მათ პირველად კიმერიელებს უწოდებდნენ, შემდეგ კი ძალიან ბუნებრივად კიმბრებს.

სტრაბონი კი თავის მხრივ წერს, რომ ბერძნები კიმბრებს კიმერიელებს ეძახდნენ. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ პლუტარქეს მოხაზული არეალი საოცრად კარგად ემთხვევა ევროპაში ე. წ. ლატენიზირებული კულტურებისა და ძველევროპული ენების გავრცელების არეალს. და თანაც მიწების აქ ათვისების სქემა ძალიან გავს ე. წ. “საღვთო გაზაფხულის” ტრადიციას და საკმაოდ რეალისტურ ელფერს ატარებს.

ასევე საინტერესოა, რომ წყაროებში ძალიან ხშირია ჩრდილოეთში მცხოვრები ხალხების ყაჩაღებად სახელდება. ამ მხრივ შუა საუკუნეების ვიკინგების გახსენებაც საკმარისი იქნება. ცოტა უფრო ადრე იგივე ეპითეტით არიან შემკული ზოსიმესთან ჰერულები; სტრაბონი კიმბრებსაც ყაჩაღებს უწოდებს. პლუტარქეც ამბობს, რომ კიმბრებს გერმანელები ყაჩაღებს უძახდნენ. ვფიქრობთ, ამ ეპითეტებში ძნელი ამოსაცნობი არ არის აქტიური მეომრების ელიტები.

საინტერესოა სტრაბონის ის სიტყვებიც, სადაც იგი აცხადებს, რომ ბერძნები კიმერიელების კიმბრების სახელით იცნობდნენ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე ხალხებს შორის „პროტოინდოევროპული“ ტრადიციები ყველაზე უკეთ არილებმა და კელტებმა შეინარჩუნეს. ეთნოგენეზის საკითხებზე მსჯელობისას ეს დებულება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან იგი იმის ცალსახა დადასტურებას წარმოადგენს, რომ ე.წ. „პროტოკელტური“ სინამდვილის ფორმირების არეალში ინდოევროპელი კელტები ძალიან აგრესიულ და აქტიურ სუპერსტრატს წარმოადგენდნენ. იგივე მოსაზრების არგუმენტად შეიძლება გამოდგეს ჰალშტატური კულტურის არისტოკრატიული ხასიათი და ის გარემოება, რომ კელტების ყოფაში, „პლესის“ სახით, ინდოელი შუდრების მსგავსი თითქმის უუფლებო ეთნიკურად განსხვავებული ადამიანების კატეგორიაა დადასტურებული. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ ურნასამარხების კულტურების შემქმნელი ხალხები კელტურ მოსახლეობას არ წარმოადგენდნენ. ვინაიდან ამ არქეოლოგიური ძეგლების ფართო განფენილობის და არაჰომოგენურობის პირობებში ძნელია „პროტოინდოევროპული“ ტრადიციების ასეთი სრულყოფილი დაცულობა ვივარაუდოთ. თუკი სწორია ჩვენს მიერ გაზიარებული თეორია იმის შესახებ, რომ „პროტოკელტური“ სინამდვილის ფორმირება ძვ.წ. 700–600

წლისთვის ცენტრალურ ევროპაში გავრცელებული კიმერიული („ძველევროპული“) „სუპერსტრატის“ და ურნასამარხების კულტურის სახით წარმოდგენილი სუბსტრატის საფუძველზე მოხდა, მაშინ მოგვიწევს ვიფიქროთ, რომ ამ სუფსტრატული არქეოლოგიური კულტურების შემქმნელების ეთნიკური ტრადიციები კელტურ სინამდვილეში ძალზე უმნიშვნელოდ აღიბეჭდა.

ყოველივე ამის თქმის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას წარმოადგენდა „პროტოკელტური“ ისტორიულ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით?

გამომდინარე იქიდან, რომ კელტიკა (გერმანიის, ილირიისა და თრაკიის მსგავსად) ანტიკური ხანის ავტორების მიერ შექმნილი კონსტრუქტია, ვფიქრობთ, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში მისი რაობის განსასაზღვრად ზემოთ ჩამოყალიბებულ სავარაუდო პასუხებს გამოვიყენებთ. კერძოდ ვიტყვით, რომ ანტიკური ხანის კელტიკის სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს:

1. ანტიკურ ხანის ავტორების მიერ უცნობი მხარისთვის მინიჭებულ (შეიძლება მითოლოგიური შინაარსის სახელთან) სახელთან, რომელიც უკეთეს შემთხვევაში გეოგრაფიული ორიენტირის როლს თამაშობს (მაგალითად, ჰიპერბორეები);

2. უცხოელი ავტორების მიერ მათთვის თვალშისაცემი კულტურული ელემენტების საფუძველზე შექმნილ ტერმინთან, რომელიც არ ემთხვევა იდენტობის საშუალებებს, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლებად სწორად ასახავს უცხო კულტურის ჰაბიტუსს;

3. თავად „ბარბაროსი“ „ხალხების“ სინამდვილეში არსებული თვითიდენტიფიკაციის საშუალებების ტრანსლაციასთან;

4. თეორიულ სიტუაციასთან, როდესაც „ბარბაროსი“ ხალხები საკუთარ იდენტობის საშუალებად იღებენ ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების შექმნილ კონსტრუქტებს.

ამ თემაზე მსჯელობისას, პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ ამ კითხვაზე ყველა საუკუნისთვის ერთიანი პასუხის გაცემა არ შეიძლება. კელტები / კელტიკა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა და იგი, რა თქმა უნდა, საუკუნეების განმავლობაში იცვლიდა სახეს (ამ ფაქტორზე ყურადღების სერიოზულად არ გამახვილება ეთნოგენეტიკური კვლევების ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად შეგვიძლია ჩავთვალოთ). შესაბამისად, ჩვენ ეს შეკითხვა სულ ცოტა ორ ნაწილად მაინც უნდა დავშალოთ. კერძოდ:

ა) რას წარმოადგენდა „პროტოკელტური“ ისტორიულ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ძვ.წ. VI-V საუკუნეებში ?

ბ) რას წარმოადგენდა „პროტოკელტური“ ისტორიულ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ძვ.წ. IV-III საუკუნეებში?

პირველ შემთხვევაში მოგვიწევს ვთქვათ, რომ „პროტოკელტური“ ენის ცნების უკან ისტორიულ - ეთნოგრაფიული რეალობის დანახვა ყოვლად შეუძლებელია. სამისო არგუმენტების (უფრო სწორედ კონტრარგუმენტების) სახით შეგვიძლია შემდეგი გარემოებები წარმოვადგინოთ:

1) „პროტოკელტური“ ენა „ენობრივ კავშირებს“ წარმოადგენს და არა დიალექტურ ერთობას;

2) არქეოლოგიური თვალსაზრისით ჰალშტატური კულტურა საკმაოდ ჰეტეროგენული წარმონაქმნია;

3) ტერმინი კელტი, თავდაპირველად, უფრო გეოგრაფიული შინაარსის ცნებას წარმოადგენდა.

ამგვარი ისტორიული, არქეოლოგიური და ენობრივი მონაცემების ფონზე ძალიან ძნელია ვიფიქროთ, რომ ის „სუპერსტრატული ელიტები“ (ე.წ. კიმერიელები), რომლებმაც დასავლეთჰალშტატური არქეოლოგიური ზონის ჩამოყალიბებასა და ევროპის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში კელტურ-იტალიური კილოკავების ჩამოყალიბებას შეუწყვეს ხელი გაცნობიერებულ ერთობას ქმნიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ტერმინი კელტი რომელიმე, გარკვეულ პერიოდში, რომელიმე ერთ ასეთ დაჯგუფებას აღნიშნავდა. მით უფრო, რომ ჩვენს ხელთაა დიოდორე სიცილიელის ცნობა, რომელიც თითქოს ზუსტად იგივეს ამბობს. ამ ტერმინის მთლიანად „კელტურ სამყაროზე“ განზოგადების იდეა კი ანტიკური ხანის ავტორებს ეკუთვნით, რომლებისთვისაც ამ სიტყვის გამოყენება მოსახერხებელი გახლდათ. თავათ „კელტებად“ სახელდებული „ტომებისთვის“ ამგვარი განზოგადება რომც ყოფილიყო ცნობილი მას ისინი უკეთეს შემთხვევაში გეოგრაფიულ ტერმინად მიიღებდნენ და არა საკუთარი იდენტობის მარკერად.

„პროტოკელტური“ ენის ბუნება ადასტურებს, რომ იგი ალბათ როგორც ჩანს მათ დასავლეთში გადმონაცვლებას არც კოინეს ჩამოყალიბება მოჰყოლია. აქ საკვარაუდოდ თანდათან შეიქმნა სოციოლინგვისტური უწყვეტობის სიტუაცია, როდესაც მეზობელ დასახლებებს ერთმანეთის ესმით, ხოლო მოშორებით მცხოვრებლებს უჭირთ შორეული მეზობლების გაგება. „პროტოკელტური“ (და არა „პროტო-იტალიურ კელტური ან „ძველევროპული“) სწორედ ის ენაა, რომელიც ამ პროცესს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ აქვს მას თავისი სრულიად არაჰომოგენური ხარისხის მიუხედავად გამოკვეთილი სახე იტალიურ ვენტურურ და სხვა ინდოევროპულ ენებთან მიმართებაში. განსხვავებით, მაგალითად, პროტოიტალიურ-კელტურისგან, რომლის არსებობასაც ზოგიერთი ლინგვისტი ვარაუდობს.

ზემოთ აღწერილი ენობრივი პროცესები, ალბათ ყველაზე მეტად აქტიურად ბოჰემიისა და შვეიცარიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, სადაც ყველაზე დიდი რაოდენობითაა დაცული კელტური ტოპონიმები. საკვარაუდოდ აქედანვე ხდებოდა „კიმერიელი-კელტების“ საფრანგეთის, ესპანეთისა და ბრიტანეთის მიმართულებით გავრცელება, სადაც ისტორიულ დროში ვხვდებით მოსახლეობას, რომლებსაც ლინგვისტური ტრადიციის გავლენით კელტიზმებს, ლეპონტიელებს, გოიდელებს და გალებს უწოდებენ, რომლების ევროპაში გავრცელებაც საუბრის ცალკე თემას წარმოადგენს. აქ მხოლოდ იმის თქმით შეიძლება შემოვიფარგლოთ, რომ მათი მოძრაობის მარშრუტი, ძირითადად, ჰალშტატური კულტურის დასავლეთში გავრცელების არეალს ემთხვევა.

სადისკუსიო შეიძლება იყოს საკითხი, რამდენად ჰქონდა ამ პერიოდის კულტურ კულტურას ორიგინალური ჰაბიტუსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოთ აღწერილ პირველ, თუ მეორე ჰიპოთეტურ ვარიანტთან გვაქვს საქმე.

სავარაუდოდ მეორესთან. ვფიქრობთ, რომ ამ პერიოდის კულტურ სამყაროს ორიგინალური ჰაბიტუსი ჰქონდა (თუნდაც იგი ისეთი გამოკვეთილი არ ყოფილიყო როგორც ლატენის არქეოლოგიური კულტურის შემთხვევაშია). ამის არგუმენტადაც შეგვიძლია ჰალსტატისა და „პროტოლეთურის“ არსებობა წამოვაცენოთ. აქვე შეიძლება სპეკულაცია იმაზეც, რომ ადრე ჰესიოდემ კელტიკაზე არაფერი იცოდა.

ბ) რას წარმოადგენდა „პროტოკელტური“ ისტორიულ–ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ძვ.წ. IV-III საუკუნეებში? – ძვ.წ. IV – OIII საუკუნეებში კელტების (უფრო სწორად გალატების) მნიშვნელოვანი აქტივობა დასტურდება. წერილობით წყაროებში ფიქსირდება კელტების შემოსევები, რომელთა შორის ყველაზე თვალშისაცემი ეპიზოდია დელფოს გადაწვა და რომის დარბევა.

დაახლოებით ამავე პერიოდში ფართოდ ვრცელდება ლატენის არქეოლოგიური კულტურა. იგი დასავლეთ ჰალსტატურ ზონაში ჩამოყალიბდა, თუმცა, მისგან განსხვავებით ძალიან ჰომოგენური სახე შეიძინა. საინტერესოა, რომ ეს კულტურა შესანიშნავად ემთხვევა ამ პერიოდში ისტორიულად დადასტურებულ კელტების საცხოვრისს.

შემთხვევითი ალბათ არც ის ფაქტია, რომ ამ პერიოდის წყაროებში ტერმინ კელტზე მეტად გალატი გამოიყენება. ამ მხრივ, ვფიქრობთ, შესაძლოა მეტი ნდობით მოვეკიდოთ ა. ბერტრანისა მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ეს ორი სიტყვა ორ პარალელურ რეალობას წარმოადგენს.

დადისკუსიის კითხვა. ზემოთ ჩამოთვლილ რომელ რეალობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ძვ.წ. IV – OIII საუკუნეების გალატებზე ვსაუბრობთ. ვფიქრობთ, რომ მესამესთან, როცა ანტიკურ წყაროებში თავად „ბარბაროსი“ „ხალხების“ სინამდვილეში არსებული თვითიდენტიფიკაციის საშუალებების ტრანსლაციასთან გვაქვს საქმე.

ამის თქმის საფუძველს „ლატენის კულტურის“ ჰომოგენურობა და გავრცელების არეალი, ტერმინების კელტისა და გალატის ეტიმოლოგია და ტიტუს ლივიუსთან დაცული გალატების გენეზისის მითი გვაძლევს, რომელიც ა. უბერის სიტყვებით რომ ვთქვათ ფანტაზიის ნაყოფი რომც იყოს კულტური ფანტაზიის ნაყოფია(იხ თავი II).

ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ შევეხოთ დღეს მეტად აქტუალურ დისკუსიას გალატების მიგრაციებთან დაკავშირებით. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ზემოთ ჩამოყალიბებული თეორიული მოდელი, რომლის საფუძველზეც ჩვენ ბარბარიკუმში მიმდინარე ეთნო-სოციალურ პროცესებს განვიხილეთ ამ დისკურსიას არააქტუალურად ხდის. ვინაიდან გალატების ლაშქრობებში ჩვენ არ ვგულისხმობთ „ტომების“ გადაადგილებას.

მაშასადამე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. IV – III საუკუნეების კელტიკაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა მისი ჰაბიტუსი. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის ტრანსფორმაციები აქ შემდგომ

პერიოდშიც ხდებოდა. მაგალითად, ძვ.წ. II საუკუნეში, როდესაც კელტიკაში ოპიდების ქსელი ვრცელდება. მნიშვნელოვან გარდამტეხად შეიძლება ქცეულიყო გალების კეისართან დაპირისპირება, თუმცა, მან კელტური სამყაროს შემდგომი განვითარების ნაცვლად მისი კონტინენტური ნაწილის განადგურება გამოიწვია.

ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემა

ისტორიოგრაფიაში ძველი გერმანელების “ეთნოგენეზად” სახელდებული პრობლემის გადასაჭრელად, შემდეგი საკვლევი შეკითხვების შესწავლა მიგვაჩნია საჭიროდ:

- 1) როდის გამოჩნდნენ ევროპაშიძველი გერმანელების წინაპრები? რა საერთო აქვთ მათ “პროტოინდოევროპელებთან”? ;
- 2) როდის ჩამოყალიბდა და რას წარმოადგენდა ეთნოლოგიური თვალსაზრისით ანტიკური ხანის წყაროებში აღწერილი გერმანია?
- 3) რა მიმართებაშია ერთმანეთთან ანტიკური ხანის ავტორების აღწერილი გერმანია თანამედროვე მეცნიერული ფაქტების კონსტრუქციის საფუძველზე პოსტულირებულ “პროტოგერმანიკულ” ლინგვისტურ სინამდვილესთან და ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიურ არტეფაქტებთან?

ვიდრე ამ საკვლევი კითხვების საშუალებით ძველი გერმანელების “ეთნოგენეზზე” დავიწყებდეთ მსჯელობას, ვფიქრობთ, საკითხის ისტორიოგრაფიას უნდა შევეხოთ. დავიწყეთ იმის აღნიშვნით, რომ პარადიგმულმა ცვლილებებმა, რომლებიც XX საუკუნის მეორე ნახევრის ლინგვისტიკაში, არქეოლოგიაში, ისტორიასა და ფიზიკურ ანთროპოლოგიაში მოხდა ძველი გერმანელების ეთნოგენეზის პრობლემასაც მნიშვნელოვანი დადი დაასვა. XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში ამ საკითხის მკვლევარი მეცნიერები აქტიურად განიხილავდნენ “ინდოევროპეისტიკისთვის” აქტუალურ ისეთ საკითხებს, როგორიცაა, გერმანიკულ ენებზე მოსაუბრე ხალხების წინარესამშობლოს პრობლემა, აწერილობით წყაროებში მოხსენიებული ტომების (მაგალითად ბასტარნებისა და სკირების) ეთნიკური კუთვნილება და ა.შ. ამ ტიპის დისკუსიები, ხშირად, პოლიტიკურ მნიშვნელობასაც კი იძენდა.

შესაბამისად, საკითხების ისტორიოგრაფიაში შეიქმნა დიდძალი ლიტერატურა, რომელშიც ეს დასკურსია ასახული. თუკი მას ოდნავ განვაზოგადებთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ძველი გერმანელების ეთნო-ლინგვისტური სინამდვილის ასაკის დაძველების ტენდენცია იგრძნობოდა. ამ მხრივ შედარებით ‘ზომიერი’ თეორიების მიხედვით ითვლებოდა, რომ ძველი გერმანელები ძვ. წ. III ათასწლეულში ლენდენის ერთეული სამარხების “საბრძოლო ცულების” კულტურის შემქმნელი ხალხების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდნენ. უფრო ‘თამამი’ მოსაზრებების საფუძველზე კი ჩრდილოეთ გერმანია ინდოევროპელების წინარესამშობლოდ განიხილებოდა .

ძველი გერმანულების წინაპრების ასე შორეულ წარსულში ძიების ტენდენცია დღეს დიდად გაზიარებული არ არის. არქეოლოგებისა და ლინგვისტების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ გაცილებით რეალურია მათი ეთნოგენეზი რკინის ხანას, კერძოდ იასტორფის არქეოლოგიურ კულტურას დავუკავშიროთ, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა. სწორედ ამ თარიღით იწყებს გერმანელებზე მსჯელობას თანამედროვე მკვლევარი ჰ. ვოლფრამი. „პროტოგერმანიკული ენის“ ასაკიც მნიშვნელოვნად „გაახალგაზრდავდა“. დღეს თითქმის აღარავინ ათარიღებს მას ძვ.წ. III ათასწლეულით. მაგალითად, ცნობილი დიალექტოლოგები ე. შვარცი და ფ. მაურერი მისი ფორმირების თარიღად ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს ასახელებენ. ე. მაკაევს ეს თარიღი სულაც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე გადააქვს, თუმცა ლინგვისტთა დიდი უმრავლესობა მისი ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებისკენ იხრება.

„პროტოგერმანიკულის“ ასაკი ერთდერთი საკითხი არ არის, რის მიმართაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეცნიერთა დამოკიდებულება შეიცვალა. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ XX საუკუნის II ნახევარში ძალიან შეიცვალა ეთნოგენეტიკური კვლევის ტენდენციები. შეიქმნა საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომები, რომლებმაც ძველი გერმანელების სიძველეების კვლევაში ძირეული გარდატეხა შეიტანეს. ასეთთა შორის, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ რ. ჰახმანის, გ. კუნისა და ჰ. ბეჰაგელის ცნობილი წიგნი „გერმანელებსა და კელტებს შორის მცხოვრები ხალხები,“ რომელშიც დამტკიცებულია, რომ რაინსა და ვეზერს შორის მდებარე მიწები ძვ.წ. I ათასწლეულში სულაც არ იყო ძველი გერმანელებისა და კელტების საცხოვრისი. დაახლოებით იმავე პერიოდში (ანუ XX საუკუნის 60-იან წლებში) ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია რ. ვენსკუსმა, რომლის ნაშრომებმაც ძველი გერმანელების შესახებ სრულიად ახალ დისკურსს დაუდეს საფუძველი. მისი მოსაზრებები მოგვიანებით განავრცეს ჰ. ვოლფრამმა, ვ. პოლმა და მათმა მიმდევრებმა, რის შედეგადაც ძველი გერმანელი ტომები სრულიად სხვა სახით წარდგენენ ჩვენ წინაშე. შესაბამისად, ექვქვეშ დადგა ძველი ბერძნებისა და რომაელების ეთნიკური კონსტრუქციების ავთენტურობა. თანდათან საგრძნობი გახდა, რომ ანტიკური ხანის გერმანიის შესახებ არსებული ტრადიციული წარმოდგენები, რომლებიც ლ. შმიდტის, ფ. დანის, ა. დოჰშის, გ. მაურერის, ე. ვიტხის, ა. ნეუსიხინისა და XIX და XX საუკუნის I ნახევრის სხვა კლასიკოს მეცნიერთა ნაშრომების საფუძველზე ჩამოყალიბდა, შესაძლოა, ფუნდამენტურ გადასინჯვას საჭიროებს. პარალელურად, ლინგვისტიკასა და არქეოლოგიაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეარყია დიფუზიონისტური კონცეფციების პოზიციები. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად აქტუალური შეიქმნა „პროტოგერმანიკული“ ენის საფუძველზე ძველი გერმანელების დროსა და სივრცეში ლოკალიზებაზე მსჯელობა. დღეს მეტი ყურადღება ექცევა ცალკეულ გერმანელ ტომებს; მათ ეთნოისტორიაში რომაელების გავლენის მნიშვნელობისა და გვიანანტიკურ-ადრემუასაუკუნეების იდენტობის საშუალებების ანალიზს. ტერმინი ეთნოგენეზიც განსხვავებულ კონოტაციას იძენს.

ამ დისკურსის ფონზე კი ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი (მაგალითად, პ. გერი) ანტიკური ხანის გერმანიის რეალობას დეკლარირებულად უარყოფს და მას რომაულ ფიქციას უწოდებს.

საკითხის მიმართ განსხვავებული მიდგომების არსებობა, ბუნებრივია, კვლევას უფრო საინტერესოს ხდის, თუმცა, კვლევის ორგანიზების თვალსაზრისით ბევრ პრობლემასაც წარმოშობს.

ვფიქრობთ, ამ სირთულეებს ავირიდებთ, თუკი თანმიმდევრულად განვიხილავთ ზემოთ დასმულ საკვლევ შეკითხვებს. ვფიქრობთ, რომ ისინი ძველი გერმანელების შესახებ ყველა დროში არსებული სამეცნიერო დისკურსების გაერთიანების საშუალებას მოგვცემენ.

1) როდის გამოჩნდნენ ევროპაშიძველი გერმანელების წინაპრები? რა საერთო აქვთ მათ “პროტოინდოევროპელებთან”? – სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ ძველი გერმანელების “ეთნოგენეზზე” მსჯელობისას “პროტოინდოევროპულ” სიმკვლეებს ნამდვილად არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საკმე ისაა, რომ “პროტოგერმანიკული” ენის ფორმირება ისეთ პერიოდში და სივრცეში მოხდა, რომელიც ევროპის “ინდოევროპეიზაციის” სქემების თვალსაზრისით დიდ ყურადღებას არ იმსახურებს.

კერძოდ, ევროპის ინდოევროპეიზაციაზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე “ბალტო-სლავურ-გერმანიკული” ერთობის წარმომადგენლები ჩრდილოეთ ევროპაში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, “საბრძოლო ცულების” არქეოლოგიური კულტურის პარალელურად მოვიდნენ. ლინგვისტების მიერ რეკონსტრუქტირებული “პროტოგერმანიკული” ნამდვილად არ არის ის ენა, რომელზეც ძვ.წ. III, ან ძვ.წ. II ათასწლეულში საუბრობდნენ. ვინაიდან, “პროტოგერმანიკული” ენის ჩამოყალიბება და ჩრდილოეთ ევროპის ინდოევროპეიზაცია პარალელური პროცესები არ არის, შეგვიძლია ძვ.წ. III და II ათასწლეულს საერთოდ არ შევუბნოთ, როდესაც ძველი გერმანელების ეთნოგენეზზე ვსაუბრობთ. შეიძლება მხოლოდ ვთქვათ, რომ “პროტოგერმანიკული” იმ კოლო-კავების საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომლებიც ჩრდილოეთ ევროპაში ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევარში გამოჩნდნენ. ჰომოგენური “პროტოგერმანიკული ენა” მხოლოდ მოგვიანებით ჩამოყალიბდა იმ ისტორიულ პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა რომლებიც ქვემოთ იქნება აღწერილი.

გერმანელების პირველ მოხსენიებას წყაროებში ძვ. წ. II საუკუნის მიწურულს პოსიდონიუსთან ვხვდებით. ანტიკურ ლიტერატურაში მისი ფართოდ დამკვიდრება კი იულიუს კეისრის სახელს უკავშირდება. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ გერმანელი ისტორიკოსის, ფ. შლეტეს აზრით, ტერმინ გერმანიის იულიუს კეისარზე უფრო ადრინდელი ყველა მოხსენიება მხოლოდ მერმინდელი ჩანამატია. მსგავსი მსჯელობის გაზიარების შემთხვევაში (რომელიც ნამდვილად არ არის ლოგიკას მოკლებული), მოგვიწევს ვიფიქროთ, რომ გერმანელების შესახებ ანტიკურმა სამყარომ კიდევ უფრო

გვიან, ანუ ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში შეიტყო. რა შეიძლება იყოს წყაროებში მათი ასე “ნაგვიანვად” გამოჩენის მიზეზი? ვფიქრობთ, რომ ამას ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს:

1) გერმანელები ძვ.წ. II საუკუნის მიწურულამდე რაინისპირეთში არ ცხოვრობდნენ;

2) ანტიკური ხანის ავტორებმა მხოლოდ ამ დროისთვის შენიშნეს, რომ კელტები და გერმანელები ერთმანეთისგან განსხვავებულ ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენდნენ;

თავდაპირველად (ანუ იულიუს კეისრის ეპოქაში) გერმანია ეთნიკურზე მეტად გეოგრაფიული შინაარსის ტერმინს წარმოადგენდა. იულიუს კეისარს, რომელიც სხვა შემთხვევებში ეთნიკური ისტორიის საკითხებში საკმაოდ კარგად ჩანს გაცნობიერებული, აშკარად სურს მდინარე რაინი გერმანელებსა და კელტებს შორის ეთნიკურ წყალგამყოფად წარმოაჩინოს. ამიტომ იგი რაინის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებ ტომებს გერმანელებს უწოდებს, თუმცა დღეს უკვე სადისკუსიო არ არის, რომ რკინის ხანაში რაინი ეთნიკური წყალგამყოფი არასოდეს ყოფილა. ამასთან, თანამედროვე კვლევები იმასაც აჩვენებს, რომ კეისრის ეპოქაში მდინარის აღმ. ნაწილი სულაც არ ქმნიდა რაიმე ტიპის ჰომოგენურ ერთობას და რამდენიმე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის დისლოკაციის ადგილს წარმოადგენდა. კერძოდ, ჰ. ბეჰაგელმა დაამტკიცა, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით რაინისა და ვეზერის მთიანეთში მცხოვრები ხალხები, რომელთა აქ ყოფნის უწყვეტობაც ურნასამარხების დროიდან შეიმჩნევა, გერმანელები სულაც არ იყვნენ. რ. ჰახმანის, გ. კოსინას და გ. კუნის ცნობილ წიგნში „გერმანელებსა და კელტებს შორის მცხოვრები ტომები“ კი მსგავსი დასკვნები რაინისა და ვეზერს შორის ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები ხალხების შესახებ არის გაკეთებული, რომლებსაც ავტორები ‘ჩრდილო-დასავლეთის ბლოკს’ უწოდებენ. ამასთან, ჩვენს ხელთაა ტაციტუსის ცნობა, რომელიც გვარწმუნებს, რომ ტერმინით გერმანელი თავდაპირველად მხოლოდ ტუნგრების ერთი ტომი აღინიშნებოდა და რომ იგი მხოლოდ მოგვიანებით იქცა უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაციტუსის გერმანია მისი ‘წინაპრისგან’ (ანუ კეისრის გერმანიისგან) უკვე მეტად განსხვავებული საკმაოდ ჰომოგენური ერთობაა. ამ შემთხვევაში ჩვენი არგუმენტია ის, რომ:

ა) ტაციტუსთან დადასტურებულია უდავოდ გერმანული სინამდვილიდან მომავალი მითი ღმერთ ტუისტონის, მანისა და მისი შვილების შესახებ, რომელშიც დასავლეთ გერმანიკულ დიალექტებზე მოსაუბრე ეთნიკური ჯგუფების საერთო წარმომავლობაზეა საუბარი;

ბ) იგივე ტაციტუსი საუბრობს საერთო გერმანულ სიწმინდეებზე;

გ) წელთაღრიცხვის მიჯნაზე რომაელებსა და გერმანელებს შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის ანალიზი დასავლეთ გერმანელი “ტომების” ერთიან სულისკვეთებას გვიჩვენებს;

დ) ვფიქრობთ, რომ იგივეს მიგვანიშნებს არმინიუსისა და მორობოდის ბრძოლის პერიპეტეებიც.

რას ნიშნავს ეს? იმას ხომ არა, რომ ძვ.წ. I საუკუნის I ნახევარში ანტიკური ხანის გერმანიას ისტორიული შესატყვისობა არ გააჩნდა და იგი მხოლოდ ხმელთაშუაზღვისპირელი ავტორების ნაშრომებში არსებობდა? მოგვიანებით კი (სავარაუდოდ, წელთაღრიცხვის მიჯნაზე) აქ მცხოვრებმა ტომებმა თვითიდენტიფიკაციის საშუალებად მიიღეს რომაული წარმოშობის ტერმინები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხომ არ მოხდა ძველი გერმანული ისტორიულ სინამდვილის ფორმირება სწორედ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

ამგვარი სურათი სავსებით შეესაბამება ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეების ისტორიული რეალობას. ვფიქრობთ ძალიან ლოგიკურია დავუშვათ, რომ რომაელებთან გმირული საბრძოლო ეპოპეის ფონზე ძველ გერმანელების ზოგიერთ “ტომს” ერთიანობის განცდა ჩამოუყალიბდა და ტაციტუსთან აღწერილი რეალობის (საერთოგერმანული წმინდა სალოცავები, მითი გენეზისის შესახებ და სხვა) გენეზისის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

ამაჰ კიპოთეზისასარგებლოდ თითქოს არქეოლოგიური და ლინგვისტურიარგუმენტებიც მეტყველებს. არქეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ ახ.წ. I – II საუკუნეების გერმანია (ძვ.წ. II-I საუკუნეების გერმანიისგან განსხვავებით) საკმაოდ ჰომოგენური რეალობაა. ლინგვისტური თვალსაზრისით კი ხაზი უნდა გავუსვათ ერთ საინტერესო ფაქტს. ინგვეონური, ისტვეონური და ერმიონული დიალექტები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ერთმანეთთან. ლინგვისტები არ დაობენ იმის შესახებ, რომ ამ სიახლოვის წარმოშობის მიზეზი მათი მეორადი კონვერგაციაა და არა “პროტოდასავლეთგერმანიკულიფუძემენის”არსებობა.

ყოველივე ამის ფონზე, თუკი გავიხსენებთ, რომ ტაციტუსის მიერ აღწერილი გერმანია სწორედ დასავლეთ (და არა აღმოსავლეთ, ან ჩრდილოეთ) გერმანიკული ენების გავრცელების არეალს ემთხვევა, ვფიქრობთ, ჩნდება კითხვა? ხომ არ იყო ახ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეების გერმანია ის გეოგრაფიული არეალი, სადაც ისტვეონურ, ინგვეონურ და ერმიონულ დიალექტებზე მოსაუბრე ეთნიკური ჯგუფები ერთმანეთს დაუახლოვდა, რამაც ასახვე ზემოთ ჩამოთვლილი დიალექტების მეორეად კონვერგაციაში ჰპოვა.

ერთი შეხედვით, ვფიქრობთ, მოვლენათა ასეთი ლოგიკა სავსებით დამაჯერებელი ჩანს. მით უფრო, რომ იგი კვლევის თანამდროვე ტენდენციების ადეკვატურადაც გამოიყურება. თუმცა, თვალი არც იმაზე უნდა დავხუჭოთ, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ლინგვისტური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხები ამ მხრივ კონტრარგუმენტების ჩამოყალიბების საშუალებასაც იძლევა.

ამ შემთხვევაში კონტრარგუმენტი შეიძლება იყოს ის, რომ ზემოთ ჩამოყალიბებულ კონსტრუქციაში ოდნავ ბუნდოვანია “პროტოგერმანული” ენის ადგილი. ზემოთ ჩვენ დავრწმუნდით, რომ მისი სახით საქმე საკმაოდ ჰომოგენურ “ფუძემენასთან” გვაქვს. მისი ჩამოყალიბებითვის საჭირო გარემოდ კი ვერც კეისრის ეპოქის ეთნიკურად და ლინგვისტურად ჭრელ გერმანიას (უფრო სწორად, რაინ-ვეზერისპირეთს) ჩავთვლით და ვერც ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნას, რომელიც ზემოთ მხოლოდ ინგვეონური, ისტვეონური და ერმიონული დიალექტების კონვერგაციის ზონად გამოვაცხადეთ. მით უფრო, რომ ლინგვისტები “პროტოგერმანიკულის” ფორმირების თარიღის შესახებ

მსჯელობისას ლინგვისტები და დიალექტოლოგები ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებს თვლიან და არამდელი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკუთრივ გერმანიკულ ტოპონიმებს მხოლოდ მდ. ვეზერის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ვხვდებით, მაშინ, როცა უფრო სამხრეთით შერეულ ჰიდრო-ტოპონიმიკასთან გვაქვს საქმე. ამ არგუმენტზე დაყრდნობით ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დამკვიდრდა მოსაზრება, რომ გერმანიკული ენების ფორმირება სადღაც გერმანიის ჩრდილოეთ და სკანდინავია-იუტლანდიის სამხრეთ ნაწილებში მოხდა.

აქვე ჩნდება ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური შინაარსის კონტრარგუმენტიც. კერძოდ, იზადება კითხვა რამდენად რეალურია დასავლეთ გერმანიკული ენების გავრცელების მთელ არეალში ერთიან თვითიდენტიფიკაციის საშუალებებს ეარსება?

ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი შეკითხვა ჩვენთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს, რადგან “ბარბარიკუმში” მიმდინარე ეთნო-სოციალური პროცესების ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული მოდელის მიხედვით ეთნიკური ტრადიციების მთავარ მატარებლად მეომართა ელიტებს (და არა მოსახლეობის ფართო მასებს) მივიჩნევთ, რომლებიც მობილურობით ხასიათდებოდნენ.

“პროტოგერმანიკული” კი, ვფიქრობთ, ძველი გერმანელების სამყაროს ისტორიის უფრო ძველ ეტაპს წარმოადგენს, რომელსაც განსხვავებული ინტერპრეტაცია სჭირდება.

მამასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ. I საუკუნის (ანუ კეისრის ეპოქის) რაინ-ვეზერისპირეთი ‘პროტოგერმანული’ სინამდვილის ფორმირების ადგილი კი არა, - გეოგრაფიული არეალი იყო, სადაც ძვ.წ. II-I საუკუნეებში ძველი გერმანელები გავრცელდნენ; ანუ ეს იყო ადგილი, სადაც, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გავრცელებული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ ‘კოსინას გერმანელების’ გარდა ‘ალტერნატიული გერმანელებიც’ ცხოვრობდნენ.

კოსინას გერმანელებში, ჩვეულებრივ, ‘პროტოგერმანული’ ფესვებიდან მომდინარე გერმანული ტომები იგულისხმებიან, რომლების სიძველეების შესწავლაში გერმანელ არქეოლოგ გ. კოსინას მართლაც დიდი ღვაწლი მიუძღვის. ‘ალტერნატიულ გერმანელებში’ კი – ის ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები, რომლებიც კეისრისა და მისი მემკვიდრეების მიერ გერმანიად სახელდებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ‘პროტოგერმანულ’ ენობრივ ერთობაში არ შედიოდნენ. მათი ენა, შესაძლოა, არაინდოევროპული წარმომავლობის ან ინდოევროპული ენობრივი ოჯახის რომელიმე უფრო ძველი (‘პროტოგერმანულისგან’ განსხვავებული) მასივის ნაშთი ყოფილიყო. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში უფრო მეორე აზრია გავრცელებული, თუმცა მომხრეები პირველ მოსაზრებასაც მოეპოვება.

ამგვარი ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში ორი ახალი კითხვა ჩნდება:

1) საიდან და როდის მოვიდნენ (თუკი ისინი აქ მართლაც მოსულები არიან) ‘კოსინას გერმანელები’ ძვ. წ. I საუკუნის რაინ-ვეზერისპირეთში? (ეს კითხვა დაახლოებით

ემთხვევა „პროტოგერმანელების“ წინარესამშობლოს გეოგრაფიული მდებარეობის საკითხს);

2) როგორ გავარჩიოთ „კოსინას გერმანელები“ „ალტერნატიული გერმანელებისგან“? ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წყაროებში მოხსენიებული ტომებიდან რომელია „პროტოგერმანიკული“ ლინგვისტური (და, შესაძლოა, ეთნიკური) ერთობის კონტინიუმი?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ისტორიული თვალსაზრისით „პროტოგერმანიკული ენის“ საკითხს. რას წარმოადგენდა „პროტოგერმანიკული“ სინამდვილე? სად და როდის ჩამოყალიბდა იგი?

„პროტოგერმანული“ ლინგვისტური თვალსაზრისით ჰომოგენურ ენობრივ სინამდვილეს წარმოადგენდა, რომლის წიაღშიც მინიმალური დიალექტური განსხვავებები არსებობდა. ეს კი საფუძველს გვაძლევს იგი („პროტოკელტურისგან“ განსხვავებით) ისტორიული თვალსაზრისით სავსებით ავთენტურ რეალობად განვიხილოთ. საამისოდ, პირველ რიგში, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ლინგვისტური და ისტორიული რეალობების ურთიერთმიმართების პრობლემას უნდა დავუბრუნდეთ.

„პროტოგერმანული“ რეალობის ფორმირებაზე საუბრისას ყურადღება, პირველ რიგში, მისი ქრონოლოგიის და გეოგრაფიული ლოკალიზაციის პრობლემებს უნდა მივაპყროთ. კერძოდ, უნდა განვსაზღვროთ, თუ როდის ცხოვრობდა ეს „ხალხი“, რომელ არქეოლოგიურ კულტურას წარმოადგენდა და ანტიკური ისტორიის რომელ ეპიზოდებში იღებდა მონაწილეობას.... ამის განსაზღვრის მცდელობისას თავიდანვე ერთ მეტად რთულ პრობლემას ვაწყდებით. საქმე ისაა, რომ როგორც ვ. შუკინი შენიშნავს, დრო ისტორიკოსებისა და არქეოლოგებისთვის სრულიად განსხვავებული ფენომენია. თუკი ისტორიკოსები დროის განსაზღვრისას კონკრეტულ წლებს და თვეებს ეძებენ, არქეოლოგების შემთავაზებულ თარიღები უკეთეს შემთხვევაში 30 წლის ფარგლებში მერყეობს. ეს კი დროის ის მონაკვეთია, რომლის განმავლობაშიც წერილობით წყაროში ფიქსირებული რამდენიმე ფაქტი შეიძლება მომხდარიყო. ამის გამო, ვფიქრობთ, სრულიად შეუძლებელია არქეოლოგიის საშუალებით ჩვენთვის საინტერესო წერილობით წყაროებში მოხსენიებული ფაქტების ძიება (მაგ.: კიმბრებისა და ტევტონების მიგრაცია, არიოვისტის სვებების რაინისკენ მოძრაობა და ა.შ.), თუმცა ისტორიოგრაფიაში მსგავს მცდელობას არცთუ იშვიათად ვხვდებით.

გაცილებით უფრო რეალურია იმის თქმა, თუ რომელი არქეოლოგიური კულტურა წარმოადგენს კვლევისათვის საინტერესო ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფს, რადგან, ჯერ ერთი, არქეოლოგიური კულტურა, როგორც წესი, ქრონოლოგიურად დიდი ხნის განმავლობაში არსებობს და მეორეც, იგი გეოგრაფიულად საკმაოდ დიდ სივრცეზეა განფენილი. ჩვენს შემთხვევაში საინტერესოა, თუ რომელი არქეოლოგიური კულტურა წარმოადგენს ზემოთაღწერილ „პროტოგერმანიკულ“ რეალობას.

ამის განსაზღვრაში ჰიდრონიმიკა-ტოპონიმიკის მონაცემები გვეხმარება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთრივ გერმანიკული ტოპონიმიკა „პროტოგერმანიკული რეალობის“ მდ. ვეზერის ჩრდილოეთ ნაწილში არსებობაზე მიგვითითებს. გაცილებით უფრო ძნელი

სათქმელია, თუ რა ქრონოლოგიურ ჩარჩოებში უნდა ვაწარმოოთ ძიება. საქმე ისაა, რომ ლინგვისტიკაში, რომლის მონაცემებსაც „პროტოგერმანული“ სინამდვილის პოსტულირება ემყარება, დრო არქეოლოგიაზე კიდევ უფრო მეტად პირობითი ცნებას წარმოადგენს. ამის გამოა, რომ აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „პროტოგერმანული“ ენის შესახებ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. თუკი ე. მაკაევს მისი დიფერენციაციის საწყის ეტაპად ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიწურული ესახება, ე. შვარცს ეს თარიღი ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში გადააქვს. ლინგვისტიკის დიდი უმრავლესობა კი მის ქრონოლოგიურ ლოკალიზებას ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ცდილობს. ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რამდენად არაფრისმთქმელია მსგავსი თარიღები, როცა ეთნიკურ ისტორიაზე ვსაუბრობთ. მის განმავლობაში მრავალ არქეოლოგიურ კულტურას შეიძლება ეარსება. უფრო კონკრეტული მარკერის მოცემა კი ენათმეცნიერებას არ შეუძლია. ეს გარემოება გვაიძულებს დახმარებისთვის არაპირდაპირ ლინგვისტურ და არქეოლოგიურ ჰიპოთეზებს მივმართოთ.

გერმანიკულ ენებში ძალზე კარგად არის შემონახული ინდოევროპული ენის არქაული ფორმები, ეს კი ლინგვისტებს ავარაუდებინებს, რომ ამ ენებს (ან მათ წინაპარ ლინგვისტურ ერთობებს) დიდი ხნის განმავლობაში სხვა ინდოევროპული ენებისგან იზოლირებულ გარემოში უნდა ეარსებათ. ასეთ გეოგრაფიულ არეალად კი ხშირად სკანდინავიას მიიჩნევენ. მართლაც, თუკი ევროპის ჩრდილოეთი და განსაკუთრებით, ცენტრალური ნაწილის (ანუ იმ ტერიტორიის, სადაც, სავარაუდოდ „პრეგერმანელებს“ შეეძლოთ ეცხოვრათ) არქეოლოგიურ მასალებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრის შემდგომ პერიოდში ეს ტერიტორია ძნელად თუ გამოდგება ამგვარი ლინგვისტური იზოლაციისთვის ხელსაყრელ გარემოდ.

ბრინჯაოსა და რკინის ხანაში აქ ხალხთა ფართო მიგრაცია თუ არა, სხვა რეგიონების არქეოლოგიურ კულტურებთან ხშირი კონტაქტი მაინც შედგებოდა. ასეთი გარემო კი, ვფიქრობთ, აქ გერმანიკულ და ე. წ. „ძველევროპულ“ ენებს შორის კავშირების შექმნას (თუ გაღრმავებას) უფრო შეუწყობდა ხელს, ვიდრე „პროტოინდოევროპული“ არქაიზმების შენარჩუნებას. სკანდინავიის აქციები ამ მხრივ მართლაც უფრო ძვირად ფასობს. ამგვარი მსჯელობა ვინმეს შესაძლოა სკანდინავიის „პროტოგერმანელების“ წინარესამშობლოობის არგუმენტად გამოადგეს, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო ეს კონცეფცია არცთუ დამაჯერებელი იქნება. ჯერ ერთი, ვეზერის ჩრდილოეთით არაგერმანულ ტოპონიმებს ვერ ვხვდებით და მეორეც, არქეოლოგიური თვალსაზრისით ჩრდილოეთგერმანიკულ არქეოლოგიურ კულტურებთან გაცილებით უკეთ ჩანს მოგვიანებით ძველი გერმანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე კონტინუუმი, ვიდრე სკანდინავიაში, რომელიც ძვ. წ. III-II-I საუკუნეებში, ფაქტობრივად, დაცარიელებული იყო, თანაც არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „პროტოგერმანიკულს“, არქაიზმებთან ერთად, „ძველევროპულ“ ენებთან ბევრი საერთოც ახასიათებს, რომლების გამოც იგი ე. წ. ენათა „ძველევროპულ“ ერთობაშიც კი შეჰყავთ. მისი (ე. ი. „ძველევროპული“) იზოგლასების გენეზისისთვის კი სკანდინავიაში არცთუ ხელსაყრელი გარემო არსებობდა.

რა დახმარება შეუძლია გაგვიწიოს ზემოხსენებულმა მსჯელობამ 'პროტოგერმანიკული' ენის ჩამოყალიბების დროზე საუბრისას? თუკი ჩავთვლით, რომ 'პროტოგერმანიკული' სადღაც ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, მაშინ იმის მიება მოგვიწევს, თუ საიდან გაჩნდა მასში არქაული ელემენტები, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, არქეოლოგიურად ეს მხარე ბრინჯაოს და ადრერკინის ხანაში იზოლირებულ გარემოს არ ქმნიდა. ვფიქრობთ, ლოგიკას არ იქნება მოკლებული თუ ვივარაუდებთ, რომ ამაში 'დამნაშავე' სკანდინავიური ეთნო-ლინგვისტური ელემენტია, რომელმაც პროტოგერმანიკულის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ეს მსჯელობა შესაძლოა ჰიპოთეტური იყოს, მაგრამ მას ერთობ რეალური ელფერი მიეცემა, თუ ძვ. წ. I ათასწლეულის არქეოლოგიურ სიტუაციას გადავხედავთ. საქმე ისაა, რომ ძვ. წ. IV-III საუკუნეებში სკანდინავიაში ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. ნახევარკუნძული თითქმის ცარიელდება და მისი მცხოვრებლები გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილში სახლდებიან. ხომ არ შეიძლება ხალხთა ეს მიგრაცია სკანდინავიიდან 'პროტოინდოევროპული' არქაიზმების კონტინენტზე გადმონაცვლებად მივიჩნიოთ? ასეთ შემთხვევაში 'პროტოინდოევროპულის' ფორმირების თარიღად შეგვიძლია ძვ.წ. IV-III საუკუნე ჩავთვალოთ. მაშასადამე, 'პროტოგერმანიკულების' არქეოლოგიური ეკვივალენტებიც ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების წიაღში უნდა ვეძებოთ.

მოვლენათა ასეთი ლოგიკის გაზიარების შემთხვევაში, ვფიქრობთ, გერმანელთა ეთნოგენეზის საკვებით რეალური სურათი იკვეთება, რომელსაც საკმაოდ კარგად ესადაგება ჩვენს ხელთ არსებული ყველა ისტორიული ფაქტი და მოვლენა.

გამოდის, რომ ძვ.წ IV-UIII საუკუნეებში სამხრეთ სკანდინავიიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია დაიწყო, რამაც ამ პერიოდში სკანდინავიის ამ ნაწილის თითქმის სრული დაცარიელება გამოიწვია. შესაძლოა, სწორედ ასეთი პროცესების სიხშირის გამო უწოდებს იორდანე სკანდინავიას 'ხალხთა აკვანს'. არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში აქ კიმბრებისა და ტევტონების მსგავსი 'ურდოების' მოძრაობასთან გვეკონდა საქმე. უფრო ლოგიკური, რა თქმა უნდა, მცირე გაერთიანებების ხშირი გადაადგილების თეორია ჩანს. სავარაუდოდ, ამ მიგრაციებმა ჩრდილოეთ ევროპას საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია, რის შესახებაც დღეს მხოლოდ არქეოლოგიის მონაცემებით შეგვიძლია მსჯელობა.

კერძოდ, ამ პერიოდში აქ ახალი არქეოლოგიური კულტურების მთელი ქსელი ჩამოყალიბდა: იასტორფის კულტურა რიპდორფის სტადიაში გადავიდა, რასაც ახალი - ბოდენზახ-პოდმოკლისა და გუბინსკის - ჯგუფების ფორმირება მოჰყვა. უფრო აღმოსავლეთით კი პშემორული, ოკსიფური, ზარუბინეცკისა და პოიანემტი - ლუკაშევოს კულტურები ჩამოყალიბდა. ყველა ამ კულტურის ჩამოყალიბებაში სკანდინავიური ელემენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ახალი კულტურების ეს ზონა ბალტიკიდან კარპატებამდე, დნეპრამდე და დუნაიმდე ტერიტორიას მოიცავს. ეს კულტურები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებიან, თუმცა მათ კერამიკის წარმოებისა და დამარხვის წესების თვალსაზრისით ბევრი საერთოც აქვთ. ამ საერთო ელემენტებით

ისინი მკაფიოდ განსხვავდებიან მეზობელი კელტების, დაკო-გეტების, სარმატებისა და სკვითებისგან.

„პროტოგერმანიკული“ ენის ფორმირება, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის იასტორფის კულტურის ზონაში ინვილტრაციამ გამოიწვია, რამაც ამ არქეოლოგიური კულტურის რიპდორფის სტადიაში გადასვლა განაპირობა. როგორც ჩანს, აქ ჩამოყალიბებული ისტორიული რეალობა საკმაოდ მყარი გაერთიანება იყო, რადგან ყველა შემდგომი პერიოდის გერმანიკული კილო-კავი სწორედ მისგან იღებს სათავეს. მაშასადამე, „პროტოგერმანიკულის“ სახით კონკრეტული ისტორიული ერთობის არსებობას ვვარაუდობთ, ანუ ვთვლით, რომ აქ განსახლების კონკრეტულ ცენტრზე შეიძლება საუბარი, მაშინ როცა ერთი შეხედვით სავსებით ლოგიკური იქნებოდა ამ პერიოდის მთელი ჩრდილოეთ გერმანია გამოგვეცხადებინა „პროტოგერმანიკულის“ ფორმირების ზონად.

როგორც ჩანს, იასტორფის კულტურის ზონიდან უკვე ძვ.წ. III-II საუკუნეებშივე დაიწყო სხვადასხვა კლანის სივრცობრივი გავრცელების პროცესი, რასაც გერმანიკული დიალექტების ევროპაში განფენა მოჰყვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ „პროტოგერმანულ“ ენაზე მოსაუბრე ტომების ევროპაში გავრცელებასთან ერთად თანდათან იკვეთებოდა განსხვავებები ჩრდილოგერმანულ, აღმოსავლეთგერმანულ (რომლებიც, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ავტონომიურ „პროტოერთობას“ ასევე არასოდეს ქმნიდნენ), ინგვეონურ და ერმიონულ დიალექტებს შორის. ინგვეონური კი, ალბათ, ერმიონულს და ინგვეონურს ოდნავ მოგვიანებით გამოეყო. არქეოლოგიის თვალსაზრისით დაიწყო სკანდინავიის, ვისლის ქვემო დინებისა და იუტლანდიის ძვ.წ. II-I საუკუნეებში მიმდინარე ხელახალი ინტენსიური „ათვისების“ პროცესი, რომელიც ძვ.წ. I საუკუნეში მეტ-ნაკლებად უკვე დასრულებულია. მისი ისტორიული წანამდევრები კი, ალბათ, ძვ.წ. II საუკუნის II ნახევარში უნდა ვეძებოთ. მის შედეგი გახლდათ ის, რომ გერმანიკული ენები თავიანთი ისტორიული სამყოფელში გავრცელდნენ.

